გამოკვლევის საგნად აღებული პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის ნიმუში მან ჯერ კიდევ თავის სტუდენტობის წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ პირველ წიგნში უჩვენა, რომლის წინასიტყვაობაში უაღრესად მომთხოვნი მეცნიერი პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის გადმოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველია ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში“.

ჩვენის მხრივ, ვფიქრობთ, საკმარისია ითქვას ეს სიტყვები დაიწერა 1929 წელს – ტფილისის უნივერსიტეტის III-IV კურსის სტუდენტის მიერ სემინარული გამოკვლევის სახით დაწერილ ნაშრომზე, რომელიც ქართული სტამბის 300 წლისთავის აღსანიშნავად კიდევაც დაბეჭდა სახლმწიფო გამომცემლობამ.

ტფილისის უნივერსიტეტში, 1940 წელს, მე ვესწრებოდი პ. გუგუშვილის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვას, სადაც პირველმა ოფიციალურმა ოპონენტმა, ქართული მეცნიერების მნათობმა ივანე ჯავახიშვილმა თავის რეცენზიაში განაცხადა, რომ პაატა გუგუშვილმა უკვე სადოქტორო დისერტაციის წარმოდგენამდე გამოქვეყნებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრა ისტორიული და ეკონომიკური ლიტერატურა და დისერტაცია მხოლოდ ერთ-ერთი დადასტურებაა ახალგაზრდა მკვლევარის მიერ დიდძალი ლიტერატურული

და არქივის მასალების შესწავლის და მათი მეცნიერული ანალიზის ძლიერი ნიჭის გამოვლინებისო.

თავისი შესანიშნავი მასწავლებლის ამ აზრის განმარტებას წარმოადგენს მისი ყოველი ახალი გამოკვლევის გამოსვლა.

\* \* \*

საჭიროდ მიმაჩნია პაატა გუგუშვილის მიერ 1958 წელს გამოცემულ ნაშრომზე „ Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв.“, (ტ. I) მოვიყვანო მცირეოდენი ამონაწერები ეკონომისტების, ისტორიკოსების, სოციოლოგების დასკვნებიდან.

პროფ. პ. პოდკოლზინის აზრით: პ. გუგუშვილის მიერ შესწავლილი საკითხები „განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავენ... და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ... არა მხოლოდ რევოლუციამდელი რუსეთის მეურნეობის ორგანიზაციის მრავალი სადავო პრობლემის გადაწყვეტისათვის, არამედ, ამასთანავე დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის მეურნეობის განვითარების ისტორიის საკითხთა უფრო სრულად და სწორად გადაჭრისთვის“.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში გამოქვეყნებულ რეცენზიაში ნათქვამია: „პ. გუგუშვილის ნაშრომის პირველი ტომი დაფუძნებულია მრავალი მასალისა და დიდძალ ლიტერატურულ წყაროთა კრიტიკულ შესწავლაზე. ნაშრომი მთლიან და ჩამოყალიბებულ შეხედულებას იძლევა ამიერკავკასიაში ინდუსტრიული წარმოების პორველსაწყისი სტადიების განვითარების შესახებ და წარმატებით აშუქებს მთელ რიგ ფუძემდებლურ საკითხებს... ნაშრომიდან ჩანს, რომ ამ რესპუბლიკაში გამოდის ისეთი ორიგინალური დიდი იმპულსის მომცემი ეკონომიკური ნაშრომები, რომელთა

შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცეს“.

პროფ. ტ. ფიოლდი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში აღნიშნავს: “... პ. გუგუშვილის ნაშრომი შესრულებულია მაღალთეორიულ დონეზე და მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. უნგრელი ისტორიკოსებისა და ეკონომისტებისათვის ეს წიგნი სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს“.

გერმანელი მეცნიერი გ. ჰაინინგერი ასკვნის: „ხაზი უნდა გაეხვას იმ გარემოებას, რომ მოცემული ნაშრომის ავტორი აყალიბებს არა მხოლოდ ერთი ერის, არამედ მრავალეროვანი ტერიტორიის ეკონომიკურ ისტორიას, და რომ ეს ნაშრომი შეიცავს მეტად საყურადღებო მასალების გეოგრაფიულად ჩვენთვის შორეულ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით მრავალმნიშვნელოვანი ქვეყნის შესახებ და ამავე დროს იგი მცნიერულად უაღრესად მნიშვნელოვან თეორიულ საგანძურს წარმოადგენს“.

საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა ესოდენ მაღალი შეფასება რომ დაიმსახურეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებზე გამოქვეყნებულმა პაატა გუგუშვილის გამოკვლევებმა, ცხადია, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა და აშკარად მეტყველებს საერთოდ ქართული მეცნიერების მაღალი დონის გამო.

\* \* \*

პაატა გუგუშვილი, როგორც ცნობილია, ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე ეკონომიკის, სოციოლოგიის ზოგად პრობლემებზე და მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ სფეროში, სადაც ზოგადსაკაცობრიო კულტურის ამა თუ იმ დარგის განვითარების კანონზომიერებათა დადგენისათვის ყველა ქვეყნის მოწინავე მეცნიერები იღწვიან და იბრძვიან,

სადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევები ურთიერთს უპირისპირდებიან, სწორედ ამ სარბიელზედაც პაატა გუგუშვილმა სასახელო წარმატება მოიპოვა.

მაგალითისთვის საკმარისია აღინიშნოს მისი მონაწილეობა სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე იტალიაში (1959 წ.), სადაც მისმა მოხსენებამ „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ“ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. გერმანელმა პროფ. ნიულონმა, რომელმაც შეაჯამა ამ კონგრესის მრეწველობის სოციოლოგიის სექციის მუშაობა, პ. გუგუშვილის მოხსენება დაასახელა როგორც ნიმუში პრობლემის მეცნიერული შესწავლილობის მაღალი დონისა.

ასეთივე საყურადღებო მოხსენება („ეკონომიკური განვითარების ფაქტებისა და ტემპების შესახებ“) წარადგინა მან ეკონომისტთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ავსტრიაში (1962 წ.).

ესოდენ მრავალმხრივმა და ნაყოფიერმა მუშაობამ ცხადია, ხელი შეუწყო დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერებისადმი ყურადღების ზრდას, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1961 წელს სორბონის (პარიზის) უნივერსიტეტმა თავის ორგანოში გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილის ვრცელი სტატია ქართული საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების შესახებ, რაც დაიწერა თვით ფრანგი ეკონომისტების პროფ. ა. ბენიგსენისა და სხვათა თხოვნით.

\* \* \*

ცარიზმის ცენზურის მიერ აკრძალული აკაკი წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის და სხვათა ნაწერების პუბლიკაციით, საერთოდ ცენზურისა და ქართული მწერლობის ურთიერთობათა საკითხების

გაშუქებით, ქართული ადათობრივი სამართლის პირველხარისხოვანი ძეგლის ორიგინალის აღმოჩენით, მისი შედგენის ვითარების გამოკვლევით და გამოცემით პაატა გუგუშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაში.

\* \* \*

პაატა გუგუშვილის ნაშრომები, განსაკუთრებით მისი ადრინდელი გამოკვლევები, რა თქმა უნდა, არაა თავისუფალი ცალკეული ნაკლოვანებებისა, ხარვეზებისა და შეცდომებისგან. მეცნიერი, რომელიც 35 წელიწადია რაც ეწევა მძიმე ჭაპანს ისეთი ურთულესი პრობლემის კვლევა-ძიებისა, როგორცაა ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, სოციალისტური საზოგადოების განვითარება და თუნდაც წინანდელი სოციალურ-ეკონომიკური ყოფიერების და საზოგადოებრივი აზრის, პროგრესის კანონზომიერებანი, წარმოუდგენელია თავისი შემოქმედებითი ენერჯის, კვლევა-ძიების მეთოდოლოგიის დონის, ერუდიციის, შეხედულებათა სისტემისა და სხვათა მხრივ ერთ ადგილას იდგეს.

იგი, ცხადია, თვითონვე გრძნობს ამას, შემოქმედებითად იყენებს მრავალრიცხოვან საბჭოთა და საზღვარგარეთელი კრიტიკოსების შენიშვნებს და ამიტომაცაა, რომ თავის ნაშრომებს ახალი გამოცემის დროს კიდევ უფრო ამდიდრებს და აუმჯობესებს. ყოველივე ეს ბუნებრივია და სადავო არ შეიძლება იყოს.

პაატა გუგუშვილმა თავისი ხანგრძლივი ფრიად ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას. მართალია, ეკონომიკურ საკითხებზე საქართველოში სხვა ბევრიც წერდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე ცნობილ

მეცნიერთაც მხოლოდ, ასე ვთქვათ, ეპიზოდურად შეეძლოთ გამოსულიყვნენ.

მეცნიერების ამ დარგში ნამდვილად სისტემური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა პაატა გუგუშვილმა, რომელმაც თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებითა და გაშუქებით, სწავლულ ეკონომისტთა ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებითა და სხვ. შექმნა ეკონომისტთა ქართული სკოლა, რომელიც მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას.

1963 წლის 12 ივლისი

## გიორგი ლეონიძე

\* \* \*

პაატა გუგუშვილი არ ეკუთვნის ისეთ მეცნიერთა რიცხვს რომლებიც ფიქრობენ: მე მითქვამს და გაიგებენ თუ არა, რა ჩემი საქმეაო. არა, ის თავისი აზრებისა და იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტია. მე არ მეგულება ჩვენში მეცნიერი, რომელსაც მის ასაკში მასზე მეტი დაეწეროს და რაც მთავარია, რომლის შრომებსაც იმდენი საჯარო და ხანგრძლივი დისკუსიები გამოეწვიოს, რასაც, ცხადია, ყოველთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისათვის. იგი ყოველთვის პრინციპული საწყისებიდან იბრძოდა ამ გზაზე, სადაც მას არამცირედი მსხვერპლიც გაუღია.

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ პაატა გუგუშვილი არის არა მხოლოდ საქვეყნოდ გამოჩენილი ეკონომისტი და სოციოლოგი, იგი ამასთანავე არის ქართული მწერლობის და ხელოვნების დიდი მოყვარული და დამფასებელი, საერთოდ ძველი და თანამედროვე ქართული კულტურის საფუძვლიანი მცოდნე და პროპაგანდისტი და არა მხოლოდ ჩვენს, არამედ უცხოეთის ქვეყნებში და ამ მხრივაც მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის წინაშე.

1965 წელი



## ვასილ ჩანტლაძე

### სიტყვა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაკრძალვის დღეზე

ძალზე სამწუხაროა, როდესაც სიკვდილი ართმევს საზოგადოებას საქვეყნო საქმისათვის უანგაროდ თავდადებული ადამიანის სიცოცხლეს.

არ მინდა დავიჯერო, რომ მართლა დავკარგეთ ძალღონესრული, ვაჟკაცი-მეცნიერი, აკადემიკოსი პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი.

ვერ ვიჯერებ, რომ პაატა გუგუშვილი საქმემ დაღალა, შრომას გაერიდა და ამიტომ გულს ხელი დაიკრიფა.

მას უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა შრომა და გარჯა, უყვარდა თეთრად გათენებული ღამეები; გულით სწყუროდა თავისი სიცოცხლე ზვარაკად მიეტანა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მეცნიერების სამსხვერპლოზე და მიიტანა კიდევ.

ამიტომაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელს ამკობს არა ზარით და შეხმობით მოთქმა-გოდება, არამედ მისი სპეტაკი ცხოვრების, მისი უმწიკვლო მოღვაწეობის, მისი კაცობის დიდება.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია აკადემიკოს გუგუშვილის მეცნიერული, სასწავლო და საზოგადო მოღვაწეობა. მისი მეცნიერული კვლევა ეხება ეკონომიკას, ისტორიას, სახალხო მეურნეობის ისტორიას, ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიას, XIX და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეხება სოციოლოგიას, სტატისტიკას, კერძოდ დემოგრაფიას, ფინანსებსა და კრედიტს, ჟურნალისტიკას, ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და საერთოდ, საქართველოს ეკონომიკის პრობლემებს. მას მოცემული აქვს ეკონომიკური

წყაროების ფართო მეცნიერული პუბლიკაცია, გაწეული აქვს ნაყოფიერი მუშაობა მარქსიზმის კლასიკოსების ქართული თარგმანების რედაქტირებაში.

აკად. პაატა გუგუშვილი ფრიად ნაყოფიერი მეცნიერი მწერალია, მის კალამს ეკუთვნის ასეული შრომა, ათეული მონოგრაფია, წიგნი და სახელმძღვანელოები. მასთან მისი მეცნიერული შემოქმედება საყურადღებოა არა მარტო რაოდენობის და მოცულობის მხრივ, არამედ მისი შინაარსისა და თვისების მხრივ. მისი შრომების უდიდესი ნაწილი ეხება საკითხებს, რომლებიც ყამირის ვითარებაში თვლემდნენ და ეხება იმდენად სიღრმისეულად, ფუნდამენტურად, რომ ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის.

პაატა გუგუშვილი თავის გამოკვლევებში მუდამ ახლის ძიებაში იყო. ის ყოველთვის ახერხებდა საგანს შეხებოდა ფართოდ და ღრმად და არსებით მომენტებს იჭერდა იქ, სადაც ერთი შეხედვით თითქოს ეს მოსალოდნელი არ იყო; ახერხებდა დიდი ხნით ცნობილ უკვე გამოყენებულ წყაროებში ეპოვა ისეთი, რომელიც მანამდე შეუმჩნეველი იყო. ის წერდა და ლაპარაკობდა გამართულად, მის გადმოცემას ყოველთვის ახასიათებდა შესასწავლი საგნის ცხოველი ინტერესი.

პაატა გუგუშვილმა სასახელოდ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებზე, რასაც ადასტურებს მრავალი დადებითი რეცენზია სხვადასხვა ენებზე დაწერილი მისი მოხსენებებისა და შრომების შესახებ. ამასვე მეტყველებენ ჩვენი გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების – გოგლა ლეონიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მაღალი შეფასებანი.

პაატა გუგუშვილმა გაამართლა მისი მასწავლებლების, ჭემმარტი კორიფეების ივ. ჯავახიშვილის, ფ. გოგიჩაიშვილის, ნ. ნიკოლაძის იმედები.

პაატა გუგუშვილმა თავისი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მრავალი ასეული მაღალკვალიფიციური პიროვნება მოუშადა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სახალხო მეურნეობას, უმაღლეს სასწავლებლებს მოუშადა მრავალი მეცნიერების დოქტორი და კანდიდატი, პროფესორი.

სრულიად განსაკუთრებულია და დაუფასებელი აკად. გუგუშვილის ღვაწლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაცია-დაარსების საქმეში.

გამოსათქმელად მეტად ძნელსა და რთულ პირობებში, სამამულო ომის დროს, როდესაც მტერმა თბილისში ყუმბარაც ჩამოაგდო, როდესაც მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში მყოფი ხალხი სოფლისკენ გარბოდა, ჩვენი ძვირფასი პაატა განცხადებებით ხელში დადიოდა და ასაბუთებდა ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზების მიზანშეწონილობას. მაშინ მას მხარის დამჭერი ეკონომისტები ორიოდ კაცი თუ ჰყავდა, უმრავლესობა გვერდზე იდგა, ზოგიერთს კიდევ სასაცილოდ არ ჰყოფნიდა იმ პირობებში ინსტიტუტის დაარსებაზე ლაპარაკი. მაგრამ პაატა გუგუშვილს ამან გული ვერ გაუტეხა. მას ამხნევებდა იდეურობა, მისი მიზნის პროგრესულობის ღრმა რწმენა. მან ვაჟკაცურად იბრძოლა, ყველა დაბრკოლება გადალახა და ინსტიტუტი დაარსდა.

ინსტიტუტის დირექტორმა პაატა გუგუშვილმა და სწავლულმა მდივანმა აკაკი კაკაბაძემ ინსტიტუტის მუშაობის დაწყების პირველ დღეს ქალაქდები და მელანი სახლიდან მოიტანეს. ეს ინსტიტუტი მალე დიდ ორგანიზაციად იქცა და ერთ-ერთ წამყვან დაწესებულებად გადაიქცა აკადემიის სისტემაში. ამ ინსტიტუტმა მოუშადა ქვეყანას ათეული დოქტორი და პროფესორი, ასეული

კანდიდატი და დოცენტი, ათეულ შრომათა ტომი, ასეული საჟურნალო სტატია. მან განაახლა ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტის“ გამოცემა, ინსტიტუტმა დანერგა მრავალი წინადადება სახალხო მეურნეობაში.

ამ ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტი, რომელსაც გადაეცა ეკონომიკის ინსტიტუტში კვალიფიცირებული და გამოწვრთნილი კადრების ნახევარი. შემდეგ ინსტიტუტი კვლავ შეივსო და დაემატა სამართლის სექტორი.

პაატა გუგუშვილი ოცდაათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს. დღე-ღამეს იქ ათენებდა. ეს ინსტიტუტი ძალზედ უყვარდა, მისი წინსვლისთვის არაფერს იშურებდა, გუგუშვილი ამ ინსტიტუტს არასოდეს განშორებია და თავისი სიცოცხლეც ამ ინსტიტუტში დაამთავრა. ა/წ 26 თებერვლის ნაშუადღევს ინფარქტით გულგაგლეჯილი წამოიყვანეს ინსტიტუტიდან და ამის შემდეგ მას არც თავისი სახლი უნახავს და აღარც თავისი ინსტიტუტი. მე და პაატამ სამოცდაოთხი წლის წინათ გავიცანით ერთმანეთი უნივერსიტეტში. ერთად მოვისმინეთ ბატონი ივ. ჯავახიშვილის პირველი ლექცია და შინ ერთად წავედით. გზაში ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს, მაცნობდა საკუთარ გეგმებს, ძალზედ აღფრთოვანებული, ვარდისფერებში, ახალგაზრდული გატაცებით ხატავდა ცხოვრების მომავალს. მაგრამ სინამდვილე სხვაა.

ძვირფასო პაატა, ულმობელმა ცხოვრების ჩარხის ტრიალმა ბევრი მწარე დღეები გაგანცდევინა, სწორად სავალი გზები ბილიკებად გადაგიქცია, ეკლებით შემოსა, მაგრამ შენ ვაჟკაცურად მაინც სწორად იარე, მაინც ბევრი გააკეთე და გეგმების დიდი ნაწილი განახორციელე. ამ ხნის მანძილზე ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა, რამდენჯერ

დამის ორ საათზე დაგირეკია ტელეფონით, ხვალ აპირებ თუ არა ამ და ამ ღონისძიებაზე დასწრებას და თუ გეტყოდი ვერ ვახერხებ, შენ გითქვამს: მაშინ არც მე წავალ ან გირჩევია როგორმე მოახერხე და წავიდეო.

დღეს შენ ჩვენი მეგობრული პირობა დაარღვიე. პირობის თანახმად XXI საუკუნის დასაწყისს უნდა შეგეჯამებია XX საუკუნის ვითარება საქართველოში. რატომ აჩქარდი პაატავ, იქამდე თორმეტნახევარი წელიწადი რჩება. შენ დაარღვიე მეორე მეგობრული პირობაც – ჩვენ ხომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ყოველი ხუთი წლის თავზე სურათს ვირებდით, უკანასკნელად ასეთი სურათი გადავიღეთ ხუთი წლის წინათ და ორასი კაციდან იქ მხოლოდ ხუთია გამოსახული. წელს ივნისში მორიგი ხუთწლედია. არ ვიცი იმ სურათში რამდენი იქნებოდა, მაგრამ ის ვიცი, რომ უშენოდ ის სურათიც აღარ მინდა და მე იქ აღარც წავალ გადასაღებად, იმ დღეს აქ მოვალ და გაუწყებ ამ თარიღს.

მშვიდლობით ჩემო დაუვიწყარო ძმავო პაატავ!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## **ვლადიმერ პაპავა**

### **დიდი ერისკაცი**

თითოეული ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული პიროვნებები სხვადასხვა გზით, სხვადასხვა დროს შედიან და მათ მომავალზეც სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენენ. ჩემს ცხოვრებაში აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მაშინ შემოვიდა და ღრმა კვალი დააჩნია ჩემს ცნობიერებას, როცა მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. ყველა ბავშვს აინტერესებს გაიგოს, თუ ვინ არის ყველაზე დიდი ამა თუ იმ სფეროში. მეც იმის გამო, რომ ეკონომისტის ოჯახში ვიზრდებოდი, მაინტერესებდა გამეგო, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი ქართველი ეკონომისტი. ამ კითხვით ხშირად მიმიმართავს მამისთვის და მისგანაც ყოველთვის არგუმენტირებული პასუხი გამიგია, რომ ყველაზე დიდი ქართველი ეკონომისტი აკადემიკოსი პაატა გუგუშვილია. იგივე აზრი ხშირად გამიგია იმ შეხვედრებზეც, როცა ცნობილი ქართველი ეკონომისტები ჩვენ ოჯახში იკრიბებოდნენ და ეკონომიკაზე ბჭობდნენ.

ამგვარად, დაუსწრებლად, მე პაატა გუგუშვილის დიდი თაყვანისმცემელი გავხდი.

ჩვენი უშუალო შეხვედრა კი 1977 წელს შედგა, როცა მე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მივედი სამუშაოდ. ამ დროს უკვე მხცოვან პაატა გუგუშვილს იმის გამო, რომ მე სხვა განყოფილებაში მომიწია მუშაობა, მხოლოდ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოებზე ვხვდებოდი.

დღესაც თვალწინ მიდგას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე პრინციპული, მკაცრი აკადემიკოსი, რომელიც არავის არაფერს არ აპატიებდა. იმთავითვე იგი ქართული ენის სიწმინდისათვის იღვწოდა, განსაკუთრებით ეს ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას ეხებოდა. ყველა გამომსვლელს აჩერებდა და არასწორ ტერმინს უსწორებდა. ხშირად მისი მიმართვები უფროსი ასაკის კოლეგების მიმართ უხეშიც კი იყო. მაგრამ სულ სხვა იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ. მათდამი ის უჩვეულო სითბოსა და შემწყნარებლობას იჩენდა და არასოდეს არ მისცემდა თავს უფლებას, ახალგაზრდისათვის ისევე მკაცრად მიემართა, როგორც შეეძლო ეს გაეკეთებინა უფროსების მიმართ.

1978 წელს მე მოხსენებით წარვდექი ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. მაშინ პაატა გუგუშვილის შენიშვნები ჩემ მიმართ სასარგებლო და მამაშვილური იყო, რითაც მან კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავისი დიდსულოვნება.

1978 წლის დასაწყისში საბჭოთა საქართველო ახალი კონსტიტუციის „მოლოდინში“ ცხოვრობდა. მაშინ მიღებული ფორმა იყო კონსტიტუციის პროექტის „საერთო-სახალხო განხილვები“. ყველაზე მწვავე საკითხი იყო ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ჩანაცვლება რუსულით. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დირექტივით კონსტიტუციის პროექტი ჩვენს ინსტიტუტსაც უნდა განეხილა; პრეზიდიუმის მხრიდან აშკარად იგრძნობოდა არსებული პროექტის მხარდაჭერის განწყობა. მახსოვს როგორი მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მაშინ აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა და მთლიანად ინსტიტუტმა ამ პროექტს. მე მაშინ პაატა გუგუშვილში კიდევ ერთი დიდი და ლამაზი შტრიხი დავინახე – ის იყო დიდი მამულიშვილი და ერისკაცი, რომელიც, მიუხედავად

ზემოდან მითითებისა, მტკიცედ იცავდა ეროვნულ ინტერესებს.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კვლევის ძირითადი ობიექტი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ისტორია იყო. მისი ნაშრომები საერთოდ თავისუფალი იყო იდეოლოგიისაგან. მაშინ, როცა ყველა იძულებით მარქსისტი იყო, მან იპოვა სფერო, სადაც შეძლო განთავისუფლებულიყო კონიუნქტურობისაგან და ეკეთებინა ეროვნული საქმე. მისი ნაშრომები უკვდავია, რადგანაც, თუ ვინმეს სურს ობიექტურად შეისწავლოს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ისტორია, ის გვერდს ვერ აუვლის მის მრავალტომეულს.

სიმბოლურია, პაატა გუგუშვილი მის მიერვე დაარსებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გახდა შეუძლოდ, საიდანაც იგი საავადმყოფოში წაიყვანეს – იქ გარდაიცვალა კიდეც. როგორც დიდ ადამიანებს სჩვევიათ, საკუთარი საქმით იყო დაკავებული სოცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ბატონი პაატა გუგუშვილის სახელის უკვდავებაში ჩემ მცირე წვლილად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ როცა 1991 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დირექტორად ამირჩიეს, მათ შევპირდი, რომ აღვძრავდი ინსტიტუტისათვის მისი დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელის მინიჭების საკითხს. სრულიად სამართლიანად ხელისუფლებამ გაიზიარა ჩემი თხოვნა და ბატონი პაატას სახელი ამშვენებს დღეს ინსტიტუტს.

იმედია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღირსეულად ატარებს ამ დიდი ქართველის სახელს.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ/კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## *ლეო ჩიქვა*

### **პაატა გუგუშვილი – ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი**

გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია, მაღალ-ნიჭიერებასთან ერთად, ჩაუმუხლებელ, ინტენსიურ, ზედმიწევნით მიზანმიმართულ და ღრმა შინაარსით გაცისკროვნებულ შემოქმედებით შრომას. იმისათვის, რომ დაახლოებით მაინც წარმოვადგინოთ მეცნიერების ამ რაინდის მიერ განვლილი ღრმა შინაარსიანი გზის ძირითადი კონტურები, შევეხები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცლკეულ, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს.

დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი). თავისსავე სოფელში ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1917-1923 წლებში სწავლობდა ფოთსა და ქუთაისის გიმნაზიებში. 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით 1927 წელს დაამთავრა. 1026-1929 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს, საქართველოს ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიაში. იქვე მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა და

ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

1922-1930 წლებში თბილისსა და მოსკოვში სხვადასხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მუშაობდა მონტიორის, მოანგარიშის, კორექტორის, ასოთამწყობის, სტატისტიკოსის, ბუღალტრის, საფინანსო განყოფილების გამგის თანამდებობებზე.

1927 წლიდან მოყოლებული ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკვევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხებზე.

პაატა გუგუშვილის პირველი ნაშრომი ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1929 წელს სათაურით „ქართული წიგნი 1629-1929 წწ“. ეს იყო 24-ფორმიანი ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც დაიწერა ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით და გამოიცა ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. ნაშრომი მიემდვნა ქართული სტამბის წიგნის 300 წლისთავს.

პაატა გუგუშვილს წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო მოწაფე ქართული კულტურისა და მეცნიერების ისეთი ჭეშმარიტი კორიფეებისა, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი. მაგრამ არც თვითონ დარჩენილა ვალში, მან სულ მალე მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი სახელოვანი და საყოველთაოდ აღიარებული მასწავლებლების საუკეთესო, ერთგული მოწაფისა და ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე მეცნიერული მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებლის სახელი. პ. გუგუშვილს გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის პროფესორების ფ. გოგიჩაიშვილის, გ. ნათაძისა და პ. პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს

საჯარო დაცვის გარეშე – Honoris Causa – ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რაც იშვიათი მოვლენა იყო უნივერსიტეტის (მით უმეტეს, სხვა სამეცნიერო დაწესებულებების) ისტორიაში.

1940 წელს პაატა გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა: ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ფ. გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა. მათ მაძიებლის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასეს, როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი საერთოდ მეცნიერებაში. აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა საჯარო პაექრობაზე განაცხადა: „დასახული ამოცანის გადასაწყვეტად ავტორს დაბეჭდილ წყაროებს გარდა დიდძალი ახალი და აქამდის უცნობი საარქივო მასალა მოუპოვებია... ამიტომაც მის მიერ მიღებული დასკვნებიც ფრიად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დამაჯერებელია. წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიისთვის დიდი შენაძენია“. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ეკონომიკის სპეციალობით საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ, სტუდენტებისათვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. ამ მხრივ დიდია პ. გუგუშვილის მიერ მომზადებული: „სახალხო მეურნეობის ისტორია“ 10 ნაკვეთად და 2 წიგნად; ნაშრომი „ეკონომიკური

ფორმაციებისათვის“ და ქრესტომათია – „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ – 3 ტომად. გარდა ამისა, ეკონომიკურ დისციპლინებში მის მიერ ან მისი რედაქციით რუსულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო.

პ. გუგუშვილის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის, პროდუქტიულობის შესაფასებლად საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული მას გამოქვეყნებული აქვს 500-მდე მეცნიერული ნაშრომი (მათ შორის 50 მონოგრაფია), 1100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რაც დაახლოებით 28-29 სქელტანიან ტომს შეადგენს. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა 1949-1984 წწ. გამოქვეყნებული მონოგრაფიების შვიდტომეული „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, 5300 გვერდის მოცულობით, რომლის სამი წიგნი გამოცემულია რუსულ ენაზეც.

ამ ნაშრომს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში „მეოცე საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსით ჟურნალ „მაკრო მიკრო ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით, სავსებით კანონზომიერად მიენიჭა პირველი პრემია.

წარსულის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მკვლევარი იმიტომაც აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო პრინციპი იყო: „აღამიანმა, რომელმაც არ იცის საიდან მოდის, არ შეიძლება შეგნებულად და გააზებულად იცოდეს თუ საითკენ მიდის, რას აკეთებს და ავითარებს“.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. დღევანდელი თვალსაწიერიდან თუ შევაფასებთ, ნათლად დავინახავთ, რაოდენი წინდახედულება და გამჭრიახობა გამოუჩენია პ. გუგუშვილს

ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის მთავარ (ფუნდამენტურ) საკვლევ პრობლემას ირჩევდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ეკონომისტთა უმრავლესობის ნაშრომები, რომლებიც სოციალისტურ ურთიერთობათა „უპირატესობის“ ანალიზს ეძღვნებოდა, სანაგვეში შეიქნა გადასაყრელი, ბატონი პაატას მონოგრაფიებში გაკეთებული დასკვნები კი დღესაც სრულიად ინარჩუნებენ ძალას და ამ პრობლემატიკაზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი მათ მომავალშიც ვერ აუვლის გვერდს.

შვიდტომეულში შეტანილი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული, 70-ზე მეტი მონოგრაფიის მიზნებსა და ამოცანების შესახებ თვით ავტორი – აკად. პ. გუგუშვილი მე-4 ტომის პირველი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „აღნიშნული ვითარების გამო, კვლევის საგნად აღებული სახალხო მეურნეობის დარგთა სტრუქტურული განვითარება, ცხადია, არა მხოლოდ ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონისა და საერთოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო მეურნეობის ასპექტშიც უნდა ყოფილიყო გაშუქებული. პრობლემის სწორედ ასეთმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა რიგი ისეთი სიღრმისეული საზოგადოებრივი პროცესის გამოვლენა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუნების გახსნა, რომლებიც აქამდე არამც თუ რამდენამდე მაინც გაშუქებულა, არამედ საერთოდაც შემჩნეული არ იყო მეცნიერების მიერ“.

სამაგიეროდ, მისი მონოგრაფიების ეს მთავარი ღირსება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც ადგილობრივ და არც უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც მათ ერთსულოვნად იწონებენ და მაღალ შეფასებას აძლევენ. ნაშრომზე „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (რომელიც შემდეგ მონოგრაფიების პირველ ტომში შევიდა) ვრცელი რეცენზია

დაბეჭდა თავისი სიმკაცრითა და მომთხოვნელობით საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერმა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა, რომელიც კრიტიკული შენიშვნების ჩამოყალიბების შემდეგ, ასკვნის: „...დეფექტები მაინც წვრილმანებია იმ დიდ ღირსებებთან შედარებით, რომელსაც ეს ნაშრომი უეჭველად შეიცავს. ეს წიგნი დიდ მიღწევასა და დიდ შენაძენს წარმოადგენს ჩვენი სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურისათვის. ეს უნდა ითქვას პირველ რიგში და უპირატესად მდიდარი ფაქტიური შინაარსის შესახებ, რასაც წიგნი შეიცავს და რაც დამყარებულია დიდძალი ლიტერატურისა და წყაროების კრიტიკულ შესწავლაზე ავტორის მიერ“ („მნათობი“, 1941, №10).

აღსანიშნავია, რომ აკად. შ. ნუცუბიძე თავის უაღრესად საინტერესო და ორიგინალურ გამოკვლევაში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, იმოწმებს რა პ. გუგუშვილის მონოგრაფიების მეორე ტომს, სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში წარმოქმნილი საკრედიტო ასოციაცია – ორტალი – რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ ეკონომიკურ წანამძღვარს წარმოადგენს.

ქართული სოფლის ანატომიის ანალიზისას, აკად. პ. გუგუშვილმა თავისი მონოგრაფიების მესამე ტომში დაასაბუთა, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების საქართველოში წყლით სარგებლობის საფუძველზე სოფლები ამქრებს ქმნიდნენ. ეს ამქრები ერთგვარი გარდამავალი საფეხური იყო სოფლის თემიდან ქალაქურ ხელოსანთა ამქრული კორპორაციისაკენ. ეს ნიშნავს, რომ ქართული სოფელი უძველესი ცივილიზაციების სოფლების გვერდით დგას და ამტკიცებს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თვითმყოფადობას.

მევენახეობის ეკონომიკის საკითხების ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად (მონოგრაფიების მეოთხე ტომი) აგრარული თეორიის მსოფლიო ლიტერატურაში პ.

გუგუშვილმა პირველმა შეიმუშავა ორიგინალური და მართებული შეხედულება, რომ მებაღეობა-მევენახეობის ძირითადი კაპიტალი – მრავალწლიანი ნარგავები – წარმოების პირველი გრძელი პერიოდის განმავლობაში თავის ღირებულებას თანდათანობით კი არ კარგავს (არ ცვდება როგორც, მაგალითად, მანქანა), არამედ ამ მხრივ სულ მატულობს, რამდენადაც მცენარე იზრდება, სრულ მსხმოიარობაში შედის და მხოლოდ შემდეგ, დაბერების გამო, იწყება მისი წარმოებიდან გამოსვლის (ამორტიზაციის) პროცესი.

1957 წ. გამოქვეყნდა აკად. პ. გუგუშვილის მონოგრაფიების მე-5 ტომი შემოკლებული რუსული თარგმანი, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ წიგნის თაობაზე პროფ. ა. პოდკოლზინი თავის რეცენზიაში წერდა: „პროფ. პ. გუგუშვილის მონოგრაფია..., უწინარეს ყოვლისა გამოირჩევა იმით, რომ ის მიძღვნილია არა ერთი ნაციონალური რაიონის, არამედ ვრცელი მრავალეროვანი ტერიტორიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიისადმი“. რეცენზენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ავტორი იყენებს ფრიად მდიდარ მასალას არქივების მრავალი ფონდიდან და ნაკლებად ცნობილ ლიტერატურულ წყაროებს, დაწყებული ძველი ქართული და ძველი უცხოელი ავტორებითა და დამთავრებული ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე წარმომადგენლებით... მრეწველობის ცალკე დარგების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის კვლევა-ძიებითი და კონკრეტული მიმოხილვის საფუძველზე ავტორი აღწევს ზოგიერთ ისეთ დიდმნიშვნელოვან განზოგადებასა და დასკვნას, რომლებიც უაღრესად საყურადღებოა“ („Экономические науки“, 1959, №2).

ამავე ნაშრომზე ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს რეცენზენტი პროფ. ბ. ურბანოვი წერს: „საქართველოში გამოდის ისეთი ორიგინალური, დიდი იმპულსის მომცემი ეკონომიკური შრომები, რომელთა შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცეს“.

გერმანელი პროფესორი გ. ჰაინინგერი ამავე ნაშრომზე დაწერილ რეცენზიაში ვრცლად გადმოსცემს წიგნის შინაარსს და მაღალ შეფასებას აძლევს მას, დასკვნით ნაწილში კი წერს: „ჩვენი ეს მიმოხილვა კიდევაც რომ ხარვეზიანი იყოს, ვიმედოვნებთ, რომ გერმანელ საზოგადოებრიობას მოკლედ მაინც გავაცანით ფრიად ფასეული და საინტერესო, გერმანელ მკითხველთათვის სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილი ნაშრომი. იგი შეიცავს დიდმნიშვნელოვან მასალას გეოგრაფიულად ჩვენგან დაშორებული, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებო ქვეყნის ისტორიისთვის. იგი, ამავე დროს, წარმოადგენს უაღრესად ძვირფას თეორიულ განძს მეცნიერებისათვის“.

აკად. ნ. დრუჟინინი პ. გუგუშვილის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (ტ.1 1968) შესახებ წერს: „ავტორმა შეძლო გამოეყვანებინა (მოეპოვებინა) დიდძალი მასალები და საარქივო დოკუმენტები, ჟურნალებისა და პრესის მასალები, აგრეთვე ეპისტოლური მონაცემები და სხვ. ასევე გაეთვალისწინებინა წინამორბედების ისტორიულ-ეკონომიკური ლიტერატურა, მართალია ავტორი თავის წიგნს უპირატესად კაპიტალიზმის პერიოდს უძღვნის, მაგრამ ყოველთვის გამოდის ფართო ქრონოლოგიური პერსპექტივებიდან: მისი ექსკურსი ანტიკური წარსულია, ყურადღება გამახვილებულია რეფორმამდელ პერიოდზე, განვითარებული ეკონომიკური



პროცესების ძირითად მიმართულებათა დადგენაზე. ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, მკითხველის წინაშე იხსნება მოსახლეობის ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საერთო, ეროვნული თავისებურებანი, კულტურული ტრადიციები და ჩვეულებანი. ... დახურავ პ. გუგუშვილის წიგნს და წაკითხულზე გრჩება მდიდარი შთაბეჭდილება, გიჩნდება სურვილი წაიკითხო ამ საინტერესო ნაშრომის გაგრძელება. ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველო, უძველესი დროიდანაა ცნობილი თავისი მემკვიწარეობის მიღწევებით – არა მარტო მარცვლული მეურნეობით, არამედ სხვა სამხრეთული კულტურებით (კერძოდ ვაზით). აუცილებელია პ. გუგუშვილის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ამიერკავკასიის ეკონომიკას, ითარგმნოს და გამოიცეს რუსულ ენაზე.“

პ. გუგუშვილის მონოგრაფიების მეექვსე ტომში შევიდა გამოკვლევები: ვაჭრობის განვითარება 1881-1883 წწ.; ვაჭრობის პოლიტიკა, ბაჟის პოლიტიკა, ამიერკავკასიის ტრანზიტი და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, შინაგანი ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობა, ვაჭართა გილდიები, ვაჭართა კლასის მოხმარება, ბაზრის სოციოლოგიისთვის, რომლებმაც არსებითად შეავსო ის ცარიელი ადგილი, რაც საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების ისტორიას ამ პრობლემების მეცნიერული გაშუქების თვალსაზრისით მანამდე ახასიათებდა.

1984 წელს გამოდის აკად. პ. გუგუშვილის მონოგრაფიების მეშვიდე ტომი, რომელიც მთლიანად „ქართული სტამბის წიგნს (1629-1979)“ ეძღვნება. მასში მოცემულია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია 350 წლის მანძილზე. წიგნის მოცულობა 52 სააღრიცხვო-საგამომცემლო თავახია. ამ შესანიშნავი მონოგრაფიიდან, სხვა მრავალ სიახლესთან ერთად, ვიგებთ, რომ მოსახლეობის ერთ სულზე წიგნისა და ბეჭდვითი სიტყვის

პროდუქციით საქართველო მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ერთა შორისაა.

ამ წიგნის პირველი გამოცემის (ქართული წიგნის 300-წლიანი ისტორიის) თაობაზე პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე წერდა: „თავის დიდ ერუდიციასთან ერთად, პ. გუგუშვილი უნდა უმადლოდეს ქართული კულტურისა და მეცნიერების ჭეშმარიტი კორიფეების, მისი მასწავლებლების ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის ამაგსა და მზრუნველობას, რომ მისთვის სიჭაბუკეშივე ფართოდ გაიღო მეცნიერების მაღალი კარები, რომ მან სტუდენტობის წლებშივე შესძლო დაეწერა და დაებეჭდა 380-გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის, ქართული ბეჭდვითი სიტყვის, სტამბური წიგნის მრავალჭირნახული ისტორიაა გაშუქებული და რომ საქართველოს განათლების კომისარიატმა ქართული სტამბური წიგნის სამასი წლისათვის იუბილის აღსანიშნავად ეს წიგნი გამოსცა“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1965, №300).

1946-1972 წწ. გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა“ (7 ტომი), ყველა მათგანის ძირითადი თანაავტორი და მთავარი რედაქტორი პ. გუგუშვილი იყო.

მის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობა სხვადასხვა დროს რეცენზირებით, ბიბლიოგრაფიებით, ესეებით და სხვა ფორმებით დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიატოვი (რუსეთი), ნ. დრუჟინინი (რუსეთი), ნ. ცაგოლოვი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), პ. მასლოვი (რუსეთი), პ. პოდკოლზინი (რუსეთი), ბ. ურლანისი (რუსეთი), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ზ. ურბანოვი (ჩეხეთი), ა. სუმბათზაძე (აზერბაიჯანი), ტ.

აზატიანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, ზ. პოლიექტოვი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, მ. კახეთელიძე, ნ. იაშვილი, ი. კაჭარავა, ივ. ბალანჩივაძე, ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ვ. ბახტაძე, ა. იოსელიანი, გ. ჭანუყვაძე, ბ. ხასია, დ. ქორიძე, გრ. თოდუა, რ. გოგოხია.

უახლოეს მეგობართა ამ წრეს არ შემოდის არ დაფუძნებული კიდევ რამდენიმე პიროვნება, რომლებსაც, მართალია, განსხვავებულ სპეციალობათა გამო, ბატონი პაატას ნაშრომები საჯაროდ არ შეუფასებიათ, მაგრამ მასთან მეგობრობდნენ და მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდათ. აი ისინიც: პეტრე შარია, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი დანელია, ვიქტორ ჩხიკვაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, რაფიელ დვალი, სერგი ღურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ართურს არაქელიანი, და სხვ., რომელთა გარემოცვაში ცხოვრებითა და შემოქმედებითი მოღვაწეობით ქმნიდა პ. გუგუშვილი თავის შედეგებს. რა ბრძნულადაა ნათქვამი: მითხარი ვინ არინ შენი მეგობრები და გეტყვი ვინცა ხარო. ამ გრძელი ჩამონათვლისათვის თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მაღალ-ინტელექტუალურ ელიტასთან გვაქვს საქმე.

ზემოხსენებულ რეცენზენტთა დასკვნების დეტალური გაცნობით მკითხველს არ გადავლლით, მაგრამ ქართული პროზის მშვენიერების კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებათა გვერდის ავლა, ალბათ, გამართლებული არ იქნება. ბატონი კონსტანტინე თავის თხზულებათა მერვე ტომის 205-06 გვერდებზე წერს: „პაატა გუგუშვილმა თავისი

ხანგრძლივი ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას. მან ნამდვილად სისტემური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდიმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებითა და გაშუქებით, ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციითა და თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებით. შექმნა ეკონომისტთა ქართული სკოლა, რომელიც მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას“.

ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ერთი ადამიანისთვის ასეთი სიმდიდის აწევა იოლი როდი იყო. უკიდევანო იყო მისი გონიერება, ბუნებით მომადლებული უბადლო ნიჭი, უშრეტი ენერჯია და განსაკუთრებული ძალისხმევა, რამაც შეუძლებელიც კი შეაძლებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში მე-20 საუკუნეში ქართულ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებაში პაატა გუგუშვილს თავისი ტიტანური მეცნიერული შემოქმედებით ისეთივე გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც ივანე ჯავახიშვილს – ისტორიულ, დიმიტრი უზნაძეს – ფსიქოლოგიურ, შალვა ნუცუბიძეს – ფილოსოფიურ, ვახუშტი ბაგრატიონს – გეოგრაფიულ, ანდრია რაზმაძეს, ნიკო მუსხელიშვილს და ილია ვეკუას – მათემატიკურ, პეტრე მელიქიშვილს – ქიმიურ, ივანე ბერიტაშვილს – ფიზიოლოგიურ, აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას – ფილოლოგიურ, ალექსანდრე ჯანელიძეს – გეოლოგიურ, ანდრია აფაქიძეს – არქეოლოგიურ, ევგენი ხარაძეს – ასტრონომიულ მეცნიერებათა განვითარებაში. ეს მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე თავიანთ პროფესიულ ჭაპანს მასთან ერთად ასევე

ენერგიულად და სახელოვნად ეწეოდნენ მისი სპეციალობის როგორც მასწავლებლები (ფ. გოგიჩაიშვილი, გ. გეხტმანი, ბ. რამიშვილი, ნ. ქოიავა და ა.შ.), ისე უშუალო კოლეგები (ვ. ჩანტლაძე, ი. მიქელაძე, გ. გამყრელიძე, ი. ბაჯაძე, ა. გოკიელი, ნ. იაშვილი, ლ. კარბელაშვილი და სხვ.). ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) წრეში პ. გუგუშვილი საყოველთაოდ აღიარებულია ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქად (ქურუმად) და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მოსაზრებას ყველა ერთსულოვნად იზიარებს.

კოლეგების წრეში არაერთხელ მითქვამს და არ შემძლია დღესაც არ გავიმეორო: ჩემი თაობის წარმომადგენლებს თავად რაიმე მნიშვნელოვანი რომ არც გაგვეკეთებინა, საამაყოდ ისიც გვეყოფოდა, რომ ბედნიერება გვერგო წილად ჩვენი მასწავლებლები ყოფილიყვნენ შესანიშნავი კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენლები, არა მარტო მაღალი რანგის მეცნიერები, არამედ ასევე სანიმუშო ინტელექტისა და მისაზრდობის ზნეობის პიროვნებები. მათ შორის ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ბატონი პაატა მყავს მხედველობაში.

აკად. პ. გუგუშვილი რომ უაღრესად ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო, ამაზე მეტყველებს მისი მეცნიერული კვლევა-ძიების საკითხთა ფართო წრე. გარდა ამისა, რომ არ დარჩენილა ეკონომიკური მეცნიერების თითქმის არც ერთი დარგი, რომელშიც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას, მან შექმნა და გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომები ისტორიულ მეცნიერებაშიც, ასევე კაპიტალური გამოკვლევები მიუძღვნა ჟურნალისტიკას, სოციოლოგიასა და დემოგრაფიას. კერძოდ, მხედველობაში მაქვს: „ქართული ჟურნალისტიკა“ (ტომი 1, 1941); „სოციოლოგიური ეტიუდები“ (ორტომეული, 1970, 1971); „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები“ (1981); „საქართველოს

მოსახლეობა (1800-1960) 160 წლის მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“; „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვა. მანვე წამოიწყო გამოცემა კრებულითა – „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, ტომი I (1980), ტომი II (1984).

აღსანიშნავია, რომ მისმა ნაშრომმა – „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ – უჩვეულოდ ფართო რეზონანსი მიიღო. ამ ნაშრომის რუსული რეზიუმე, რომელიც მოიცავს 42 გვერდს, მოიწონა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და როგორც საინტერესო ნაშრომი გაიგზავნა შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა ბიბლიოთეკაში“ (3.12.1974).

პ. გუგუშვილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ მეცნიერების დიდი ორგანიზატორიცა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეც. ამის დასტურია შემდეგი ფაქტები. იგი 50 წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართული სასტამბო შრიფტის გაუმჯობესების კომიტეტის საქმიანობაში მისი წევრის სტატუსით. 1941 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აარსებს ეკონომიკური კვლევა-ძიების კაბინეტს, რომელსაც თავადვე განაგებს 1945 წლამდე. ამავე პერიოდში იქვე ხელმძღვანელობდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრას.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს აკად. პ. გუგუშვილის ინიციატივით, აქტიური ძალისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე, 32 წლის განმავლობაში თვითონვე ედგა სათავეში. 1948-974 წწ. იყო ამავე ინსტიტუტთან შექმნილი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის

სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 1960 წელს წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად.

პაატა გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც მოეწყო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვასთან დაკავშირებით. აქ მან თავის გამოსვლაში, როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ, სახელმძღვანელოს ტექსტის სრულყოფისათვის გააკეთა რიგი შენიშვნებისა და წარადგინა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები (ფორმულირებათა სახით), რაც სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა.

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს (რომლის ქართული თარგმანი 1954 წელსვე გამოიცა პ. გუგუშვილისა და ი. ბაჯაძის რედაქციით) გამოქვეყნების შემდეგ მისი საჯარო განხილვა მოეწყო მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და თბილისში.

ცალკეულ ავტორთა მონაწილეობით თბილისში 1955 წლის აპრილში ჩატარებულ ამ წიგნის განხილვისადმი მიძღვნილ დისკუსიას ხელმძღვანელობდა აკად. პ. გუგუშვილი, რომელმაც აქაც წამოაყენა რიგი საყურადღებო მოსაზრებები სახელმძღვანელოს შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

აკად. პ. გუგუშვილს 1959 წელს ირჩევენ საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად. იმავე წელს სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში პირველად ღებულობს მონაწილეობას ხუთი კაცისგან შემდგარი საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია. პ. გუგუშვილი, როგორც დელეგაციის წევრი, ამ რიგით მეოთხე მსოფლიო

კონგრესზე იტალიაში (მილანი-სტრეზა) გამოდის მოხსენებით „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ“.

სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობის შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე კონგრესის ყველ სექციაზე მოსმენილ მოხსენებათაგან, პრობლემის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის სიღრმით გამორჩიეს სულ ათიოდე მოხსენება, რომელთაგან ერთი პ. გუგუშვილისა იყო. იგი იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად.

იმ დროიდან მოყოლებული, აკად. პ. გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესების, აგრეთვე სხვა სპეციალური საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში, სადაც, როგორც წესი, დიდ ინტერესს იწვევდა მისი მოხსენებები ეკონომიკური განვითარებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების, სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირების, ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის აღწარმოების და რიგი სხვა პრობლემის შესახებ. საერთაშორისო ფორუმებზე მის მიერ გაკეთებული ეს მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

უდავოდ დიდია აკად. პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ამ პრობლემებზე მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო მუშაობა, როდესაც ჟურნალში „საქართველოს ეკონომიკა“ (1928, №6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ.



ოცი წლის შემდეგ – 1974 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. ამ ნაშრომმა ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული ეკონომიკის მეცნიერების განვითარებაში.

1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან აკად. პ. გუგუშვილის ინიციატივით შეიქმნა ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების საბჭო, რომელსაც იგი სოცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობდა. ეს საბჭო მისი უშუალო და აქტიური მონაწილეობით, 1977 წლიდან რეგულარულად აწყობდა დემოგრაფიულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის საყოველთაო აღწერების პროგრამით თავმოყრილი მონაცემების დამატებით ანკეტური და სხვა საჭირო ცნობების მოპოვება ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების სპეციფიკურობათა გამოვლენა.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალის „ეკონომისტი“ რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან 15 წლის განმავლობაში მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი. იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა როგორც ჟურნალების „ეკონომისტი“ და „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ (ეკონომიკისა და სამართლის სერია) რედკოლეგიის წევრი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და ეკონომიკის სექციის თავმჯდომარე, ივ. ჯავახიშვილის „თხზულებათა კრებულისა“ და მისივე „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის“

ხუთტომეულის რედკოლეგიის წევრი, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის, აგრეთვე წიგნის მოყვარულთა და უცხოეთთან კულტურული კავშირებისა და მეგობრობის საზოგადოებების გამგეობის წევრი.

აკად. პ. გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს: 1930-1962 წწ.-ში – სახალხო მეურნეობის ისტორიასა და ტექნიკის ისტორიაში. 1942-1966 წწ. – პილიტიკურ ეკონომიაში.. 1967 წლიდან მიჰყავდა ლექციების კურსი სოციოლოგიაში. იგი როგორც ორატორი, შეიძლება ითქვას, ვირტუოზი იყო. მას თავისი ორიგინალური დიქციით, თავისებური მანერებითა და ხავრდოვანი ხმის ტემბრით ადვილად შეეძლო აუდიტორიის დატყვევება. როცა ჩემი თაობის ნაკადს, ერთდროულად 200-ზე მეტ სტუდენტს, თსუ-ის პირველი კორპუსის 86-ე აუდიტორიაში ლექციებს გვიკითხავდა, იგი 40 წლისა იყო და, როგორც იტყვიან, საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა. სამარისებურ სიჩუმეში კარგად დადგმული სპექტაკლივით მიმდინარე ლექციას თითქმის ყველა სტუდენტი იწერდა.

მაშინ როგორ წარმოვიდგენდი მოვლენების ისეთნაირ განვითარებას, რომ მომავალში მის გვერდით მომიწევდა მუშაობა, უმცროს მეგობრად მიმიღებდა (როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავს საჯაროდაც) და, გარკვეული გაგებით, ჩემი თანამშრომელიც გახდებოდა. მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში იგი მისივე დაარსებულ ინსტიტუტში განყოფილებას განაგებდა, მე კი სამეცნიერო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი. ინსტიტუტის იმდროინდელ დირექტორთან ერთგვარი დაძაბული ურთიერთობის განმუხტვაში გარკვეული

წვლილი შემქონდა, რაც ძალიან სიამოვნებდა. ვერ დავმაღავ, ეს მეც დიდ მორალურ კმაყოფილებას მგვრიდა.

ცოტა რამ, ჩემი თვალთახედვით, ბატონ პაატას პიროვნული პორტრეტის თაობაზე. ის იყო უადრესად დარბაისლური აღნაგობის, პირველი შეხვედრისთანავე მდიდარი შთაბეჭდილების მომხდენი, საოცრად მომხიბლავი, მუდამ ბრძნული იუმორის მქონე, ყოველმხრივ განსწავლული და ფართოდ ერუდირებული პიროვნება, რომელიც მეცნიერულ დისკუსიაში ჩაბმისას ისე გრძნობდა თავს, როგორც ორაგული მდინარეში. ამის კლასიკური დასტური იყო 1947 წელს, ძირითადად მისი ავტორობით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგიის“ საჯარო განხილვასთან დაკავშირებით თსუ-ში გამართული ფართომასშტაბიანი დისკუსია, რომელშიც ეკონომისტებთან ერთად მონაწილეობდნენ იურისტები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ინჟინრები, აგრონომები და ა.შ. იგი გამძვინვარებული ვეფხვივით იგერიებდა „აგრესიულად“ განწყობილი ოპონენტების შემოტევებს და, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველას „სუფთად“ უგებდა. მახსენდება, ერთ-ერთი ოპონენტი როგორ ჩააცივდა „გინდათ თუ არა ტერმინ „ზღვაურის“ შემოთავაზებით თქვენ ქართულ ენაში მეგრულ დიალექტს ნერგავთ“. განრისხებულმა ბატონმა პაატამ იქვე მოიშველია ვაჟა ფშაველას ლექსიდან სათანადო ადგილი, სადაც გამოყენებულია ეს ტერმინი და დასძინა: „თქვენგან ისიც არაა გამორიცხული, რომ ვაჟა ფშაველას მეგრელობა დასწამოთო“.

ბატონი პაატა იყო პრინციპული, მომთხოვნი, შეიძლება ითქვას, საშუალოზე უფრო მკაცრი და მეცნიერულ კამათში შეუბრალებელი, დაუზოგავი, რომელიც ობიექტურობის ფარგლებს თითქმის არასოდეს გასცილებია და რომელსაც არასოდეს შეუშლია ხელი მისთვის, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში უხვად გადმოეფრქვია სიტბო და სიკეთე,

გაჭირვებულისათვის გაეწოდებინა დახმარების ხელი, პერსპექტიული ახალგაზრდები დაეყენებინა სწორ გზაზე და შეექმნა მათთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობები.

თავდაბლობისა და სისადავის მიუხედავად, მასთან ურთიერთობა არ იყო ადვილი, იგი თუნდაც უბრალო შეცდომასა თუ უტაქტობას საკუთარ შვილსაც არ პატიებდა. ამიტომ მუდამ ფრთხილი და მობილიზებული უნდა ყოფილიყავი, რომ არაფერი შეგშლოდა, მასთან ურთიერთობაში რაიმე მოუზომელი ნაბიჯი არ გადაგედგა და მისი „მსხვერპლი“ არ გამხდარიყავი. სხვათაშორის, ეს ეხებოდა უკლებლივ ყველას. რამდენჯერ მინახავს მისი თავმჯდომარეობით დისერტაციების დაცვისას „ამ მიზეზით“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი არა მარტო დისერტანტები, არამედ ოფიციალური ოპონენტებიც. ეს კადრების აღზრდის თავისებური სკოლაც იყო.

დღევანდელი თვალსაწიერიდან რომ ვუყურებ, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ძალიან დიდი შინაგანი ინტელექტი და კეთილადამიანური თვისებების ოპტიმალური შეხამებაა აუცილებელი იმისათვის, რომ შენს გარშემო მყოფთა მიმართ, საჭიროებისამებრ, მკაცრი და მომთხოვნიც იყო და თბილი და მოსიყვარულეც.

მიუხედავად დიდი გადატვირთულობისა, იგი ზედმიწევნით პუნქტუალური იყო. 50-იანი წლების დასაწყისში მისი ასპირანტები გახლდით დიმიტრი ცისკარიშვილი, ამჟამად თსუ-ს პროფესორი და თქვენი მონა-მორჩილი. საკანდიდატო დისერტაციების ცალკეულ თავებს, ზოგჯერ პარაგრაფებსაც, დაიტოვებდა გასაცნობად და გვეტყოდა – „...ამა და ამ დღეს, საღამოს 9 საათზე მოხვალთ ჩემთან ბინაზე და მიიღებთ თქვენს მასალას“. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეთქვას: „ვერ მოვიცალე და სხვა დროს გამოიარეთო“. ამას ხომ უზარმაზარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოწაფისათვის შეუძლებელია იმაზე მეტი ბედნიერების მომნიჭებელი იყო რაიმე, ვინემ მისი აწგანსვენებული სათაყვანებელი მასწავლებლის სანუკვარი ოცნების რეალობად ქცევაში გარკვეული წვლილის შეტანა, მკრეხელობად თუ არ ჩამეთვლება, სწორედ ასეთი ბედნიერება თავად მხვდა წილად.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დემოგრაფიული მეცნიერების პრობლემატიკას ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა აკად. პ. გუგუშვილის მეცნიერულ შემოქმედებაში, მაგრამ ამ მიმართულებით მისი მოღვაწეობის უკანასკნელი 15 წელი მაინც განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა. ნათლად ხედავდა რა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ნეგატიურ ტენდენციებს, მას დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა დემოგრაფიის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება. როგორც იტყვიან, „რკინის ქალამნებიც“ კი გაცვითა ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ მისი დაგვირგვინება ვერ მოასწრო. მისი მოწაფეების ძალისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, დღეისათვის ეს რეალობაა. უკვე 13 წელია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი – თითქმის ერთადერთი მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში. მისთვის თუნდაც ერთი თვალის გადავლებით როგორ გაიხარებდა ეს ამაგდარი მეცნიერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

და კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი. განუყრელი სულიერო მეგობრები პ. გუგუშვილი და ვ. ჩანტლამე, სხვა სამუშაოებთან ერთად, თითქმის მთელი 30 წლის მანძილზე დიდ დროს ანდომებდნენ რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული „ეკონომიკური ტერმინოლოგიის“ ახალ ვარიანტზე

მუშაობას, მაგრამ ისე აღესრულნენ, რომ მისი დამთავრება ვერ შეძლეს.

90-იანი წლების დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში და საერთოდ მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, რომლებმაც ძირეული გავლენა მოახდინეს თვით ეკონომიკურ ტერმინებზეც, აუცილებელი გახდა ამ ბუმბერაზი მეცნიერის მიერ სანახევროდ მომზადებული ტექსტის დასრულება, სათანადოდ შევსება და თანამედროვე მოთხოვნების დონემდე აყვანა. გუმანით იგრძნეს რა აღსასრულის მოახლოება, დამიბარეს ამ კეთილშობილური, ეროვნული საქმის ბოლომდე მიყვანა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებდა. ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთ თანამშრომელთან ერთად, ხუთი წელი ინტენსიურად, როგორც იტყვიან, თავაუღებლივ ვიმუშავე ამ ნაშრომზე, რომელიც „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის“ სახელწოდებით, 40 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, უკვე დაიბეჭდა და ხელმისაწვდომი გახდა მკითხველთა ფართო წრისათვის.

აკად. პ. გუგუშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა მეცნიერული კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით დაწერილი და დაცულია ასზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო 90-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტი.

პ. გუგუშვილი სიცოცხლის ბოლომდე ბერძენულენოვან იდგა მეცნიერების სადარაჯოზე და ჭაბუკური ენრგით, საღი გონებითა და მისთვის ჩვეული შემართებით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს – მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

პ. გუგუშვილი შესანიშნავი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მშობლიური ენა, სამშობლო, მისი დღევანდელი და წარსულის ნათელი. იგი ჭეშმარიტი

მაგალითი იყო შრომისმოყვარეობისა. სიჭარმაგის მიუხედავად, მას ბოლომდე არ დაუკარგავს მხნეობა და ჩვეული გატაცებით მუშაობდა და იღწვოდა. ქართულ მეცნიერებას, სამწუხაროდ ბევრი არ ჰყოლია მასავით ერთგული და თავდადებული მოღვაწე. ამიტომ იყო, რომ როგორც დიდმა მეცნიერმა, ადრე მიაღწია საერთაშორისო აღიარებას. ჯერ კიდევ 1964 წელს ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესისათვის მზადების წინახანებში, განთქმული იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ვენტურისადმი – საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ – ღია წერილში, რომელიც ერთდროულად რუსულ და იტალიურ ენებზე გამოქვეყნდა, აკად. ნ. დრუჟინინი კერძოდ, ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერების ფუძემდებლური ნაშრომების ავტორებად ასახელებს ს. სტრუმილინს, პ. ლიაშჩენკოსა და პ. გუგუშვილს.

აკად. პ. გუგუშვილის მსგავსი ღირსეული პიროვნებები თავისთავად იმკვიდრებენ საპატიო ადგილს ერის ცხოვრებაში. მისი სიცოცხლე მისსავე შესანიშნავ ნაშრომებში გაგრძელდება და მომავალი მას კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის და  
სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### *ავთანდილ სულაბერიძე*

## **დემოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში**

მეტად ძნელია, ერთ პატარა სტატიაში ასახო თუნდაც მხოლოდ დემოგრაფიის დარგში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მოღვაწეობა, რასაც ქართული დემოგრაფიის დაფუძნებასა და განვითარებაში. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელთან (მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე – 1987 წ.) უშუალოდაა დაკავშირებული ქართული დემოგრაფიის აღმოცენება, დაფუძნება და ევოლუცია, რაც ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება შეფასდეს და ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ: პირველი – დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების დარგის, ორგანიზატორი, მეორე – ქართული დემოგრაფიული აზრის ისტორიის მემკვიდრე – ფუნდამენტური გამოკვლევების საფუძველზე შექმნილი ქართულ დემოგრაფიულ მოძღვრებათა კლასიკური ნაშრომების ავტორი.

ყველასათვის ცნობილია 1930-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების სიმკაცრე, რაც დემოგრაფიასაც შეეხო და იგი, გენეტიკასთან და სოციოლოგიასთან ერთად, ბურჟუაზიულ მეცნიერებად მოინათლა. დაიხურა იმ დროისათვის ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული ორადორი დემოგრაფიის ინსტიტუტი – კიევსა და ლენინგრადში. ამ წლებს შეეწირა მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მათ შორის ქართველი დემოგრაფი – ი. ჯიჯაძე, რომელიც გადასახლებაში გარდაიცვალა. ამ ერთობ მძიმე და საშიშ ვითარებაში, თავისი უდრეკი ხასიათიდან



გამომდინარე, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ამთავრებს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომს – „საქართველოსა და ამერიკავაკასიის კოლონიზაცია XIX ს.“, რომელშიც იგი წარმოგვიდგა არა მარტო როგორც ეკონომისტი, არამედ ასევე დემოგრაფიც. ამ ნაშრომმა მას უდიდესი აღიარება მოუტანა.

ამ ნაშრომის გამო 1946 წლის 26 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის კაბინეტში, ერის აღწარმოების პრობლემებზე გამართულ შეკრებაზე, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან: ა. აბაშელთან, გ. ქიქოძესთან, თ. სახოკიასთან, შ. ღამბაშიძესთან, ვ. თოფურიასთან, ა. ვასაძესთან, გ. ჩიტაიასთან, ბ. ნატროშვილთან, შ. აფხაიძესთან, უ. ჯაფარიძესთან, ა. ფაღვასთან და ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვა მოღვაწეებთან ერთად, მიიწვიეს ბატონი პაატა.

გამოჩენილმა მამულიშვილებმა ამ სხდომაზე, გერონტი ქიქოძის წინადადებით, პროფ. პაატა გუგუშვილს სთხოვეს გაეგრძელებინა საქართველოს დემოგრაფიის საკითხების შესწავლა.

50-იანი წლების ბოლოს ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ მეცნიერებებზე ტაბუს ახსნამ განსაზღვრა კიდევ მეცნიერების ამ დარგებში ინტენსიური კვლევების დაწყება. 1959 წელს პროფ. პაატა გუგუშვილს ირჩევენ საბჭოთა კავშირის სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად. იმავე წელს იგი მოხსენებით წარსდგა იტალიაში (მილანი-სტრეზა) გამართულ სოციოლოგთა მსოფლიო მე-4 კონგრესზე, რასაც მისი როგორც მეცნიერის, საერთაშორისო აღიარება მოჰყვა. შემთხვევითი არ იყო, რომ სახელოვანმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ნ. დრუჟინინმა იგი საბჭოთა ჰუმანიტარული ნაშრომების ავტორებს შორის დაასახელა.

ამ აღიარებამ შეუწყო ხელი აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, ჩვეული ენერგიითა და რუდუნებით, უფრო წარმატებით, განეგრძო ახალადმოცენებული მეცნიერების დარგების – სოციოლოგიისა და დემოგრაფიის დაფუძნება საქართველოში. ამის ნიმუშია, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მის მიერვე 1944 წელს დაარსებულ ეკონომიკის (შემდგომში ეკონომიკისა და სამართლის) ინსტიტუტში 1960-იანი წლების შუა პერიოდში დაფუძნებული დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილება, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბერმუხასავით ედგა სათავეში. ეს პრეცედენტი იშვიათი გამონაკლისი გახლდათ მაშინდელ საბჭოთა კავშირში. ეს იყო ქართული დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განვითარებისათვის მისი წლობით ნაფიქრის რეალიზაცია და შორს გამიზნული ეროვნული, მამულიშვილური მნიშვნელობის ქმედება. საქმე ისაა, რომ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე. იგი მიღწეულით არასდროს კმაყოფილდებოდა და ახალი სასიკეთო საქმეების კეთებისაკენ მისწრაფოდა. ამ განყოფილების მისია მარტო მეცნიერული კვლევებით არ ამოიწურებოდა და იგი გახდა კიდევ ქართველ დემოგრაფთა კადრების სამჭედლო, რომლის ბაზაზეც მომავალში უნდა შექმნილიყო დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემების კვლევის ქართული სამეცნიერო ცენტრი, როგორც ეს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში არსებობდა. ეს იყო ეროვნული მნიშვნელობის საქმე ქართველი ერის აღწარმოებისა და ქართული ოჯახის შემდგომი განვითარების შესწავლაში.

როგორც მეცნიერმა, მან მშვენივრად იცოდა, რომ ამ ოცნების ხორცმესხმისათვის საჭირო იყო, ჯერ ერთი, დემოგრაფთა მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა მომზადებას მარტო დემოგრაფიისა და სოციოლოგიის

განყოფილება თავს ვერ გაართმევდა, მეორეც, დემოგრაფთა და სოციოლოგთა კადრების მოსამზადებლად სასწავლო დაწესებულებების ორგანიზაცია. და ამ ამოცანის გადაჭრასაც წარმატებით გაართვა თავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე 60-იანი წლების შუა პერიოდიდან იგი კითხულობდა ლექციების კურსს სოციოლოგიასა და დემოგრაფიაში. ამავე წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში გახსნა ასპირანტურა სოციოლოგიაში, ხოლო 70-იანი წლებიდან – ხალხთმოსახლეობის ეკონომიკასა და დემოგრაფიაში.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ტიტანური შრომით შექმნილმა განყოფილებამ და ასპირანტურამ შემდგომში მასზე დაკისრებული მისია წარმატებით შეასრულა. სწორედ ამ განყოფილების თანამშრომელთა და ასპირანტურაში მომზადებულ სპეციალისტთა ბაზაზე 1990 წელს, შეიქმნა ჯერ დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი, ხოლო ერთი წლის შემდეგ – დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. ნიშანდობლივია, რომ ეს ინსტიტუტიც ისეთივე მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა, სამოქალაქო ომი, შიმშილი და დანგრეული ეკონომიკა) დაარსდა, როგორშიც 1944 წელს აკად. პაატა გუგუშვილის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსებული ეკონომიკის ინსტიტუტი.

ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიის დარგის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დიდი მცდელობითა და ინიციატივით 1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილმა ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა

შემსწავლელმა სამეცნიერო საბჭომ, რომლის პირველ თავმჯდომარედაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მაშინდელი პრეზიდენტი ილია ვეკუა აირჩიეს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარე თვითონ ბატონი პაატა იყო. აღნიშნულმა საბჭომ მისი ხელმძღვანელობით იმთავითვე ნაყოფიერი მუშაობა გაშალა, კერძოდ, 1976 წელს თბილისში მოეწყო საკავშირო დემოგრაფიული კონფერენცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ეჩვენებინა, რომ მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ტემპის მიხედვით ამიერკავკასიის (და მით უფრო კავკასიის) მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკები სრულებითაც არ წარმოადგენდნენ ერთგვაროვან რეგიონებს, რომ საქართველოს სსრ ამ მხრივ მკვეთრად გამოირჩეოდა სომხეთისა და განსაკუთრებით აზერბაიჯანის სსრ-ისაგან, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ტემპი 2,5-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში.<sup>1</sup>

1978 წ. თბილისში საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა და თსუ სტატისტიკის კათედრამ ერთობლივად მოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც 1979 წ. მოსახლეობის აღწერას ეძღვნებოდა, საბჭომ, პაატა გუგუშვილის მოხსენებასთან ერთად, წარადგინა რეკომენდაციები, რათა რესპუბლიკაში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციისა და შრომითი რესურსების მეცნიერული შესწავლის გაუმჯობესების მიზნით მაშინდელ საკავშირო ცსს-ს სისტემატიურად გამოექვეყნებინა სტატისტიკური

---

<sup>1</sup> ზ. გალდავა, ა. სულაბერიძე. აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი როგორც დემოგრაფი. იხ. „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, თბ. „მეცნიერება“. 1990.

მონაცემები: ცალკეული ინფექციური ავადმყოფობით მოსახლეობის დაავადებულთა, მოკვდაობის მიზეზთა და გარკვეულ ასაკს მიღწეულ პირთა მომავალი (დარჩენილი) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ.

ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით 1980 წელს ჟურნალ „Вестник статистик“-ში (№11) გამოქვეყნდა შესაბამისი მონაცემები, რის საფუძველზეც ჟურნალ „ეკონომისტში“ (1980, №4), პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში, დაიბეჭდა პაატა გუგუშვილის სტატია ხსენებულ პრობლემებზე - „უახლესი დემოგრაფიული სიტუაციის ზოგიერთი საკითხი“, შემდეგ კი - მისივე, „შობადობა - აქტუალური დემოგრაფიული პრობლემა“ (ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1982, №5).

1979 წლიდან ხალხთმსახლეობის საბჭო პაატა გუგუშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით სისტემატურად აწყობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში დემოგრაფიულ ექსპედიციებს, რომელთა მიზანი იყო მოსახლეობის 1979 წლის სრულიად საკავშირო აღწერის პროგრამით გათვალისწინებული მონაცემების დამატებით, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების სპეციფიკურობის გამოვლენისა და შესწავლისათვის ანკეტური მასალისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მოპოვება. აუცილებელი იყო რესპუბლიკის მოსახლეობის შედგენილობაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი დემოგრაფიული პროცესების შესწავლისა და გაშუქებისათვის, თუნდაც მხოლოდ შრომითი რესურსების (მოსახლეობის ასაკობრივი და პროფესიული სტრუქტურის დინამიკის და სხვა) თვალსაზრისით, ქვეყნის სახალხო-მეურნეობრივი და კულტურული განვითარების გეგმების, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროგნოზების მეცნიერული საფუძველების

შემუშავებისათვის (მოეწყო 11 ექსპედიცია, გამოიკითხა 30000-მდე რესპონდენტი).

სოციოლოგიური გამოკვლევების გარდა, დემოგრაფიული ექსპედიციების ერთ-ერთი ამოცანა იყო, ქვეყანაში არსებულ და მოსალოდნელ დემოგრაფიულ ვითარებას გასცნობოდა რაიონებში ადგილობრივი ხელმძღვანელობა და მოსახლეობა, ამ მიზნით მის მიერ ჩვეული ორატორული ოსტატობით წაკითხულ საჯარო ლექციებს და საუბრებს დამსწრე საზოგადოება ერთობ დიდი ინტერესით ისმენდა ამას მოსახლეობის აღწარმოებისა და ოჯახის განმტკიცებისათვის დიდი პროპაგანდისტული მნიშვნელობაც ჰქონდა. გასახსენებელია ექსპედიციების პერიოდში მრავალი საინტერესო მომენტიც. მაგალითად, ხევსურეთში 1944 წელს კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად მოწყობილი ექსპედიციის დროს გადაღებული სურათის ისტორია, რომლის მეშვეობითაც ერთ-ერთმა რომკელმა ხევსურმა 1985 წ. პირველად იხილა საკუთარი მამის სახე, რომელიც მის დაბადებამდე გარდაცვლილა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბატონ პაატას, როგორც ერის მოამაგეს, საქართველოს ყველა რაიონში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეგებებოდნენ, რაც მის სახალხო სიყვარულსა და აღიარებაზე მეტყველებს.

როგორც მკვლევარ-მეცნიერს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილს ეკუთვნის ხუთასამდე ნაშრომი. მათგან ჩვენ მხოლოდ იმ ფუნდამენტურ გამოკვლევებს შევეხებით, რომლებიც ქართული დემოგრაფიული აზრის კლასიკურ ნიმუშად მიგვაჩნია.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, ჯერ კიდევ 1930-იანი წლების ბოლოს შესრულებული გამოკვლევა „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“. ეს იყო დემოგრაფიის ხაზით საქართველოში შესრულებული პირველი ფუნდამენტური

ნაშრომი, რომელიც წარმოგვიდგება ქართული დემოგრაფიული აზრის ისტორიის კლასიკური მნიშვნელოვანი ძეგლად.

დასახელებულ ნაშრომში ბატონმა პაატამ, მრავალ სხვა მანამდე შეუსწავლელ საკითხთან ერთად, მისთვის ჩვეული ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ახსნა ქართველი მოსახლეობის დაბალი ტემპით ზრდის მიზეზები, რაც საერთოდ შეიძლება მივიჩნიოთ ქართველთა აღწარმოების სპეციფიკურ თავისებურებად, შესაბამის ისტორიულ პერიოდში. განსაკუთრებით გამოყო მიგრაციის როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სხვადასხვა ეროვნების ურთიერთდამოკიდებულებისა და საერთოდ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკაში. მან მეცნიერულად დაასაბუთა რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოს დემოგრაფიული ანექსია, აქ სხვადასხვა ერების მასობრივი ჩამოსახლებისა და მათი დასახლების ხელშეწყობის გზით. გამოკვლევაში გვიჩვენა რუსეთის, სომხეთის, თათრების (აზერბაიჯანელების), ბერძნების და სხვა ერების მიგრაციის შედეგად XIX საუკუნეში სამხრეთ საქართველოსა და აფხაზეთში მათი რაოდენობრივი ზრდის მაღალი ტემპები. ამასთან, ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა აეხსნა სხვადასხვა ეროვნების ბუნებრივ მოძრაობაში განსხვავებული ტემპების მიზეზები, რაც დღესაც მსოფლიო მეცნიერ-დემოგრაფთა ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ამავე გამოკვლევაში გამოთქვა მან მოსაზრება, რომ სხვა ერებისაგან განსხვავებით, სხვა ქვეყნებში ქართველთა დაბალ მიგრაციას მნიშვნელოვანწილად მეურეობრივი ტრადიციები განაპირობებს. საქართველო მრავალწლიანი კულტურული ნარგავების კლასიკური ქვეყანაა და შესაბამისად გაშენებული ხეხილი და ვაზი, როგორც წესი, დარგვიდან რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა ნაყოფს, რის გამოც ქართველი კაცი ვერ ელეოდა მის მიერ

ჩადებული კაპიტალის მიტოვებას. ამის შედეგად იგი არათუ სხვა ქვეყანაში, არამედ საკუთარი ქვეყნის სხვა კუთხეში იშვიათად მიდიოდა საცხოვრებლად, თუ მიდიოდა, მძაფრი ნოსტალგიის პირობებში ცხოვრობდა და ადრე თუ გვიან უკან ბრუნდებოდა.

ზემოაღნიშნული მონოგრაფიის ერთ-ერთ დიდ ღირსებად წარმოგვიდგება რუსეთის ცარიზმის გაბატონების შემდეგ ამიერკავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს ეროვნული შემადგენლობის მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ანალიზი. დასაბუთებულია, რომ თვით ქართველი ხალხის ტოლერანტობამ – სხვა ერებთან თანაცხოვრების თვალსაზრისით – საშულება მისცა მეფის მთავრობას ყოველნაირად განეხორციელებინა ფარული მიზანი – საქართველოს დემოგრაფიული ექსპანსიის მიმართული პოლიტიკა. ეს შეხედულება ნაშრომის შექმნიდან დღემდე ვერავინ გააბათილა და სათანადო მასალებით იმდენად ობიექტურადაა წარმოჩენილი, რომ ვერც ვერავინ გააბათილებს. ამის თაობაზე ჯერ კიდევ მაშინ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერის პაატა გუგუშვილის სადოქტორო დისერტაციის საჯარო განხილვაზე აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა აღნიშნა: „... მის მიერ მიღებული დასკვნებიც ფრიად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დამაჯერებელია...“.

ქართული დემოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ პირველ ფუნდამენტურ გამოკვლევად წარმოგვიდგება აკად. პაატა გუგუშვილის ნაშრომი – „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959 წწ.)“, რომელიც შესულია 1963 წელს გამოცემულ კრებულში – „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ (XII-XIII ტ.); და მის მიერვე 1971 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „სოციოლოგიური ეტიუდები“ (II ტომი). მანამდე არავის უცდია ასეთი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეესწავლა



საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და განეხილა იგი ცალკეულ ეროვნებათა აღწარმოების ფონზე. მასში დასაბუთებულია, რომ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე არსებითი გავლენა მოახდინა რუსებისა და სომხების (სხვა ერებთან შედარებით) უპირატესად მექანიკურმა მატებამ (მიგრაციამ). ხაზგასმულია საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა ბუნებრივი მატების განსხვავებული ტემპები, რომ მათგან ავტოქტონური მოსახლეობის აღწარმოების ინტენსივობა მეტად დაბალია და აშკარად ჩამორჩება ამიერკავკასიის სხვა მკვიდრი ერებისა – სომხებისა და აზერბაიჯანელების აღწარმოების ტემპს. მოტანილი დიდძალი დემოგრაფიული სტატისტიკა საშუალებას იძლევა თვით მკითხველმა გაანალიზოს საქართველოს მოსახლეობის და მისი ეროვნული შემადგენლობის დინამიკა 160 წლის მანძილზე (1800-1959 წწ.).

ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა – „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“. არაჩვეულებრივი დიდი ტირაჟით (20000 ეგზემპლარი) დაბეჭდილი ეს ნაშრომი ერთბაშად გაქრა წიგნის ბაზარზე. მან მკითხველთა ფართო გამოხმაურება და ღრმა ინტერესი გამოიწვია და არა მარტო საქართველოში.<sup>2</sup>

ამ წიგნის შესახებ რეცენზიაში, რომელიც გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა, კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „დიდად სასურველია ქართველმა მკითხველმა ყურადღებით წაიკითხოს და არა, შეისწავლოს, და ჩვენი ერის მომავლის თვალსაზრისით ღრმად გაიაზროს ამ წიგნში

---

<sup>2</sup> ზ. გალდავა, ა. სულაბერიძე. აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი როგორც დემოგრაფი. იხ. „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, თბ. „მეცნიერება“. 1990. გვ. 21-22.

წარმოდგენილი მსჯელობა და მთელი ფაქტობრივი მასალა ქართველი ხალხის გამრავლების მდგომარეობის თაობაზე..., ძლიერ მიხარის, რომ შესაძლებლობა მაქვს ქართველ მკითხველს, ჩემს მკითხველს ვურჩიო ეს წიგნი, რომელიც სავსებით იმსახურებს საპატიო ადგილი ეჭიროს ყოველი ოჯახის შინაურ ბიბლიოთეკაში, დღენიადაგ საკითხავ და სწორედ ოჯახისათვის სახელმძღვანელო წიგნთა შორის“.<sup>3</sup>

ასეთი ყურადღება, განსაკუთრებით დემოგრაფიაში, მანამდეც და შემდგომშიც იშვიათად თუ რგებია ვინმეს. საქმე ისაა, რომ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მსგავსი უდიდესი განსწავლულობისა და ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერის გარდა არავის შეეძლო დემოგრაფია წარმოედგინა როგორც ზოგადსაკაცობრიო მეცნიერება მისი პოპულარიზაციისა და დანერგვის მიზნით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფაქტობრივად ამ მონოგრაფიის გამოსვლით დაიწყო დემოგრაფიული მეცნიერების ევოლუცია საქართველოში (მიუხედავად იმისა, რომ მანამდე, 1955 წელს გამოიცა ცნობილი ქართველი სტატისტიკოსის გ. გამყრელიძის მიერ შექმნილი პირველი ქართული სახელმძღვანელო „დემოგრაფიული სტატისტიკა“).

ამ მონოგრაფიით აკად. პაატა გუგუშვილმა მიანიშნა, რომ დემოგრაფიული საკითხების კვლევა მრავალმხრივი მიმართულებით უნდა წარიმართოს, რათა უფრო სრულყოფილი გახდეს ჩვენი ცოდნა მოსახლეობის აღწარმოებაში და ოჯახის პრობლემების გადაჭრაში. ამ მიზნით მონოგრაფიაში ავტორი განსაზღვრავს დემოგრაფიის საგნის არსს, მიზანსა და მიმართულებას. მისი პოპულარიზაციისათვის დემოგრაფიის საკითხებზე მოჰყავს ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა, მათ შორის:

---

<sup>3</sup> კ. გამსახურდია. წიგნი საქართველოს სსრ ხალხთმასახლეობის შესახებ. გაზ. „კომუნისტი“, №40, 1974 წ., 16 თებერვალი.

პლატონის, არისტოტელეს, დიოდორე სიცილიელის, შ. ფურიეს, ა. კონდესიეს, ე. მარქსის, ფ. ენგელსის, და სხვათა შეხედულებანი. ერთობ კრიტიკულად აანალიზებს 1920-იან წლებში სექსობრივი მორალისა და ოჯახის საკითხების შესახებ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში გამართულ დისკუსიებზე გამოთქმულ არასწორ შეხედულებებს.

ქართველი მკითხველისათვის ცნობილი ხდება სოციოლოგიაში და დემოგრაფიაში მსოფლიოში აღიარებულ თანამედროვე მკვლევართა სახელები.

ზემოთ დასახელებულ ცნობილ მეცნიერთა შეხედულებების ფონზე აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ამ საინტერესო და ორიგინალურ მონოგრაფიაში მოგვცა იმ პერიოდის (1973 წლამდე) დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის თეორიული ასპექტები. მსოფლიოში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამიერკავკასიასა და უშუალოდ საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარების, მოსახლეობის აღწარმოებისა და ოჯახის პრობლემების განხილვისას მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქართველთა აღწარმოების დაბალ ტემპს, მისი შემცირების სავალალო ტენდენციას ამიერკავკასიის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 1926-1970 წწ. ყურადღება გაამახვილა ქორწინების საკითხებზე და ოჯახის ფორმირების ახალ ტენდენციებზე.

აღნიშნული მონოგრაფიის შესახებ ცნობილი რუსი დემოგრაფი ბ. ურლანისი 1974 წლის 3 დეკემბერს პ. გუგუშვილს სწერდა „Следует отметить, что труд «Вопросы воспроизводства Грузинской ССР» вызвал широкий резонанс. Это беспрецедентный случай в науке, по крайней мере гуманитарной, – что уже изданная, к тому же на двух языках и массовым тиражом, работа в большом количестве экземпляров размножается правительственным органом, т.е. ЦСУ СССР, и рассылается как интересная работа соответствующим

учреждениям, организациям и библиотекам по всему Советскому Союзу ...“.

აღსანიშნავია, რომ აკად. პაატა გუგუშვილი თავის გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილს უთმობდა სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს, რაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქორწინების და ოჯახში ბავშვთა რაოდენობის თაობაზე 1969-1984 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-4 კურსის სტუდენტებს (5730 კაცი, რომელთა შორის ამ სტრუქტურების ავტორიც გახლდით) შორის ჩატარებულ ანკეტურ გამოკითხვაზე იყო დაფუძნებული. ამით მან საქართველოში დასაბამი მისცა დემოგრაფიული მეცნიერების ახალ მიმართულებას – სოციოლოგიურ დემოგრაფიას და ოჯახში შვილთა ყოლის მოთხოვნის შესწავლით მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის სოციოლოგიურ-დემოგრაფიულ კვლევას.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 1976 წელს თბილისში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც თავისი მასშტაბურობით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის იმ პერიოდში საოცნებოც კი იყო. მას შემდეგ 1990 წლამდე, არა თუ თბილისში, არამედ საერთოდ საქართველოში ანალოგიური დონის სამეცნიერო კონფერენცია არ ჩატარებულა.

კონფერენციაზე აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი წარდგა ერთობ ორიგინალური მოხსენებით, რომელიც, მართალია ბროშურის სახით (50 გვერდზე) გამოიცა, მაგრამ საკითხის პრობლემურობით, ფუნდამენტური კვლევის დონით, და, რაც მთავარია, შინაარსის მრავალმხრივობით უაღრესად მაღალ შეფასებას იმსახურებს. თვით მოხსენების სათაურიდან – „ოჯახის ფორმირების შესახებ მოსახლეობის აღწარმოების ასპექტში“ (რუსულ ენაზე) ნათლად ჩანს, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთს აპირობებს და მისი აქტუალობა, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება.

აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა მოხსენებაში განიხილა ხანგრძლივი პერიოდის (მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან 1976 წლამდე) მანძილზე ამიერკავკასიის ქვეყნებში ოჯახის ფორმირების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მოსახლეობის აღწარმოებასთან მიმართებაში, კერძოდ, ერთი მხრივ, მოსახლეობის აღწარმოება განიხილა როგორც ოჯახის საშუალო ზომის ზრდა-შემცირების ფაქტორი, მეორე მხრივ კი ოჯახი წარმოაჩინა, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტემპის განმსაზღვრელი.

პაატა გუგუშვილმა გააანალიზა ამიერკავკასიაში ოჯახის სულობრივი შემადგენლობის ცვლილება, ქალთა მდგომარეობა და ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის აღწარმოების ფაქტორები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ოჯახში ქალის როლის ტრანსფორმაციაზე, მის ორმაგ დატვირთვაზე – ოჯახსა და სახელმწიფო სამსახურში, რაც შობადობის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნია.

ოჯახის ევოლუციის საკითხები აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა განიხილა ამიერკავკასიის ქვეყნების ფონზე და ასევე წარმოაჩინა ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების აღწარმოების ეთნოდემოგრაფიული თავისებურებანი. ამ ასპექტში საინტერესოა მისი მოსაზრებები ოჯახის, კომლის, ეზოს, სახლთმეურნეობის, როგორც საოჯახო მეურნეობის შესახებ. იგი მიანიშნებს, რომ მე-19 საუკუნეში როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე საკანონმდებლო აქტებმა და ლიტერატურულ ნაწარმოებში ისინი იდენტურ ცნებებად აისახებოდა, თუმცა, ზოგიერთ წყაროზე (მაგ. სოხუმის ოკრუგის მაგალითზე) დაყრდნობით მიუთითებს, რომ „კომლი“ და „საოჯახო“ ყოველთვის არ იყო იდენტური.

1960-იანი წლებიდან მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის მკვეთრი შემცირების

ძირითად მიზეზად აკად. პაატა გუგუშვილს მიაჩნდა საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების მასობრივად ჩართვა. სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე დაასაბუთა, რომ ქალები ყოველდღიურად ორ სამუშაო დღეს ასრულებენ. ოჯახში მათი სამუშაო დღე თავისი დატვირთვით არ ჩამორჩება სამუშაო დღეს წარმოებასა და ორგანიზაციაში. ამიტომ ორბავშვიანი ოჯახის ფორმირებული მოდელი ბუნებრივ მოვლენად წარმოდგება და შეესაბამება მშობლების ახალ მოთხოვნილებას ბავშვთა აღზრდის მიმართ. ამ ფონზე იგი დიდძალი სტატისტიკური მასალის საფუძველზე განიხილავს ამიერკავკასიის ოჯახების საშუალო ზომის ცვლილებას ისტორიულ ასპექტში და ადარებს მათ აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ანალოგიური პროცესების განვითარებას, რომ სხვა სოციალური ინსტიტუტისაგან განსხვავებით, ოჯახი ძნელად ექვემდებარება „წიგნიდან შესწავლას“ და მისი სიღრმისეული გაანალიზება ოჯახის ფორმირების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში უნდა მოხდეს.

აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა განიხილა თანამედროვე ოჯახის კომპონენტთა ცვლილების პროცესი და მისი სტრუქტურული ვარიაციების მოდელები. მისი აზრით, არსებულ დემოგრაფიულ ვითარებაში, „მრავალშვილიანი დედის“ ცნებაში აუცილებელი იყო კორექტივის შეტანა და მიაჩნდა, რომ თუ ორიოდ ათეული წლის 4-5-შვილიანი დედა ჩვეულებრივი და თითქმის მასობრივი მოვლენა იყო, დღეს მის ადგილს თანდათანობით იკავებს 1-2-შვილიანი დედა. ამიტომ კანონზომიერი ხდება, რომ ორზე მეტი შვილის აღზრდელს შეიძლება ვუწოდოთ საერთოდ მრავალშვილიანი დედა და, მამასადამე მათზეც გავრცელდეს ყველა ის დახმარება და შეღავათი, რაც ეძლევათ დღეს მრავალშვილიანებს. ამიტომ, ალბათ შემთხვევითი არ იყო, სვანეთის ექვედიციის დროს 1982

წელს მწვერვალ უშბის მისადგომებთან სვანების მიერ ბატონ პაატას პატივსაცემად მოწყობილ ვახშამზე მის მიერ წარმოთქმული მრავალშვილიანი დედის სადღეგრძელო, რაც, შეიძლება ითქვას, ქართულ სუფრაზე მანამდე არავის წარმოუთქვამს.

აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან თავის მეცნიერულ გამოკვლევებში აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა უფრო გააქტიურა სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კუთხით მუშაობა. ამ პერიოდიდან ქვეყნდება მისი ნაშრომები დემოგრაფიის საკითხებზე: „დემოგრაფია“, „დემოგრაფიული სტატისტიკა“ – (ორივე ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში 1978 წ. ტ. 3); „საქართველოს სსრ მოსახლეობა 50 წლის მანძილზე (1921-1971)“, (ჟურ. „მაცნე“ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მაცნიერებათა განყოფილების ორგანო, 1978, №3); „უახლესი დემოგრაფიული სიტუაციისა და მოსახლეობის აღწერების შესახებ“ (ჟურ. „ეკონომისტი“, 1979 №1); „მოსახლეობის აღწერა“ (ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“ 1979, №2); „დემოგრაფიის (დემოლოგიის) შემეცნებითი მნიშვნელობა“ (ჟურ. „მაცნე“ 1980, №4); „კავკასიის მოსახლეობა და ტერიტორია“ (ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 1980, ტ. 5); „უახლესი დემოგრაფიული სიტუაცია“ (ჟურ. „ეკონომისტი“, 1981 №4); „მიგრაციის ზოგიერთი ასპექტი“ (გაზ. „კომუნისტი“ – მრგვალ მაგიდასთან, 1982, №74); „შობადობა აქტულაური დემოგრაფიული პრობლემა“ (ჟურ. „საქართველოს კომუნისტი“ 1982, №5); „ოჯახი – საზოგადოების პირველადი უჯრედი“ (ჟურ. „საქართველოს კომუნისტი“ 1984, №9); „ქართველური მოსახლეობის კონცენტრაციის შესახებ“ (ჟურ. „ეკონომისტი“, 1985 №6) და სხვ.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ სტატია: „მიგრაციის ზოგიერთი ასპექტი“, რომელიც ზოგიერთი

რუსი დემოგრაფისა და ეკონომისტის არასწორი შეხედულებების მიმართ გაცემული პასუხია. საქმე ისაა, რომ 70-იანი წლების ბოლოს რუსი დემოგრაფების: ლ. რიბაკოვსკის, ნ. ტარასოვის, მ. უსკოვას, ლ. მარკოვას, აკად. ნ. ნეკრასოვის და სხვების მიერ კავკასიაში არსებული დემოგრაფიული ვითარება არასწორად იქნა შეფასებული. მათი აზრით, აზერბაიჯანისა და სომხეთის მსგავსად, საქართველოშიც მაღალი შობადობის დონის შედეგად მაღალი ბუნებრივი მატებაა და იგი ე.წ. „კავკასიის რეგიონში“ არასწორად გააერთიანეს, უფრო მეტიც, მაღალი ბუნებრივი მატების შედეგად ფორმირებული შრომითი რესურსების დიდი მასის დასაქმება საქართველოში თითქოსდა შეუძლებელი იყო მათ დასასაქმებლად მიზანშეწონილად მიიჩნიეს ქართველი მოსახლეობის მიგრაციული ქცევის (რომელიც დაბალი იყო) ინტენსივობის გაზრდა, რათა საქართველოს გარეთ გააქტიურებულიყო მოსახლეობის მიგრაციული პროცესები, თუნდაც ორგანიზებული წესით შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, უკიდურეს ჩრდილოეთსა და რუსეთის სხვა ახლად ასათვისებელ რაიონებში. ისინი ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად საქართველოს საგანმანათლებლო სასწავლებლებში ყველა საგნის რუსულ ენაზე სავალდებულო სწავლების დაფუძნებას მოითხოვდნენ, რადგან რუსული ენის არცოდნა „აფერხებდა მათ მიგრაციას რუსეთში“. ეს პრორაგანდისტური ხრიკები „მეცნიერული კვლევების“ სახით მიმართული იყო საქართველოს დემოგრაფიული ექსპანსიისაკენ, რასაც რუსეთი ორი საუკუნის მანძილზე ახორციელებდა, მაგრამ ქართველთა დაბალი მიგრაციული მობილობის გამო მიზანს ვერ აღწევდა. ამიტომ საჭირო იყო მოსახლეობის ორგანიზებულად (მაგ. კომკავშირული საგზურით) გაყვანა ისეთ „დამკვერთელ მშენებლობაზე“, როგორც იყო,



„ბაიკალ-ამურის მაგისტრალი (ბამი)“, სადაც ქართველთა კოლონიური დასახლებები შეიქმნა კიდევ (დაბა „ნიაგრუზინსკაიას“ დასახლება), ხოლო მათ ადგილს რუსეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან შემოსულები დაიკავებდნენ. ამას ემსახურებოდა გაზეთ „პრავდას“ მოწინავე სტატია „Качели миграции“, სადაც პროფ. ლ. რიბაკოვსკი სკკპ პოლიტიუროს დაკვეთით (1982 წ.) ასაბუთებდა საქართველოში გარემიგრაციული პროცესების გააქტიურების აუცილებლობას.

რუსი მეცნიერების ამ მოსაზრებათა საპასუხოდ მაშინ საქართველოს კომპარტიის ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთ „კომუნისტის“ მიერ მოწყობილი „მრგვალი მაგიდის“ მეშვეობით აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის მეთაურობით ქართველმა მეცნიერებმა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტმა ვ. ჯაოშვილმა, პროფ. მ. ტუხაშვილმა, ნ. კაბერაშვილმა, ზ. გოცირიძემ, ამ სტრუქტურების ავტორმა და სხვებმა საკადრისი პასუხი გასცეს რუსი მეცნიერების მცდარ პროპაგანდისტურ შეხედულებებს. თავად ბატონი პაატას „აფეთქებას“, ვინც მას იცნობდა, ადვილად წარმოიდგენს. მისი ეროვნული და პატრიოტული ქცევა ჩვენთვის სამაგალითო იყო. თავის თითქოსდა მცირე მოცულობის სტატიაში მან მეცნიერული დასაბუთებით გააცამტვერა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აღნიშნული პოლიტიკა, რაც უწინაც არაერთგზის გაჟღერებულა. სხვათა შორის გაზეთმა „კომუნისტმა“ რუსულ ენაზე თარგმნა „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა შეხედულებანი აღნიშნულ საკითხებზე და სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და გაზეთ „პრავდაში“ გაგზავნა, მაგრამ მათზე პასუხი არც პრესაში გამოქვეყნებულა და არც ოფიციალურად გამოუგზავნიათ. აკად. პაატა გუგუშვილის მამულიშვილურმა ქმედებებმა შედეგი გამოღო, მას შემდეგ ამ საკითხს რუს მეცნიერთაგან აღარავინ დაბრუნებია.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, 1985 წლის 29 ოქტომბერს, თავისი დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე წაკითხულ მოხსენებას (სრულად იხილეთ ამავე კრებულში ბატონ პაატას მოტანილი მოხსენება „დემოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა“), რომელშიც, მან თავისი ორატორული ოსტატობით შეაფასა 1984 წელს ქ. მეხიკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო დემოგრაფიული კონფერენცია, სადაც მონაწილეობდა 148 ქვეყნის დელეგაცია და მას მიზანს წარმოადგენდა საზოგადოდ დემოგრაფიისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში ხალხთმოსახლეობის პრობლემათა ასპექტში მთელ მსოფლიოში გასატარებელი გეგმის შექმნა. ბატონმა პაატამ მკაცრად გააკრიტიკა ნეომალთუსიანელთა ანტიმეცნიერული და ანტისაზოგადოებრივი ხასიათის პროგნოზები, რომლის თანახმადაც 2025 წელს პლანეტის მოსახლეობა 10 მილიარდს, ხოლო 2100 წელს 48 მილიარდს მიაღწევდა; ამერიკელი ბიოლოგის პ. ერლიხის უსაფუძვლო განცხადება დედამიწის მოსახლეობის 60 ტრილიონის გადაჭარბების თაობაზე. მსოფლიოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოფილი პრეზიდენტის რ. მაკნამარას წიგნში „ხალხთმოსახლეობის პრობლემა – შენელებული მოქმედების ბომბი ...“ (1984) მოწოდება, რომ მოსახლეობის მატების ტემპების შესამცირებლად მეტი ყურადღება გამახვილდეს შობადობის კონტროლზე. ბუნებრივია, ბატონმა პაატამ გაილაშქრა ნეომალთუსიანელთა წინააღმდეგ და ამხილა მათი მიზანი, რომ მიჩქმალონ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის ნამდვილი მიზეზები და მოსახლეობის გამრავლება

წარმოადგინონ როგორც კაცობრიობის პროგრესული განვითარების დაბრკოლება.

ყურადღებას იმსახურებს ბატონი პაატას უკანასკნელი მონოგრაფია – „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“, 1985 წ. ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე გამოცემა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა, ჩვენ, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, აქ არ გავიმეორეთ ჩვენს ზემოთხსენებულ ნაშრომებში (საუბარია წინა წლებში გამოცემულ ნაშრომებზე – ა.ს.) წარმოდგენილი მასალა. ასე რომ ეს წიგნი არსებითად ატარებს ნარკვევებისა და ამ მოვლენათა სისტემური გაშუქების ხასიათს“. საქმე ისაა, რომ ბატონი პაატა აპირებდა ოჯახის თემაზე ფუნდამენტური და საკმაოდ ვრცელი მონოგრაფიის დაწერას და ამიტომაც მიიჩნია იგი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის მონოგრაფიად. ამ ნაშრომის ავტორისეული შეფასების მიუხედავად, ჩვენი აზრით, მასში განხილული თემატიკა წარმოდგენილია საოჯახო პოლიტიკის აქტუალური მიმართულებების ფონზე, რაც იმ პერიოდში (80-იანი წლების დასაწყისში) უკვე საკმაოდ ინტენსიურად ინერგებოდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, შვედეთი, გერმანია და სხვა).

აღსანიშნავია, რომ ბატონმა პაატამ ამ ნაშრომით დასაბამი დაუდო დემოგრაფიაში სრულიად ახალ მიმართულებას – საოჯახო პოლიტიკას, თუმცა თვით ტერმინი „საოჯახო პოლიტიკა“ მხოლოდ 90-იან წლებში დამკვიდრდა საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერიოზულად ამ საკითხების განხილვას იგი მომდევნო ნაშრომში აპირებდა (რაც პირად საუბრებში, განყოფილებაში არაერთხელ აღუნიშნავს). ვინ იცის ასეთი ნაშრომი ხელნაწერის სახით შეიძლება მის პირად არქივში ინახება კიდევ.

ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიაში მხოლოდ ბატონი პაატას დონის მეცნიერს შეეძლო პოპულარულ ენაზე წარმოჩინა და მასთან ერთად მეცნიერულად დაესაბუთებინა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უშუალოდ ოჯახისკენ უნდა წარიმართოს, რომ ძლიერი ოჯახი ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს. ამ მიზნით მან ანდერძივით წარმოაჩინა ოჯახში არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებანი და ოჯახის ტრანსფორმაცია გააშუქა თანამედროვე მსოფლიო სოციოლოგიური და დემოგრაფიული მეცნიერების, აგრეთვე ოჯახის კვლევის ცალკეულ გამოჩენილ სპეციალისტთა შეხედულებების ფონზე.

ოჯახის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მონოგრაფიაში მრავალი კუთხითაა წარმოდგენილი. ასეთი მიდგომით ბატონმა პაატამ დაასაბუთა, რომ მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკით ვერ გადავჭრით ოჯახში დაგროვილ მრავალ პრობლემას და მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმიზაციის საკითხებს. განხილულ საკითხთა მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა (ქორწინება, ქორწინების გარეშე შობადობა, სექსუალური მორალი, შვილიანობა და ოჯახის გეგმიანობა, ჩვილთა მოკვდაობა, განათლება, ოჯახის სოციალური სამსახურების მომსახურების აქტივიზაცია, ფსიქოლოგიური კონსულტაციების აუცილებლობა, ოჯახის ეკონომიკა და სხვა) მიანიშნებს, რომ იგი, როგორც ყოველთვის, მაღალ მოთხოვნას უყენებდა თავის თავს და რომ ზემოთ მოტანილი წინასიტყვაობა მკითხველისათვის მის მოკრძალებაზე მეტყველებს.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, ქართული მეცნიერების საგანძურის – ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემდეგ დიდი რუდუნებით მუშაობდა ქართულ-რუსული დემოგრაფიული ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ამ

მიმართულებით მან ძალზე ბევრი გააკეთა, მისი თუნდაც პროექტის სახით გამოქვეყნებით.

აღბათ, უადგილო არ იქნება, ამ საკითხთან დაკავშირებით გავიხსენოთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სიცოცხლის ბოლო დღე. კარგად მახსოვს, როდესაც სამეცნიერო საბჭოზე ცუდად გახდა და კაბინატიში შემოვიყვანეთ, მთხოვა ყურადღება მიგვექცია მის მაგიდაზე დადებული ნაწერებით სავსე ჩანთისთვის, რომელშიც ედო ქართული დემოგრაფიული ტერმინოლოგიის (კომენტარებით) ხელნაწერის საბოლოო ვარიანტი გამოსაცემად გამზადებული და ემინოდა, არ დაკარგულიყო...

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში იგი განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა, რადგან საქართველოს ხელმძღვანელობა დაჰპირდა მონოგრაფიათა თორმეტტომეულის (თითოეული 600 გვერდზე მეტი უნდა ყოფილიყო) გამოცემას. ამან ახალგაზრდული სული შთაბერა მის მუშაობას. ჩქარობდა, სურდა შეპირებულ თორმეტტომეულში თავი მოეყარა ცალკეულ მონოგრაფიებში, ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის, რაც აღარ დასცალდა. როდესაც ბატონი პაატას დაკრძალვაზე ეკონომიკის ინსტიტუტში მოსულმა საზოგადოებამ იხილა დარბაზში გამოფენილი მისი ნაშრომები, სამართლიანად აღნიშნა: ბევრი ამდენის დაწერას კი არა, გადაწერასაც ვერ შეძლებდაო, დიახ, გადაწერა კი არა, შეიძლება ბევრისთვის ამდენის წაკითხვაც კი გმირობის ტოლფასი იყოს.

## *ბიძინა ლუტიძე*

### **პაატა გუგუშვილი – დიდი სოციოლოგი**

პ. გუგუშვილი – ეკონომიკური მეცნიერების ბურჯი საქართველოში, ამასთანავე, სოციოლოგიურ გამოკვლევათა სწორუპოვარი მამამთავარიც იყო. სოციოლოგიური პრობლემატიკის კვლევა მის ცხოველ ინტერესს შეადგენდა ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისიდან.

ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაშიც, სოციოლოგია არ სარგებლობდა დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსით. საზოგადოების შესახებ ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერებად ისტორიული მატერიალიზმი იყო აღიარებული, იგი მარქსისტურ-ლენინური ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. დასავლური სოციოლოგიური თეორიები კი, კომუნისტური გაგებით, იდენტიფიცირებული იყო ყალბ, რეაქციულ, მტრულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რომელიც მხოლოდ დაგმობისა და უკუგდების ღირსი უნდა ყოფილიყო, და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თეორიული, მეტადრე კი გამოყენებითი სოციოლოგია წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა ინდუსტრიულ საზოგადოებათა საწარმოო ყოფიერებაში. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საერთო-საზოგადოებრივი პროცესი არანაკლებ დამოკიდებული აღმოჩნდა სოციოლოგიურ გამოკვლევებსა და მათ შედეგებზე – სასარგებლო პრაქტიკული რეკომენდაციებზე ტექნიკურ მონაპოვრებთან და რაციონალიზატორულ გაუმჯობესებებთან შედარებით.

თუ ვინმეს გასული საუკუნის შუახანებიდან მთელი სისრულით ჰქონდა შეგნებული სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ეს უზარმაზარი თეორიული

და პრაქტიკული მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, და არა მარტო რესპუბლიკის, არამედ იმდროინდელი საქოთა კავშირის მასშტაბითაც, ეს უწინარეს ყოვლისა აკადემიკოსი პ. გუგუშვილი იყო.

აკად. პ. გუგუშვილმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ საფუძველი ჩაეყარა სოციოლოგიური გამოკვლევებისათვის საქართველოში, თუმცა ამას აკეთებდა არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზით, ეკონომიკურ მეცნიერებაზე დაყრდნობით, ვინაიდან პირდაპირი გზა სოციოლოგისაკენ ჩაკეტილი ჩანდა. ამ მძიმე და მეტად საშიშ პერიოდში პ. გუგუშვილს სავსებით სწორი პოზიცია ეკავა სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების საგნის გაგებასა და განსაზღვრაში. მართალია, როგორც ეკონომისტს, მას არ მოეთხოვებოდა ამ პრობლემის დეტალური გარკვევა, საკუთარი აზრის სისტემატიზებული გადმოცემა სოციოლოგიის საგნის შესახებ სხვა მკვლევართა შეხედულებების ანალიზის, და მათთან საკუთარი მოსაზრებების შეჯერების ნიადაგზე, და მას არც არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია ამ მიმართულებით. უფრო უტყუარი იყო გზი, რომელიც აიღო მან სოციოლოგიური გამოკვლევების წასამართავად, შეუმცდარი – მისი სოციოლოგიური ალღო.

პ. გუგუშვილისათვის სოციოლოგია, ანუ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ საზოგადოებათმეტყველება, სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება საზოგადოების, როგორც მთლიანი სისტემის, აგრეთვე საზოგადოებრივ მთელთან ორგანულად დაკავშირებული მიკროობიექტების საერთო კანონზომიერებათა შესახებ.

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსათვის დამახასიათებელ კანონებს სხვადასხვა მეცნიერება შეისწავლის, კერძოდ, ეკონომიკური, იურიდიული, პოლიტოლოგიური, ისტორიული,

კულტუროლოგიური და სხვა მეცნიერებანი. მაგრამ არც ერთ მათგანს არ აქვს მიზანი და დაგუმატებდით, უფლებაც, რომ გავიდეს საკუთარი შესასწავლი ობიექტის ჩარჩოებიდან, იკვლიოს, თუ რა გავლენას ახდენს, ვთქვათ ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული, ფსიქოლოგიური, ან სხვა, მათ შორის თუნდაც ტექნიკური ფაქტორები საზოგადოებაზე, როგორც მთლიანზე. ამ ამოცანის შესრულება სრულდება კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კომპეტენციას. მისი გადაჭრა, უწინარესად, სოციოლოგიის პრეროგატივაა.

მაგრამ უდავოა ისიც, რომ სოციოლოგია მართლაც უძლურია კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა გარეშე, მათ მონაცემებზე დაყრდნობის, მათი მონაპოვრების ანალიზისა და განზოგადების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა სოციოლოგიური გამოკვლევები დააფუძნა საკუთარ ეკონომიკურ გამოკვლევებზე და მათ შედეგებზე, დიდი წარმატებით ორივე დარგში. ეს იშვიათი შემთხვევაა და არა მარტო ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

ქართველ ეკონომისტთაგან არავის ისე არ ამოძრავებდა სოციოლოგიის და ეკონომიკის ურღვევი კავშირის რწმენა, როგორც პ. გუგუშვილს. მან განუზომელი ღვაწლი გასწია ამ კავშირის არა მარტო ნათელ ყოფას, არამედ მისი განმტკიცებისათვის.

ამითვე აიხსნება ის კანონიერი ინტერესი და ყურადღება, რომელსაც იჩენდა ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობა აკად. პ. გუგუშვილის მოღვაწეობისადმი ეკონომიკურ და სოციოლოგიურ სფეროებში, რომ არაფერი ვთქვათ სხვა დარგების შესახებ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ყოფილი სსრ კავშირის სოციოლოგიურმა ასოციაციამ, რომელიც შეიქმნა 1968 წელს, სოციოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსებიდან 9 წლის შემდეგ, თავისი



პრეზიდიუმის ერთერთ წევრად სწორედ პ. გუგუშვილი აირჩია. ხოლო მსოფლიო სოციოლოგთა IV კონგრესზე, რომელიც 1959 წელს გაიმართა თბილისში და რომელშიც ათასამდე სოციოლოგი მონაწილეობდა, პ. გუგუშვილი საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად იქნა არჩეული.

ეს იმ საერთაშორისო აღიარების ექო იყო, რომელიც წილად ხვდა აკად. პ. გუგუშვილს სოციოლოგიური პრობლემების განხრით წარმოებული გამოკვლევებისათვის, რასაც გარკვეული ზომით შეიცავდა თვით მისი ეკონომიკური ხასიათის შრომებით, დაწყებული მისავე სადოქტორო დისერტაციიდან – „საქართველოს და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX საუკუნეში“ და მონოგრაფიებით „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკურ განვითარებაზე“.

როდესაც სოციოლოგიის დარგში აკად. პ. გუგუშვილის დამსახურებას ვარკვევთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის შრომებს: „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ“ (1966), „სოციოლოგიური ეტიუდები“, ტ. 1, „სოციოლოგიური ეტიუდები“, ტ. 2 (1970-1971 წლები), „ახალგაზრდობის სოციოლოგიური საკითხები“ (1981 წ.), „საყოველთაო ენის სოციოლოგიური ასპექტები“ (1969 წ.), უფრო ადრე – „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“ (1933), „ზიური წარმოების წესი“ (1934). თუ ამ შრომებს სოციალური დემოგრაფიის საკითხებზე გამოქვეყნებულ მის წიგნებს დავუმატებთ („დემოგრაფიული ნარკვევები“, 1986 წ.; „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“, 1985 წ.) აგრეთვე, სხვა მრავალ სამეცნიერო ნაშრომსა და სტატიას, ნათელი გახდება, რომ თითქმის არ დარჩენილა სოციოლოგიური კვლევა-ძიების რამდენადმე მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც არ

შესულიყო პ. გუგუშვილის მეცნიერული ინტერესების არეალში.

მეოცე საუკუნის ქართული სოციოლოგიური აზროვნება დიდად არის დავალებული ამ გამოჩენილი მკვლევრისაგან. კერძოდ, პაატა გუგუშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში თეორიული და გამოყენებითი სოციოლოგიის ისეთი მიმართულებების გაკვალვისა და შესაბამისი დარგების დაფუძვნებისათვის, როგორცაა: ეკონომიკური სოციოლოგია, სოციალური დემოგრაფია, ოჯახის სოციოლოგია, ახალგაზრდობის სოციოლოგია, მოცალეობის, თავისუფალი დროის სოციოლოგია, სოციოლოგიის ისტორია, სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. მის კალამს ეკუთვნის შრომები თეორიული და გამოყენებითი სოციოლოგიის მრავალ აქტუალურ პრობლემაზე, სხვა განტოტვილ დარგებშიც. თანაც, იმ ქვეყანაში, სადაც სოციოლოგია მეცნიერების ცალკე დარგად არ მოიხსენიებოდა. ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო და ხშირად ფარული ილეთების გამოყენებას საჭიროებდა.

მაგალთისათვის შევეხოთ აკად. პ. გუგუშვილის შრომებს თანამედროვე დასავლური სოციოლოგიის განხრით. ამ შრომებში იგი ყოველნაირად ცდილობს, რომ ქართველ მკითხველს გააცნოს თანამედროვე ბურჟუაზიური სოციოლოგიური თეორიები, თანაც იმ დროს, როცა ეს თეორიები არამცთუ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ ვიწრო სამეცნიერო წრეებისათვისაც კი უცნობი იყო.

ცხადია, დასავლეთის მოაზროვნეთა შეხედულებების გადმოცემა ტოტალიტარული რეჟიმისა და იდეოლოგიის პირობებში არ შეიძლებოდა იმ შეხედულებებისადმი რეაქციულობის, ანტიმეცნიერულობის, ანტიხალხურობისა და სხვა მსგავსი ეპითეტების მიწერის გარეშე და ცხადია ისიც, რომ პ. გუგუშვილი გვერდს ვერ აუვლიდა მათ

დასავლური სოციოლოგიის დახასიათებისას. მაგრამ მახვილი თვალი უსათუოდ შენიშნავდა, თუ რა აზრი იმალებოდა ამგვარ გამოთქმათა მიღმა. მთავარი ის იყო, რომ ამ გზით იგი ქართველ მკითხველს აცნობდა დასავლეთის თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებს.

საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოში მონაწილეობამ მას შესაძლებლობა მისცა ცოცხალი კონტაქტები დაემყარებინა ბევრ გამოჩენილ საზღვარგარეთელ სოციოლოგთან და ძირითად ხაზებში გადმოეცა მათი სოციოლოგიური შეხედულებანი, განსაკუთრებით კი მათი იდეები ჩვენი იმდროინდელი სოციალისტური საზოგადოების შესახებ. ამით იგი ქართველ მკითხველს მდიდარ მასალას აწვდიდა დამოუკიდებელი შემოქმედებითი განსჯისათვის. მაგალითად, სწორი ორიენტაციის შესამუშავებლად რად ღირდა თუნდაც ისეთი დებულებების გამოტანა დაკვირვებული მკითხველის წინაშე, რომ სოციოლოგია დასავლეთში საბოლოოდ გამოეყო ფილოსოფიას და იქცა დამოუკიდებელ მეცნიერებად; რომ იგი „აუცილებელია დაიშალოს ზოგად და კონკრეტულ დისციპლინებად, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეისწავლონ საზოგადოებრივი ყოფიერების ფრიად მრავალგვარი, როგორც ვიწრო, ემპირიული მოვლენები, ქვეყნების ასევე უაღრესად საყოველთაო ხასიათის პრობლემები, რომელთა საფუძველზე ივარაუდება უნივერსალური კანონების შემუშავების შესაძლებლობა“. („თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ“. თბ., 1966).

ბევრ რამეზე მიანიშნებდა ქართველ მკითხველს პ. გუგუშვილის დებულებები: „სოციოლოგია სსრ კავშირში ერთხანობით თითქმის უგულებელყოფილი იყო“ (იქვე, გვ. 3); „დასავლურმა სოციოლოგიამ ბევრი რამ გააკეთა გამოკვლევის მეთოდების შემუშავებისათვის“ (იქვე, გვ. 11);

„დასავლურმა სოციოლოგიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია“ (გვ. 3); „ბურჟუაზიულ სოციოლოგიურ სისტემებში მოიპოვება ზოგიერთი ვარგისი მასალა“ (გვ. 26) და მრავალი სხვა.

ანალიტიკურად მოაზროვნე მკითხველი საგულისხმო დასკვნამდე მივიდოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც პ. გუგუშვილის წიგნებში ამოიკითხავდა და გაიაზრებდა დასავლეთის სოციოლოგთა დებულებებს იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირში არ არსებობს ბაზა სოციოლოგიის განვითარებისათვის, რომ საჭიროა პოლიტიკა წარმართოს სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით და არა პირიქით – სოციოლოგიური აზროვნება პოლიტიკის მიერ ნაკარნახევი იდეით (კოინიგი) და სხვ.

დასავლეთის სოციოლოგიური თეორიებით საზოგადოებრიობის დაინტერესება, მისთვის ამ თეორიათა დადებითი შინაარსისა და პოზიციების გაცნობა შესაძლოა, მისი ფარული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია დასავლეთის თანამედროვე სოციოლოგიური კვლევა-ძიების მთავარი შედეგების დახასიათება პ. გუგუშვილის მრავალ ნაშრომში, განსაკუთრებით კი – მონოგრაფიებში: „სოციოლოგიური ეტიუდები“ (ტ. I, II). იგი დაწვრილებით გვაცნობს სოციოლოგიის მდგომარეობას, სოციოლოგიური კვლევა-ძიების მიმართულებებს, სოციოლოგიურ ორგანიზაციებს, სოციოლოგიის სწავლების დონეს და სხვ. ცალკეული ქვეყნების მიხედვით, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში, იტალიასა და იაპონიაში. რაც მთავარია, ყოველივე ამის ჩვენება ნათელ ფერებში იმ დროისათვის არც თუ გაუბედავი ქმედება იყო, მით უმეტეს, როცა საქმე ეხებოდა დასავლეთის ისეთი გამოჩენილ მოაზრეთა შეხედულებების არსის გარკვევას, როგორებიც არიან რ. მერტონი, ტ. პარსონსი, პ.

სოროკინი, მ. ვებერი, ჯ. მორენო, ფ. ტიონისი, ე. სტეცელი, რ. არონი, ჟ. პიაჟე და სხვ. ზოგიერთ მათგანთან მას პირადი შეხვედრებიც კი ჰქონდა. პაატა გუგუშვილს არ შეემლო ელალატა მეცნიერული ობიექტურობისა და კეთილ-სინდისიერებისათვის.

თავის მრავალ ნაშრომში, აღიარებული პარტიული კურსის საწინააღმდეგოდ, პ. გუგუშვილი სოციოლოგიური მეცნიერების დარგობრივი განვითარების აუცილობლობის დასაბუთებას ისახავს მიზნად. იგი დაუფარავი სიმპათიითაა განწყობილი და საკმაო დეტალებით აგვიჩერს დასავლეთში გავრცელებულ დარგობრივ სოციოლოგიურ დისციპლინებს: ინდუსტრიულ სოციოლოგიას, სამართლის, რელიგიის, ხელოვნების სოციოლოგიებს, ოჯახის სოციოლოგიას, სამხედრო სოციოლოგიას, თავისუფალი დროისა და მოვალეობის სოციოლოგიას, პროფესიის სოციოლოგიას და სხვ. ამაღლებდა რა მათ მნიშვნელობას, ამით იგი ფაქტობრივად გზებს გვიჩვენებდა სოციოლოგიის დარგობრივი განვითარებისაკენ საქართველოში. გამგებს ეს უნდა გაეგო. გამოჩენილი მკვლევარი ღრმა გულის ტკივილს გამოითქვამდა იმის გამო, რომ საქართველოში ცოტა რამ კეთდებოდა ამ მიმართულებით, რომ თვით სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი კურსის კითხვა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1923 წელს დაიწყო, სულ მალე შეწყდა და სოციოლოგიური კვლევა-ძიების შესაძლებლობაც დაიხშო.

პ. გუგუშვილი თვით გვამლევდა დარგობრივ სოციოლოგიაში მუშაობის ბრწყინვალე ნიმუშებს. სოციოლოგიის ქომავს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სოციალური დემოგრაფიის დაფუძნებაში. ამ დარგში მან 50-ზე მეტი ნაშრომი შექმნა. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნაშრომები: „საქართველოს

მოსახლეობა 160 წლის მანძილზე“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“, „დემოგრაფიული ნარკვევები“.

ამ ნაშრომებში, მსოფლიოს, ამიერკავკასიის და საქართველოს დემოგრაფიული პროცესების ანალიზთან ერთად, აღძრულია და გარკვეული მოსახლეობის აღწარმოების დიდმნიშვნელოვანი სოციოლოგიური პრობლემები, მოსახლეობის მოძრაობის ტემპები, ქორწინება და განქორწინება, სექსუალური მორალი, ოჯახის სტრუქტურის, შობადობის, შვილიანობისა და მოსახლეობის დინამიკის პრობლემები. დასკვნები არგუმენტირებულია დიდი ეკონომისტისათვის ჩვეული საგანგებო და დამაჯერებელი სტატისტიკური მასალით, კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის მონაცემებით.

მონოგრაფიაში „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები“, პ. გუგუშვილი ასეთივე ღრმა მეცნიერულ ანალიზს უქვემდებარებს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სოციოლოგიურ პრობლემებს, აქსელერაციის, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის, დასაქმების, განათლების და სხვა საკითხებს. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალგაზრდული მოძრაობის საწყისებისა და ფორმების საფუძვლიან დახასიათებას.

ფართო დიაპაზონის მკვლევარმა უაღრესად საინტერესო ნაშრომები შექმნა მსოფლიო და ქართული სოციოლოგიური აზროვნების ისტორიის მიმართულებით. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიკვლია შოთა რუსთაველის. ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას სოციოლოგიური შეხედულებები. ეს ნაშრომები აღტაცებას იწვევს მეცნიერული და პატრიოტული სულისკვეთებით.

უკვე აღინიშნა, თუ სოციოლოგიის რომელი დარგებისაკენ მიმართავდა აკად. პ. გუგუშვილი თავის მეცნიერულ ინტერესსა და ძალისხმევას. მაგრამ აქვე უნდა

დავძინოთ, რომ ეს ჩამონათვალის ჯერჯერობით არ არის სათანადოდ აღქმული და შეფასებული. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, მრავალრიცხოვანი შრომები, მონოგრაფიები, სტატიები, წერილები ამ მიმართულებით საგულდაგულო შესწავლას, ანალიზსა და განზოგადებას მოითხოვს. მითუმეტეს იმ ეტაპზე, როდესაც საფუძვლები ეყრება საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოში. დღეს ჭეშმარიტ ეკონომიკურ და სოციოლოგიურ აზროვნებას ძალუმს წინსვლა გაუადვილოს შეუქცევადი პროგრესის გზით მიმავალ, დიდი ისტორიისა და კულტურის შემოქმედ ქართველ ხალხს, მის თანამედროვე და მომავალ თაობებს, რაოდენ სამწუხაროა, რომ გვაკლია ქართული სოციალური რეალური ხედვა გუგუშვილისეული, ე.ი. ბრძნული ეკონომიკური პოზიციიდან. იმედად ისღა გვრჩება, რომ თავის შრომები, მათში განვითარებული დასკვნებითა და დებულებებით იგი კვლავ ჩვენთანაა, გვეხმარება, გვამხნევენს და გვმატებს ძალას.

ბედნიერია ადამიანი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ ამალღება უწერია შთამომავლობის წინაშე გაწეული ღვაწლის გამო. ეს სრული უფლევით ითქმის კ. გუგუშვილის დიდი ქართველი ეკონომისტის და სოციოლოგის, მრავალმხრივი მკვლევრის, უბადლო პედაგოგის, აღმზრდელის, საზოგადო მოღვაწის მიმართ.

2000 წელი

## *ელეუჯა მენაბდიშვილი*

### **აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში სოციოლოგიის განვითარების საქმეში**

დიდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დაფუძნება-განვითარებაში. ეკონომიკური მეცნიერების გამოჩენილმა მკვლევარმა და ორგანიზატორმა თავისი ფართო ერუდიცია, მეცნიერული ალლო და დიდი გამოცდილება წარმართა იმისათვის, რომ საქართველოში განვითარებულიყო სოციოლოგიური მეცნიერება. მეცნიერული დიდების მწვერვალზე მყოფი ადამიანებისათვის იმ პერიოდში სოციოლოგიაში მუშაობა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან იგი უშფოთველი ცხოვრების გარანტიას არ იძლეოდა. სოციოლოგიური მეცნიერების გზა ფათერაკებისა და მოულოდნელობებისგან თავისუფალი არ იყო. მეტი სიცხადისათვის აღვნიშნავთ, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმდროინდელ ვიცე-პრეზიდენტს რუმინცევს შეპანსკის წიგნის „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებების“ რუსულ ენაზე გამოქვეყნების გამო თანამდებობის დატოვება მოუხდა, ხოლო პროფესორი იური ლევადა მეცნიერებიდან განდევნეს ბურჟუაზიული სოციოლოგიისადმი არასათანადო მარქსისტული დამოკიდებულების გამო.

სოციოლოგიაში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის აქტიური მოღვაწეობა შემთხვევითი არ იყო. თუ გავითვალისწინებთ სახელოვანი მეცნიერის ფართო ერუდიციას და იმას, რომ მისი ძირითადი ნაშრომები



ეკონომიკის საკითხებზე დღევანდელი გაგებით ეკონომიკური სოციოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ეს კანონზომიერად გვეჩვენება. სწორედ ეკონომიკური სოციოლოგიის პრობლემების დამუშავებამ განაპირობა ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სოციოლოგიურმა ასოციაციამ, რომელიც 1958 წელს შეიქმნა, ბატონი პაატა აირჩია პრეზიდენტის ერთ-ერთ წევრად და დელეგატად გაგზავნა სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესზე, სადაც სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად აირჩიეს.

სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში მონაწილეობამ აკადემიკოს პაატა გუგუშვილისათვის ხელმისაწვდომი გახადა, ერთი მხრივ, უშუალო კონტაქტები მსოფლიოს წამყვან სოციოლოგებთან, მეორე მხრივ, ინფორმაცია სოციოლოგიური მეცნიერების მდგომარეობის შესახებ როგორც საერთოდ, ისე ცალკეული ქვეყნების მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირში და ცხადია, საქართველოშიც ერთობ მწირი ინფორმაცია არსებობდა თანამედროვე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სოციოლოგიის სამეცნიერო ცენტრების, ჟურნალებისა და სხვა გამოცემების, დამუშავებული და დამუშავების პროცესში მყოფი პრობლემების შესახებ, გასაგები გახდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში სოციოლოგიის განვითარებისთვის მის მიერ მომზადებულ და გამოქვეყნებულ ნაშრომს აშშ-ს, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის სოციოლოგიის სამეცნიერო ცენტრების, საკვლევე პრობლემებისა და მეცნიერული მიღწევების შესახებ.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში იწყება საქართველოში სოციოლოგიის დამკვიდრება. პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად მკვლევარ სოციოლოგთა

სტრუქტურული ქვედანაყოფები შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. სახელდობრ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრა (კათედრის გამგე პროფ. ვენორი ქვაჩახია), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში – სოციოლოგიის ლაბორატორია (ხელმძღვანელი პროფ. მიხეილ გეგეშიძე), ფილოსოფიის ინსტიტუტში – კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია (ხელმძღვანელი დოც. ალექსანდრე ვაჩეიშვილი), ხოლო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სოციოლოგიის პრობლემების განყოფილება – აკად. პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით.

სამეცნიერო-კვლევითი თემატიკით აკადემიის სისტემაში არსებული სოციოლოგიური სტრუქტურები ურთიერთს გაემიჯნენ. ბატონი პაატას ხელმძღვანელობით განყოფილება იკვლევდა დემოგრაფიული სოციოლოგიის, ახალგაზრდობის, თავისუფალი დროისა და ეკონომიკური სოციოლოგიის პრობლემებს. ა. ვაჩეიშვილის ხელმძღვანელობით ლაბორატორიაში მუშავდებოდა ინდუსტრიული სოციოლოგიის ისეთი პრობლემები, როგორცაა მცირე სოციალური ჯგუფების კვლევის მეთოდოლოგია.

ბატონი პაატა აქტიურად მონაწილეობდა სოციოლოგიური ცოდნის გავრცელებაში. იგი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო იმ დისკუსიებისა და შეხვედრებისა, რომლებიც იმართებოდა 60-იან წლებში სოციოლოგიის სხვადასხვა საკითხებზე.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო პ. გუგუშვილის მეცნიერული მუშაობა. მან თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა საზღვარგარეთის თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და მიმართულებების შეფასების, დარგობრივი

სოციოლოგიური დისციპლინების განვითარების, ქართული სოციოლოგიური აზროვნების ისტორიის, ახალგაზრდობის სოციოლოგიური პრობლემებისა და ქართული სოციოლოგიური ტერმინოლოგიის შესახებ. იგი არის საქართველოში სოციალური დემოგრაფიის შემქმნელი. ბატონი პაატას სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში პირველი ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკვლევა ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხებზე.

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მხოლოდ ის, რომ შექმნა საქართველოში სოციალური დემოგრაფია, შემოიკრიბა და სოციოლოგიურ მეცნიერებას აზიარა ათეულობით ახალგაზრდა, საკმარისია იმისათვის, რომ მას გამორჩეული ადგილი ეკავოს ქართული სოციოლოგიური მეცნიერების ისტორიაში. ბატონი პაატას მიერ დაკვალიანებული ახალგაზრდები დღესაც აგრძელებენ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის საქმეს – იკვლევენ საქართველოში ეკონომიკური სოციოლოგიის, სოციალური დემოგრაფიის, ახალგაზრდობის სოციოლოგიის და სხვა პრობლემებს, რითაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში სოციოლოგიური მეცნიერების განვითარებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## *რამაზ აბესაძე*

### **თაობიდან თაობას გადაეცემა მისი სახელი**

დიდი ადამიანები მხოლოდ სიცოცხლეში გაკეთებული ბევრი კარგი საქმის გამო როდი არიან საზოგადოებისათვის სასარგებლონი. ისინი გარდაცვალების შემდეგაც თავიანთი ნამოღვაწართ სხვებს გზას უნათებენ და შთააგონებენ კეთილ საქმეთა კეთებას. სწორედ ასეთი პიროვნება იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, შესანიშნავი მეცნიერი, პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

ბატონი პაატას პიროვნების შესახებ პირველად სტუდენტობის პერიოდში შევიტყვე. მართალია, იგი უშუალოდ არ მასწავლიდა, მაგრამ სტუდენტები და ლექტორები ბევრს საუბრობდნენ მასზე, როგორც სახელმოხვეჭილ მეცნიერსა და შესანიშნავ პედაგოგზე. საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორი უანგარო და ობიექტური იყო იგი სტუდენტებთან ურთიერთობაში, როგორ ასაჩუქრებდა სტუდენტს, რომელიც უმაღლეს შეფასებას მიიღებდა და სხვ.

ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებაც, რომ ბატონი პაატა მეგობრობდა ქართული ლიტერატურის დიდ კლასიკოსთან კონსტანტინე გამსახურდიასთან და მის ოჯახთან. ამბობდნენ იმასაც, რომ მან კონსტანტინეს შვილს, ზვიადს საქართველოს პრეზიდენტობა უწინასწარმეტყველაო.

პირველად ბატონი პაატა ქალაქ თბილისის კომკავშირის აქტივისტთა შეკრებაზე ვიხილე. შეკრება საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული იყო, როდესაც აუდიტორიაში ქართული ახოვანებით გამორჩეული,

მნიშვნელოვანი პიროვნება შემოვიდა და პირველ რიგში დაჯდა. პრეზიდენტიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა შეკრების ხელმძღვანელი ჟიული შარტავა და იგი დიდი მოწიწებით პრეზიდენტში მოიწვია. პატივისცემის გამომხატველი ეპითეტებით წარდგენის შემდეგ, ბატონმა ჟიულიმ მას სიტყვა მისცა. მაშინ გავიგე, რომ ეს პიროვნება პაატა გუგუშვილი იყო. ბატონმა პაატამ შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. მან მიმოიხილა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ვითარება. სრულიად საქართველოს გასაგონად თქვა: საქართველო გადარჩება მაშინ, თუ ჩვენ გავმრავლდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს თავს თვითონ გამოვუტანთ განაჩენსო. ამ პრობლემით იგი მართლაც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, რაც მისმა შემდგომმა მოღვაწეობამ დაადასტურა. ბატონმა პაატამ მრავალი ნაშრომი მიუძღვნა დემოგრაფიულ პრობლემებს, მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოაყალიბა დემოგრაფიის ცენტრი, მის მიერ დაარსებულ ეკონომიკის ინსტიტუტში კი დემოგრაფიის განყოფილება და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მათ.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც წარჩინებული სტუდენტი, განაწილების გარეშე დამტოვეს, რათა მქონოდა ჩემი სურვილი სამუშაოს შერჩევის შესაძლებლობა. მე სამეცნიერო საქმიანობის სასარგებლოდ მივიღე გადაწყვეტილება და კეთილი ადამიანების რჩევითა და საკუთარი სურვილით მოვინდომე გუგუშვილის ინსტიტუტში მუშაობა.

ზოგი მარწმუნებდა, რომ ბატონი პაატა გარკვეული პიროვნებებისგან რეკომენდაციის გარეშე სამსახურში არ მიმიღებდა. ვინაიდან ასეთი ვერავინ ვიპოვე, გადავწყვიტე პირადად მიმემართა მისთვის.

ბატონ პაატასთან მიმავალი, რასაკვირველია, ველავდი, თუმცა ინტუიცია კარგს მიკარნახებდა. მასთან

შესვლისთანავე ყურადღება მიიქცია კაბინეტის დიდმა სივრცემ და ცნობილი ადამიანების სურათებმა, ბატონი პაატა თავის სამუშაო მაგიდასთან იდგა. თვალში საცემი იყო მისი უშუალო, სადა ყოველგვარ თანამდებობრივ ქედმაღლობას მოკლებული, ვაჟკაცური, მაგრამ ამავე დროს ინტელიგენტური იერი. ბატონი პაატა წამოდგა და მაგიდასთან მიმიწვია. მითხრა საიდანდაც მახსოვხარო, გულმოცემულმა ჩემი გასაჭირი უფრო გაბედულად მოვახსენე. იგი დაინტერესდა ჩემი წარმომავლობით, მშობლებით, განათლებით და ა.შ. ბოლოს მითხრა – ცუდი ბიჭი არ უნდა ჩანდე, წადი, ყველა საბუთი შეაგროვე, ერთი წლის შემდეგ მოდი და ვნახოთო.

ერთი თვის შემდეგ კვლავ გამოვცხადდი ბატონ პაატასთან. იგი კარგ ხასიათზე იყო და კარგადაც შემხვდა, თან დაინტერესდა, თუ მუშაობდა ვინმე მის ინსტიტუტში ისეთი, ვისაც შეეძლო ჩემთვის რეკომენდაცია გაეწია.

მე ერთი ახალგაზრდა თანამშრომელი, ჩემი ლექტორი დავუსახელე, მან ჩაიცინა და მითხრა:

– ეგ თვითონ რეკომენდაცია გასაწევია, სხვას თუ იცნობ?

– როგორ არა, – მოვუგე მე, – ბატონი ბიძინა კელენჯერიძე მასწავლიდა – მეთქი.

მან მდივნის მეშვეობით ბატონი ბიძინა გამოიძახა. მე და ბატონ ბიძინას, როგორც სტუდენტსა და ლექტორს კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩვენი გულთბილი შეხვედრა ბატონი პაატას გამჭირიან მზერას არ გამოჰპარვია. მან ბატონ ბიძინას მიმართა:

– ეს ბიჭი ცუდი არ უნდა ჩანდეს და თუ შენც რეკომენდაციას გაუწევ, თანამშრომლად მივიღებო.

ბატონმა ბიძინამ დადებითად დამახასიათა და ბატონი პაატას მითითებით ჩემს განცხადებას თავისი რეკომენდაცია მიაწერა.

ჩემს პირად საქმეში შემონახული ბატონ ბიძინას ეს ჩანაწერი დღესაც მახსენებს ინსტიტუტში ჩემი საქმიანობის დაწყებას, მახსენებს თუ როდენ კეთილი, უანგარო და ობიექტური დამოკიდებულება გამოიჩინა დიდმა ქართველმა კაცმა – პაატა გუგუშვილმა ჩემდამი.

ასევე დიდ ადამიანად დარჩა იგი ჩემს გონებაში მრავალ სხვა საქმეთა გამო.

თაობიდან თაობას გადაეცემა საქართველოს საამაყო შვილის, დიდი ერისკაცის, მეცნიერისა და პედაგოგის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის და  
სოციოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები

*ავთანდილ სულაბერიძე, ციციხოველი გვრიტიშვილი,  
ვლადიმერ სულაბერიძე*

**პაატა გუგუშვილი – სოციოლოგიური დემოგრაფიის  
ფუძემდებელი საქართველოში**

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან ყოფილ საბჭოთა კავშირში აკრძალვის მოხსნამ 30-იან წლებში გენეტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის ბურჟუაზიულ მეცნიერებად შერაცხულ დარგებზე, დღის წესრიგში დააყენა მეცნიერული კვლევების გაგრძელებისა და იმ ვაკუუმის შევსების აუცილებლობა, რომელიც ამ დარგებში შეიქმნა.

ბატონმა პაატა გუგუშვილმა თავის თავზე იტვირთა ამ ვაკუუმის შევსების ვალდებულება და სიმძიმე. მის მიერ გამოთქმული გულისტკივილი კი, რომ „საქართველოს მოსახლეობის საკითხები არსებითად დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევა-ძიების საგანი. დღემდე არ გვყავს არც ერთი მეცნიერი, რომლის სისტემატური კვლევა-ძიების საგანს შეადგენს ქართველოლოგიის ისეთი საკითხი, როგორცაა საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკა, საქართველოს დემოგრაფია...“<sup>4</sup>. რეალობასთან ერთად ჭეშმარიტად დიდი მეცნიერისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობაა, რადგანაც მისთვის „ქართველური მოსახლეობის ბუნებრივი მატების საკითხი... დიდი ხნის დაკვირვების ობიექტისა და საკირკიტო საგანს“<sup>5</sup> წარმოადგენდა. მის მონოგრაფიებში „საქართველოს და

---

<sup>4</sup> გუგუშვილი პ. (1971). სოციოლოგიური ეტიუდები. თბ. გვ. 345-346.

<sup>5</sup> გუგუშვილი პ. (1971). სოციოლოგიური ეტიუდები. თბ. გვ. 48.



ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“ უხვად არის ცნობები საქართველოს მოსახლეობის და მისი დინამიკის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ<sup>6</sup>. ეს არის მასალები არა მარტო ისტორიული დემოგრაფიის, არამედ ოჯახის სოციოლოგიის, სოციოლოგიური დემოგრაფიის მკვლევართათვის, როგორც წყარო და საფუძველი მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მაკროანალიზისთვის.

ბატონ პაატას მიერ 1960-იან წლებიდან შექმნილმა ნაშრომებმა განაპირობეს საქართველოში დემოგრაფიის, როგორც ზოგადსაკაცობრიო მეცნიერების დაფუძნება და ქართული დემოგრაფიული ისტორიისთვის საფუძვლების შექმნა. იგი მიჩნეულია ქართული დემოგრაფიულ მოძღვრებათა კლასიკური ნაშრომების ავტორად<sup>7</sup>. ასევე ოჯახის სოციოლოგიისა და სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებლად საქართველოში, რასაც ერთხმად აღიარებენ ქართველი სოციოლოგებიც და დემოგრაფებიც, მათ შორის ბ. ლუტიძე, ა. სულაბერიძე, ე. მენაბდიშვილი და სხვ.

წინა წლებში ჩვენ განვიხილეთ ოჯახის სოციოლოგიის საკითხები პაატა გუგუშვილის ნაშრომებში<sup>8</sup>. ახლა ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ამ დიდი მეცნიერის, როგორც საქართველოში სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებლის ღვაწლი.

---

<sup>6</sup> გუგუშვილი პ. (1949) საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. მონოგრაფიები. ტ.1. გვ. 258-351; 659-700

<sup>7</sup> სულაბერიძე ა. (2006). პ. გუგუშვილი-დემოგრაფი (დემოლოგი). წიგნში „პაატა გუგუშვილი-დაბადებიდან 100 წლისთავი“. თბ. გვ. 122.

<sup>8</sup> სულაბერიძე ა., გვრიტიშვილი ც., სულაბერიძე ვლ. (2010). ოჯახის სოციოლოგიის საკითხები პაატა გუგუშვილის ნაშრომებში. ჟ. ეკონომისტი. თბ. №3.

სოციოლოგიური (სოციალური) დემოგრაფია ორი მეცნიერების – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის მიჯნაზე წარმოქმნილი დარგია, რომლის შესწავლის მიზანს წარმოადგენს დემოგრაფიული და სოციალური პროცესების ურთიერთგავლენის, სოციალური ნორმების, დემოგრაფიული ქცევის სხვადასხვა სახეობების და მათი შესაბამისი განწყობებისა და ფაქტორების კვლევა. დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების სრულყოფილი ახსნისას ის ეყრდნობა სოციალური დემოგრაფიის მეთოდებსა და თეორიულ ბაზას, სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს<sup>9</sup>.

ბატონი პაატა თავის ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, დემოგრაფიულ ნაშრომებში წარმატებით იყენებდა დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდებს. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს განიხილავდა სისტემური მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. მუდმივად ცდილობდა გამოეველინა მთელის (საზოგადოების) და მასთან დაკავშირებული მიკროორგანიზმების (ინსტიტუტების, მ.შ. ოჯახის) ურთიერთკავშირების და ურთიერთზემოქმედების მექანიზმები.

ამჟამად, არ შევხებით რა პაატა გუგუშვილის 50-ზე მეტ ნაშრომს დემოგრაფიაში, შემოვიფარგლებით მხოლოდ მისი 1973 წელს გამოცემული მონოგრაფიის განხილვით „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, რომელიც ეხმაურებოდა გაეროს მიერ 1974 წლის დემოგრაფიის მსოფლიო წლად გამოცხადებას. აღნიშნულ ნაშრომში ბ-ნმა პაატამ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები გააშუქა მრავალი მიმართულებით, მ.შ. სოციოლოგიური დემოგრაფიის კუთხითაც.

---

<sup>9</sup> წულაძე გ. (2005). დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. გვ. 60-61.

მონიგრაფიაში გაშუქებულ საკითხთა ჩამონათვალი, კერძოდ, მოსახლეობის, როგორც ძირითადი მწარმოებლური ძალის აღწარმოების პროცესი, შობადობისა და მოკვდაობის, ბუნებრივი მატების ტემპები, ეროვნული შემადგენლობა, ურბანიზაცია, საქორწინო ასაკი, ქორწინება და განქორწინება, ოჯახი და საზოგადოება, მოსახლეობის აღწარმოების პროგნოზი და შრომითი რესურსები, უფლებას გვადლევს აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდიდან იწყება დემოგრაფიული მეცნიერების აღორძინება და ევოლუცია საქართველოში.

მონოგრაფიის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს, რომ მასში იქ სადაც შესაძლებელი იყო შედარებითი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია მსოფლიოში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამიერკავკასიასა და უშუალოდ საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის აღწარმოებისა და ოჯახის პრობლემები, ქორწინების, განქორწინების საკითხები და ოჯახის ფორმირების ახალი ტენდენციები.

ბატონი პაატასთვის მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული მოვლენები მხოლოდ სტატისტიკური დაკვირვებისა და მათემატიკური გათვლების საფუძველი არ იყო. ხაზს უსვამდა რა ოფიციალური სტატისტიკის შეზღუდული შესაძლებლობებს მოსახლეობის აღწარმოების მთელი არსის, საზოგადოებაში არსებული გარკვეული სოციალური ნორმების გამოვლენის თვალსაზრისით, აუცილებლად მიაჩნდა ანკეტური გამოკითხვის გზით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ნაციონალური ოჯახის ერთობლიობის შვილიანობის გასათვალისწინებლად. 1969 წელს პაატა გუგუშვილი თვითონ ჩაუდგა სათავეში საქართველოში შობადობის სოციოლოგიური გამოკვლევის პირველ მცდელობას, რომელიც საკავშირო კვლევის ნაწილს წარმოადგენდა და რომელიც შემდგომში საქართველოს

სხვადასხვა რეგიონში ლოკალური გამოკვლევებით გაგრძელდა<sup>10</sup>. შემდგომში იგი არაერთხელ მიბრუნებია ასეთ გამოკითხვებს.

ოჯახში ბავშვთა რაოდენობის გარკვევას ისახავდა მიზნად თსუ-ს და პოლიტექნიკური ინსტიტუტის III და IV კურსის სტუდენტებში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვა, რომლის მასალებიც ასახულია ჩვენს მიერ განხილულ მონოგრაფიაში.

ეს გამოკითხვები იყო წანამძღვარი საქართველოში არა მარტო სოციოლოგიური დემოგრაფიის, არამედ ოჯახში შვილთა ყოლის მოთხოვნილებების შესწავლით მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის კვლევების დაწყებისაც, რაც დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით განახორციელეს მისმა მოწაფეებმა გ. წულაძემ და სხვებმა.

პ. გუგუშვილი სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებლად იმიტომაც არის მიჩნეული, რომ დემოგრაფიულ პროცესთა თავისებურებებისა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების ახსნისა იგი ეყრდნობოდა იმ დებულებას, „... რომ დემოგრაფიული პროცესები მრავალფაქტორიანი სოციალური ფენომენია“ და ფაქტების კონსტატაციის გვერდით აუცილებელია „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების და პოლიტიკური მდგომარეობის სიღრმისეული პროცესების გათვალისწინება, ისტორიული წიაღსვლანი, ზოგჯერ შორეული ფესვების ძიებაც, რამდენადაც აქ, ამა თუ იმ ზომით, მოქმედებენ არა თუ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და ახლა თითქმის მივიწყებული ზნე-ჩვეულებები, ყოფიერებითი მომენტები

---

<sup>10</sup> წულაძე გ. (1984). შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბ. გვ. 5.

და სხვა. არამედ საერთოდ ნაციონალური, რელიგიური და თვით რასობრივი წარმომავლობის ფაქტორები<sup>11</sup>.

დემოგრაფიულ პროცესთა თავისებურებებისა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების ახსნა პ. გუგუშვილის ყველა დემოგრაფიული ნაშრომის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ საინტერესოა იმით, რომ მასში მოცემულია იმ პერიოდის (1973 წლამდე) დემოგრაფიული, სოციოლოგიურ-დემოგრაფიული პრობლემების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, კერძოდ: საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე დემოგრაფიული პროცესების, კერძოდ ბუნებრივი მატების, მოსახლეობის აღწარმოების ტემპების, როგორც მრავალფაქტორიანი სოციალური ფენომენის კანონზომიერებათა გამოვლენისათვის, პაატა გუგუშვილს აუცილებლად მიაჩნდა იმის გათვალისწინება, რომ „... წინა პლანზეა ადამიანის და თვით საზოგადოების, ნაციის პირველი ბუნებრივი მისწრაფება – იყოლიოს და დატოვოს შთამომავლობა და ადამიანის მეორე ბუნებრივი მისწრაფება – მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ეს მოთხოვნილებები ერთობლივი მოქმედების ფაქტორებია, ხოლო მათი სრული დაკმაყოფილება ურთერთშეპირობებულ პროცესს ქმნის. ამ პროცესში ჩაერთვებიან კიდევ მორალური, ეთიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული, რელიგიური და სხვა ფაქტორები, რომლებიც, საბოლოოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და სერთოდ მატერიალური პირობებით განისაზღვრება“<sup>12</sup>.

---

<sup>11</sup> გუგუშვილი პ. (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. გვ. 7.

<sup>12</sup> გუგუშვილი პ. (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. გვ. 11.

სწორედ ასეთი ვითარების გამო წინა პლანზე გამოდის სოციალური ფაქტორების გავლენა მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე. ბ-ნი პაატა აღნიშნავდა, რომ „დემოგრაფიული ფაქტების, როგორც მთავარი ობიექტის შესწავლასთან ერთად აუცილებელია ყურადღების გამახვილება საკუთრად ადამიანის, პიროვნების, როგორც დემოგრაფიული ქცევის სუბიექტზე“, რადგანაც „რეალურ დემოგრაფიულ ფაქტებს (ქორწინებას, შობადობას, გაყრას) განსაზღვრავს დემოგრაფიული ქცევა, რაც შეპირობებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი ყოფიერებით, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მისი პიროვნების ჯგუფის სტატუსით, რომელიც ადამიანს უყალიბებს ოჯახის იდეალის, ქორწინების, შვილიანობისადმი დამოკიდებულებების ფასეულობათა სისტემას“<sup>13</sup>.

პაატა გუგუშვილმა მსოფლიოსა და საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება იმ მოვლენების ანალიზით მოახდინა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეული მსოფლიო საზოგადოებრიობის მატერიალური და სულიერი წარმოების ყველა სფეროში სწრაფი აღმავლობის ფონზე.

როგორც ცნობილია იმ პერიოდში დაიწყო მოსახლეობის გადანაწილება წარმოებისა და მომსახურების ახალ დარგებში, ძველი ოჯახური, ნათესაობრივი კავშირების რღვევა, მწარმოებლური ოჯახის მომხმარებლურზე გადასვლის პროცესი. რასაც ეკონომიკური ზრდის კვალობაზე დაემატა მოკვდაობის დონის შემცირება და შედეგმაც არ დააყოვნა – საზოგადოებაში თავი იჩინა ახალი დემოგრაფიული განწყობების შესაბამისი ქცევების ჩამოყალიბებამ.

---

<sup>13</sup> გუგუშვილი პ. (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. გვ. 13

ინდუსტრიულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებათა შორის პაატა გუგუშვილი განსაკუთრებულ ყურადსაღებ მოვლენად მიიჩნევდა სიახლეებს შრომის დანაწილების სისტემაში, რის შედეგადაც ნათესაური უჯრედებისა და ოჯახის მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია გადავიდა ოჯახს მიღმა სპეციალიზირებულ დაწესებულებათა კომპეტენციაში. ოჯახური კავშირების სიმყარე შეასუსტა საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების მასობრივმა ჩართვამ. ასეთ ვითარებაში მინიმუმზე მეტ შვილს შეუძლია ხელი შეუშალოს ქალებს პროფესიულ საქმიანობასა და კარიერულ წინსვლაში. ამასთან შვილები უმრავლეს შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობენ იმ საქმიანობაში (საწარმოებში), რომლებშიც დასაქმებული არიან მშობლები. ოჯახი მართალია შენარჩუნდება როგორც ეკონომიკური ერთეული, მაგრამ როგორც წარმოებრივი ერთეული კარგავს თავის ფუნქციებს. ეს პროცესი განსაკუთრებით თავს იჩენს ქალაქად. ამას ემატება აგრეთვე ნივთიერი კეთილდღეობის ამაღლება, განათლების მიღების გართულება და გახანგრძლივებაც. იზრდება მოსახლეობის კულტურული დონე, ხდება ქორწინებათა გადავადება. მიმდინარეობს მშობელთა მორალური პასუხისმგებლობის ზრდა და ძლიერდება შვილთა რაოდენობის შიგაოჯახური დაგეგმვის შესაძლებლობა. განათლებულ წრეებში სულ უფრო იზრდება კონტრაცეპტივების გამოყენება.

განხილულ მონოგრაფიაში კიდევ ერთ ასპექტს აღვნიშნავთ. ფერტილობის (შვილიანობის) დონის დაქვეითების ახსნისას, ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ურბანიზაციის გავლენას მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებზე. ბატონი პაატა აღნიშნავდა, რომ „მართალია ურბანიზაცია ინდუსტრიული და საერთოდ ეკონომიკური ზრდის ყველაზე ეკონომიკური გზაა, მაგრამ განვლილი ცივილიზაციის ისტორია მეტყველებს, რომ მოსახლეობის

ბუნებრივი გამრავლების ტემპებით ქალაქი შესამჩნევად ჩამორჩება სოფელს<sup>14</sup>.

ქალაქის მოსახლეობაში ჩამოყალიბებული რეპროდუქციული განწყობები შემდგომში გადაეცემა სოფლის მოსახლეობასაც, რაც სოფლად შობადობის დონის კლებას გამოიწვევს. ცნობილია, რომ „ქალაქებში მიგრანტების (სოფლიდან) შობადობის დონე რამდენადმე მეტია, ვიდრე მკვიდრი ქალაქელებისა. ამასთან ეს განსხვავება უკვე შემდგომი თაობისათვის ქრება. ქალაქის მოსახლეობაში სოფლის მოსახლეობასთან შედარებით მეტია განქორწინების დონე და სხვა“<sup>15</sup>. ამრიგად ქალაქად დაწყებული ოჯახის ტრანსფორმაციის პროცესები სოფლად იჩენს თავს.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, აკრიტიკებდა რა 1920-იან წლებში იმდროინდელ საბჭოთა კავშირში სქესობრივი მორალისა და ოჯახის საკითხების დისკუსიებზე გამოთქმულ ძირითადად ვულგარულ-მატერიალისტურ შეხედულებებს, რომლებიც ოჯახის გაქრობასაც წინასწარმეტყველებდნენ, ბატონი პაატა აღნიშნავდა, რომ „... საერთოდ საზოგადოებრივი მატერიალური და სულიერი წარმოების მთელი პროგრესი, რაც თავის განვითარების ზოგიერთ საფეხურზე რევოლუციის ხასიათს ღებულობს და მაშასადამე საფუძვლიანად ცვლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და კერძოდ თვით ოჯახის სტრუქტურას... შორეული მომავლის სოციალური ცხოვრების კონკრეტული სურათების ხატვა, მეტ-ნაკლები ზომით, თუ ყოველთვის უტოპიური არაა, შეიძლება ვივიარაუდოთ, რომ წყვილის

---

<sup>14</sup> გუგუშვილი ვ. (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. გვ. 46.

<sup>15</sup> წულაძე გ. (2005). დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. გვ. 259.



კავშირი – ოჯახი, რომელიც ჩაისახა და ჩამოყალიბდა მცირე ავტარკიული ჯგუფის სახით, დაუსრულებელი ფორმაცვალებადობის გზით წავა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურზე დარჩება, როგორც ადამიანთა მოდემის მარადიული აღწარმოების სოციალური და ბიოლოგიური აუცილებლობა“<sup>16</sup>.

---

<sup>16</sup> გუგუშვილი პ. (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. გვ. 71.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და  
სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

## *იზოლდა აბაშიძე*

### **ბუმბერაზი პიროვნება**

რა სწრაფად გადის დრო. 100 წელი შესრულდა ბატონი პაატას დაბადებიდან. ასე მგონია, გუშინ გადავუხადეთ 80 წლისთავი. რა ჭარმაგად და მხნედ გამოიყურებოდა, როგორი ბრწყინვალე, შეუბღალავი აზროვნება ჰქონდა. სწორედ იმ იუბილეს დღეებში შესანიშნავად წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი: „ვისაც პაატა გუგუშვილი უნახავს და მითუმეტეს ისინი, ვისაც ბედნიერება ჰქონია მასთან თანამშრომლობისა და ახლო ურთიერთობისა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ იგი საოცრად მოგვაგონებს ჩვენი წარსულის გამოჩენილ მწიგნობრებს, თერგდალეულთა პლეადის დარბაისელთ. ხშირად ამიდევენებია თვალი ქუჩაში დინჯად მიმავალი პაატა გუგუშვილისათვის. ასე დადიან აზრითა და ფიქრით დატვირთული ადამიანები, მძლავრი ტალანტის შუქით გაბრწყინებულნი“.<sup>17</sup>

ნამდვილად დიდი ბედნიერება მხვდა წილად, რომ წლების მანძილზე ვიშრომე და ვიმოღვაწევე ამ დიდი ადამიანის გვერდით, რომელმაც მუხლჩაუხრელად აკეთა თავისი საკეთებელი, მიაღწია ისეთ წარმატებებს, რაც დიდად აჭარბებს ერთი ადამიანის შესაძლებლობებს, ბოლომდე გაიხარჯა თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარულში, არ დარჩენია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც

---

<sup>17</sup> მურმან მურადაშვილი. წიგნის სამყარო. 1985 წ., 9 ოქტომბერი

ერთი სფერო თავისი კომპეტენტური სიტყვა რომ არ ეთქვა, თავისი გონიერება რომ არ წარმოეჩინა.

ბევრი ითქვა და დაიწერა ბატონ პაატას მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ. მე, როგორც მის ერთ-ერთ მოწაფეთაგანს, დიდი მოწიწებით, უაღრესად მოკრძალებულად მინდა შევეხო მის პიროვნებას, როგორც მოქალაქეს, მის ღვაწლსა და საქმიანობას. ბატონი პაატა ამ ამპლუაშიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც მეცნიერებაში.

მას ბედად დაჰყვა ცხოვრებაში თავისი საქმიანობით გამორჩეული ყოფილიყო. იგი ქართველ მეცნიერთა შორის პირველი იყო, რომელსაც დისერტაციის დაცვის გარეშე, სტუდენტობის დროს დაწერილი შრომებისათვის მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. საკმაოდ ავტორიტეტულ და ძლიერ მეცნიერ-ეკონომისტთა შორის მას ერგო უპირატესობა და არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჯერ წევრ-კორესპონდენტად, შემდეგ აკადემიკოსად. საქართველოში მან ითავა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის შესწავლა, დაინტერესდა და შეუდგა ისეთი ახალგაზრდა მეცნიერული დარგების განვითარების ხელშეწყობას, როგორცაა სოციოლოგია და დემოგრაფია. აღადგინა ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, დააარსა ეკონომიკის ინსტიტუტი, შეჰქმნა უძლიერესი ქართული ეკონომიკური სკოლა, ბევრი იბრძოლა და მოამზადა ნიადაგი დემოგრაფიის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად. რომელი ერთი შეიძლება ჩამოვთვალოთ... ყველაფერი ეს კი 60 წლის მანძილზე სამეცნიერო ასპარეზზე მისი მოღვაწეობის პერიოდში, ამა თუ იმ ეტაპზე წამოიჭრებოდა ხოლმე.

მთელი მისი საქმიანობა მისი ცხოვრების მთავარი აზრიდან – სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარეობდა. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც თავის ქვეყანას სჭირდებოდა, იმ საჭირო საქმეს აკეთებდა, რაც

მოცემულ მომენტში ქვეყნისათვის იყო აუცილებელი. „მგზნებარედ უნდა გიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, მშობელი ხალხი, არა მხოლოდ სიტყვებით არამედ საქმით. ეს გადამწყვეტია“. – წერდა ბატონი პაატა და არაფერს ეპუებოდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლაში. ამ შეუპოვრობამ ბევრი უსიამოვნებაც შეამთხვია ცხოვრებაში.. მაშინ, როცა ხალხი თავს არიდებდა თამამი აზრის გამოთქმას, იგი თავგამოდებით იბრძოდა როკის გვირაბის გაყვანის წინააღმდეგ. არ მაღავდა თავის შეხედულებას და ხმამაღლა აცხადებდა: ბუნებრივი საზღვრის ძალით დარღვევა კარგს არაფერს გვიქადისო. სასტიკი წინააღმდეგი იყო ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანისა. არასასურველ ეკოლოგიურ შედეგებთან ერთად ემინოდა უცხო მუშახელის ჩამოსახლების. სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ საქართველოში ძალიან მაღალი იყო ქართველი მოსახლეობის კონცენტრაციის პროცენტი. ამაყობდა ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულით და ხშირად იმეორებდა ძველისძველ სიბრძნეს: ვინც არ იცის, საიდან მოდის, მან არ შეიძლება იცოდეს საით მიდისო. ამიტომ ისტორიისა და წარსულის ცოდნას დიდ როლს ანიჭებდა მომავლის შენების საქმეში. ასე სწამდა თვითონ და ამიტომაც იყო, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით, არაჩვეულებრივი ცოდნით. ეამაყებოდა ჩვენი წარსული და უნდა გენახათ, როგორი გატაცებით შეეძლო ესაუბრა უცხოელ სტუმრებთან ჩვენს გმირულ ისტორიაზე. მახსოვს, ერთხელ ბოტანიკურ ბაღში სეირნობდა. გაუყვა გზას და ქართლის დედის ძეგლთან მივიდა იმ დროს, როცა უცხოელების ჯგუფი ათვალიერებდა იქაურობას. ჯგუფს არაქართველი ექსკურსიამძღოლი ახლად, რომელმაც რუსულად, ორი სიტყვით აუხსნა სტუმრებს, რომ ეს იყო ქართველი ქალის ქანდაკება და დაუსახელა მისი ავტორი. ძეგლის შინაარსზე ყურადღება არ

გაუმახვილებია. აღშფოთებული დაბრუნდა უკან. როგორ შეიძლება უცხო სტუმრებს არაქართველი გიდი დაჰყვებოდეს, ასე მშრალად ლაპარაკობდეს და ეროვნული სული და სიამაყე არ წარმოაჩინოსო. არც ის მოსწონდა სასტუმროებში მომსახურე პერსონალი ძირითადად არაქართველი რომ იყო. ისინი უშუალო კავშირში არიან ჩამოსულ სტუმრებთან და იქ აუცილებლად ქართველები უნდა მუშაობდნენო. ბევრჯერ მიმართა ამასთან დაკავშირებით ზემდგომ ორგანოებს. მოახსენა თავისი გულისტკივილი, დიდხანს ელოდა რაიმე ცვლილებას ამ სფეროში, მაგრამ ამაოდ...

ბატონ პაატასათვის თავისი ქვეყნისა და მშობელი ხალხის სიყვარული რომ უპირველესი იყო საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა... ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც თავისი ძვირფასი მასწავლებლის ფილიპე გოგიჩაიშვილის დახასიათებისას დაწერილი სიტყვები: „ფ. გოგიჩაიშვილი, – ხაზს უსვამდა ბატონი პაატა, – მაღალი წარმოდგენისა იყო ქართველი ხალხის კულტურასა და მის სულიერ პოტენციაზე და ეს ნებას არ აძლევდა მას უცხოეთში, საერთოდ საქართველოს გარეთ, თუ შინ ყოფნისას, ვინმეს წინაშე თავისი სამშობლო და საკუთარი თავი დაემცირებია. ეთქვა, ჩამორჩენილი ქვეყნიდან ვარ, დამეხმარეთ, ფეხზე დამაყენეთ და თქვენი კაცი ვიქნებიო. არ ეკადრებოდა და, რაც მთავარია, არასოდეს არ უკადრია. თავისთავად უაღრესად თავმდაბალს, ასეთ ვითარებაში თავი ყოველთვის მაღლა აწეული ეჭირა და თავისი ძლიერი ენერგიით, ნიჭით, მუყაითობით, ბეჯითობით ცდილობდა გზა გაეკაფა, რათა თავისი სამშობლოსათვის მეტი სარგებელობა მოეტენა“.

მთელი მისი ქმედება, ყოველდღიური ყოფა, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვის დადასტურება იყო. მეცნიერებაშიც მისი ახალ-ახალი მიეზანი ერის სატკივარს

უკავშირდებოდა. ასე იყო მაშინ, როცა ქართული წიგნის, ქართული ბეჭდვის ისტორიის შესწავლა დაიწყო. ასე იყო მაშინ, როცა თავისი დიდებული მეცნიერული ალღოთი საქართველოში პირველმა დაიწყო სოციოლოგიისა და, როგორც თვითონ ამბობდა, ჩვენი ცივილიზებული საუკუნის ერთი „წყევლაკრულვიანი“ საკითხის – დემოგრაფიის შესწავლა. ამავე მიზანს ემსახურებოდა მისი ზრუნვა ქართული ენის სიწმინდისა და მისი დახვეწის საქმეში, განსაკუთრებით ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. უამრავი ახალი ტერმინი შემოიტანა ქართულ ლექსიკურ ფონდში. თითქმის ყველა მათგანი შეისისხლხორცა ქართულმა ენამ. მახსოვს, მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ლოზუნგი „ეკონომიური ეკონომიკა“ რომ წამოსწიეს წინა პლანზე, ბატონი პაატა სიცილით ამბობდა: ცოტა ხნის წინ ტერმინი ეკონომიკა რომ არ დამკვიდრებულიყო, საინტერესოა რას იზამდნენო? ყოველივე ეს საკუთარი ჯანმრთელობის ფასად უჯდებოდა, ქვეყნის სასიკეთოდ იღწვოდა და პიროვნულად დიდ ტკივილს აწყდებოდა. არა და არ თმობდა პოზიციებს, იმიტომ რომ ერთ ტერმინზე, ეს იქნებოდა – მწარმოებლურობა, აღწარმოება, ეკონომიკა თუ სხვა – წლების მანძილზე მუშაობდა, სხვადასხვა ენაზე აზუსტებდა, აჯერებდა, დაადგენდა და ისე გამოჰქონდა საპაექროდ.

ადამიანის ღირსეულ თვისებებს რომ ჩამოთვლიდა, ბატონი პაატა ხაზს უსვამდა განათლებას, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებას, სპეციალობის ღრმა ცოდნას. „ამასთან, რაინდობა, ვაჟკაცობა, მამაცობა, სამშობლოს და სამართლიანობისათვის თავდადება, გამბედაობა და პრინციპულობა, შეუპოვრობა და სხვა მრავალი ძვირფასი თვისება მუდამ იქნება ნაღდი კაცის დამამშვენებელიო“ – წერდა ბატონი პაატა და თვითონაც არასოდეს გადაუხვევია საკუთარი მრწამსიდან.

შრომა მიაჩნდა მას ადამიანის უპირველეს მოვალეობად. „არაფერი ისე არ ამშვენებს ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცეო“ – ხშირად იმეორებდა თავისი მეგობრის, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს. სწამდა, რომ საქვეყნო გარჯა, ძიება და მოღვაწეობა საზოგადოების ძლიერების, მისი თითოეული წევრის სრულქმნის, სამშობლოს გაღონიერების უპირველესი წყარო.

ბატონი პაატას უდიდესი შრომისმოყვარეობის შედეგია ის ძვირფასი ნაშრომები რომლებიც მან შთამომავლობას დაუტოვა. განსაცვიფრებელი იყო სიცოხლის ბოლომდე მისი დაუღალავი, ახალგაზრდული ენერჯია. ვერავინ იტყოდა, რამდენი ეძინა დღე-ღამის განმავლობაში. კითხულობდა და წერდა დღისით, ღამით, დილით, საღამოს. თავისი განსაკუთრებული დღის რეჟიმი ჰქონდა. თუ რაიმეს დაგეგმავდა გასაკეთებლად, ვერ ისვენებდა, სანამ არ მიაღწევდა მიზანს. ერთხელ, ბოლო წლებში მძიმე ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. გაცეებული იყო მისი მეუღლე ქალბატონი ნინო – ოპერაციის წინა ღამით ოდნავი აღელვებაც კი არ შემჩნევია, მაშინ როცა მისსავე პალატაში ავადმყოფს, რომელსაც მასთან ერთად უნდა გაეკეთებინა ოპრეაცია, მთელი ღამე ნერვიულობისაგან არ ეძინა. ბატონმა პაატამ იმ ღამით რამდენიმე ფურცელი დაწერა დემოგრაფიის საკითხებზე და დილით საავადმყოფოში მისულ თანამშრომლებს სთხოვა გადაებეჭდათ და გაემზადებინათ მის გამოჯანმრთელებამდე. მადლობა ღმერთს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ეს ერთი პატარა დეტალი იყო იმ ადამიანის ცხოვრებიდან, რომელსაც სჯეროდა, რომ არამშრომელი. მუქთახორა არასოდეს ყოფილა კეთილშობილი, საზოგადოების კეთილდღეობი-სათვის მებრძოლი.

მისი შრომის საგანი არსებითად წიგნი იყო. წიგნი მიაჩნდა ამ ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანს სიბრძნის

უშრეტ წყაროდ, იგი ადამიანის ცნობიერების განვითარების უკიდევანო ზღვაა, წერდა ბატონი პაატა. სულით ხორცამდე უყვარდა ლიტერატურა. ამ დიდ პიროვნებას თითქმის ქართულ, ვაჟკაცურ გარეგნობასთან შეუსაბამო ნაზი, პოეტური სული ჰქონდა. ვერ წარმოიდგენთ რა შთამბეჭდავი იყო ექსპედიციების პერიოდში ბატონ პაატასთან გატარებული საღამოები. ვისხედით მის ირგვლივ და ვუსმენდით ამ საინტერესო ადამიანს, რომელსაც საათობით შეეძლო ეკითხა ვაჟა და აკაკი, ილია და გალაკტიონი. არანაკლებ უყვარდა რუსული პოეზიაც. ზეპირად იცოდა პუშკინის, ესენინის, ბლოკის, ტიუტჩევის და სხვათა უამრავი ლექსი. ამაში ხელს უწყობდა მისი ფანტასტიკური მეხსიერება, რომელიც სიკვდილამდე შემორჩა. დიდი განათლების წყალობით ბატონი პაატა ყველგან და ყოველთვის, ყოველ საზოგადოებაში გამოირჩეოდა და ყურადღების ცენტრში ექცეოდა. მის გვერდით შრომა და მოღვაწეობა დიდი ბედნიერება იყო. ამ ცოდნის ადამიანს ისე უშუალოდ ეჭირა თავი, რომ მასთან ურთიერთობა ძალიან ადვილი იყო. თუ რამეს გვაძლევდა წასაკითხად და ჩვენი აზრის გამოსათქმელად ადვილად ვუბედავდით შენიშვნასაც. გადმოგვხედავდა სათვალის ზემოდან, ვითომ მკაცრ სახეს მიიღებდა, მერე გაიღიმებდა და იტყოდა: კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდაო. არაჩვეულებრივი ალლო ჰქონდა, 300-გვერდიანი მასალა რომ მიგეტანა, სწორედ იმ ადგილს მიაგნებდა ერთი თვალის გადავლებით, რომელიც სუსტად იყო გაკეთებული.

ბატონი პაატა უაღრესად თავმდაბალი იყო, რაც ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანდა. მახსოვს, როცა ასპირანტურაში ჩავაბარე სოციოლოგიის სპეცილობით, ბატონმა პაატამ მოსკოვს მიმავლინა საჭირო მასალების გასაცნობად, თან ბარათი გამატანა პროფესორ ვლადიმერ მშვენიერაძესთან, რომელიც სოციოლოგიის დარგში მუშაობდა. ეს ბარათი



დღესაც შენახული მაქვს. იგი წერდა: „ბატონო ვლადიმერ, ამ ბარათის მომტანი ჩემი ასპირანტია სოციოლოგიაში. ჯერ-ჯერობით ვერც ერთი კარგად ვერ ვერკვევით ზოგიერთ საკითხში, გთხოვთ დაგვეხმაროთ ორთავეს. პატივისცემით პაატა გუგუშვილი“.

მისივე თავმდაბლობის ნიმუში იყო თუნდაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებული მეორე ამბავი. მე მშვენიერადის ნაცვლად სოციოლოგიის საკავშირო ასოციაციის პრეზიდენტს, პროფ. გენადი ოსიპოვს დაუკავშირდი. ჩემდა მოულოდნელად ოსიპოვმა შემომთავაზა, დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი მე ვიქნებო. შევწუხდი და ვუთხარი ჩემი ხელმძღვანელი ბატონი პაატა გუგუშვილი არის-მეთქი. მაშინ მეორე ხელმძღვანელი მაინც ვიქნებო. მოგეხსენებათ, რა იშვიათი იყო მაშინ ამერიკასთან კავშირი. პროფ. ოსიპოვს კი ხელი მიუწვდებოდა უახლეს ამერიკულ ლიტერატურაზე და თემადაც აშშ-ში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სოციოლოგიის საკითხები შემირჩია. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როგორ უნდა გამეხდებოდა და მეთქვა ბატონ პაატასათვის თქვენთან ერთად კიდევ მეორე ხელმძღვანელიც შევარჩიე-მეთქი. იმ დროს იგი მეუღლესთან და უმცროს ვაჟიშვილთან გულბაათთან ერთად ჩამობრძანდა მოსკოვში. დიდი ყოყმანის შემდეგ გავხედე და მოვახსენე ყოველივე, აბსოლუტურად ნორმალური რეაქცია ჰქონდა. ყველაფერზე დამთანხმდა, მხოლოდ, როცა ვუთხარი პროფესორ ოსიპოვს თქვენი გაცნობა, თქვენთან შეხვედრა უნდა და რესტორანში გაპატიჟებათ-მეთქი, სასტიკი უარი განმიცხადა, თვითონ გააშლევინა შესანიშნავი სუფრა ქალბატონ ნინოს სასტუმროში და პროფესორი ოსიპოვი თავისი ორი მეგობრით იქ მიიპატიჟა. იმ საღამოს ისე დამეგობრდნენ ბატონი პაატა და გენადი ოსიპოვი, რომ სიცოცხლის

ბოლომდე არ შეუწყვეტიათ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა.

ბატონი პაატა ყოველი საქმის არაჩვეულებრივი ორგანიზატორი იყო. მას სწამდა, რომ საზოგადოების წევრისათვის აუცილებელია კომპეტენტურობა არა მარტო იმ საქმეში, რომელსაც იგი უშუალოდ უძღვება, არამე იმ არეალში საერთოდ, რომელსაც მისი მოღვაწეობა მოიცავს. „მაგალითად, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს კადრების შერჩევა, ადამიანების ცნობა და მასთან კონტაქტების დამყარება – წერდა ბატონი პაატა, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს ცოდნა, საქმიანი თვისებები და არა ეგრეთწოდებული ძმაბიჭური ურთიერთობა. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ სრულქმნილი პიროვნებისთვის დამახასიათებელ თვისებათა გამოვლენა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ხელმძღვანელს მოეთხოვება, ყოველი რანგის ხელმძღვანელის პირად მაგალითს კოლოსალური ძალა აქვს“.

სანიმუშო იყო მისი უაღრესად ახლო დამოკიდებულება თანამშრომლებთან. ყველა ჩვენგანის ოჯახური მდგომარეობა იცოდა. განსაკუთრებით არ გამორჩებოდა, თუ ვინმეს რამე უჭირდა. მართლაც ღირსეულად შერჩეული კადრებით დაკომპლექტებული ინსტიტუტი ერთ ოჯახად იყო შეკრული. არავითარი შუღლი და მტრობა არ არსებობდა. მართლა გულით გვიყვარდა ეს დიდებული ადამიანი, რომელიც თითქოს ახლობელიც იყო და მიუწვდომელიც. გვეხუმრებოდა, გვათამამებდა, მაგრამ მისი პიროვნული სიძლიერე გარკვეულ ზღვარს ინარჩუნებდა დამოკიდებულებაში. უკვირდათ რატომ გვიყვარდა ასე. ერთხელ, როცა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქცია ჩამოართვეს, მთელ ჩვენ კოლექტივთან ერთად ცოტა ხანს მომიწია სხვა

ხელმძღვანელთან მუშაობა. იყო შემთხვევები, რომ ბატონ პაატაზე დაუმსახურებლად გადაკვრით აუგს იტყოდნენ ხოლმე. ამ დროს მთელი კოლექტივი ერთსულოვნად თავგამოდებით ვიცავდით მას. რა არის ეს, არ მესმის, – გამოგვიცხადა ერთხელ ერთ-ერთმა უფროსთაგანმა – ვინც პაატა გუგუშვილთან მუშაობს ყველა ასე როგორ კარგავს ობიექტურობასო. მართლა არ ვიცი, რა იყო ეს, თუკი ამხელა კოლექტივში თითქმის ყველა წევრი ერთი აზრითა და განწყობით ვიყავით. იქნებ თვითონ ჰქონდათ ობიექტურობა დაკარგული ამ ტენდენციურად განწყობილ ოპონენტებს?

ძალიან კეთილი გული ჰქონდა. თუ გაფიცდებოდა და ვინმეს მკაცრად ეტყოდა რამეს, მეორე დღეს კაბინეტში შესვლისთანავე გამოიძახებდა და დაუყვავებდა. რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის, წუხელ დარდისგან მთელი ღამე არ მეძინა, რა ვქნა, მეც ნუ გამაჯავრებთო.

ყველგან და ყველაფერში ჰუმანისტი იყო. არც მკაცრი გამომცდელი ყოფილა და არც არასდროს ცდილობდა თანამშრომლის დასჯას. თავისთავად, პიროვნულად ისეთი დიდი იყო, რომ ვერც ვერავინ გაბდავდა მასთან გამოცდაზე მოუმზადებლად გასვლას და იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ დაარღვევდა თანამშრომელი წესრიგს. ერთხელ ინსტიტუტში ერთ-ერთი ჩვენი საკმაოდ ნიჭიერი თანამშრომლის საკანდიდატო მინიმუმისათვის გამოცდის ჩაბარებას ესწრებოდა. კომისიამ მას გამოცდაზე რაღაც კონსპექტი დაუჭირა და გამოცდიდან მოხსნა. მახსოვს მეორე დღეს როგორი საყვედურით მიმართა კომისიის წევრებს. რა მოხდა, ჩვენი თანამშრომელი, რომელსაც ასე კარგად იცნობთ, რომლის შესაძლებლობანიც კარგად იცით, როგორ გაუშვით უნიშნოდ გამოცდიდანო. კაცის ცოდნის შეფასება თუ მინდა, წიგნის, კონსპექტის წაკითხვის ნებას დავრთავ და ისე გავიგებ, რა დონისააო.

მასთან ურთიერთობა ადვილი იყო იმ ღვთისგან ბოძებული ნიჭის წყალობით, რომელიც უხვად გააჩნდა – ეს იყო იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა.

მახსოვს, ერთხელ განყოფილების სხდომა გვექონდა, 12 საათზე უნდა დაწყებულიყო, დამავიანდა, უფრო სწორად, ძალიან დამავიანდა და 2 საათზე მივედი. სხდომა გრძელდებოდა, მორიდებულად შევალე კარი და ვიკითხე, შეიძლება-მეთქი. ბატონმა პაატამ თავი ასწია, გამომხედა და მთელი სერიოზულობით მითხრა: რა ხათრიანი ხარ. შემოდი, თორმეტ საათზეც შეიძლებოდაო.

ძალიან უყვარდა ახალგაზრდები. მის ირგვლივ თითქმის ყველა სანიმუშოდ შერჩეული, ნიჭიერი და განათლებული იყო. მათ ბევრსაც ამუშავებდა, შრომას აჩვენებდა, კიდევაც ათამამებდა და თანატოლივით ექცეოდა. თუ მათი ნამოქმედარი ან შესრულებული სამუშაო არ მოეწონებოდა, გაფიცდებოდა და ცხელ გულზე მკაცრი ტონით ეტყოდა, დაწერე განცხადება და წადიო. ერთხელ ინსტიტუტში რაღაც საჭირო მასალა აუცილებლად უნდა მოეტანა და სახლში დარჩენია, ჩვენმა თანამშრომელმა ციციწო გვრიტიშვილმა არც აცია, არც აცხელა და უთხრა: რას ჰგავს ახლა ეს, დაწერეთ განცხადება და წადითო. მთელი დღე იცინა ამაზე და შემდგომშიც, თუკი რამეს ისე არ გააკეთებდა, შეხედავდა ციციწოს და ეტყოდა: რა ვქნა ახლა ციცი, დავწერო განცხადებამ?

ახალგაზრდებს დიდი მადლი და სიკეთე მიანიჭა მის გვერდით ყოფნამ, განსაკუთრებით მაშინ, როცა უკვე დირექტორი აღარ იყო და თავისუფალი დროც ჰქონდა: ბევრი, ძალიან ბევრი რამ მიიღეს და შეისისხლხორცეს მისგან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის გვერდით მუშაობა ჩვენი თავის მიმართ მომთხოვნელობასაც გვიზრდიდა და პასუხისმგებლობაც მეტი გვექონდა – შეიძლება საჭიროზე მეტიც.

უყვარდა ადმიანი, უყვარდა სიცოცხლე, მაგრამ არც სიკვდილის ეშინოდა. ბავშვობაში სუსტი ვიყავი და ჩემ მშობლებს ალბათ ვერც კი წარმოედგინათ ამდენ ხანს თუ ვიცოცხლებდიო. ყოველთვის თბილად და მაღლიერებით მოიხსენიებდა მათ.

არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, მმა და ბაბუა იყო. აღსანიშნავი იყო მისი ოჯახური სიტბო, სიმყუდროვე, სტუმართმოყვარეობა და ურთიერთდამოკიდებულება. რაღაც საოცარი ძაფებით აკავშირებდა ერთმანეთთან ოჯახსა და სამსახურს. ინსტიტუტის თანამშრომლები მისი ოჯახის ხშირი სტუმრები ვიყავით. არაჩვეულებრივი სიტბოთი და სიყვარულით გვხვდებოდნენ ყოველთვის შესანიშნავი, ყოველმხრივ გამორჩეული ქალბატონი ნინო, უადრესად განათლებული, ბრწყინვალედ გაზრდილი შვილები ბესარიონი და გულბათი, მათი მომხიბლავი მეუღლეები ლია და ნონა. ბოლო წლებში მისი სუსტი ადგილი შვილიშვილები იყო. ჰყვებოდა მათ ოინებს და მორიდებით შეუქებდა ხოლმე გონიერებას, ნიჭს, ჯიშისა და გენის წყალობით რომ ჰქონდათ თანდაყოლილი. სამწუხაროა, რომ როგორც ეკუთვნოდათ, მთლად ისე არ წარიმართა მათი ცხოვრება.

ბატონი პაატა მაღლიერი მოწაფე იყო იმ დიდი კორიფეებისა ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის და სხვებისა, რომელთა ხელდასხმითაც აიდგა ფეხი მეცნიერებაში. იგი ღვთით ბოძებულ დიდ იღბალს მიაწერდა ამ ადამიანებთან შეხვედრა, მთელი სიცოცხლე მათ უერთგულეს მოწაფედ დარჩა.

სანიმუშო მეგობრობა იცოდა. ბოლომდე თავდადებული მეგობარი იყო ვასილ ჩანტლაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გოგლა ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, აკაკი გაწერელიასი და ბევრი სხვა თვალსაჩინო

მოღვაწისა, რომლებიც ყოველთვის გვერდში ედგნენ და გაჭირვების ჟამს ვაჟკაცურად ამხნევებდნენ.

გამხნევება და წინააღმდეგობები კი არ დაჰკლებია ცხოვრებაში. მთელი მისი სოცოცხლე ბრძოლა იყო. ამბიციურ უცოდინარს ვერ იტანდა. მეცნიერულ პაექრობაში შეიძლება ძალიან მკაცრადაც გაეკრიტიკებინა ოპონენტი, მაგრამ ეს იყო და ეს. როგორც თვითონ უყვარდა თქმა, დაუშვებელ ილეთებს არასოდეს მიმართავდა. სამაგიეროდ თვითონ დაუმსახურებლად ისჯებოდა. ვერ ეგუებოდნენ მასთან პაექრობაში დამარცხებას და უსამართლოდ უსწორდებოდნენ. ეს ის ადამიანებო იყვნენ, რომლებიც ახლოს იდგნენ ზემდგომ ეშელონებთან. თვითონ კი თავისი პირდაპირობით და პრინციპულობით, რა თქმა უნდა, ვერ დაიმკვიდრებდა მათ გვერდით ადგილს. ერთხელ მოხსნეს ინსტიტუტის დირექტორობიდან, კინაღამ დაიჭირეს კიდეც „მეგრელიზაციის საქმის“ მოტივით. შემდეგ კი, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, ლანძღავდნენ რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში შეთითხნილი ცილისმწამებლური მასალებით. გაუნახევრეს ინსტიტუტი ახლის შექმნის მოტივით, წაართვეს რუდუნებით აღდგენილი და ნალოლოავები ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, მეორედ და უკვე საბოლოოდ გაათავისუფლეს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობიდან... არასოდეს იმჩნევდა გულისწყვეტას, ისე შემოვიდოდა ოთახში, ვითომც არაფერი მომხდარიყო. არც არასოდეს ამბობდა ახალგაზრდებთან სხვების აუგს. არც მე მახსოვს შემთხვევა, რომ რომელიმე ჩვენთაგანს ეკადრებინა და ვინმე დაებუზებინა ან რაიმე უსიამოვნო ამბავი მიეტანა მასთან. შეუვალი და ძლიერი პიროვნება იყო, ვერც სხვისგან იტანდა ადამიანური სისუსტეების გამჟღავნებას. მახსოვს, ერთხელ ერთ-ერთი სხდომიდან უხასიათოდ დაბრუნდა. ახლა ერთი ახალგაზრდა (გვარი არ დაუსახელებია) ბინის აღრიცხვაზე

აყვანას მოითხოვდა და ამდენი ხალხის წინ ატირდაო. ანგარიშგასაწევია, მაგრამ კაცმა მატერიალურ სიდუხჭირეზე როგორ უნდა იტიროსო.

სამაგიეროდ, არ ეთაკილებოდა ქვეყნისა და ერის ბედზე ვაჟკაცის გულის აჩუყება, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეები იყო. ინსტიტუტში მოიტანა ილიას დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები და ხმამაღლა დაიწყო კითხვა. უნდა გენახათ, ჯერ როგორ გაეზარა ხმა, მერე კი ნიაღვარივით წასკდა ცრემლები. ორივე ხელით იწმენდდა ცრემლს ეს ბუმბერაზი კაცი და ისე კითხულობდა დიდი აკაკის, ვაჟას და სხვათა სტრიქონებს.

მეორედ ცრემლი ბატონი პაატას თვალზე სიკვდილის წინ შევამჩნიეთ. იმ დღეს ახლობლის იუბილეზე უნდა წასულიყო. როგორც ყოველთვის პეწიანად იყო ჩაცმული, იუბილემდე ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დასასწრებად სააქტო დარბაზში ჩავიდა. მე და რამდენიმე თანამშრომელი მის კაბინეტში დავრჩით. მალე მობრუნდა უკან. სახეზე მიტკლის ფერი ედო. რაღაც ვერ ვარ კარგადო, თქვა და სავარძელში ჩაეშვა. მაშინვე მივეცით საჭირო წამლები, რაც გაგვაჩნდა, წამოვაწვინეთ დივანზე, მდგომარეობა უარესდებოდა. დავაპირე სასწრაფო დახმარების გამოძახება. იუარა. ჩუმად გავიპარე და მეორე ოთახიდან მაინც გამოვიძახე. უყურებდა ჩვენს შემფოთებულ სახეებს და აქეთ გვამშვიდებდა არა უშავს გამივლისო. „მალე მოვიდა სასწრაფო დახმარებაც. ექიმი მიუახლოვდა თუ არა, მაგრად ჩასჭიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა და ჩუმად უთხრა: თუ კაცი ხარ, აუტანლად მტკივა გული და რაიმე მიშველეო. ბოლომდე ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს. თითქმის გათავდა მისი საყვარელი, ნალოლიავეები და დიდი ძალისხმევით შექმნილი ინსტიტუტის კედლებში. გარეთ რომ გაჰყავდათ საკაცით ერთი მიმოიხედა, ყველა

შეგვათვალაიერა და უკანასკნელი ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან... ეს იყო და ეს... სულ რამდენიმე საათში კიდევ დაასრულა თავისი სიცოცხლე, სიცოცხლე ამქვეყნიური. სამაგიეროდ უკვდავია მისი სახელი და ის უდიდესი შემოქმედება, რომელზედაც მრავალი თაობა აღიზრდება, შეისისხლხორცებს მას, გაითავისებს და გვჯერა, რომ უაღრესად მადლიერი, საკადრის პატივს მიაგებს ამ ბუმბერაზი პიროვნების, მეცნიერისა და მოქალაქის სახელს.



## II თავი

### ავთანდილ სულაბერიძე

#### პანდემოლოგია – მეცნიერების უახლესი დარგი?!

*ანოტაცია.* სტატიაში დასმულია მეცნიერების უახლესი დარგის პანდემოლოგიის შექმნის საკითხი. ავტორის აზრით, თვისებრივად ახალი პანდემიის კორონავირუსის (COVID-19) სპეციფიკურობის გათვალისწინებით, უნდა შეიქმნას მეცნიერების უახლესი დარგი **პანდემოლოგია** შესაბამისი სპეციალური დიციპლინებით. მეცნიერების არსებული დარგის ეპიდემიოლოგიისგან განსხვავებით პანდემოლოგიის კვლევის ობიექტი უფრო ფართოა და გამომდინარეობს პანდემიათა გლობალური ხასიათიდან. ეპიდემიოლოგია მედიცინის სფეროს მიეკუთვნება და მისგან განსხვავებით პანდემოლოგიამ უნდა შეისწავლოს არა მარტო სამედიცინო სფეროს, არამედ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის ქვევათა ცვლილებებით გამოწვეული შედეგები, როგორც გლობალური მასშტაბით, ასევე დიფერენცირებულად, ცალკეული კონტინენტების და ქვეყნების მიხედვით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს გამოცხადებული ახალი ეპიდემიის კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოაცხადების შემდეგ მსოფლიოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ დადგა პანდემიასთან ბრძოლის წინაშე. მისმა გლობალურმა ხასიათმა საზოგადოებრივი პროგრესის ტემპი შეამცირა და რეგრესი გაანაპირობა.

წინა საუკუნეებში პანდემიები ძირითადად იმ დროის მოაზროვნეთა და ფილოსოფოსთა დაკვირვების საგანი იყო. შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ ინფორმაცია დღემდე მოღწეულ წყაროთა შორის უძველეს შუმერულ ლიტერატურულ ნაწარმოებში, გილგამეშის ეპოსშია მოცემული (ჩვ. წალ-მდე XXII ს.). ისტორიკოსი ფუკიდიდი წერდა ეპიდემიებზე ძველ საბერძნეთში ჩვ. წელ. აღ. II საუკუნეში [Урланис 2007: 272-276].

თუ ადრეულ საუკუნეებში მასთან ბრძოლას ძირითადად ცალკეული ქვეყნები მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად აწარმოებდნენ, დღეისათვის მის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთდროულად ჩაება. კორონავირუსის პანდემიის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებისთვის მეზობლთა წრე გაფართოვდა და მასში გარდა მედიკოსებისა (ეპიდემიოლოგები, ვირუსოლოგები, ინფექციონისტები და სხვ.) აქტიურად ჩართულნი არიან მეცნიერების ცალკეული დარგების წარმომადგენლები. საქმე ისაა, რომ კონორავირუსი წინა პანდემიებისგან თვისებრივად განსხვავებულია, რაც უწინარესად მისი სწრაფი ტემპით გავრცელებით უფრო მასშტაბურობაში აისახა და გლობალური ხასიითი მიიღო. ამასთან, იგი გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა. თუ წარსულში პანდემიებთან და ეპიდემიებთან ბრძოლაში ადამიანი ირიბ როლს თამაშობდა, დღეისათვის უკვე მთავარ ფაქტორად გვევლინება და მისი ზემოქმედება პანდემიაზე არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ მეცნიერების სხვა მიმართულებითაც მიმდინარეობს.

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ პრაქტიკულად მთელი მსოფლიო მოიცვა და 2020 წლის სექტემბრის ბოლოსთვის გამოვლენილია 36 მილიონზე მეტი ინფიცირებული. პანდემიით გამოწვეული ცვლილებები

გლობალური ხასიათისაა და შესაბამისად, გლობალიზაცია და გლობალური საზოგადოება არის გლობალური რისკის საზოგადოება [Beck, 1992, 2000; Giddens, 1999]. შესაბამისად, მეცნიერების დანიშნულებას პანდემიის იმ საფრთხეებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოიქმნება მთელი კაცობრიობის წინაშე.

აუცილებელია არა მხოლოდ დღეს არსებული ვითარების შესწავლა, არამედ პოსტ-კორონავირუსული სამყაროს შესაძლო სცენარებისა და ტრენდების გააზრება, რაც, სავარაუდოდ განსხვავებული იქნება. საქმე ისაა, რომ თანამედროვე სამყაროში სწრაფად იცვლება ყველა სახელმწიფოს, ყველა სოციალური ინსტიტუტის, ყველა ადამიანის ქცევის და ფუნქციონირების ასპექტები. შესაბამისად საზოგადოებაში თანდათან ყლიბდება აზრი, რომ სამყარო შეიცვლება და აღარასდროს იქნება იგივე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერების მიერ გასაცემია პასუხები საზოგადოების კითხვებზე: როგორ განვითარდება და დასრულდება კორონა ვირუსი, იქნება თუ არა შემდეგი ტალღები და რამდენად უფრო საშიში შეიძლება იყოს ისინი პირველზე? რა იქნება მასთან ბრძოლის ახალი ფორმატი? როგორ განვითარდება ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება და კულტურა? რა რისკები და საფრთხეებია მოსალოდნელი მსოფლიოში, მის ცალკეულ კონტინენტებზე, ქვეყნებში და სხვ.

არსებულ რთულ კითხვებზე პასუხების გაცემა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად შეიქმნება პანდემიის საწინააღმდეგო ვაქცინა, რაშიც გადამწყვეტი როლი სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებას (ეპიდემიოლოგებს, ვირუსოლოგებს, ინფექციონისტებს და სხვ.) ეკისრება, მანამდე კი საზოგადოების განვითარება ყველა სფეროში, როგორც აკადემიკოსი ლადო პაპავა ფიგურალურად აღნიშნავს,

„მედიცინის მძევალი“ [Papava V. 2020] და მისი ტყვეობიდან დახსნამდე საზოგადოებრივი მეცნიერების გამოკვლევები კორონასთან თანაცხოვრების პირობებში უნდა წარიმართოს, რომლის ხანგრძლივობა ასევე დამოკიდებულია მისი გამეორების პერიოდების რაოდენობაზე, მუტაციაზე და ა.შ.

კორონავირუსზე მეცნიერების ცალკეულ დარგებში ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარება მოკლე დროში ნაკლებ შესაძლებელია და მას გარკვეული პერიოდი სჭირდება. მეცნიერებამ (განსაკუთრებით საზოგადოებრივმა) წინა წლების და არსებული პანდემიური ვითარების შესწავლის საფუძველზე უნდა შექმნას მოდელი პოსტ-პანდემიურ (პოსტკორონავირუსულ) სამყაროზე და შეიმუშაოს შესაბამისი კონცეფცია, მეთოდოლოგია და მეთოდები.

შეიძლება ითქვას, რომ პანდემიათა კვლევაზე საუბარი ჯერ კიდევ 100 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო, მას შემდეგ, რაც პლანეტაზე გავრცელდა, ეგრეთ წოდებული ესპანური გრიპი – „ისპანკა“, (1918-1920 წწ.), რომლის დროსაც 500 მილიონზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა (იმ დროისთვის მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედი). სხვადასხვა შეფასებით, დაღუპულთა რიცხვი 17-დან 50 მილიონამდე მერყეობს, რაც მას კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მომაკვდინებელ პანდემიად მიიჩნევენ [Brown, 2018; What the 1918 flu pandemic ..., 2018].

ახალი ინფექციური დაავადებების სოციოლოგიური მნიშვნელობა განზოგადებულ იქნა პ. მ. სტრონგის მიერ 1990 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის წარდგენილ ანგარიშში „ჯანმრთელობისა და დაავადებათა სოციოლოგია“, სადაც იგი სოციოლოგიურ კვლევას განიხილავს საზოგადოების რეაქციას პანდემიაზე, როგორც გლობალურ ეგზისტენციალურ საფრთხეს [Strong, 1990].

დღეისათვის, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, კორონავირუსის აღმოსაფხვრელად და საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში მისგან მოსალოდნელი დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების იმედით, მსოფლიოს მეცნიერები აწარმოებენ კვლევებს, როგორც სამედიცინო ისე მეცნიერების სხვა სფეროებში, როგორცაა: სოციოლოგია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, დემოგრაფია და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თვისებრივად ახალი პანდემიის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს მეცნიერების უახლესი დარგი **პანდემოლოგია** შესაბამისი სპეციალური დიციპლინებით.

საქმე ისაა, რომ მეცნიერების არსებული დარგის ეპიდემიოლოგიისგან განსხვავებით პანდემოლოგიის კვლევის ობიექტი უფრო ფართოა და გამომდინარეობს პანდემიათა გლობალური ხასიათიდან. ეპიდემიოლოგია მედიცინის სფეროს მიეკუთვნება და მისგან განსხვავებით პანდემოლოგიამ უნდა შეისწავლოს არა მარტო სამედიცინო სფეროს, არამედ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის ქცევებათა ცვლილებებით გამოწვეული შედეგები, როგორც გლობალური მასშტაბით, ასევე დიფერენცირებულიად, ცალკეული კონტინენტების და ქვეყნების მიხედვით.

პიტერ ბერმის აზრით, ეპიდემიასა და პანდემიას შორის იზოლაცია (კარანტინი, შეზღუდვები და სხვ.) საკმაოდ განსხვავებულია. ეპიდემიის შემთხვევაში იზოლირებულია ერთი ან მეტი სპეციფიკური უბანი. პანდემიის დროს, მთელი მსოფლიო იზოლაციის სიტუაციაში აღმოჩნდება. როგორც, ევროპის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მკვლევარი [ECFR] ჯერემი შაპირო

აღნიშნავს, პანდემია ადამიანებს აერთიანებს, ეპიდემია პირიქით ყოფს [ციტირებულია Вахштайн В. 2020]..

პანდემოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბების აქტუალურობას აძლიერებს ისიც, რომ მეცნიერები 21-ე საუკუნეს ეპიდემიების და პანდემიების საუკუნედ მიიჩნევენ და აქედან გამომდინარე არაა გამორიცხული სხვა სახის და სახელწოდების ეპიდემიათა და პანდემიათა წარმოქმნა, ხოლო პანდემოლოგიის კვლევებით დაგროვილი ცოდნით ახლად წარმოქმნილ მასიურად გადამდებ ინფექციებს უფრო მომზადებული შევხვდებით და საზოგადოებრივი დანაკარგებიც ნაკლები იქნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პანდემოლოგია წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერების ცალკეულ დისციპლინათა (დარგთა) სისტემა, და მასში შემავალი მეცნიერული დისციპლინების (ქვედარგების) როლი ურთიერთგანსხვავებულია. ამიტომ, პანდემოლოგიის დარგის სიტემის წარმომქმნელი დარგების შესაბამისად თითოეულს შეიძლება ვუწოდოთ დარგის სახელი. მაგალითად, პანდემიის ეკონომიკა, პანდემიის სოციოლოგია (რომელიც უკვე არსებობს), პანდემიის დემოგრაფია, პანდემიის ფსიქოლოგია და ა.შ.

ამასთან, რამდენადაც მისი კვლევის ობიექტი ცალკეულ პერიოდებში წარმოქმნილი ცალკეული პანდემიებია (როგორც ადრეული წლების, ასევე არსებულის და მომავლის), მათი როგორც მოვლენის და პროცესების უფრო ღრმად, ფუნდამენტურად და ყოველმხრივ შეწვლის მიზნით, თითოეულს მივაკუთვნოთ მოცემულ პერიოდში არსებული პანდემიის სახელწოდება, მაგალითად, კორონავირუსისის პირობებში – კორონავირუსი ეკონომიკა კორონადემიოგრაფია, კორონასოციოლოგია, კორონაფსიქოლოგია და ა.შ.

ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური მეცნიერების დარგში საინტერესოა შრილანკელი პროფესორის დე ალვისის მიერ შემოტანილი ახალი ტერმინი „კორონომიკსი“ („Coronomics“), რომელიც მიიღება ორი ტერმინის – „კორონა“ და „ეკონომიკის“ გაერთიანებით და შეისწავლის კორონავირუსის ეკონომიკურ შედეგებს. (მოგვიანებით გამოჩნდა სხვა მსგავსი ტერმინიც – „კორონანომიკა“ („Coronanomics“) (Eichengreen, 2020) [ციტირებულია Papava v. 2020].

ეკონომისტთა მეცნიერულ შრომებში გამოჩნდა კორონავირუსთან დაკავშირებული ეკონომიკური შეხედულებები. ვ. პაპავა და ვ. ჭარაია [Papava V... 2020] აღნიშნავენ, რომ დღემდე ეკონომისტები იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე. მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ კი პირიქით დასვა საკითხი, რომ კორონავირუსი და მისი გლობალურად გავრცელება უკვე არის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამოძწვევი [Geller A....2020], რომ კორონავირუსი პრაქტიკულად „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნება [Riley C. 2020].

მათი აზრით, კორონომიკის აქტუალურობას არა მარტო ის განაპირობებს, რომ დღეს უკვე გამოცხადებულია კორონავირუსის პანდემია, არამედ ისიც, რომ ამ ტიპის გლობალური საფრთხეები, სავარაუდოდ, არც მომავალშია გამორიცხული და ამ პირობებში მსოფლიომ უნდა ისწავლოს ცხოვრება და ეკონომიკური საქმიანობა [Gigerenzer G. 2020].

აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ მსოფლიო დგას არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ

პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს – კორონავირუსის – სწრაფი გავრცელებით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე მთელი მსოფლიო დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული, ახალი ტერმინით – „კორონომიკური კრიზისის“ ("Coronomic Crises") საფრთხის წინაშე [Papava V... 2020].

საგულისხმოა სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორის დ. კოჰანის სტატია "კორონავირუსის განვითარების სოციოლოგია", სადაც წარმოაჩენს პოსტ-კორონავირუსული სამყაროს ყველაზე მწვავე პრობლემებს: ეკონომიკურ შედეგებს, მათ შორის სიღარიბეს, ეკონომიკურ უთანასწორობას და უმუშევრობას, საკვების ნაკლებობასა და უსაფრთხოებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა შედეგებს, ნაციონალიზმსა და რასიზმს, ეიჯიზმსა და ხანდაზმულთა მკურნალობას. ისინი გლობალური იქნება მთელი მსოფლიოსთვის და გახდება წამყვანი ტრენდი [Cohan, 2020].

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ეკონომიკური სისტემების მოდელირების განყოფილების მკვლევარი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ი. კამენევი, მიიჩნევს, რომ პოსტ-კორონავირუსულ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ტრენდი იქნება შრომის ბაზრის ციფრული ტრანსფორმაცია. ეს დიდ ძალისხმევას და მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვს [Диниш, 2020].

კორონავირუსის პრობლემებთანაა დაკავშირებული ქართველ ეკონომიკთა: ვ. პაპავას [Papava V. 2020] ა. თვალჭრელიძის და ა. სილაგაძის [თვალჭრელიძე ა. სილაგაძე ა. 2020], ე. მექვაბიშვილის [მექვაბიშვილი ე. 2020], გ. ლაღანიძის [ლაღანიძე გ. 2020], რ. აბესაძის [აბესაძე რ. 2020] მ. ჯიბუტის [ჯიბუტი მ. 2020], მ. კაკულიას



[კაკულია მ. 2020], თ. შენგელიას [შენგელია თ. 2020], ი. არჩვაძის [არჩვაძე ი. 2020], ვ. ჭარაიას [ჭარაია ვ. 2020], გ. ბენაშვილის [ბენაშვილი გ. 2020] და სხვების შრომებში.

აღსანიშნავია პროფესორ ს. გელაშვილის შემოთავაზებული ტერმინი „კორეონოსტატისტიკა“, რომლის მიზანია სტატისტიკური მონაცემების თვისებრივად ახლი მეთოდებით გაანგარიშებების შემუშავება.

შეიძლება ითქვას, რომ პანდემიების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციოლოგიას. შესაბამისად პანდემოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად (ქვედარგად) კორონასოციოლოგია წარმოგვიდგება, რომელსაც სოციოლოგები პანდემიის სოციოლოგიად მოიხსენიებენ. შინაარსობრივად ორივე მისაღებია, განსხვავება ისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორონასოციოლოგია აკონკრეტებს არსებული პანდემიის სახეს, ხოლო პანდემიის სოციოლოგია ზოგადია და მოიცავს პანდემიათა ერთობლიობას. მაგალითად, ვირჯინიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი დ. ბლექი, სხვა სოციოლოგთა მსგავსად იყენებს ტერმინს პანდემიის სოციოლოგია და მისი კვლევის ობიექტია, ერთ შემთხვევაში წინა საუკუნეების შავი ჭირის პანდემია, მეორე შემთხვევაში დღეისათვის არსებული კორონავირუსის პანდემია. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ტერმინის პანდემიის სოციოლოგიის სახელწოდების, მაგრამ, ვფიქრობთ კორონა ვირუსის შემთხვევაში კორონასოციოლოგიის ტერმინის გამოყენება უფრო დააზუსტებდა და უფრო კონკრეტულად წარმოაჩენდა სოციოლოგიური კვლევის ობიექტს კონორავირუსს, ვინემ პანდემიის სოციოლოგია, რომელიც ზოგადია და ზუსტად არ ასახავს კვლევის ობიექტს.

აღნიშნულის დასტურად მოვიტანთ დ. ბლეკის მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ წიგნს „მორალის დრო“, სადაც ევროპაში შავი ჭირის პანდემიის ანალიზისას იყენებს ტერმინს პანდემიის სოციოლოგია და საუბრობს იმ სოციალურ რყევებზე, რომლებიც ყოველთვის იწვევს საზოგადოების ისეთი რეაქციებს, როგორცაა შეთქმულებისა და კონსპიროლოგიის თეორიები, პანიკაში მყოფთა მასიური მიგრაციები, ცრუ ინფორმაცია, ყალბი ბრალდებები, ებრაელთა და სხვა დაავადებულ ჯგუფთა მასობრივი მკვლევლობები და სხვა [Black 2011].

დ. ბლეკის ანალოგიურ აზრს ატარებს სოციალურ ქსელში 2020 წლის მარტის შუა რიცხვებში გამოქვეყნებულ სტატიაში "პანდემიის სოციოლოგია", თუმცა აქ საუბრობს კონკრეტულად კორონავირუსზე და არა შავი ჭირის პანდემიაზე. იგი აღნიშნავს, რომ კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, უნდა ველოდოდთ ახალ შეთქმულებებს... სოციალური გრძნობების შესწავლა, განსაკუთრებით სოციალური რყევების დროს, რა თქმა უნდა, სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის საქმეა... მისივე აზრით, კორონავირუსის პირობებში გაჩნდება ახალი სოციალური ეთიკა, რაც გულისხმობს ახლობლებთან და დისტანციურად დაშორებულებს შორის სიახლოვის შენარჩუნებას (ნათესაობითი, პარტნიორობითი, სულიერი და ა.შ.) ... შესაბამისად, საზოგადოების ორგანიზაციის და თვითორგანიზაციის ფორმა მოითხოვს კორონავირუსის შემდგომი სამყაროს ფორმატირების სცენარის სოციოლოგიურ შეისწავლას [Black, 2020].

ამდენად, დ. ბლეკს, პირველ შემთხვევაში პანდემიის სოციოლოგიის ნაცვლად, რომ გამოეყენებია ტერმინი შავი ჭირის სოციოლოგია, ხოლო მეორე შემთხვევაში კორონასოციოლოგია, პანდემიის სახე, როგორც კვლევის ობიექტი და მიმართულება უფრო დაზუსტდებოდა.

კონკრეტულად კორონასოციოლოგიის, ხოლო ზოგადად პანდემიის სოციოლოგიის ნიმუშია: ლოს ბანესის (ესპანეთი) სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სოციოლოგიის პროფესორის პრინს კენექს ალდამას სტატია "სოციოლოგიის გამოყენება კორონავირუსის პანდემიის გასაგებად", სადაც კორონავირუსის ფენომენს, როგორც საზოგადოებრივ საკითხს და გლობალურ რისკის დახასიათებისას გამოყოფს რისკის სამ მთავარ რეაქციას: უარყოფას, აპათიასა და ტრანსფორმაციას. პირველ შემთხვევაში ადამიანები იქცევიან ისე, თითქოს რისკი არ არსებობს. მეორისას რისკს აღიარებენ, მაგრამ მასზე რეაგირების გარეშე. მისი აზრით, ვითარების რეალობისა და სიმძიმის გათვალისწინებით, შესაძლოა პირელმა ორმა ვერ გადაგვარჩინოს. მათგან განსხვავებით, რისკთან ბრძოლაში უპირატესობას საზოგადოების გარდაქმნას (ტრანსფორმაცია), კოლექტიურ, გლობალურ და კონსტრუქციულ ტრანსფორმაციულ მოქმედებას ანიჭებს და აღნიშნავს, რომ ეს არის მომავლის სცენარის ძირითადი საფუძველი და ერთადერთი გზა არსებული საფრთხის წინააღმდეგ და მომავალი საზოგადოების მშენებლობისთვის

სწორედ კორონასოციოლოგიის ამოცანაა შეისწავლოს სოციალური ტრანსფორმაციის ფორმები, მისი ძირითადი სცენარები, შეასრულოს ექსპერტის როლი მმართველი კლასის სოციალური სცენარების დასაბუთებლად და ფართო მასებს აუხსნას მათი სცენარები, თავიდან აიცილოს ყალბი ინფორმაციის გავრცელება და ზოგჯერ პროვოკაციული სოციალური ჭორებისაც [Prince Kennex R. Aldama, 2020].

კორონასოციოლოგიის კუთხით, საინტერესოა კაროლინის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი რ. კაპრიანოს სტატია "სოციოლოგი განმარტავს, თუ როგორ შეუძლია კორონავირუსს შეცვალოს სამყარო ჩვენს გარშემო." მისი აზრით, სოციოლოგებმა პირველ რიგში ყურადღება

უნდა გაამახვილონ სოციალურ პოლიტიკაზე, მათ უნდა განსაზღვრონ სოციალური ინსტიტუტების კოორდინაციის ფორმები და გახდნენ მთავრობის ექსპერტები [Capriano, 2020].

კორონასოციოლოგიის ნიმუშია არკანზასის უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის პროფესორის კ. ფიცპატრიკის სტატია. სადაც ხაზს უსვამს სურსათის უვნებლობის პრობლემას, რომელიც აქტუალურია როგორც დღეს, ასევე პოსტ-კორონავირუსულ სამყაროში. იგი შეიძლება გახდეს სოციალური არასტაბილურობის მომატების ტრიგერი. შესაბამისად, ეს საკითხები უნდა იყოს სოციოლოგიის ყურადღების ცენტრში მომავალი სოციალური სამყაროს შექმნისას [Fitzpatrick, 2020].

კონორავირუსის პრობლემების კვლევისთვის ასევე მიგვაჩნია დემოგრაფიის მიმართულებით კორონადემოგრაფიის ფორმირება, მით უფრო, რომ დემოგრაფიას უკვე გააჩნია ბიოდემოგრაფიის და სამედიცინო დემოგრაფიის ქვედარგები, რომლებიც შეისწავლიან შობადობისა და მოკვდაობის პროცესების ბიოლოგიურ და სამედიცინო დეტერმინანტებს. მისი შესწავლის ობიექტად წარმოგვიდგება კორონავირუსის გავლენა არა მხოლოდ დემოგრაფიულ მაჩვენებელთა ტენდენციებზე, არამედ მათი განმსაზღვრელი მოსახლეობის, ოჯახის და პიროვნების დემოგრაფიული ქცევის ცვლილებები. ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული უსაფრთხოებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია კორონავირუსის პირობებში სახელმწიფოს გასატარებელი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის შემუშავება დემოგრაფიის ცალკეული მიმართულებების – ქორწინების და განქორწინების, შობადობის და მოკვდაობის, რეპროდუქციული და თვითმოვლითი ქცევის შესაბამისად. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის

ცვლილებებიდან გამომდინარე ყურადღება უნდა გაამახვილოს თაობათაშორისი დემოგრაფიული წონასწორობის ცვლილებებზე. კერძოდ, კორონავირუსის პირობებში დაბადების მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელთა ცვლილებაზე სქესთა შორის, მოსახლეობის დაბერებაზე და მისგან გამოწვეულ დემოგრაფიული დატვირთვის შედეგებზე და სხვ.

ამდენად, რამდენადაც პანდემიები და დიდმაშტაბიანი ეპიდემიები კაცობრიობის არსებობის თანმდევი მოვლენებია, მათი შესწავლის მიზნით, პანდემოლოგიის დარგის სიტემის წარმომქმნელი დარგების შესაბამისად, გარდა ზემოთ განხილული დისციპლინებისა, შესაძლებლად მიგვაჩნია აღმოცენდეს: პანდემიის ზოგადი თეორიის, პანდემიის გეოგრაფის, პანდემიის ფსიქოლოგის, პანდემიის ფილოსოფიის, პანდემიის პოლიტოლოგიის, პანდემიის ეკოლოგიის, პანდემიის ჰიგიენის, პანდემიის ისტორიის, პანდემიის სტატისტიკის, პანდემიის მათემატიკური მოდელების და პროგნოზირების, პანდემიის სამართლის, გლობალური და რეგიონული პანდემიის, ეთნიკური პანდემიის და სხვა დისციპლინები.

ჩვენ შეგვიძლია პანდემოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის და მასში შემავალი მეცნიერული დისციპლინების არსებობის უფლების დასაბუთება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საბოლოო არგუმენტაცია თვითეულ დარგში მოღვაწე მეცნიერების და სპეციალისტების საქმეა, ჩვენის მხრივ გვჯერა, რომ პანდემოლოგიის, როგორც მეცნიერების უახლესი დარგის აღიარება დროის საკითხია.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბესაძე რ. (2020). გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. №2 გვ. 31-36.

2. არჩვაძე ი. (2020). სახელმწიფოს ფუნქციის ტრანსფორმაცია პოსტპანდემიურ პერიოდში. *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 63-67.
3. ბენაშვილი გ. (2020). კორონომიკა-ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობა. *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 72-81.
4. თვალჭრელიძე ა. სილაგაძე ა. (2020). COVID-19 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ნედლი ნავთობის ფასზე წინასწარი სტატისტიკური ანალიზი. *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 82-89.
5. კაკულია მ. (2020). კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 44-54.
6. მექვაბიშვილი ე. (2020). გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (შესავლის ნაცვლად) *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 9-13.
7. პაპავა ვ. კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 13-16.
8. ლაღანიძე გ. (2020). მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 17-24.
9. შენგელია თ. (2020). გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 55-62.
10. ჭარაია ვ. (2020). კორონომიკა–საფრთხე თუ შესაძლებლობა?! *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. №2 გვ. 68-71.
11. ჯიბუტი მ. (2020). პოლიტეკონომიის ვირუსული ვარიაციები. *ქ. ეკონომიკა და ბიზნესი*. 2020. №2 გვ.-37-43.
12. Alwis A. de. “Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!” *Daily FT*, 2020, February 25,

- [www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109](http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109)
13. Beck U. (1992). Risk society: towards a new modernity. New Delhi.
  14. Black D. (2011). Moral time. Oxford University Press, USA.
  15. Black D. Sociology of Pandemic. <http://socialgeometer.com/index.php/2020/03/16/sociology-of-pandemic/>.
  16. Brown J. (2018). Influenza: The hundred year hunt to cure the deadliest disease in history. New York: Atria.
  17. Capriano R.M. Sociologist explains how coronavirus might change the world around us. <https://phys.org/news/2020-04-sociologist-coronavirus-world.html>.
  18. Cohan D. J. Sociology of the virus assignment.
  19. Eichengreen B. “Corononomics 101.” Project Syndicate, 2020, March 10. [www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen202003?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8cba7e1c6a193567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9fb6cbcc0](http://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen202003?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8cba7e1c6a193567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0)
  20. Geller A., Wiseman P., Rugaber C. “Outbreak Starts to Look More Like Worldwide Economic Crisis”.
  21. Gigerenzer G. “Why What Does Not Kill Us Makes Us Panic.” *Project Syndicate*, 2020, March 12. [www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-](http://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-)
  22. Giddens A. (1999). Risk and responsibility//*Modern Law Review*.
  23. Fitzpatrick K. Survey shows regions of elevated food insecurity due to COVID-19 pandemic. <https://news.uark.edu/articles/52820/survey-shows-regions-of-elevated-food-insecurity-due-to-covid-19-pandemic>.
  24. Papava V. (2020). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. *Eurasia Review. Journal of Analysis and News*, March 29,

- <https://www.eurasiareview.com/29032020>
25. Papava V, Charaia V. The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. № 136. GFSIS. Opinion papers. <https://www.gfsis.org/publications/opinion-papers>
  26. Prince Kennex R. Aldama. Using sociology to make sense of the coronavirus pandemic. <https://www.rappler.com/views/imho/255954>
  27. Strong P.M. Epidemic psychology: a mod-el // Sociology of Health and Illness. 1990. № 12. P. 249–259.
  28. What the 1918 flu pandemic can teach to-day's insurers. In H. Carrell (Ed.). 2018. <https://www.psychologytoday.com/us/blog/social-lights/202004/college-assignment-about-the-pandemic>
  29. Вахштайн В. Как пандемия влияет на нашу рутину и объединяет незнакомых людей. <https://paperpaper.ru/campus/>
  30. Добров Е., Сысоев Т. 15 образов мира после коронавируса//Эксперт. <https://expert.ru/expert/2020/15/15-obrazov-mira-posle-koronavirusa/>
  31. Папава В. Тапладзе Т. О КОРОНОМИЧЕСКОМ КРИЗИСЕ. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“ (17-18 ოქტომბერი, 2020) გვ. 98-100.
  32. Урланис Б. Ц. (2007). Рост населения земного шара. Народонаселение. Исследования, публицистика. М.: Наука.
  33. Урланис Б. (1978). Эволюция продолжительности жизни. М.





## იოსებ არჩვაძე

### კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სწავლებისა და განათლების ფორმების ცვლილებები

კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია ტექტონიკური ძვრები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მან არსებითი გავლენა მოახდინა წარმოების პროცესზე, სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებზე, მიწოდების ჯაჭვზე, მოთხოვნა-მიწოდების მასშტაბებზე, ადამიანთა-შორის ურთიერთობებზე და ა.შ. ამ ასპექტით განსაკუთრებულად სენსიტიური აღმოჩნდა სფერო, რომელმაც დიდწილად იტვირთა (და გარკვეულწილად, ჩაანაცვლა) ადამიანთა პირდაპირი, უშუალო ურთიერთობები – საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებმაც თავის თავზე აიღეს პანდემიით გამოწვეული იზოლაციის, კარანტინისა და უსაფრთხოების მიზნით ფიზიკურად უკონტაქტო ურთიერთობების უზრუნველყოფა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პანდემია, ფაქტობრივად მნიშვნელოვნად აჩქარებს ტექნოლოგიურ ცვლილებებს და ეკონომიკური ციკლის ახალი გრძელი ტალღის დაწყებას. ერთი ცნობილი მოაზროვნის ნათქვამის პერეფრაზირება რომ მოვახდინოთ, *საზოგადოების მოთხოვნილების გაჩენა გაცილებით სწრაფად ავითარებს ტექნიკურ საშუალებებს, ვიდრე ათეულობით სამთავრობო პროგრამა.*

კორონავირუსის პანდემია მსოფლიო თანამეგობრობის ერთგვარი შემოწმებაცაა და გამოწვევაც – თუ რამდენად შესწევს უნარი სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს ეკონომიკის გაციფრება, გადაიყვანოს წარმოება ახალ ტექნოლოგიურ საფეხურზე, რომელსაც მოაქვს ფიზიკური,

ციფრული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების სინთეზი, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, განახორციელოს *მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია*.<sup>18</sup> ეს რევოლუცია კიდევ უფრო ინტენსიურს გახდის სამუშაოთა ავტომატიზაციისა და გაციფრების პროცესს, გააფართოებს ონლაინსერვისებს, რომლებიც ადამიანებს დაეხმარება მთელი რიგი ამოცანების გადაჭრაში სპეციალისტების დახმარების გარეშე. წინასწარ, რა თქმა უნდა, ძნელია პანდემიის საერთო შედეგებზე საუბარი, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარების კონტექსტში მასზე ნამდვილად შეიძლება ქართული ხატოვანი გამოთქმის „*შარი ხეირად იქცა*“, გამოყენება.

დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკის პრიზმაში გარდატეხილი ცვლილებები ზოგადად და მითუმეტეს, პანდემიით გამოწვეულ ექსტრაორდინალურ ვითარებაში, ობიექტურად მოითხოვენ ადეკვატურ ცვლილებებს სწავლების, ცოდნის, უნარ-ჩვევების გადაცემის სფეროშიც. და ის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები

---

<sup>18</sup> *მეოთხე სამრეწველო* ანუ ინდუსტრიული რევოლუცია – (ინგლ. Fourth Industrial Revolution) – კიბერფიზიკური სისტემების მასობრივი დანერგვა წარმოებისა და საზოგადოების წევრთა ყოფაცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროში, მათ შორის შრომის ბაზარში, წარმოების ტექნოლოგიურ წყობაში, პოლიტიკურ სისტემაში და ა.შ. რიგითობა განპირობებულია იმით, რომ პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ მრეწველობის მექანიზაციისთვის წყალი და ორთქლი გამოიყენა. მეორემ — ელექტროენერჯის საშუალებით, მასობრივი წარმოება შექმნა. მესამე რევოლუციისას, ელექტრონული და საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით, პროცესი ავტომატიზებული გახდა. ამჟამინდელი, მეოთხე ეფუძნება მესამეს და მის ფარგლებში ერთმანეთს რამდენიმე ტექნოლოგია ერწყმის და აქრობს საზღვრებს ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის.

და უმაღლესი სასწავლებლები თითქმის მყისიერად გადავიდნენ დისტანციურ, ონლაინ სწავლებაზე, რომ იტყვიან, ჯერჯერობით მხოლოდ „პირველი ყვავილებია“; არსებითი ცვლილებები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ წინაა.

პანდემიამ ორი ახალი ტრენდი გამოავლინა განათლების სფეროში: ა) განათლების პროცესის მეტი სუვერენიზაცია და დეცენტრალიზაცია და ბ) სწავლებისა და ურთიერთობების ონლაინ ფორმატის მაქსიმალური გაფართოება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე აღარავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ კლასიკური უნივერსიტეტები უფრო პრაქტიკულები – შედეგებზე უფრო მეტად ორიენტირებულნი გახდებიან. სწავლებასთან დაკავშირებული დისტანციური ურთიერთობები უმოკლეს ვადებში ეგზოტიკიდან ყოველდღიურობად იქცა.

ინტერნეტი, ტელესაკომუნიკაციო თანამედროვე საშუალებები უკვე იძლევიან შესაძლებლობას საზოგადოების დაინტერესებულმა წევრებმა მიმართონ სპეციალურ ღია ონლაინ-კურსებს თავიანთი ამჟამინდელი თუ საინტერესო, პერსპექტიული სპეციალობის მიხედვით, საკუთარი ცოდნისა და დაოსტატების (დახელოვნების) გასაღრმავებლად. კორონავირუსის პანდემიამდე ასეთი კურსების მსმენელთა რაოდენობა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფაქტობრივად უკვე უტოლდებოდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობას, უახლოეს წლებში კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მას. ეს სრულად ეწერება სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეულ life-long learning (სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე) ტრენდში, რომელიც ფაქტობრივად უკარგავს სამილდემჩიო სტატუსს „შემძინილ პროფესიას“.

რაც პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია და მხოლოდ დროის ფაქტორია, ისაა, რომ შეიცვლება სწავლების მოძველებული (აუდიტორული ლექციები და სემინარები) ფორმები. უმაღლეს სასწავლებლებს მოუწევთ სასწავლო მეთოდების სერიოზული გადამუშავება და სწავლების მოძველებული ფორმებზე უარის თქმა. – ლექციების ფორმა არ შეცვლილა XVI-XVII საუკუნეებიდან.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ონლაინ-კურსები დაინტერესებულ პირთათვის ტრადიციულ ლექციებზე უფრო მამობილიზებელია. – ონლაინ-ლექციების მოსმენა შეიძლება **ნებისმიერ ხელსაყრელ დროს** – სახლში, მგზავრობისას, სხვადასხვა მიზეზთა გამო რიგში დგომისას და ა.შ. რადგანაც ეს კურსები პიროვნების სუბიექტური არჩევანია და არა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისთვის თავსმოხვეული (რომელთა მიმართ სტუდენტთა „ინტერესი“ ძირითადად დასარიცხი კრედიტების რაოდენობით შემოიფარგლება), **ათვისების ხარისხი** - უფრო მყარია; აღნიშნული კურსების საფუძველზე მიღებული ცოდნა/განათლება სულ უფრო მეტად წონადი გახდება სამსახურში თანამშრომელთა შერჩევისას. შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების წყალობით განათლება გახდება უფრო ფორმალური, უფრო მეტად გავრცელებული და შესაბამისად, უფრო დემოკრატიული.

მაგრამ მთავარი ნოვაციები მოვა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის ძირითად პროფილსა და ცოდნის გადაცემის ფორმებზე, რაშიც განმსაზღვრელი იქნება კრეატულობა და ცხოვრების და ბაზრის შეცვლილი მოთხოვნებისადმი ადეკვატური რეაგირება. კერძოდ, **გაიზრდება აკადემიური პერსონალის მიერ ახალი პროფესიების (ონლაინ-კომუნიკაციები, დიზაინერი და ა.შ.) ათვისების აუცილებლობა**. აქ, გასათვალისწინებელია, რომ, ერთ ცნობილ რეკლამას რომ დავესესხოთ, **ახალგაზრდა**

თაობა ირჩევს არა მარტო პეპსის, არამედ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რის გამოც აკადემიური პერსონალის უმრავლესობას (განსაკუთრებით, საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს) დასჭირდებათ სერიოზული ძალისხმევა, რომ სტუდენტთა კონტინგენტს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მიაწოდონ ინფორმაცია - არა მარტო შინაარსობრივად, არამედ გადაცემის ფორმებითაც და ვიზუალურადაც. ეს ობიექტურად გაზრდის სწავლისა (და კურსების) თანმხლებ პროცესზე დატვირთვას და ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალის მიერ საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროდუქტები დიდწილად დაკარგავენ საუნივერსიტეტო (სასკოლო) აკადემიურობას, ტრადიციული სახელმძღვანელოების ადგილს დაიკავებენ ციფრული ინტერაქტიური კომპლექსები. გაჩნდება საგანმანათლებლო სფერო, სადაც გაქრება განსხვავება ძირითად და დამატებით განათლებას შორის. **განათლების მიღების პროცესი ერთგვარი ელიტარულობიდან მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს სრული დემოკრატიულობისაკენ**, ხოლო ცოდნა, განათლებულობა სულ უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი კომპლექტში კრეატიულობასთან ერთად.

შრომის დისტანცირების ფორმები, რომლის პიონერები კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ისედაც უმადლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აღმოჩნდნენ, კიდევ უფრო განვითარდება, გაჩნდება დისტანციურად მომუშავე თანამშრომლების შრომის ინტენსიფიკაციის ახალი, დახვეწილი ფორმები. აქაც, ისევე როგორც ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ფაქტობრივად წაიშლება ზღვარი სამუშაო და არასამუშაო დროის ტრადიციულ დაყოფას შორის.

დისტანციურებული ფორმატი სწავლების პროცესიდან გავრცელება აკადემიური და შემოქმედებითი საქმიანობის სხვა ფორმებშიც. კერძოდ, ცვლილებები შეეხება აკადემიურ თანაშემოქმედების ისეთ ფორმებსაც, როგორებიცაა კონფერენციები, სიმპოზიუმები, კოლოკვიუმები; ბევრი მათგანი გადავა ონლაინ-რეჟიმში. ეს საშუალებას მისცემს აკადემიური პროფილის მქონე დაწესებულებებს მნიშვნელოვანი სახსრები დაზოგონ მივლინებებზე, ხოლო დაზოგილი თანხები წარმართონ სამეცნიერო კვლევების, ექსპერიმენტების დასაფინანსებლად, სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის სოციალური პრესტიჟის ასამაღლებლად.

დაჩქარებული გადასვლა ონ-ლაინ სწავლებაზე, განათლებაზე, აკადემიურ ურთიერთობებზე საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სერიოზული ეკონომია გააკეთონ შენობებზე, ლოჯისტიკაზე და ა.შ.

ამავე დროს, კორონავირუსული პანდემიისა და შემდგომ პერიოდში უმაღლეს სასწავლებლებს მოუწევთ რიგი სირთულეებისთვის თვალის გასწორება, ადაპტირება და/ან დაძლევა:

ჯერ ერთი, სწავლების დისტანციური ფორმატი მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლის საფასურს და შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლის წყაროს. შემოსავლების შემცირებასთან მაღალ კორელაციაში აკადემიური და მომსახურე პერსონალის რაოდენობა და შრომის ანაზღაურება, კაპიტალური და სხვა ხარჯები. უმაღლეს სასწავლებლებს მოუწევთ შემოსავლის ალტერნატიული წყაროების მოძიება ან სახელმწიფოს სუბსიდირების მთხოვნელთა რიგში ჩადგომა. ოპტიმალური იქნებოდა აქ უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლების სტუდენტთა სწავლის საფასურთან დამაკავშირებელი ჰიპლარის საბოლოო და ერთმნიშვნელოვანი გადაჭრა და

სახელმწიფო დაფინანსებასა (ძირითად) და სპონსორთა შემოწირულობებთან (დამატებით) დაკავშირება;

მეორე, სწავლება არ დაიყვანება მხოლოდ ინფორმაციის გადაცემასა და წიგნების კითხვაზე. იგი გულისხმობს აგრეთვე გამოცდილების გადაცემასაც. რა თქმა უნდა, შეიძლება დისტანციურად გადაიცეს ცოდნა, რომელიც პასუხობს კითხვას „რა“, მაგრამ ფაქტობრივად შეუძლებელია იმის გადაცემა, თუ „როგორ“. – ამ უკანასკნელს სჭირდება ცოცხალი, უშუალო კონტაქტი. თანაც, უნივერსიტეტები არა მარტო გადასცემენ ცოდნასა და პროფესიულ ჩვევებს, ისინი აყალიბებენ კარიერულ შესაძლებლობებსაც, რომლებიც მაღალ კორელაციაშია შრომის ბაზრის ყველაზე მიმზიდველ სეგმენტებთან და საბოლოო ჯამში, ახდენენ მმართველი ელიტის კვლავწარმოებას.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურად სწავლა და ურთიერთობა საკმაოდ მოსახერხებელია, ეკონომიურია (ზოგავს სატრანსპორტო ხარჯებს, დროს...) და თანაც ეგალიტარული, ის მაინც **სუბსტიტუტია** – იგი ანაცვლებს, მაგრამ ვერ ცვლის ლექტორისა და სტუდენტის (ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის ერთმანეთთან) ცოცხალი ურთიერთობების მთელ გამას. ამასთან, იგი ვერ ჩაანაცვლებს სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა ერთმანეთთან ცოცხალი ურთიერთობება, ერთობლივად მონაწილეობა სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებში (დაბადების დღის აღნიშვნა, ლაშქრობები, ზოგადად, ტურიზმი და ა.შ.). ონლაინ ფორმატში შესაძლებელია ცოდნის გადაცემა, თუმცა კულტურის ნიუანსები, როგორიცაა ქცევის, შემოქმედების, თავისებურებები და მათი ეროვნული თუ რეგიონული აღქმა, იუმორი და ა.შ., ონლაინ ფორმატში არ გადაეცემა და „არ ისწავლება“. ხატოვნად რომ წარმოვიდგინოთ, ონ-ლაინ



სწავლება და ურთიერთობა - ეს ტრადიციულად ბრტყელ თეთრ ეკრანზე გაშვებული ფილმია, აუდიტორული სწავლება კი - 3D ფორმატში ნაჩვენები ფილმი;

მესამე, იმისათვის, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა არ დაკარგონ სტუდენტთა კონტინგენტი და იყვნენ საკმარისად კონკურენტუნარიანი სწავლის მსურველთა მოზიდვის მხრივ მზარდი კონკურენციის პირობებში, მოუწევთ მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სწავლების ფორმატის შერჩევაში თანამედროვე ფორმების, მეთოდების გამოყენებით, აქტუალური აკადემიური მიმართულებების შერჩევითა და სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით;

მეოთხე, საჭირო იქნება მეტი ყურადღების დათმობა შრომის ბაზარზე არსებითი ცვლილებებისადმი, შესაბამის საბაზრო კონიუნქტურაზე ადაპტირებულ სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინება და მათზე ადეკვატური რეაგირება. ეს საკმაოდ რთულია დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც პანდემია არა თუ არ დასრულებულა, არამედ მის მასშტაბებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პიკისთვის ჯერ არც კი მიუღწევია. შესაბამისად, პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია არა თუ იმაზე, როგორი იქნება მოთხოვნა შრომით ბაზარზე 4-5 წლის შემდეგ პროფესიების, სპეციალობების, რეგიონებისა და ა.შ. მიხედვით, არამედ იმაზეც კი, თუ როგორ კონფიგურაციას მიიღებს გლობალური ეკონომიკა სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შრომის ბაზარზე გლობალური მოთხოვნის შემცირება მაღალ კორელაციაშია სამუშაო ძალაზე გლობალური მოთხოვნის შემცირებასთან და ეს უკანასკნელი - აკადემიური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებასთან (თუმცა, გაცილებით დაბალი კორელაციით).

ამავე დროს, სწავლების დისტანციურ ფორმებზე მეტისმეტი ორიენტაცია საფრთხეს შეუქმნის აკადემიური პერსონალის ურთიერთკომუნიკაციის დონეს და სიხშირეს – კათედრებმა და სოციალურ-პროფესიული კავშირების სხვა კვანძებმა ამით შეიძლება თავიანთი მნიშვნელობის სერიოზული დევალვაცია განიცადონ. შესაბამისად, ეს გაზრდის პედაგოგთა, აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტებიდან, როგორც სამუშაოს მიმცემთან, დამქირავებელთან, გაუცხოების დონეს.

გაუცხოების პრობლემა თავს იჩენს, რის საფრთხეზე ზემოთ უკვე მივუთითეთ, სტუდენტურ წრეებშიც. – სწავლების ბოლონის მეთოდზე გადასვლის გამო, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სწავლების ტრადიციული ჯგუფური ფორმის (სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე სასწავლო ჯგუფი – სტაბილურად უცვლელი ერთი და იგივე წევრებით) ნაცვლად ამჟამად ადგილი აქვს სტუდენტთა *თემატურ ერთიანობას*, სადაც ისინი ერთიანდებიან კონკრეტული საგნის სწავლის (ლექციის, სემინარის) ფორმატში. სწავლების მთლიანად დისტანციურ ფორმაზე გადასვლა კი გაზრდის მათ დესოციალიზაციას, კიდევ უფრო მეტად დაუთმობს, „გადაუმისამართებს“ მათ ვირტუალური ურთიერთობის რეჟიმს. ამიტომ, სტუდენტების აუდიტორული ურთიერთობები, მით უფრო, კამპუსებში ცხოვრება – ეს არა მარტო მათი სწავლებაა, არამედ მათი სოციალიზაციაც, აღზრდა, შეჯიბრებითობა, ცხოვრების ერთიანი სტილისა და ერთიანი ფასეულობების ჩამოყალიბებაცაა. შესაბამისად, ღიად რჩება არც თუ მთლად რიტორიკული კითხვა: *სად და როგორ ეზიარებიან სოციალიზაციის განსაზღვრულ დონეს სტუდენტები?*

სოციალიზაციის პრობლემა, ოღონდ რამდენადმე სხვა რაკურსით, დგას არააკადემიური, მაგრამ სამეცნიერო

საქმიანობით დაკავებული პირების წინაშეც. კერძოდ, როგორ მოხდება დისტანციურად იმ სამეცნიერო ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებსაც (გა)აერთიანებს ერთიანი იდეები და მიზნები? – იდეების გაცვლაში, გენერირებაში, ისევე როგორც ბიზნესის (განსაკუთრებით - საბანკო სფეროში) ხომ ცოცხალი ურთიერთობები გაცილებით შედეგიანია, ვიდრე ურთიერთობის ვირტუალური ფორმატი, რომელიც ფაქტობრივად, მხოლოდ პირად, ცოცხალ, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების სუბსტიტუტია – ცივი მონიტორისა და კლავიატურის გამოყენებით... ამასთან, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კოლოკვიუმების ონლაინ-რეჟიმში გადაყვანა სრულად ვერ ჩაანაცვლებს მეცნიერთა ცოცხალი ურთიერთობებით მიღებული შთაბეჭდილებებისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანობას ახალი იდეების გენერირებასა და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების რეალიზაციაში.<sup>19</sup>

მოკლედ, მოსამებნია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, როგორც „საკუთარი კლასტერის“ წარმომადგენლებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობის სიხშირის რაღაც „ოქროს შუალედი“, რომლითაც ცოცხალი ურთიერთობები აღარ იქნება ისეთი

---

<sup>19</sup> ჩვენ აქ საერთოდ არ ვეხებით ფორმატს იმ სპეციალობების მიხედვით, სადაც ონლაინ სწავლებას შეზღუდული შესაძლებლობა აქვს და სადაც ცოცხალ, „ოფლაინ“ ურთიერთობებს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური უნარებისა და გადმოცემის ფორმის განსავითარებლად, რომლებმაც შემდგომში სტუდენტების პროფესიული წარმატებები უნდა უზრუნველყონ (საბალეტო სტუდიები, სამხატვრო აკადემიები, კონსერვატორიები...). – ელემენტარულად, საბალეტო სკოლაში ბალერინას მიერ ფეხის სწორი დაჭერა (მოდრაობებს რომ თავი დავანებოთ) საჭიროებს ადგილზე პედაგოგის მიერ არა მარტო ვერბალურ მითითებებს, არამედ ფიზიკურ დახმარება-კორექტირებასაც.

ინტენსიური და ყოველდღიური, როგორც მანამდე და შემოიფარგლება გაცილებით ნაკლები ინტენსივობით. დანარჩენი დრო მთლიანად გადავა მათი თვითორგანიზებისა და თვითრეალიზაციისათვის განკუთვნილ „დროის ყულაბაში“.

ამასთან, პრობლემას მაკროეკონომიკური კუთხითაც თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ **ცოცხალი, რეალური ჩართულობის დონე სწავლების**, ისევე, როგორც შთაბეჭდილებისა და მომსახურების ეკონომიკის სფეროებში (სწავლების აუდიტორული ფორმატი, ვიზიტები მუზეუმებში, თეატრებში, ფიტნეს-კლუბებში, შორეული ტურისტული მოგზაურობები და ა.შ.) ვირტუალურთან შედარებით, საკმაოდ მაღალ კორელაციაში იქნება ადამიანთა შემოსავლების დონესთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ – პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებელთა გაცილებით შეზღუდული და შედარებით მაღალშემოსავლიანი სეგმენტისათვის. სწორედ მომსახურების ფასი და შესაბამისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა გახდება დასახელებულ (და არა მარტო) მომსახურებებში ადამიანთა რეალურ და ვირტუალურ ჩართულობას შორის გავლებული „კერზონის ხაზი“<sup>20</sup>, რომელიც ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის კვალობაზე სულ უფრო გახსნილი და მოსახლეობის მზარდი ნაწილისათვის დამლევადი გახდება.

---

<sup>20</sup> „კერზონის ხაზი“ – გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის მიერ 1920 წელს შემოთავაზებული და ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ რეკომენდირებული პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი. ზოგადად გამოიყენება თვისებრივად ორი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის – დასავლეთსა და სოვდევპიას (ბოლშევიკური რუსეთი) შორის გავლებული საზღვრის აღმნიშვნელად.

აღნიშნულ პროცესს აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: მოხდება წარსულის ისეთი ფეტიშებისაგან განთავისუფლება, როგორებიცაა სამუშაო კვირა და სამუშაო დღე. თანდათან წაიშლება ზღვარი ადამიანის დასვენებისა და სამუშაო დროებს შორის. – ბევრმა ეს სახლში, დისტანციურად მუშაობის „წყალობით“ უკვე იგრძნო. – ეხლა მუშაობა უკვე ჩვეულებრივი გახდა გამოსასვლელ, დასვენების დღეებშიც და საღამოს საათებშიც; ანალოგიურად შეიძლება ითქვას თავისუფალ დროზეც.<sup>21</sup>

მივიღებთ არა მარტო დასაქმების, არამედ ერთობლივად დასვენების ვირტუალურ, ახალ, უფრო რაციონალურ ფორმებს – მათ შორის ქართული მრავალკაციანი სუფრების მოყვარულებსაც მოუწევთ ურთიერთობების ფორმატის რადიკალური შეცვლა.

დისტანციურ ფორმატში მომუშავეებისათვის ბავშვების დაბადება და მათი აღზრდა აღარ იქნება პროფესიული კარიერის წყვეტის საფუძველი.

მოკლედ, ვირტუალობა თანდათან იქცევა იმ რეალურ ძალად, რომელიც ბევრი მიმართულებით და დიდწილად (წარ)მართავს ფიზიკურ პროცესებს. კორონავირუსის პანდემიამ დააჩქარა ამ პროცესების კონკრეტული ინსტრუმენტების ასე მძლავრად შეჭრა ადამიანთა ყოფაში,

---

<sup>21</sup> ოფისების შეკუმშვასა და დისტანციურ, მათ შორის სახლიდან მუშაობას, თავისი ზღვარი აქვს. ბიზნესს და მეცნიერებას ავითარებენ ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ ინფორმაციისა და იდეების ურთიერთგაცვლას, ამ ურთიერთობის შედეგად ახალი იდეებითა და შთაგონებით დამუხტვას. ამიტომ სამეწარმეო და ბიზნეს-სფეროში სამუშაო სივრცის ცნება სულ უფრო მეტად დაიტვირთება **საკლუბო ფუნქციებით**, თუმცა კორონავირუსის საბოლოო დამარცხებამდე მაინც მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომელთა ერთმანეთთან და საერთო სარგებლობის ნივთებთან შეხების მინიმუმაცია.

ცხოვრების, სწავლა-განათლებისა და პირად და კორპორაციულ ურთიერთობათა დამკვიდრებულ წესებში.

## დასკვნა

ამრიგად, კორონავირუსის პანდემიამ, იმის გარდა, რომ მძლავრი სტიმული მისცა ტექნოლოგიების განვითარებას კომუნიკაციების სფეროში, თვისობრივად ახალ ასპექტში დააყენა სწავლა-განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა – მოსახლეობის იძულებითმა თუ ნებაყოფლობითმა იზოლაციამ, კარანტინმა, სწავლებისა და საქმიანობის დისტანციური ფორმების ფართოდ გავრცელებამ წარმოაჩინეს ურთიერთობის ამგვარი ფორმატის ძლიერი და სუსტი მხარეები. გავლილი დრო პანდემიის დაწყებიდან და პროცესის მიმდინარეობის ანალიზი იძლევა საკმარის საფუძველს ონ-ლაინ ფორმატის უპირატესობების ფართოდ, საყოველთაოდ დასანერგად და მისი სუსტი, ან მიუღებელი ასპექტების მინიმიზაციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი და მოხონა-მიწოდების საგრძნობი შემცირება, მან მძლავრი ბიძგი მისცა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას და მათ მასობრივ გამოყენებას. ურთიერთობის, წარმოების, შრომისა და სწავლის, პროცესის ორგანიზების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ფორმები ემსახურება ორ ძირითად მიზანს – მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ გამოყენება სწავლა-განათლებასა და სამეცნიერო-საწარმოო პროცესებში, სადაც ეს ტექნოლოგიები, სწავლების, საქმიანობისა და შრომითი ურთიერთობების ოპტიმალური ფორმების ძიებას „ცდებისა და შეცდომების“ მეთოდის გამოყენებით ახორციელებენ.

## ნინო გომელაური

### პანდემიის სოციოლოგია

სასწრაფოდ უნდა გადავხედოთ  
ჩვენს შეხედულებებს მსოფლიოს შესახებ.  
ალბერ კამიუ „შავი ჭირი“

*ანოტაცია. სტატიას მიმოხილვითი ხასიათი აქვს, რადგან კორონავირუსის პანდემიის გლობალური სოციოლოგიის სისტემატური ფუნდამენტური და ფართო გამოყენებითი კვლევები ჯერ არ ჩატარებულა. ეს ახლო მომავლის საკითხია, მაგრამ დღეს აუცილებელია პოსტ-კორონავირუსული სამყაროს შესაძლო სცენარებისა და ტრენდების გააზრება, რაც, სავარაუდოდ განსხვავებული იქნება. განხილულია უცხოელი სოციოლოგების მიერ არსებული ტენდენციების სისტემატიზაციის მცდელობა. შეჯამებულია პოსტ-კორონავირუსული სამყაროს საშინაო და საგარეო სცენარები და ტენდენციები.*

**შესავალი.** კორონავირუსის COVID-19 პანდემიამ პრაქტიკულად მთელი მსოფლიო მოიცვა და 2020 წლის სექტემბრისთვის გამოვლენილია თითქმის 30 მილიონი ინფიცირებული. თანამედროვე სამყარო სწრაფად იცვლება, იცვლება ყველა სახელმწიფოს, ყველა სოციალური ინსტიტუტის, ყველა ადამიანის ფუნქციონირების ასპექტი. საზოგადოება უფრო და უფრო ეჩვევა აზრს, რომ სამყარო არასდროს იქნება იგივე. და როგორი იქნება იგი მრავალთვიანი კარანტინისა და თვითიზოლაციის შემდეგ, რა იქნება მისი ახალი ფორმატი, წარმოება და მოხმარება, სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რა სტატუსს შეიძენს განათლება, მეცნიერება და კულტურა, რა რისკები და საფრთხეები წარმოიქმნება ამ სამყაროში – ეს კითხვები

ყველაზე აქტუალური, თუ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ როდის და როგორ დასრულდება COVID-19 პანდემია, და იქნება თუ არა მეორე ტალღა და რამდენად უფრო საშიში შეიძლება იყოს იგი პირველზე? სოციოლოგიამ უნდა გასცეს პასუხი ზემოაღნიშნულ კითხვებს, და ეს ეხება საზოგადოებისა და ადამიანის ფუნქციონირებას მომავალში.

ჯერჯერობით ფუნდამენტური გამოკვლევები არ ჩატარებულა, მაგრამ დღეს მკვლევარები, მათ შორის ადგილობრივი და უცხოელი სოციოლოგები, განიხილავენ პოსტ-კორონავირუსულ სამყაროში არსებულ ტენდენციებს და მათი სისტემატიზაციის მცდელობა მკვლევართა მთავარი გამოწვევაა. თანამედროვე სამყაროში პანდემიის გავლენით ცვლილება გლობალური ხასიათისაა, ამიტომ სოციოლოგიას, რომელიც შეისწავლის პოსტ-კორონავირუსულ სამყაროს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კონცეფცია, მეთოდოლოგია და მეთოდები. განვიხილოთ უცხოელ სოციოლოგთა მოსაზრებები პანდემიის სოციოლოგიის შესახებ.

რ. კოენი და პ. კენედი გლობალურ სოციოლოგიას განმარტავენ, როგორც მეტათეორიას, რომელიც სწავლობს გლობალურ სოციალურ სამყაროს კოლექტიურობის სხვადასხვა გლობალურ მაკრო-დონეზე ადამიანთა სოციალურ ქმედებებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით [Cohen, 2013], ლ. სკლარი ახასიათებს გლობალურ სოციოლოგიას, როგორც სოციალურ თეორიას გლობალური გარემოში [Sklair, 2013: 213–235], ს. პეტელის აზრით, გლობალური სოციოლოგიის დანიშნულებაა იმ პრობლემების, საფრთხეებისა და ამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოიქმნება მთელი კაცობრიობის წინაშე [Patel, 2013:603–613], მისი პოზიცია უახლოვდება უ. ბეკისა და ე. გიდენსის პოზიციას, რომელთათვისაც გლობალიზაცია და გლობალური



საზოგადოება არის გლობალური რისკის საზოგადოება [Beck, 1992, 2000; Giddens, 1999].

სოციოლოგიის მეთოდებიდან, რომლებიც ორიენტირებულია გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებულ გამოკვლევებზე შეიძლება გამოვყოთ კვლევის შემდეგი მეთოდები:

- სოციოლოგიური დაგეგმვა და პროგნოზირება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მოულოდნელი ინფექციური დაავადების გავლენის შესამსუბუქებლად საზოგადოებაზე;
- ეროვნული პოლიტიკის ანალიზი პანდემიასთან მიმართებაში;
- ანალიტიკური მეთოდები დაავადების გადადებისა და სიმძიმის ადრეული სიტუაციური ცოდნისა და სავარაუდო ეფექტურობის პროგნოზირებისათვის.
- გადაწყვეტილების მიღების მოდელები რომლებიც ეფუძნება სიტუაციურ ანალიზს. გადაწყვეტილების მიღების მოდელები დამყარებულია სოციალურ, პოლიტიკურ და ეთიკურ მოსაზრებებზე [Chretien, 2015; Ge, 2010: 67–174; Shearer, 2020].

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის სოციოლოგიური კვლევის საგნისა და მეთოდის საკითხი დღეს არ წამოჭრილა. მათზე საუბარი დაიწყო 100 წელზე მეტი ხნის წინ, მას შემდეგ, რაც პლანეტაზე გავრცელდა, ეგრეთ წოდებული ესპანური გრიპი, (ცნობილი როგორც 1918 წლის გრიპის პანდემია, რაც 1918 წლის იანვრიდან 1920 წლის დეკემბრამდე გავრცელდა), რის შედეგადაც 500 მილიონზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა (იმ დროისთვის მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედი). სხვადასხვა შეფასებით, დაღუპულთა რიცხვი 17-დან 50 მილიონამდე მერყეობს, რაც მას კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მომაკვდინებელ პანდემიად აქცევს [Brown, 2018;

What the 1918 flu pandemic ..., 2018]. ეპიდემიის დროს, პირველი, რასაც სოციოლოგები აკვირვებიან, არის სოციალური კავშირების სტრუქტურის შეცვლა. ბოლო ასეთი კვლევა უკავშირდება 2003 წელს ჰონგ კონგში მიმდინარე ეპიდემიას. სოციოლოგი პიტერ ბერი იმ დროს ჰონგ კონგში იმყოფებოდა და აწარმოებდა დაკვირვების დღიურს, ატარებდა ინტერვიუებს. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეპიდემიურ სიტუაციაში მყოფი ყველა ადამიანი ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, ერთმანეთისთვის უცნობმა ადამიანებმა უცებ გამოიჩინეს კოლექტიური სოლიდარული მოქმედების უნარი. მაქს ვებერის შემდეგ ამ ფენომენს მან უწოდა "Community of destiny". ხალხის სპონტანური სოლიდარობის მთავარი მიზეზი, არის საერთო საფრთხის აღიარება. ეს განასხვავებს ეპიდემიას ბუნებრივი სტიქიებისგან. მაგალითად, ინდონეზიაში 2007 წლის წყალდიდობა. ხალხს არ ჰქონდა დრო, გაეცნობიერებინათ საერთო საფრთხე, რომელსაც შეიძლება კოლექტიური წინააღმდეგობა გაუწიო. ეპიდემიასა და პანდემიას შორის იზოლაციას საკმაოდ საინტერესო განსხვავება აქვს. ეპიდემიის შემთხვევაში იზოლირებულია ერთი ან მეტი სპეციფიკური უბანი. პანდემიის დროს, მთელი მსოფლიო იზოლაციის სიტუაციაში აღმოჩნდება. როგორც, მკვლევარი ჯერემი შაპირო ამბობს, რომ პანდემია აერთიანებს, პანდემია პირიქით ყოფს. ეს ჰიპოთეზა ჯერ კიდევ შესამოწმებელია.

ახალი დაავადებების სოციოლოგიური მნიშვნელობა განზოგადებულ იქნა პ. მ. სტრონგის მიერ 1990 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის წარდგენილ ანგარიშში „ჯანმრთელობისა და დაავადებათა სოციოლოგია“, სადაც იგი სოციოლოგიურ კვლევას განიხილავს საზოგადოების რეაქციას პანდემიაზე, როგორც გლობალურ ეგზისტენციალურ საფრთხე [Strong, 1990].

ვირჯინიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი დ. ბლექი, 2011 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მორალის დრო“, საუბრობს შავი ჭირის შედეგებზე ევროპაში, ხაზს უსვამს საზოგადოების ისეთ რეაქციებს, როგორცაა ცრუ ინფორმაცია, ყალბი ბრალდებები, ებრაელთა და სხვა დაავადებულ ჯგუფთა მასობრივი მკვლელობები. მისი აზრით, სოციალური რყევები ყოველთვის იწვევს შეთქმულებისა და კონსპიროლოგიის თეორიებს, ასევე პანიკაში მყოფთა მასიურ გადაადგილებებს და ამით არ შეიძლება არ დაინტერესდეს პანდემიის სოციოლოგია [Black 2011]. სტატიაში "პანდემიის სოციოლოგია", რომელიც სოციალური ქსელების საშუალებით გახდა ცნობილი 2020 წლის მარტის შუა რიცხვებში, იგი აღნიშნავს, რომ შეიძლება იყოს ახალი შეთქმულებების მოლოდინი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე გამოიხატა შეერთებული შტატების ბრალდებებში ჩინეთის მიმართ და ჩინეთის მხრიდან ამერიკისადმი. დ. ბლექის აზრით, ეს არის ჩვეულებრივი "ბრალდების და გამართლების ბუნებრივი სოციალურ-ეროვნული განცდა" და უნდა ველოდოთ, რომ მისი გამოვლინებები შემდგომშიც იქნება. სოციალური გრძნობების შესწავლა, განსაკუთრებით სოციალური რყევების დროს, რა თქმა უნდა, სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის საქმეა. პროფესორის აზრით, მასობრივი საზოგადოების ატომიზაცია გაძლიერდება მასობრივი სოციალური დისტანცირების შედეგად, გამოიხატება სოციალური ურთიერთობების ცვალებადობით და ფრაგმენტაციით და სოციალური ორგანიზაციის ფორმა (უფრო სწორად, დეზორგანიზაციის) გახდება, რომ არა საპირისპირო სოციალური სოლიდარობის ტრენდის გამოვლინება. მისივე აზრით, გაჩნდება ახალი სოციალური ეთიკა, რომელიც გამოიხატება ახლობლებთან სიახლოვის

შენარჩუნებაში (ნათესაობითი, პარტნიორობითი, სულიერი და ა.შ.) და დისტანციურად შორებლებს შორის ... შესაბამისად, საზოგადოების ორგანიზაციისა და თვითორგანიზაციის ფორმა მოითხოვს კორონავირუსის შემდგომი სამყაროს ფორმატირების სცენარის სოციოლოგიურ შეისწავლას [Black, 2020].

ლოს ბანესის (ესპანეთი) სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სოციოლოგიის პროფესორი პრინს კენექს ალდამა თავის სტატიაში "სოციოლოგიის გამოყენება კორონავირუსის პანდემიის გასაგებად" წამოჭრის მნიშვნელოვან საკითხს: როგორ უნდა მოვექცეთ კორონავირუსის ფენომენს, როგორც საზოგადოებრივ საკითხს და გლობალურ რისკს? იგი ახასიათებს რისკის სამ მთავარ რეაქციას: უარყოფას, აპათიასა და ტრანსფორმაცია. უარყოფით ჩვენ ვიქცევით ისე, თითქოს რისკი არ არსებობს. აპათიურობით შეგვიძლია ვაღიაროთ რისკი მასზე რეაგირების გარეშე. ვითარების რეალობისა და სიმძიმის გათვალისწინებით, შესაძლოა ვერც ერთმა ვერ გადაგვარჩინოს. რჩება გარდაქმნა, რაშიც ის გულისხმობდა კოლექტიურ, გლობალურ და კონსტრუქციულ ტრანსფორმაციულ მოქმედებას. ეს არის მომავლის სცენარის ძირითადი საფუძველი და ერთადერთი გზა არსებული საფრთხის წინააღმდეგ და მომავალი საზოგადოების მშენებლობისთვის.

სოციოლოგიამ უნდა შეისწავლოს სოციალური ტრანსფორმაციის ფორმები, მისი ძირითადი სცენარები, შეასრულოს ექსპერტის როლი მმართველი კლასის სოციალური სცენარების დასაბუთებლად და ფართო მასების აუხსნას მათი სცენარები, თავიდან აიცილოს ყალბი ინფორმაციის გავრცელება და ზოგჯერ პროვოკაციული სოციალური ჭორებისაც [Prince Kennex R. Aldama, 2020].

სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი დ. კოჰანი თავის მასალაში "კორონავირუსის განვითარების სოციოლოგია", რომელიც 2020 წლის აპრილის დასაწყისში გამოქვეყნდა, ხაზს უსვამს პოსტ-კორონავირუსული სამყაროს ყველაზე მწვავე პრობლემებს: ეკონომიკურ შედეგებს, მათ შორის სიღარიბეს, ეკონომიკურ უთანასწორობას და უმუშევრობას, საკვების ნაკლებობასა და უსაფრთხოებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა შედეგებს, ნაციონალიზმსა და რასიზმს, ეიჯიზმსა და ხანდაზმულთა მკურნალობას. სოციოლოგიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ პრობლემებს, რადგან ისინი გლობალური იქნება მთელი მსოფლიოსთვის და გახდება წამყვანი ტრენდი [Cohan, 2020].

კაროლინის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი რ. კაპრიანო თავის სტატიაში "სოციოლოგი განმარტავს, თუ როგორ შეუძლია კორონავირუსს შეცვალოს სამყარო ჩვენს გარშემო", რომელიც 2020 წლის აპრილის დასაწყისში გამოქვეყნდა, ამბობს, რომ COVID-19-ის მსგავსი პანდემია, განსაკუთრებით საინტერესოა სოციოლოგებისათვის, რადგან „ასტიმულირებს, რადიკალურად ცვლის ჩვენს სოციალურ პროცესებს“. რაზე ამახვილებს ყურადღებას სოციოლოგი პირველ რიგში?, სვამს კითხვას რ. კაპრიანო და პასუხობს შემდეგნაირად: პირველ რიგში, სოციალურ პოლიტიკაზე. პანდემია ავლენს შეზღუდვებს სოციალურ პოლიტიკაში და ეს, ერთი მხრივ, უნდა გახდეს სოციოლოგების შესწავლის საგანი და მეორე მხრივ, არ გახდეს საზოგადოების განვითარების მუდმივი სცენარი. მეორე, სოციოლოგმა უნდა გამოიკვლიოს სოციალური პირობები და სოციალური უთანასწორობა, რაც გავლენას ახდენს ჯანმრთელობასა და ვირუსული ინფექციებისგან განკურნების შესაძლებლობებზე. ამისათვის სოციალური ინსტიტუტების მოქმედება ოპტიმალური უნდა იყოს. ხოლო

სოციალური ინსტიტუტების ურთიერთქმედების ოპტიმალურობის ხარისხის შესწავლა სოციოლოგიის ამოცანაა. მესამე, სოციოლოგებმა უნდა განსაზღვრონ სოციალური ინსტიტუტების კოორდინაციის ფორმები და გახდნენ მთავრობის ექსპერტები. მეოთხე, კრიზისის და სხვადასხვა სოციალური და წმინდა ფსიქიკური მიზეზების გამო გლობალური სოციალური რყევების პირობებში, ზოგიერთ ადამიანს აქვს ანტისოციალური და ანტისახელმწიფოებრივი განწყობა, რაც გამოიხატება პრაქტიკულ ანტისოციალურ ქმედებებში. ეს საკითხი ასევე მოითხოვს სოციოლოგიურ ანალიზს, წინააღმდეგ შემთხვევაში ანტისოციალური ქცევა პოსტ-კორონავირუსულ სამყაროში გახდება სტაბილური ტენდენცია [Capriano, 2020].

არკანზასის უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის პროფესორი კ. ფიცპატრიკი, ერთ-ერთი მკვლევარია, ვინც მონაწილეობა მიიღო ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევაში, მიუთითებს სურსათის უვნებლობის პრობლემაზე, რომელიც აქტუალურია როგორც დღეს, ასევე პოსტკორონავირუსულ სამყაროში. როგორც კ. ფიცპატრიკი ასაბუთებს გამოკითხულთა 38.3%-მა მთელს შეერთებულ შტატებში აღნიშნა სურსათის უვნებლობის საშუალო ან მაღალი დაუცველობა. ალაბამას შტატს სურსათის დაუცველობის ყველაზე მაღალი დონე ჰქონდა (გამოკითხულ რესპონდენტთა 47,7%), შემდეგ მოსდევს არკანზასი (47,4%), ტენესი (45,1%) და კენტუკი (44%). აიოვას შტატს ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ მაინც მაღალი 24,5%, ანუ ყოველი მეოთხე რესპონდენტი. მომავალში სურსათის უვნებლობის დონის შემცირება შეიძლება გახდეს სოციალური არასტაბილურობის მომატების ტრიგერი; შესაბამისად, ეს

საკითხები უნდა იყოს სოციოლოგიის ყურადღების ცენტრში მომავალი სოციალური სამყაროს შექმნისას [Fitzpatrick, 2020].

ადამასის უნივერსიტეტის (დასავლეთ ბენგალია) სოციოლოგიის პროფესორი, კ. პალიტი, თავის სტატიაში "სოციოლოგია და პოსტ-პანდემიური სამყარო მდგრადი საზოგადოების აღდგენისთვის", რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის აპრილის შუა რიცხვებში, აღნიშნავს, რომ სოციოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პანდემიის მასშტაბურობის გაგებაში, მის მიერ გამოწვეული სოციალური კრიზისის სიმძიმის სერიოზულობაში, ისევე როგორც ამ პრობლემით ყველაზე უფრო დაზარალებული მოსახლეობის დაცვაში. ეს გამოიწვევს, რომ მომავალში მთავრობა უფრო მეტად დამოკიდებული იქნება სოციოლოგებზე სოციალური პრობლემის გააზრების თვალსაზრისით, მაგალითად, მშრომელ მიგრანტებთან დაკავშირებული იმ პრობლემების გაგებაში, რომლებიც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ პანდემიის გამო ბლოკირების შედეგად. საზოგადოება, რომელშიც უთანასწორობა, აკრძალვები, დეპრივაცია და გენდერული დისკრიმინაცია აღინიშნება განსაკუთრებით მყიფეა. ისეთ განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად როგორცაა ინდოეთი, ამგვარი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ სოციოლოგების, საველე კვლევებისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების საშუალებებით, და რა თქმა სოციოლოგები უნდა აცნობიერებენ მათ მიერ შესასწავლილი სოციალური ჯგუფის კულტურას. ეს მათ შეუცვლელს გახდის სოციალური პრობლემების სიღრმისეული გააზრებასა და გადაჭრის შესაძლო გზების შემოთავაზებაში.

პოსტპანდემიურ სამყაროში ეკონომიკური კრიზისის ფონზე, აუცილებლად მოხდება სამუშაო ადგილების დაკარგვა და ფასების ზრდა. სწორი კვლევისა და შესაბამისი

პოლიტიკის ინიციატივების საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ საზოგადოების სიღარიბე და სიღატაკე. გაჭირვების მიზეზებისა და ადამიანების კონკრეტული საჭიროებების გაცნობიერებით, რესურსების გენერირების გზით, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ უკეთესი სამყარო.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, იმანუელ კანტის ბალტიის ფედერალური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი ა. ტესლია, მიიჩნევს, რომ "პოსტკორონავირუსულ პერიოდში შესაძლოა ვიხილოთ ტერიტორიული სახელმწიფოების დაბრუნება. კლასიკური გაგებით, ამას უწოდებენ nation state... სახელმწიფოს გაძლიერებას თან მოჰყვება შეზღუდვებთან, კონტროლთან და დისციპლინასთან დაკავშირებული ახალი პრაქტიკის იმპლემენტაცია.

რუსი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი ვ. კურენოი აღნიშნავს ორი საპირისპირო ვექტორის ფორმირებას. პირველი ვექტორია ტრადიციული ინსტიტუციების მნიშვნელობის აღდგენა. მეორე ვექტორი – ციფრული ქსელების მაღალტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება. „ვაჭრობა, განათლება, რეკრეაცია და კულტურა – მასიურად გადაეწყობა სხვადასხვა ქსელური პლატფორმების საფუძველზე და ამ სფეროში ინოვაციის ინტენსიურ მოთხოვნილებას წარმოშობს. ეს ორი საწინააღმდეგოდ მიმართული პროცესი მიმდინარეობს გლობალურ და ეროვნულ-ლოკალურ დონეზე”.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ეკონომიკური სისტემების მოდელირების განყოფილების მკვლევარი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ი. კამენევი, მიიჩნევს, რომ პოსტ-კორონავირუსულ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ტრენდი იქნება შრომის ბაზრის ციფრული ტრანსფორმაცია.



ეს დიდ ძალისხმევას და მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვს [ძინიბ, 2020].

### საქართველოში ჩატარებული კვლევა

კვლევა სახელწოდებით „მოსახლეობის ცოდნის, რისკების აღქმის, პრევენციული ქცევებისა და საჯარო ნდობის მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის ფონზე საქართველოში“ 11 რეგიონში ნახევარსაათიანი სატელეფონო ინტერვიუს სახით ჩატარდა. სულ გამოიკითხა 1000 რესპონდენტი. პირველი ეტაპი ჩატარდა 21-22 აპრილს, მეორე – 29-30 აპრილს და მესამე – 14-25 მაისს. კვლევა ჩატარდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროსა და საქართველოს ოფისის და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ. მაშინ საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების პიკი იყო და ქვეყანა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში იმყოფებოდა.

კვლევით დაადგინეს:

საქართველოს მოსახლეობის 55% მიიჩნევს, რომ კორონავირუსით დაინფიცირების შანსი დაბალია,

ოჯახების 23%-ს შეუმცირდა შემოსავალი, 65%-ს – არ შეცვლილა და გაეზარდა 3%-ს;

კვლევის ყოველ მეხუთე მონაწილემ (21%) დაკარგა სამუშაო;

ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდნენ: განსაკუთრებით დაზარალდნენ ოჯახები, რომლებსაც აქვთ დაბალი ბიუჯეტი, 300-დან 500 ლარამდე თვეში;

90%-ზე მეტი აცხადებს, რომ იცავდა ყველა რეკომენდაციას: ისინი იჯდნენ სახლში, 20 წამის განმავლობაში იბანდნენ ხელებს, ცდილობდნენ არ შეხებოდნენ სახეს, იყენებდნენ ნიღბებს, დეზინფექტორებს და არ ავიწყდებათ მობილური ტელეფონის დეზინფექცია;

ქალაქის მისახლეობა უფრო მეტი მონდომებით იცავდა სოციალური დისტანციის რეკომენდაციებს, ვიდრე სოფლის მოსახლეობა, ხოლო ქალები უფრო მოწესრიგებულნი არიან ვიდრე მამაკაცები;

ასაკოვან ადამიანებს უფრო მეტად ემინიათ კორონავირუსის;

70%-ზე მეტს მიაჩნია, რომ აუცილებელია 112-ზე დარეკვა, როდესაც მათ ან ოჯახის წევრებს აქვთ ხველა, ცხელება, სუნთქვის პრობლემები;

85%-ზე მეტმა გამოკითხულმა ნდობა გამოუცხადა საავადმყოფოებს, ჯანდაცვის სამინისტროსა და კორონავირუსთან ბრძოლის უწყებათაშორის ცენტრს;

63% კარგად არის ინფორმირებული მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესახებ, 15% - ცუდად. ამასთან გეგმას დადებითად აფასებს 53%, ხოლო 17% - უარყოფითად;

რაც უფრო მეტად არის ინფორმირებული რესპონდენტი მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესახებ, მით უფრო დადებითად აფასებს მას;

გამოკითხულთა 44%-ის თვალსაზრისით, ანტიკრიზისული გეგმა არის მაქსიმუმი, რაც ხელისუფლებას ამ ეტაპზე შეეძლო გაეკეთებინა;

გამოკითხულთა 49% არ მიიჩნევს საკმარისად ექვსი თვის განმავლობაში 200 ლარიან ფინანსურ დახმარებას მათთვის, ვინც სამსახური დაკარგა. 55%-მა განაცხადა, რომ ერთჯერადი 300 ლარიანი შემწეობა არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ პანდემიის პერიოდს გაუძლოს;

50% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ანტიკრიზისული გეგმა ბევრ სოციალურად დაუცველ ადამიანს რეალური დახმარების გარეშე ტოვებს;

დისტანციური სწავლების დაწყებით კმაყოფილია გამოკითხულთა ის 72%, ვისაც ოჯახში ჰყავს შვილები.

კვლევამ აჩვენა, რომ თავდაპირველად საქართველოს მოსახლეობას კორონავირუსი უფრო სახიფათო მიაჩნდა, მაგრამ თანდათან საფრთხის შეგრძნება შემცირდა. სოციოლოგები სიტუაციას ახასიათებდნენ როგორც "შიშის პანდემია", რომელშიც შიშის სამი ძირითადი ტიპი არსებობს: 1) ინფიცირებისა და სიკვდილის შიში; 2) სამსახურისა და საარსებო წყაროს დაკარგვის შიში; 3) შეუცნობადის შიში. კვლევის მეორე ეტაპისათვის ქვეყანამ თავიდან აიცილა აფეთქება, არ ყოფილა დალუპულთა მასშტაბური რაოდენობა, რამაც შეცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება ვირუსის მიმართ. კვლევის ბოლოსათვის ადამიანების აღქმაში დაინფიცირების საფრთხე შემცირდა და წინ წამოიწია სხვა პრობლემები – დასაქმება და კომუნიკაციის ნაკლებობა. თითქმის ყველა გამოკითხულმა გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ იციან, როდის დასრულდება კორონავირუსის პანდემია.

## დასკვნა

თუ შევაჯამებთ პოსტ-კორონავირუსული სამყაროს საშინაო და საგარეო სცენარებს და ტენდენციებს, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების აღდგენა;
- სახელმწიფოს როლის განმტკიცება პანდემიით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად და ეკონომიკის აღდგენის საქმეში;
- საზოგადოების სტრუქტურის ცვლილებები, რაც გამოიხატება საშუალო კლასის ტრანსფორმაციაში და ზოგიერთ ქვეყანაში, მისი თითქმის სრული გაუჩინარებაში;
- პოსტ-კორონავირუსული სამყაროს, როგორც გლობალური რისკის საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც გლობალური დათბობის, მსოფლიო ომის,

- საერთაშორისო ტერორიზმის წინა გლობალური რისკები დროებით უკანა პლანზე გადადის;
- გლობალური ეკონომიკის პრობლემების წინ წამოწევა, რომელიც დაკავშირებულია პანდემიის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ეკონომიკურ შედეგებთან, სიღარიბის, ეკონომიკური უთანასწორობისა და უმუშევრობის ჩათვლით;
  - პოსტ-კორონავირუსული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა იქნება უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც მოიცავს სურსათის უვნებლობას, სოციალურ დაცვას, სამედიცინო და ბიოლოგიურ უსაფრთხოებას;
  - ტერიტორიული ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება;
  - ნაციონალიზმისა და რასიზმის განმტკიცება;
  - მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალური ურთიერთქმედების ფორმებში, რაც გამოხატულია სოლიდარობის ფორმების განვითარებაში;
  - სოციალურ დისტანციასთან ასოცირებული სოციალური კავშირების ე.წ. სოციალური ინტროვერტული ეგოიზმის ჩამოყალიბება, როგორც სოციალურ გამოწვევებსა და საფრთხეებთან სოციალური ადაპტაციის ფორმა;
  - ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობაზე სხვადასხვა მასიური შედეგების წარმოქმნა;
  - ციფრული ტექნოლოგიების მიმართ ინტერესის გაზრდა – წარმოებაში, სოციალურ სფეროში, განათლებასა და კულტურაში;
  - საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში დისტანციური ტექნოლოგიების განვითარება.

ადგილობრივი და უცხოელი სოციოლოგების პროექტებში პოსტ-კორონავირუსული სამყაროს სცენარების

და ტრენდების სისტემატიზაცია ერთმნიშვნელოვნად ასახავს სოციოლოგიის როლის განმტკიცებას, რამაც ახალ სამყაროში უნდა განსაზღვროს სოციალური ინსტიტუტების ოპტიმალური კოორდინაციის ფორმები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Beck U. (1992). Risk society: towards a new modernity. New Delhi.
2. Beck U. (2000). What is globalization? Cambridge, England: Polity Press,
3. Black D. (2011). Moral time. Oxford University Press, USA.
4. Black D. Sociology of Pandemic. <http://socialgeometer.com/index.php/2020/03/16/sociology-of-pandemic/>
5. Brown J. (2018). Influenza: The hundred year hunt to cure the deadliest disease in history. New York: Atria.
6. Capriano R.M. Sociologist explains how coronavirus might change the world around us. <https://phys.org/news/2020-04-sociologist-coronavirus-world.html>.
7. Cohen R., Kennedy P. (2013). Global sociology. Red Globe Press.
8. Chretien J.P., Riley S., George D.B. (2015). Mathematical modeling of the West Africa Ebola epidemic. Life. 4:e09186. pmid: 26646185.
9. Cohan D. J. Sociology of the virus assignment.
10. <https://www.psychologytoday.com/us/blog/social-ights/202004/college-assignment-about-the-pandemic>
11. Fitzpatrick K. Survey shows regions of elevated food insecurity due to COVID-19 pandemic. <https://news.uark.edu/articles/52820/survey-shows-regions-of-elevated-food-insecurity-due-to-covid-19-pandemic>

12. Ge L., Mourits M., Kristensen A., Huirne R. A modelling approach to support dynamic decision-making in the control of FMD epidemics // *Prev. Vet. Med.* 2010. Vol. 95 (3). P.167-174.
13. Giddens A. (1999). Risk and responsibility//*Modern Law Review*.
14. Palit, K. Sociology and the post-pandemic world reconstructing a sustain society. <http://adamasuniversity.ac.in/sociology-and-the-post-pandemic-world>
15. Patel S. (2013). Doing global sociology: issues, problems and challenges//*Current Sociology*. Vol. 62, № 4. P. 603-613.
16. Prince Kennex R. Aldama. Using sociology to make sense of the coronavirus pandemic. <https://www.rappler.com/views/imho/255954>
17. Shearer F.M., Moss R., McVernon J., Ross J.V., McCaw J.M. (2020). Infectious disease pandemic planning and response: Incorporating decision analysis//*PLoS Med.* Vol. 17 (1).
18. [https:// doi.org/10.1371/journal.pmed.1003018](https://doi.org/10.1371/journal.pmed.1003018)
19. Strong P.M. Epidemic psychology: a mod-el // *Sociology of Health and Illness*. 1990. № 12.
20. P. 249-259.
21. What the 1918 flu pandemic can teach to-day's insurers. In H. Carrell (Ed.). 2018.
22. Волков Ю. Г., Курбатов В. И.(2020). Глобальная социология пандемии: отечественные и зарубежные сценарии и тренды послекоронавирусного мира. *Гуманитарий юга России*. Т. 9 (42) № 2.
23. Горшков М.К. Пандемия очищает небосвод. О COVID-19 в контексте социальной диагностики. <https://lgz.ru/article/17-18-6735-29-04-2020/>
24. Добров Е., Сысоев Т. 15 образов мира после коронавируса // Эксперт. <https://expert.ru/expert/2020/15/15-obrazov-mira-posle-koronavirusa/>

25. <https://sputnik-georgia.com/society/20200718/249005823/-evrokavSiris-kvleva-saqarTveloSi>

## *მზია შელია*

### **მოსახლეობის დაბერების აჩქარება საქართველოში: პოსტსაბჭოთა პერიოდი**

#### **შესავალი**

მოსახლეობის დაბერება გლობალური მოვლენაა. ქვეყნების უთანაბრო დემოეკონომიკურ განვითარებას დაბერების პროცესის უთანაბრობაც მოსდევს, რაც მისი მართვის ერთიანი მექანიზმის შექმნას აძნელებს.

დემოგრაფიული დაბერება მეტ პრობლემებს უქმნის ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ, მცირერიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველომ ეკონომიკური დაცემა და მკვეთრი უკუსვლა განიცადა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1990-იან წლებში ერთობლივი შიგა პროდუქტის მოცულობა 4-ჯერ შემცირდა. ისედაც დამძიმებულ ეკონომიკურ ვითარებას დაბერებით გამოწვეული პრობლემებიც დაემატა და დაბერებულ დასავლეთთან შედარებით მეტი თავსატეხი გაუჩინა. ჩვენ მიზნად დავისახეთ მოსახლეობის დაბერების იმ კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა, რომელიც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა პატარა ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობას დაბალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში ახასიათებს ევროპული დემოგრაფიული ქცევა. ამისათვის მოსახლეობის საყოველთაო აღწერების, მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მასალების მიხედვით შევისწავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაბერების ევოლუცია. ამავე დროს, ჩვენს მიერ 2004-2015 წწ.-ში ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევების შედეგთა განზოგადებით, შევეცადეთ წარმოგვედგინა დაბერებული მოსახლეობის



ადგილი და როლი ტრასფორმირების პროცესში მყოფ ოჯახსა და საზოგადოებაში.

### **კვლევის შედეგები**

#### **დემოგრაფიული დაბერების კანონზომიერებები და თავისებურებები**

მოსახლეობის ასაკობრივის სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ 1970-იანი წლების შუახანებიდან საქართველო უკვე დემოგრაფიულად დაბერებულია. გამოვლინდა, რომ დაბერების პროცესს მაღალი ტემპი არ ახასიათებდა, თუმცა, შეუქცევადი ხასიათი კი ჰქონდა. მთელი XX საუკუნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობაში იზრდებოდა 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დემოგრაფიული დაბერების პროცესი შობადობის შემცირებით დაიწყო XIX საუკუნის დამდეგს და ამით დაიწყო მისი პირველი ეტაპი. იგი გრძელდებოდა საკმაოდ ხანგრძლივად, XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ამ დროს, დამთავრდა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული ახალგაზრდობა: 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა 8%-ს გადააჭარბა.

დემოგრაფიული დაბერების მეორე ეტაპი – ესაა გარდამავალი პერიოდი დემოგრაფიული ახალგაზრდობიდან დემოგრაფიულ სიბერემდე. ის საქართველოში 1970-იან წლებამდე გაგრძელდა და განპირობებული იყო სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდით. ხოლო მესამე ეტაპი (1970-დან 1990 წლებამდე), ხასიათდებოდა იმით, რომ 1970-იანი წლების ბოლოდან უკვე ჩამოყალიბებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა განსაზღვრული ზომით თვითონ განაპირობებდა მოსახლეობის შემდგომ განვითარებას. ამ დროს 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის მატების გამო

გაიზარდა მოკვდაობის ზოგადი მაჩვენებელი, დაბერების ტემპიც შედარებით სტაბილური გახდა.

1990-იანი წლებიდან დღემდე გრძელდება მოსახლეობის დაბერების მეოთხე ეტაპი. ამ ეტაპზე დემოგრაფიული დაბერების პროცესი მეტად დაჩქარდა. ვთვლით, რომ დეპოპულაციასა და ინტენსიურ ემიგრაციასთან ერთად მოსახლეობის დაბერების აჩქარება პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროცესს განვითარების ისეთი მაღალი ტემპი, როგორც 90-იან წლებში შეინიშნებოდა, ადრე არ ჰქონია.

2014 წლიდან საქართველო აღწარმოების გაფართოებულ რეჟიმზე გადადის. მაგრამ მოსახლეობის დიდი ემიგრაციული კლების გამო დაბერების პროცესი კვლავაც ინტენსიური რჩება.

ამჟამად საქართველო კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბერებული ქვეყანაა, ყოველი მეხუთე ადამიანი 60 წლისა და უფროსი ასაკისაა. აქ შეიქმნა დემოეკონომიკური განვითარების მეტად სპეციფიკური ვითარება. კერძოდ, ჩამოყალიბდა დემოგრაფიული დაბერების ე.წ "მეოთხე მოდელი" (პროფესორ ი. შმიდის კლასიფიკაციით), რომელიც დამახასიათებელი იყო გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის და წარმოადგენდა „დემოგრაფიული გადასვლის პარადოქსს“. იგი გამოიხატებოდა იმით, რომ ამ ქვეყნებში ფერტილობა ისეთივე დაბალი იყო, როგორც დამახასიათებელი იყო მოცემულ პერიოდში ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვის, ხოლო სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა კი ბევრად ნაკლები (დაახლოებით 10 წლით ნაკლები), რაც ევროპისათვის ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იყო დამახასიათებელი [Шмид, Й. 1998].

საქართველოში მოსახლეობის დაბერების თავისებურება ვლინდება იმაშიც, რომ დემოგრაფიული დატვირთვა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. დემოგრაფიული დატვირთვის ცვლილება პოსტსაბჭოთა პერიოდში (%)<sup>22</sup>

	ბავშვებით დატვირთვა	მოხუცებით დატვირთვა	სულ დატვირთვა
1989	37,4	13,3	50,7
2002	31,6	19,2	50,9
2014	27,7	21,2	49,0

წყარო: შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერის მასალები.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დაბერება მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ტრადიციულად არა „ქვემოდან“ ან „ზემოდან“, არამედ „შუადას“, რისი მიზეზიცაა შუა ასაკის მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაცია.

ჩვენი დაკვირვებით, პო“სტკომუნისტურ სივრცეში, და შესაძლებელია, მსოფლიოშიც კი, არ არსებობს საქართველოს მსგავსი ქვეყანა, სადაც მცირე ტერიტორიაზე (69000 კმ<sup>2</sup>) მეტისმეტად მკვეთრი განსხვავების ასაკობრივი სტრუქტურის მქონე რეგიონები იყოს ერთის მეორის გვერდით განლაგებული. ყველაზე დაბერებულ (რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი) და ახალგაზრდა რეგიონის (ქვემო ქართლი) მედიანურ ასაკში განსხვავება 17 წელია (ცხრილი 2). ეს განპირობებულია ერთი მხრივ, საქართველოს ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელით, მეორე მხრივ,

<sup>22</sup> ბავშვებით დატვირთვაში იგულისხმება 0-14 ასაკობრივი ჯგუფის თანაფარდობა 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფთან, მოხუცებით დატვირთვაში კი – 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის თანაფარდობა 15-64 წლის მოსახლეობასთან.

ისტორიული განვითარების სპეციფიკითა და მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებით.

ცხრილი 2. მოსახლეობის სიბერის მაჩვენებლების ცვლილება საქართველოსა და მის მხარეებში 1959-2014 წწ.

	0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში (%)			60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში(%)			მოსახლეობის მედიანური ასაკი (წელი)		
	1959	1989	2014	1959	1989	2014	1959	1989	2014
თბილისი	22,9	23,2	19,1	10,0	13,3	17,0	29,4	31,0	35,0
აფხაზეთი <sup>23</sup>	30,0	23,9	-	10,2	14,9	-	26,4	31,9	-
აჭარა	32,1	29,0	19,7	9,1	11,2	15,6	24,4	27,0	34,8
გურია	27,6	23,2	16,3	13,6	18,1	25,8	28,0	33,6	43,5
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	27,5	18,4	12,1	15,8	27,9	36,4	28,0	43,5	51,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	30,4	24,0	17,0	12,3	15,5	24,0	26,0	32,2	42,0
იმერეთი	28,3	22,6	17,5	12,4	16,0	24,1	26,9	32,8	41,4
კახეთი	29,4	24,1	17,8	12,2	17,7	23,8	27,0	32,8	41,0
მცხეთა-მთიანეთი	30,5	24,1	17,0	12,3	16,2	22,7	25,3	31,5	39,8
ქვემო ქართლი	36,3	29,7	21,1	8,3	10,1	16,0	22,7	26,8	33,7
შიდა ქართლი	30,5	24,7	18,4	11,1	15,0	20,7	26,6	30,9	39,0
სამცხე-ჯავახეთი	34,6	27,7	19,8	8,7	12,6	19,3	23,4	28,7	36,6
საქართველო	29,3	24,7	18,6	11,0	14,4	20,0	26,5	30,7	37,7

წყარო: საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები.

მაგალითად, ყველაზე დაბერებული ეთნიკური ჯგუფის (რუსები) მედიანური ასაკი 27 წლით მეტია ყველაზე

<sup>23</sup> საქართველოს იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიაზე

ახალგაზრდა ეთნიკური ჯგუფისაზე (ქისტები); საქართველოში მცხოვრებ მართლმადიდებლებსა და მაჰმადიანების მედიანურ ასაკს შორის სხვაობა 4 წელია, ხოლო კათოლიკებსა და მაჰმადიანებს შორის, თითქმის – 9 წელი [შელია მ. 2016].

დემოგრაფიული დაბერება უთანაბროდ მიმდინარეობდა ცალკეულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონებში (ჩრდილოეთ მთიანეთი, სამხრეთ მთიანეთი, მთათაშორისი ბარი). კერძოდ, მთიანი რეგიონები მეტადაა დაბერებული, ვიდრე ბარისა. ამასთან, ჩრდილოეთ მთიანეთი ბევრად უფრო დაბერებულია. კერძოდ, 1950-იანი წლებიდან იგი უკვე დემოგრაფიულადაა დაბერებულია, მაშინ როცა სამხრეთ მთიანეთმა დემოგრაფიული სიბერის ზღვარს მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ მიაღწია.

### **დღევანდელი საქართველოში**

საქართველოში 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში 3,1%-ია, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში – 21,7%. ამით იგი ახლო დგას ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა მაგალითად, სინგაპური (22,9%) და სამხრეთ კორეა (21,2%) [Wan He, Daniel Goodkind, and Paul Kowal. 2016]. საქართველო ყოველთვის მიიჩნეოდა დღევანდელ ქვეყნად. თუმცა არსებობს სხვა შეხედულებაც. მოსახლეობის დღევანდელი ზოგი ცნობილი მკვლევარის აზრით მხოლოდ ეროვნული მითია [Robert D. Young. 2010] ამერიკელი მეცნიერი ლ. გარსონის აზრით, კავკასიელთა დღევანდელი პრეტენზიაც აქედან მომდინარეობს [Garson, L. K. 1986]. იგივეს იმეორებენ ფრანგი დემოგრაფებიც, მათი აზრით, კავკასიელ ქართველთა დღევანდელი ფიქცია, მითი და სტალინისადმი მლიქვნელობის შედეგია [Vallin J. et F. Meslé.

2001]. იგივე შეხედულება აქვს ბელგიელ მეცნიერს, პროფესორ მიშელ პულენსაც [Pulin M. 2006]. ჩვენი აზრით, მათი დასკვნები დაუსაბუთებელია. ასაკობრივი სტუქტურის დამახინჯების ახსნა იმ მოსაზრებით, თითქოს კომუნისტებს სურდათ ეჩვენებინათ, რომ მათ ქვეყანაში ცხოვრების მაღალი დონის გამო ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, არამეცნიერულია. ის ცივი ომის პერიოდის იდეოლოგიური ბრძოლის ანარეკლია, რასაც ინერციით დღემდე იმეორებენ. სინამდვილეში საქართველოში ღრმად მოხუცებულთა სიხშირე აქ ჩამოსულ მოგზაურებისათვის თვალშისაცემი და აღნიშვნის საგანი ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა არც სტალინი არსებობდა, და არც კომუნისტური საზოგადოება. მაგალითად, საფრანგეთის კონსული რუსეთში, ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც საქართველოში 1820-24 წლებში იმოგზაურა, ხაზგასმით შენიშნავს, რომ აქ დღეგრძელები მრავლად არიან [Gamba, J. F. 1826]. დღეგრძელობის მაღალ დონეს საქართველოში ადასტურებს 1960-70-იან წლებში ქართველ, რუს, ამერიკელ და იაპონელ მკვლევარ გერონტოლოგების ერთობლივად ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევებიც.

საქართველოში დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებული და დღეგრძელთა რიცხვით გამორჩეული მხარე რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთია (ცხრილი 2), სადაც ყოველი მესამე 60 წლისა და უფროსი ასაკისაა და მედიანური ასაკი 51,1 წელია. ამ მხარეში, განსაკუთრებით გამოირჩევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სადაც მოსახლეობის მედიანური ასაკი 55 წელია, მათ შორის ქალებისა 59,4 წელი. სიბერის ასეთი მაჩვენებლები არ ფიქსირდება არათუ საქართველოში, არამედ მსოფლიოში

ყველაზე დაბერებულ ქვეყანა, იაპონიაშიც კი. იქ ყველაზე დაბერებულ პრეფექტურაში, აკიტაში (Akita) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 33,4%-ია [Yoshida, R. 2016], როცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში – 34%.

ცხრილი 3. დღეგრძელობის დონე საქართველოს მხარეებში

	80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში (%)	90 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში (%)
თბილისი	13,5	1,1
აფხაზეთი	13,0	1,3
აჭარა	16,6	1,3
გურია	21,0	1,7
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	15,5	1,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	16,8	1,6
იმერეთი	17,0	1,2
კახეთი	17,2	1,2
მცხეთა-მთიანეთი	15,5	1,2
ქვემო ქართლი	15,5	1,0
შიდა ქართლი	18,8	1,2

წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მასალა.

ჩვენი აზრით, საქართველოს მცირე ტერიტორიის მიუხედავად, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელითა და რეგიონების ისტორიული განვითარებით გამოწვეული კულტურული მრავალფეროვნება მოსახლეობის დაბერების მეტად საინტერესო სურათს ქმნის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დემოგრაფიული

დაბერების პრობლემათა სიმკვეთრის თვალსაზრისით საქართველო უნიკალური რეგიონია და დიდი მეცნიერული შედეგი ექნება მომავალში აქ საერთაშორისო მნიშვნელობის ღრმა კვლევების განხორციელებას. მაგალითად, არსებობს თუ არა მოსახლეობის დაბერების ოპტიმალური დონე, როცა მოსახლეობის დაბერების პროცესი დემოგრაფიულ დილემად არ მოინათლება?!

### **დემოგრაფიული მომავალი**

როგორც წესი, მოსახლეობის დაბერება უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას ქმნის. მოსახლეობის დაბერების დემოგრაფიული შედეგებიდან საქართველოში ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:


- სქესთა შორის რიცხოზრივ თანაფარდობაში დისბალანსი. 2002 წელს საქართველოში ყოველ 1000 მამაკაცზე 1120 ქალი მოდიოდა. 2014 წელს – 1094. ბოლო ხანს თანაფარდობის შემცირება ქალთა ინტენსიურმა შრომითმა ემიგრაციამ გამოიწვია.
- ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის გამო უფროსი რეპროდუქციული ასაკის (30-49 წლის) ქალთა წილის ზრდა. ბუნებრივია, ეს მომავალში შობადობის შემცირებას გამოიწვევს.

გაჩნდა კითხვაც: მოელის თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დაბერებით გამოწვეული შოკი?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა პოსტსაბჭოთა პერიოდში არათუ იზრდება არამედ ზოგიერთ წლებში იკლებს კიდევ, სავარაუდოა, რომ ამ მიზეზით ეს საქართველოში ნაკლებადაა მოსალოდნელი (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილება საქართველოში 1990-2015 წწ.



წყარო: Demographic yearbook of Georgia.2015 (G. Tsuladze). Tbilisi, Georgia, 2016. p. 265

გარდა ამისა, ბოლო პერიოდში შობადობის მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესდა. ამაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მოწოდებამ, ოჯახში მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში, ბავშვი მისი ნათლული გახდებოდა. შესაბამისად, ბოლო ათ წელიწადში მესამე და შემდგომი ბავშვის წილი დაბადებულთა შორის გაორმაგდა. მაგრამ დარჩა ემიგრაციის მაღალი ინტენსივობის პრობლემა. ვვარაუდობთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკა შეამცირებს ხანგრძლივი ემიგრაციის ინტენსივობას. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისას, ემიგრანტები, რომელთა არაღეგალური საემიგრაციო ცხოვრება 4 წელი და მეტი იყო, აღნიშნავდნენ: „თავისუფალი მიმოსვლა, რომ ყოფილიყო, როგორც კი ოჯახის ეკონომიკურ პრობლემას გადავწყვეტდი, მაშინვე დავბრუნდებოდი, ამდენი ხნით ქვეყანას და საკუთარ ოჯახს არ მოვწყდებოდი“. [დაბრუნებულ მიგრანტთა კვლევა, 2011]. ამ შემთხვევაში საქართველოში დემოგრაფიული ვითარება რეპროდუქციულ ქალთა უკვე არსებული სიმცირის გამო

კვლავ რთული იქნება, თუმცა დემოგრაფიული სიკვდილისაკენ მიმავალი არა.

**დემოგრაფიული დივიდენდი და საპენსიო ასაკის პრობლემა**

მოსახლეობის დაბერებას საქართველოში თან სდევს მწარმოებლური მოსახლეობის დაბერების პროცესიც. ამ კონტინგენტის სიბერის კოეფიციენტი 2014 წლისათვის - 48%-ია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საშუალო ასაკი 43 წელია. ე.წ. „დემოგრაფიული ფანჯარა“ საქართველოში 1970-იანი წლებიდან გაიღო. ამ პერიოდში შრომის ასაკში შესვლა დაიწყო შედარებით მრავალრიცხოვანმა თაობამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ე.წ. „საკომპენსაციო“ პერიოდში იყო დაბადებული. 2002-2014 წწ-ში „დემოგრაფიულმა ბონუსმა“ პიკს მიაღწია, რადგან სარჩენ მოსახლეობაში მოხვდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდსა და 1990-იან წლებში დაბადებული მეტად მცირერიცხოვანი კონტინგენტი (ცხრილი 4).

ცხრილი 4. შრომის ასაკის მოსახლეობის წილის ცვლილება საქართველოში 1926-2014 წწ. (%)

	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	2014
შრომის ასაკის მოსახლეობა	49,2	50,3	56,1	52,6	56,8	56,3	64,0	64,0

წყარო: შესაბამისი წლების საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები.

ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1995 წლიდან საქართველოს კანონმდებლობით საპენსიო ასაკი ხუთი წლით გაიზარდა, ქალებისათვის 60 წელი, ხოლო მამაკაცებისათვის – 65 წელი გახდა. შედეგად მივიღეთ შრომის ასაკის მოსახლეობის მექანიკური ზრდა. ამითაცაა

განპირობებული, რომ ბოლო ასი წლის მანძილზე შრომის ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში (64,0%) ასე დიდი არასდროს ყოფილა. სამწუხაროდ, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში განვითარებულმა პოლიტიკურმა გადატრიალებებმა, სამოქალაქო ომმა და ეთნოკონფლიქტებმა, ეკონომიკურმა დაცემამ, რომელსაც დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც, ამ პერიოდში გაჩენილი „დემოგრაფიული შანსის“ გამოყენების საშუალება ქვეყანას არ მისცა.

იმის გამო, რომ საპენსიო ასაკის გაზრდასთან ერთად ვერ მოხდა სამუშაო ადგილების შესაბამისი მატებაც, გაიზარდა უმუშევრობის დონე და ემიგრაციის მასშტაბები, რომელიც საქართველოში დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. სსრკ დაშლის შემდგომი ყოვლისმომცველი კრიზისის დაწყების შემდეგ მოსახლეობის თითქმის მეხუთედი (1 მლნ-მდე კაცი), მუდმივ ემიგრაციაში წავიდა. დაიკარგა ბევრად მეტი ადამიანური კაპიტალი, ვიდრე საპენსიო ასაკის ზრდით მიღებული საპენსიო სახსრების ეკონომიაა. ამის დასკვნის საფუძველს იძლევა საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგები, რის თანახმადაც, ემიგრირებულნი განიცდიან პროფესიულ და კვალიფიკაციურ დეგრადაციას, ჯანმრთელობის დაქვეითებას. მათი საშობლოსაგან მოწყვეტა კიდევ უფრო აღრმავებს 1990-იან წლებში დაწყებულ დემოგრაფიულ კრიზისს [Tukhashvili, M. Shelia, M. 2012].

### **სიღარიბე და ემიგრაცია**

ხელოვნურად გაზრდილი “დემოგრაფიული დივიდენდი” დემოგრაფიულად დაბერებულ და ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ქვეყნებს კიდევ უფრო უმწვავეებს სოციალურ პრობლემებს. უმუშევრობა დღემდე უმწვავეს პრობლემად რჩება საქართველოში. ამჟამად იგი, ექსპერტთა შეფასებით, ოფიციალურ მაჩვენებელზე სამჯერ მეტია. სიღარიბე,

კლების ტენდენციის მიუხედავად ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება.

ჯერჯერობით, საქართველოს მოსახლეობის მესამედი, სიღარიბის ზღვარს მიღმა [World Bank, 2014]. არსებული მდგომარეობა მოსახლეობას უბიძგებს ემიგრაციული პროცესებისკენ, მაგრამ ხანდაზმულთა წილი მიგრაციულ ნაკადებში მცირეა. 2014 წლის აღწერით, ემიგრანტთა შორის 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა მხოლოდ 5,3%-ია.

მჭიდრო თაობათაშორისი ურთიერთობის გამო საქართველოში ხანდაზმულთა უმრავლესობა, მამაკაცების 50% და ქალების 56% თავის 25 წელზე უფროსი ასაკის შვილებთან ერთად ცხოვრობს [Generations&Gender Survey in Georgia. 2010:72]. ბუნებრივია, ოჯახური თანაცხოვრების პირობებში ხანდაზმული მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს ბავშვთა აღზრდაში, ხოლო როგორც კვლევით ირკვევა, შრომით ემიგრანტთა აქაურ ოჯახებში ბავშვთა აღზრდა თითქმის მთლიანად მათ კისერზეა. “ახალგაზრდა ხანდაზმულთა” ყოფნა ოჯახში ამ ოჯახის სხვა წევრის შრომითი ემიგრაციის ხელშემწყობი გარემოებაა. ინტენსიური ემიგრაციის გამო საქართველოში ელექტორატიც დაბერდა. 2014 წლისათვის ყოველი მეოთხე ამომრჩეველი 60 წლისა და უფროსი ასაკის იყო. დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით სავარაუდოდ, მათი წილი მომავალ არჩევნებში კიდევ უფრო მეტი იქნება, რაც გასათვალისწინებელია მომავალ საარჩევნო კამპანიისას.

### **თაობათაშორისი ტრანსფერტები და ბრძოლა "სოციალურ სიკვდილთან"**

მოსახლეობის დაბერების პროცესის კვალდაკვალ საქართველოში იზრდება სოცუზრუნველყოფის ხარჯები. მაგალითად, 2020 წლისათვის ის საბიუჯეტო სახსრების 33%-ია. მას ბოლო წლებში ზრდის ტენდენცია აქვს. მასში

დიდი წილი ასაკით პენსიონერებისათვისაა განკუთვნილი. პენსიონერები ის სოციალურ დემოგრაფიული ჯგუფია, რომელთაც ღარიბთა შორის დიდი წილი აქვთ. მათი საშუალო პენსია (250 ლარი (81\$))

ქვეყანაში არსებული საშუალო ნომინალური ხელფასის მხოლოდ 23% და საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმის 66%-ია. თუმცა მათი განათლების პოტენცილი არც თუ დაბალია. საქართველოში 60 წლისა და უფროსი ასაკის ყოველი მეხუთე პირი უმაღლესი განათლების მქონეა.

აღსანიშნავია რომ საპენსიო ასაკის პირებმა მტკიცებულად გადაიტანეს და დღემდე განიცდიან პოსტსაბჭოთა პერიოდში საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესს. ჩვენს მიერ 2004-2009 წწ. ჩატარებული გამოკვლევით, რესპონდენტთა 54% ფიქრობდა, რომ ცხოვრების თავიდან დაწყების შემთხვევაში შეცვლიდა მის მიერ ადრე მიღებულ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, მათი 45% შეიცვლიდა პროფესიას, ამასთან, რუსულთან ერთად აუცილებლად დაეუფლებოდა სხვა უცხო ენას (უმეტესწილად ინგლისურს); გახდებოდა პროგრამისტი, ეკონომისტი, იურისტი. პროფესიით უკმაყოფილება განსაკუთრებით ინჟინრებსა და პედაგოგებს შორის იყო მკაფიოდ გამოხატული.

მეტად საინტერესოა ამ თაობის ე.წ. “დემოგრაფიული სინანულიც”: რესპონდენტთა 40% მიუთითა, რომ მეტ შვილს გააჩენდა ან უფრო ადრე დაქორწინდებოდა. მოხუცების 2/3-ის დამოკიდებულება წარსულში მათი დემოგრაფიული ქცევისადმი კრიტიკული იყო. ხანდაზმულთა „დემოგრაფიული სინანული“ იმითაა განპირობებული, რომ მცირე პენსიის პირობებში მათი ძირითადი დასაყრდენი შვილები და ახლო ნათესავები გახდნენ. მარტოხელა

მოხუცებიც კი ნათესავთა უფრო მეტ დახმარებაზე მიუთითებენ, ვიდრე სახელმწიფო უზრუნველყოფაზე.

ბუნებრივია გაჩნდა კითხვა: „რა როლს ასრულებს ოჯახი 60 წელს გადაცილებული ადამიანების „სოციალური სიკვდილის“ დაძლევაში? როგორია მისი ადგილი სოციალური დაცვის სისტემაში და რა როლს ასრულებს ის ოჯახის წევრების უსაფრთხოებაში? ამ საკითხის შესწავლის მიზნით 2013-2014 წწ. ჩვენი მონაწილეობით დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულ პოსტსაბჭოთა პერიოდში ოჯახში არსებული ურთიერთობების ტრანსფორმაციის კვლევის დროს, გათვალისწინებული იქნა თაობათაშორისი ურთიერთობის, თაობათაშორისი ტრანსფერტების საკითხის შესწავლაც. გამოიკითხა 2012 რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის წესით. შერჩევისას გათვალისწინებული იქნა რესპოდენტთა სქესი, ასაკი და განათლება.

სხვადასხვა ქვეყებში ჩატარებული კვლევებით, ტრანსფერტები უფრო მეტად მიმართულია უფროსიდან უმცროსი თაობისაკენ. ასეა საქართველოშიც. ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ უფროსი თაობის რესპონდენტთა 55% მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევს უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, მაშინ, როცა შვილთა თაობიდან მხოლოდ ყოველი მეოთხე ახერხებს ამას. მშობელთაგან 22% და შვილების 31% აღნიშნავს, რომ მხოლოდ მორალურ დახმარებას ახერხებს. ყველანარად ეხმარება უფროსი თაობის რესპონდენტთა 4,3%, უცროსი თაობის რესპონდენტთა 2,6%. ვერანარად ვერ ეხმარება შვილებს უფროსი თაობის რესპონდენტთა 15%, უმცროსი თაობის რესპონდენტთა –32,2%. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები უფრო ფინანსურად და მატერიალურად ეხმარებიან მშობლებს, ხოლო ქალები – მორალურად. ეს აიხსნება იმითაც, რომ საქართველოში ქალთა საშუალო ხელფასი მამაკაცთა

საშუალო ხელფასის მხოლოდ ორი მესამედია. გამოვლინდა, რომ რაც მეტია განათლების დონე, მით მეტია ფინანსური დახმარების სიდიდე. დადგინდა რომ თაობათაშორისი ფინანსური ტრანსფერტი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის 16,2%-ია. თუმცა მშობელთა მხრიდან ის მათი ოჯახის საშუალოთვიური შემოსავლის 21%-ია, შვილებისგან, კი -12%. რესპონდენტთა 70% (როგორც შვილები, ისე მშობლები) ტრანსფერტებს რეგულარულად ღებულობენ, უმეტესწილად, ყოველთვიურად. კვლევამ გვიჩვენა, რომ ტრანსფერტების მოტივაცია წმინდა ალტრუისტული ხასიათისაა.

თაობათაშორისი ურთიერთობის კვლევამ უჩვენა, რომ დემოგრაფიული დაბერების მოცემულ ეტაპზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედი ხანდაზმულობის ასაკშია, თაობათაშორისი ურთიერთობა მყარ ტრადიციულ ურთიერთობებზეა აგებული და მიუხედავად ახალგაზრდა თაობის ახალი ფასეულობებით გაჯერებული ცხოვრებისაკენ სწრაფვისა, თაობათაშორის არსებულ კონფლიქტს საქართველოში, ჯერჯერობით, მწვავე გამოხატულება არ აქვს.

ხანდაზმულთა რიცხოვნობის ზრდას ქვეყანაში თვით ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი არ შეურყევია საუკუნეების განმავლობაში ფორმირებული სოლიდარული ურთიერთობები თაობათაშორის [შელია, M. 2014]. ამ ფონზე, ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა ტრანსფერტები შვილიშვილებსა და ბებია-ბაბუებს შორის. აღმოჩნდა, რომ შვილიშვილებიდან დახმარება უმეტესწილად მორალური და ფიზიკური ფორმით ხდება (54%), მაშინ, როცა ბებია-ბაბუების მხრიდან ისინი უმეტესად ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას იღებენ (53%). ვერავითარ დახმარებას ვერ უწყევს 32,7% და ვერავითარ დახმარებას ვერ იღებს 28,4%. შვილიშვილთა

მხოლოდ მცირე ნაწილი – 13% ეხმარება ფინანსურად და მატერიალურად ბებია ბაბუებს. რესპონდენტთა 70% განაცხადა, რომ როგორც გაწეული, ისე მიღებული დახმარება რეგულარულია, უმეტესად ყოველთვიური. რაოდენობრივად ის ძალიან მცირეა, თუმცა ბებია ბაბუების მიერ შვილიშვილებზე გაწეული დახმარების სიდიდე ორჯერ მეტია შვილიშვილებისგან მიღებულ დახმარებაზე. აგრეთვე, დადგინდა, რომ ბებია-ბაბუების მიერ გაწეული ფინანსური და მატერიალური დახმარება არც გენდერულ ჭრილშია განსხვავებული და არც განათლების დონის მიხედვით. ეს უკანასკნელი გასაკვირიც არაა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ასაკის მოსახლეობის განათლების პოტენციალი საქართველოში მაღალია, ფიქსირებული სახით მიღებული მიზერული რაოდენობის პენსია განათლების დონის მიხედვით ტრანსფერტთა დიფერენციაციის საშუალებას არ იძლევა.

საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხუცთა სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებაში, ის მათი მორალური საყრდენია, რაც აძლიერებს მათ ფსიქო-ფიზიოლოგიურ წონასწორობას და მოხუცთა ორ მესამედს იცავს სოციალური სიკვდილისაგან. მართალია, ფინანსური ტრანსფერტის სიდიდე მცირეა, მაგრამ ტრანსფერტების რეგულარული ხასიათის გამო, ისინი ავსებენ მოხუცთა ოჯახისათვის საჭირო საარსებო მინიმუმს და არ აქვეითებს მოხუცთა სიცოცხლისუნარიანობას.

## **დასკვნა**

საქართველოს მოსახლეობის დაბერების პროცესმა ოთხი ეტაპი განვლო და ამჟამად ის მიმდინარეობს „შუადან“ ინტენსიური ემიგრაციის გამო. მსგავსი ვითარება მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაშია დაფიქსირებული (მალტა, ირლანდია). არაორდინალური პროცესებიდან გამომდინარე მცირეა ასეთ



პირობებში მოსახლეობის დაბერების მართვის გამოცდილებაც. ამას ემატება საქართველოს მრავალრეგიონიანობა და ჭრელი ეთნიკურ-რელიგიური სტრუქტურით გამოწვეული სირთულეებიც. ყოვლივე ეს მყარ საფუძველს იძლევა მოსახლეობის დაბერების საკითხი კომპლექსურად იქნეს შესწავლილი და განისაზღვროს რამდენადაა ის დემოგრაფიული დილემა. გარდა ამისა, საინტერესოა ამ ქვეყანაში დღევანდელი ფენომენის კვლევაც, რომელიც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ბოლო ხანს მეტად შესუსტდა.

ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის გამო ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივა ისეთი მცირერიცხოვანი მოსახლეობის ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, არასასურველია. „დემოგრაფიული სინანული“, რასაც მოხუცები გამოთქვამენ გვიან დაქორწინებისა და მცირეშვილიანობის გამო, ღარიბ ქვეყანაში განსაკუთრებით შესამჩნევია და აქტიური პროპაგანდის საგანია ახალგაზრდა თაობისათვის.

ოჯახი გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხუცთა ფსიქო-მორალური, ვიდრე ფინანსური წონასწორობის შენარჩუნებაში. ჯერჯერობით, სახელმწიფო პენსიის სიდიდე უფრო მეტია, ვიდრე საოჯახო ფინანსური ტრანსფერტისა, რაც განპირობებულია ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონითა და „ღარიბ დასაქმებულთა“ არსებობით და არა თაობათაშორის სოლიდარული ურთიერთობის გაქრობით.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პარალელურად ხანდაზმულთა განათლების მაღალი პოტენციალი შრომის ბაზარზე მათი აქტიური დასაქმების საშუალებას იძლევა. სავარაუდოა, რომ ეს შეამცირებს დაქირავებულთა ეკონომიკურ დატვირთვას და ბიუჯეტის სოციალურ ხარჯებსაც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარტ დე ბრუნი, ჭითანავა მ. (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. [http://census.ge/files/results/publication/ge/2.%20Ageing\\_GEO\\_Print%20F\\_0.pdf](http://census.ge/files/results/publication/ge/2.%20Ageing_GEO_Print%20F_0.pdf)
2. გომელაური ნ., სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ. (2016). დემოგრაფიული დაბერება და მეორე დემოგრაფიული დივიდენდის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თსუ. გვ. 68-72
3. შელია მ. (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში. თბილისი, უნივერსალი.
4. წიკლაური. შ. (2017). მოსახლეობის დაბერება საქართველოში როგორც ქვეყნის ეკონომიკის დემოგრაფიული ხაფანგი. ჟ. ეკონომისტი, #3, (E ISSN 2346-8432; Print ISSN 1987-6890). გვ.117-128
5. Coleman, A. (2012). Intergenerational transfers and public policy. <http://www.treasury.govt.nz/government/longterm/externalpanel/pdfs/lfep-s2-06.pdf>
6. წიკლაური. შ. (2017). მოსახლეობის დაბერება საქართველოში როგორც ქვეყნის ეკონომიკის დემოგრაფიული ხაფანგი. ჟ. ეკონომისტი, #3, (E ISSN 2346-8432; Print ISSN 1987-6890). გვ.117-128
7. Demographic yearbook of Georgia 2015 (2016). Tbilisi, Georgia.
8. Evandrou M., Falkingham J., Gomez-leon M., Vlaghantoni. A. (2016). Intergenerational flows of support between parents and

- adult children in Britain. *J. Aging & Society*. Cambridge University Press. p. 1-31
9. Gamba, J. F. (1826). *Voyage dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces situées au delà du Caucase*. Paris: C.J. Trouvé.
  10. Garson, L.K. (1986). *The Centenarian Question: Old-age Mortality in the Soviet Union, 1897 to 1970*. Ph.D. dissertation. Princeton University.
  11. *Generations & Gender*. (2010). *Survey in Georgia. II Wave Report*. UNFPA. (in Georgian)
  12. Heike Schröder, Matt Flynn, Alexander-Stamatios Antoniou, Myung-Joon Park (2016). *Population Aging and Labor Market Policy in Germany, the United Kingdom, Japan, and the Republic of Korea: The Effects of Institutional Context on Old Age Employment*, in Alexander-Stamatios Antoniou, Ronald J. Burke, Sir Cary L. Cooper, CBE (ed.). *The Aging Workforce Handbook*, pp. 109-134
  13. Masson, A. (2013). *Les idéologies du social: quelles politiques intergénérationnelles?* <http://tdte.fr/DetailPapers.aspx?id=126>
  14. *Materials of the General Population Census. 1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989, 2002, 2014*. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
  15. Magnus G. (2009). *The Age of Aging*. John Wiley & Sons (Asia). Pte. Ltd
  16. Pulin M. (2006). *Les déterminants de la longévité*. [www.md.ucl.ac.be/loumed/ V125. .../S329-332.pdf](http://www.md.ucl.ac.be/loumed/V125.../S329-332.pdf)
  17. Powell D., Maestas, N., Kathleen J. Mullen (2016). *The Effect of Population Aging on Economic Growth, the Labor Force and Productivity* [https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/working\\_papers/WR1000/WR1063-1/RAND WR1063-1.pdf](https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/working_papers/WR1000/WR1063-1/RAND_WR1063-1.pdf)
  18. Robert D. Young, Bertrand Desjardins, Kirsten Mc Laughlin, Michel Poulain and Thomas T. Perls. (2010). *Typologies of Extreme Longevity Myths*. *Current Gerontology and Geriatrics Research*./ <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3062986/>
  19. Shelia, M. (2014). *Intergenerational Family Relationships Against The Background of Intensive Aging in Georgia*. *Humanities and Social Sciences Review*. 03(03): p. 431-437.

20. Tukhashvili M., Shelia M. (2012). The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period. <http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-29.pdf>
21. Tukhashvili, M. *et al.* (2012). Socio-economic Problems of Return Migration in Georgia. Universali. Tbilisi
22. Vallin et F. Meslé. Vivre au-delà de 100 ans. (2001). *Population et sociétés*. # 365, février.
23. Wan He., Daniel Goodkind, and Paul Kowal. (2016). An Aging World: 2015. US. Census Bureau, International Population Reports, P95/16-1, U.S. Government Publishing Office, Washington, DC p.138-139
24. World Bank. <http://povertydata.worldbank.org/poverty/country/GEO>
25. World report on ageing and health. (2015). World Health Organization. [https://apps.who.int/iris/%20bitstream/10665/186463/1/9789240694811\\_eng.pdf?u](https://apps.who.int/iris/%20bitstream/10665/186463/1/9789240694811_eng.pdf?u)
26. Yoshida, R. (2016). *Japan census report shows surge in elderly population, many living alone.* [http://www.japantimes.co.jp/news/2016/06/29/national/japan-census-report-shows-surge-elderly-population-many-living-alone/#.WJsMF46g\\_IW](http://www.japantimes.co.jp/news/2016/06/29/national/japan-census-report-shows-surge-elderly-population-many-living-alone/#.WJsMF46g_IW)
27. Миронова А. (2014). Частные межпоколенные трансферты в условиях старения населения в России <http://opec.ru/data/2014/08/07/1233940481/%D0%9C%D0%B8%D1%80%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%B0%20%D0%BF%D1%80%D0%B5%D0%B7%D0%B5%D0%BD%D1%82%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F.pdf>
28. Старение и долголетие в Грузии (Соц.-гигиенические аспекты) (1991). Тбилиси, НИИЭКТ.
29. Сулаберидзе А., Арчвадзе И. (2018). Особенности демографического старения в Грузии. Демографическое развитие постсоветского пространства. Выпуск 27. № 771-772. С. 258-274
30. Шмид Й. (1998). Старение населения: Динамика, социальные и экономические последствия для семьи, общин и общества в целом. *Региональное совещание по народонаселению*. Будапешт, 7-9 декабря.



## ნინო გომელაური

### დემოგრაფიული ქცევის მოდერნიზაცია და გადავადებული მშობლობა საქართველოში

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია დემოგრაფიული ქცევის მოდერნიზაცია საქართველოში, შობადობის შემცირების, განქორწინებების გაზრდის და მეორე დემოგრაფიული გადასვლის ფონზე გადავადებული მშობლობის მიზეზები. მისი ახსნისთვის გამოყენებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები.*

#### შესავალი

XXI საუკუნე დიდი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნების ეპოქაა, მაგრამ ჩამონათვალი არასრული იქნება თუ ძირეულ ცვლილებებში არ დავასახელებთ დემოგრაფიულ ცვლილებებს. იგი პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა მოვლენათა მოდერნიზაციის თანმდევა, თუმცა დემოგრაფიულ პროცესთა ცვლილებები ზოგიერთ ფაქტორთა (სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ეროვნულ-ტრადიციული და სხვ.) გავლენის თავისებურებებიდან გამომდინარე, ნელი ტემპით მიმდინარეობს და ნაკლებად ხილულია. საქმე ისაა, რომ იგი ეხება ადამიანთა არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ, ისეთი სულიერი ფასეულობების ღრმა შრეებს, როგორცაა: ეროვნულ-ტრადიციული, კულტურული, რელიგიური და სხვა სულიერი ფასეულობები. სწორედ მათი მორალური ღირებულებების ნორმების შინაგანი მდგრადობა განსზღვრავს ადამიანების ქცევის ცვლილებას ოჯახის

ყველაზე უფრო ინტიმურ სფეროში, მათ დამოკიდებულებას შთამომავლობის გაგრძელებისადმი, ქორწინების და ბავშვთა ყოლის რაოდენობრივი მოთხოვნებისადმი. დემოგრაფიული ცვლილებები მოიცავს ადამიანების მატრიმონიალურ, სექსუალურ, საოჯახო, ჯანმრთელობის დაცვის (თვითმოვლით), მიგრაციულ და სხვა ქცევებს. სწორედ ამიტომ, დემოგრაფიული კანონზომიერებების ცოდნას აქვს დიდი პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობა. პრაქტიკული გამოყენება უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულ თეორიულ ფუნდამენტს. დემოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილებები დროსა და სივრცეში იმსახურებენ უფრო ფართო და ღრმა გააზრებას, არა მხოლოდ დემოგრაფების, არამედ სოციოლოგების, ეკონომისტების, ისტორიკოსების მიერ – ყველას ვინც იკვლევს საზოგადოების ცხოვრების კანონზომიერებებს.

თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინების და ბავშვთა შობის ზედა და ქვედა საზღვრებისადმი დამოკიდებულება საკმაოდ განსხვავებულია. გვიანდელი ქორწინება და მშობლობა სულ უფრო ხშირად ხდება სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების შესწავლის საგანი. ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე საზოგადოება ცხოვრების ტრანექტორიის თავისუფლად კონსტრუირების საშუალებას იძლევა, სულ უფრო ტოლერანტული ხდება გვიანდელი ქორწინებისა და მშობლობისადმი. თუ უახლოეს წარსულში, ადრეულ ასაკში ქორწინება და შვილის გაჩენა ნორმალურად მიიჩნეოდა, დღეისათვის მოწიფულ ასაკში ეს გააზრებულ ნაბიჯად მიიჩნევა, და დამყარებულია განსაზღვრულ სოციალურ განწყობაზე და მოტივზე. ხაზი უნდა გაესვას, რომ გადავადებული ქორწინება და მშობლობა სოციალური თვალსაზრისით ასაკის დამღევის განსაკუთრებული სტრატეგიაა. მისი რეალიზაცია უზრუნველყოფილია ერთი

მხრივ ტემპორალური ნორმებით და მეორე მხრივ, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებით.

საქართველოში სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის ცლილება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1970-იან წლებში მოდერნიზაციის მიმანიშნებელ ცალკეულ დემოგრაფიულ შემთხვევებს, ძირითადად 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან აღინიშნება და თანამედროვე ეტაპზე განვითარებული სახე მიიღო. მის ტემპზე არსებით გავლენა იქონია სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების გლობალური კანონზომიერების და მოსახლეობის მყარი ტრადიციული სოციალურ-კულტურული ნორმებისა და ფასეულობების დაპირისპირებამ, რაც ქვეყანაში არსებულ რთული პოლიტიკურ და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მიმდინარეობს.

ზოგიერთი ქართველი დემოგრაფი ქორწინების და შობადობის შემცირებას, ხოლო განქორწინებების ზრდას, ძირითადად ქვეყანაში არსებულ დაბალ ცხოვრების დონეს უკავშირებს. ანალოგიურად ფიქრობს დემოგრაფიულ პრობლემებში გაუთვითცნობიერებული საზოგადოებაც. შეიძლება მათი აზრი გავიზიაროთ, რამდენადაც ზედაპირზე ჩანს ერთი მხრივ, დემოგრაფიული პროცესების, მეორე მხრივ, ცხოვრების დონის მძიმე ფონი, მაგრამ, რით ავხსნათ ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში გაუარესებული დემოგრაფიული ვითარება და მათ ფონზე სიღარიბის დაბალი დონის მქონე მესამე სამყაროს შობადობის მაღალი დონე, რის შედეგადაც მსოფლიოში ჩამოყალიბდა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ორი პოლუსი. ერთი – მაღალი ბუნებრივი მატებს შედეგად მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპით, მეორე – დაბალი ბუნებრივი მატებით და დეპოპულაციით; ერთი – ახალგაზრდული, მეორე – დაბერებული მოსახლეობით და ა.შ. ამიტომ, დემოგრაფიული ვითარების ცვლილება



ცალმხრივად, მხოლოდ ლოკალურ დონეზე არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორებით არ უნდა შევაფასოთ და არსებითი ყურადღება გლობალური დემოგრაფიული განვითარებიდან გამომდინარე, დემოგრაფიული გადასვლის გლობალურ კანონზომიერებებსაც უნდა მივაქციოთ.

ა. ლანდრის მიერ შემუშავებული პირველი დემოგრაფიული გადასვლა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ დემოგრაფიული ბუმის შემდეგ შობადობის დაცემა, 1970-იანი წლების ბოლოს, ვან დე კაას მიერ ახსნილ იქნა, როგორც ევროპაში და განვითარებულ ქვეყნებში ახალი სოციალური და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების ფართოდ გავრცელების მიმართ ტოლერანტული, საზოგადოების პროგრესული აზროვნების შედეგი. დემოგრაფმა ვან დე კაამ [Van De Kaa 1987:1-59] მეორე დემოგრაფიული გადასვლასაც საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემაში, ახალი ინდივიდუალური ორიენტაციების შეუსაბამო, ძველი სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის ნორმების ახლით ცვლილება დაუდო საფუძვლად, რომლის თანახმად, ოჯახში გამოკვეთილია სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება;
2. ოჯახის ბავშვთაცენტრული მოდელიდან ინდივიდუალურად ორიენტირებულ მცირემვილიან (1 ან 2 შვილი) წყვილზე გადასვლა;
3. შვილთაშობის შეცნობილ გეგმიანობაზე გადასვლა;
4. ოჯახის უნიფიცირებული მოდელიდან პლურალისტურ მოდელზე გადასვლა.

ამდენად, მეორე დემოგრაფიული გადასვლის ძირითადი იდეა ქორწინება-განქორწინებითი და რეპროდუქციული ქცევის ტრანსფორმაციიდან მომდინარეობს, რაც პრაქტიკულად 1970-იანი წლებიდან მსოფლიოს დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნა, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მაღალი ტემპით განვითარდა. ამ პერიოდიდან იწყება მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების ოჯახებში სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის არსებითი ტრანსფორმაცია. გახშირდა პირველი ოფიციალური ქორწინების გადავადების შემთხვევები და შესაბამისად, გაიზარდა პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკი; გავრცელდა არარეგისტრირებული ქორწინებები და გაიზარდა განქორწინებები. დაჩქარდა რეპროდუქციული ქცევის ტრანსფორმაციით მცირე შვილიანობაზე გადასვლა; ოფიციალური ქორწინების გარეშე ოჯახის შექმნამ ხელი შეუწყო ოჯახის ალტერნატიული ფორმების (თანაცხოვრება და სხვ.) წარმოქმნასა და ქორწინების გარეშე შობადობის ზრდას. ყოველივე აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეპროდუქციული პერიოდის შემცირებაზე და შესაბამისად, შობადობაზე.

სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად უნდა მივიჩნიოთ ქალთა უმეტესი ნაწილის მიერ 30 წლამდე რეპროდუქციული ქცევის დასრულება და მეორე, 40 წლის ზემო ასაკებში გადავადებული მშობლობა. პირველი „საბჭოთა მემკვიდრეობად“ შეიძლება მივიჩნიოთ, როცა 22-24 ასაკში პირველი ბავშვის შობა ნორმად, ხოლო ამ ასაკის ზემოთ დაგვიანებულად ითვლებოდა და შესაბამისად ზემო ასაკებში გადავადებული მშობლობა საზოგადოებაში არაერთგვაროვნად ფასდებოდა.

დღეისათვის, საქართველში გადავადებული მშობლობა საზოგადოებაში სხვაგვარად ფასდება და მის მიმართ უფრო ტოლერანტული დამოკიდებულებაა. პრაქტიკულად არ არსებობს კვლევები, გადავადებული მშობლობის იშვიათობის და მისი მეთოდოლოგიური შესწავლის ემპირიული სიძნელების გამო.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ დაადასტურა, რომ განათლების ხანგრძლივობის ზრდა იწვევს ქორწინებათა გადავადებას. დოქტორის ხარისხის მქონე ქალთა შორის ასაკმა შეადგინა 26,3 წელი, ბაკალავრთა შორის 24,4 წელი, ხოლო ზოგადი განათლების მქონეთა შორის იგი 21,8 წელს შეადგენს. აღნიშნული ფაქტორით ქორწინების საშუალო ასაკის უფრო მაღალი ზრდა აღინიშნება მამაკაცთა შორის.

### **კვლევის შედეგები**

საქართველოში რეპროდუქციული ქცევის მოდერნიზაციის შესწავლის მიზნით 2013 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა დიდ, საშუალო და პატარა ქალაქებში. გამოკითხული რეპროდუქციული ასაკის 1212 რესპონდენტიდან 60% იყო 30 წელს გადაცილებული, რომელთაგან 55%-ს შეადგენდნენ ქალები. გამოკითხვამ შესაძლებლობა მოგვცა მეტ-ნაკლებად შეგვესწავლა გადავადებული მშობლობის ძირითადი მიზეზები.

გამოკვლევის თანახმად, გადავადებული მშობლობა უწინარესად უკავშირდება ინდივიდის ბავშვის (ბავშვთა) ყოლის მოთხოვნილებას და მისი დაკმაყოფილების სიტუაციურ შესაძლებლობას დროში. იგი შემდეგნაირი თანმიმდევრობით შეიძლება განხორციელდეს:

1. ინდივიდის დისკომფორტი ბავშვის (ბავშვთა) არ ყოლის გამო;

2. ინდივიდის მოთხოვნილებათა ერთიან სისტემაში ბავშვის ყოლის პრიორიტეტულობა სხვა სახის მოთხოვნილებებთან შედარებით დროში.
3. ბავშვის (ბავშვთა) ყოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციური შესაძლებლობანი დროში და სივრცეში, რომელმაც შეიძლება დააჩქაროს ან გადაავადოს მშობლობა.

მოტანილ სექემაში თითოეული მათგანი ურთიერთგანპირობებულია და შესაბამისად მათ შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება.

გამოკვლევისას რესპონდენტებს ვთხოვეთ მათი მოთხოვნილებებიდან გამოეყოთ მათთვის სამი პრიორიტეტული მნიშვნელობის მოთხოვნილობა რიგითობის მიხედვით. პირველი რიგის მნიშვნელობის მოთხოვნილებებში პირველ ადგილზე დაასახელდა მატერიალური მდგომარეობა, (33%), მეორეზე – განათლება (27%), მესამეზე ოჯახის შექმნა (20%), ხოლო შვილის ყოლა მეოთხეზე (16%). საყურადღებოა, რომ მეორე მნიშვნელობის მოთხოვნილებებში ასევე პირველზეა მატერიალური მდგომარეობა, მეორე-მესამეზე ოჯახის შექმნა და შვილი ყოლა. მხოლოდ, მესამე რიგის მნიშვნელობის მოთხოვნილებებში პირველ ადგილზე აღმოჩნდა შვილის ყოლა. მოთხოვნილებათა მნიშვნელობების რიგითობის მიხედვით ანალოგიური დაფიქსირდა 40 წლის ზემო ასაკის რესპონდენტებში [მენაბდიშვილი ლ. 2014:132].

აღნიშნული ადასტურებს, რომ ოჯახის შექმნამდე და შვილის ყოლამდე რესპონდენტები უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ ერთი მხრივ, მატერიალური დამოუკიდებლობის და თვითრეალიზაციის უზრუნველყოფას, მეორე მხრივ, გრძნობენ მაღალ პასუხისმგებლობას ოჯახის შექმნისა და შვილის აღზრდისადმი. ჩვენი აზრით, ინდივიდთა შორის ამ თვისებების წინა პლანზე წამოწევა მნიშვნელოვნადაა

დაკავშირებული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების ფორმირებასთან.

საქართველოში, ჯერ კიდევ შენარჩუნებული მყარი ტრადიციების შესაბამისად, შობადობას წინ უსწრებს ქორწინება და სახელმწიფოს მიერ არ აღიარებული თანაცხოვრება (მ.შ. კონფესიური ქორწინებები), რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს გადავადებული მშობლობის დამოკიდებულებას ქორწინებაში ან თანაცხოვრებაში შესვლის ასაკზე. დღევანდელ ვითარებაში საქართველოში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება და განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები არსებითად ცვალის ქორწინებით ქცევას. რესპონდენტებმა ქორწინების და შესაბამისად შობადობის გადავადების ძირითად მიზეზებად მიიჩნიეს: სასიძოთა და საპატარძლოთა მაღალი დონის განათლების მიღების სურვილი, კარიერისკენ, მაღალი ანაზღაურების, პრესტიჟული სამსახურისკენ სწრაფვა და კომფორტული საბინაო-ყოფით პირობებზე მოთხოვნილებების ზრდა. სწორედ აღნიშნული მიზეზების ერთობლიობამ მნიშვნელოვნად გაზარდა 2019 წლის ოფიციალურად რეგისტრირებული პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალთა შორის 28,1 ხოლო მამაკაცთა შორის 30,7 წლამდე. მიუხედავად შემცირებისა მაღალ დონეზე რჩება დაბადებულთა საერთო რაოდენობაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფთა შობადობა, რომელიც 2000-2018 წლებში 41,0%-სა და 34,0%-ს შორის ვარიირებს, თუმცა, 2006 წელს 54,4%-იც კი დაფიქსირდა [[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)].


აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები ქორწინებას მოძველებულ ინსტიტუტად მიიჩნევენ და თვლიან, რომ

ოფიციალური ქორწინების გარეშეც, თანაცხოვრებაშიც შეიძლება შვილის ყოლა ნებისმიერ ასაკში.

ქორწინებათა გადავადებამ ბუნებრივია გადასწია 30 წლის ზემო ასაკებში პირველი შვილის გაჩენა და შესაბამისად გვიანი მშობლობის დაწყება. ამასთან, 40 წლის ზემო ასაკებში შობადობის ზრდაზე გავლენა იქონია მშობლების მიერ სასურველი რაოდენობის (პირველ და შემდეგში) ბავშვთა ყოლის გადავადებულმა რეალიზაციამ. როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, 2000-2019 წლებში ყველა ასაკის ქალთა დაბადებულ ბავშვთა საერთო რაოდენობაში მხოლოდ, 30-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალთა დაბადებული ბავშვთა წილი 20,8-დან და 33,6%-მდე, ანუ 1.6-ჯერ გაიზარდა და დაბადებულ ბავშვთა 1/3 შეადგენა. ანალოგიურად, 1,4-ჯერ გაიზარდა 40 წელს გადაცილებულ ქალთა მიერ დაბადებულ ბავშვთა წილი და 2019 წელს 1,9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 1973-74 წლების შემდეგ, 19 წლიან პერიოდში (2000-2019 წწ.) 40 წლის ზემო ასაკის ქალთა შობადობის წილის 1,1-ჯერ ზრდა და ასეთი დონე უპრეცედენტოა. აღნიშნული ლოკალურ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან შედარებით უფრო მეტად სწორედ მეორე დემოგრაფიული გადასვლის კანონზომიერებებმა განაპირობა, რასაც ზემოთ განხილული სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლებიც ადასტურებს.

დიაგრამიდან ჩანს, რომ 2000 წლიდან 2019 წლამდე დაბადებულთა რაოდენობის დინამიკას ტალღისებური ფორმა გააჩნია. 2010 წლის შემდეგ, ყველაზე ცოტა ბავშვი 2013 წელს დაიბადა (49657 ბავშვი), ხოლო ყველაზე მეტი 2014 წელს (60635 ბავშვი) და მას მერე კლების ტენდენციით ხასითდება და 2019 წლისთვის 48 296 ბავშვამდე შემცირდა.

დიაგრამა 1. დაბადებულთა განაწილება დედის ასაკის გამსხვილებული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2000-2019 წწ. საქართველოში (ათასი)



წყარო: საქსტატი [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ცხრილი 1. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი

	დედის ასაკი:							შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-54	
2010	52.2	132.6	111	67	29.1	6.8	0.3	2
2015	48.4	144.1	128	87.7	41.5	10.6	0.7	2.3
2016	43.4	134.9	127.5	86.4	43.7	11.2	0.8	2.2
2017	36.2	126.1	126.9	84.5	44	10.5	0.5	2.1
2018	32.3	121.9	127.5	85.4	44.3	11	0.6	2.1
2019	29.4	112.1	121.3	81.2	44.6	12.4	1.5	2.01


წყარო: ქალი და მამაკაცი. სტატისტიკური პუბლიკაცია 2018.

შეიძლება ითქვას, რომ შობადობის საერთო დონეს მაინც 30 წლამდე ქალბატონები განსაზღვრავენ, მაგრამ რომ არ გაზრდილიყო 30 წლის ზემო ასაკის ქალთა შობადობა (30-

39 წლის – 33,6% და 40 წელს გადაცილებულნი – 2,9%), განსაკუთრებით 2014 წლიდან, 30 წლამდე ასაკის ქალთა შობადობის წილის შემცირება 63,5%-მდე, 2018 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ვერ უზრუნველყოფდა მარტივი აღწარმოების დონეს, რომელიც თავის მხრივ 2000-2019 წლებში 1,6-დან 2,01-მდე გაიზარდა (ცხრილი 1).

აღსანიშნავია, რომ მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა შობის ზრდა 40 წლის ზემო ასაკებში გარკვეულწილად განაპირობა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის მოწოდებამ, მის მიერ მე-3 და შემდგომი რიგითობის ბავშვის მონათვლაზე, რაც მყარი რელიგიური ტრადიციების მიმდევარი ქვეყნის 40 წლის ზემო ასაკის მოსახლეობისთვის სასურველი გადავადებული მესამე შვილის ყოლის სტიმულად იქცა. ეს ფაქტი, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მესამე და შემდგომი რიგითობის შემცირების ფონზე, გადავადებული მშობლობის დემოგრაფიულ ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. ცოცხლად დაბადებულთა წილი დაბადების რიგითობის მიხედვით 2000-2019 წწ. საქართველოში, %



წყარო: საქსტატი [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



გადავადებული მშობლობის მიზეზები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინდივიდთა განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, რაც შემდეგი სახით გამოიხატება ბავშვის ყოლამდე:

- ✓ სრულფასოვანი განათლების მიღების მეტ შესაძლებლობებში;
- ✓ პროფესიულ საქმიანობში წარმატებების მიღწევასა და კარიერულ წინსვლაში;
- ✓ ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში;
- ✓ საბინაო-ყოფითი პირობების უზრუნველყოფაში;
- ✓ ბავშვის აღზრდისადმი მშობელთა პასუხისმგებლობის ზრდაში;
- ✓ რეპროდუქციული ასაკის პირთა უცხოეთში შრომითი ან განათლების მიღების მიზნით მიგრაცია.
- ✓ საპენსიო ასაკში შვილის სახით მომვლელის ყოლა, რაც საქართველოს სუსტი სოციალური დაცვის პირობებში გადამწყვეტია და ა.შ.

გადავადებულ მშობლობას და შობადობას შეიძლება გააჩნდეს რიგი უარყოფითი მხარეები. მათგან აღსანიშნავია: ზემო რეპროდუქციულ ასაკებში ქალის მშობიარობის რისკი და ჯანმრთელობის გაუარესება გართულებული მშობიარობისას და მის შემდგომ; გვიანდელი მშობლობა საკმაოდ ძვირად ღირებულია, რამდენადაც ძლიერი ფინანსური ბაზის გარეშე რთულია გადავადებული მშობლობა ბავშვის აღზრდის ასპექტში, განსაკუთრებით ქვეყანაში სუსტი სოციალური და საოჯახო პოლიტიკის ან მისი არ არსებობის პირობებში. ამ შემთხვევაში გვიანი ბავშვების სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფა მხოლოდ მშობლების შემოსავალზე ხდება დამოკიდებული. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების განუვითარებული ინფრასტრუქტურის არ არსებობის და მომსახურების

არასაკმარისად დამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო დედას უხდება ბავშვზე ზრუნვა, რჩება სახლში და უვლის მას, რაც ამცირებს შრომის ბაზარზე მისი, როგორც პროფესიონალის კონკურენტუნარიანობას. ბავშვის მოვლის გამო, სამსახურში ხანგრძლივი არ ყოფნა ზრდის პროფესიონალური კომპეტენტურობის შენარჩუნების ხარჯებს და ა.შ.

### **დასკვნა**

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ გადავადებული მშობლობის ძირითადი განზოგადებული დადებითი და უარყოფითი ეფექტები: გადავადებულ მშობლობას ძირითადად განაპირობებს მეუღლეთა მატერიალური დამოუკიდებლობის და თვითრეალიზაციის უზრუნველყოფისკენ სწრაფვა; გადავადებული მშობლობა და მომდევნო რიგითობის ბავშვთა ყოლა 40 წლის ზემო ასაკებში ძირითადად დამახასიათებელია ოჯახური წყვილებისთვის და ნაკლებად მართხელა ადამიანებისთვის; გადავადებული მშობლობის დემოგრაფიულ ეფექტად უნდა მივიჩნიოთ გადავადებული სასურველი რაოდენობის ბავშვთა შობის რიგითობის ზრდა 45 წლის ზემო ასაკებში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მენაბდიშვილი ლ. (2014). ოჯახის ფორმირების პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“.
2. სულაბერიძე ა. (2018). საქართველოს დემოგრაფიული მოდერნიზაცია. ნაწილი I (XX საუკუნე). მონოგრაფია. თბილისი, „ზენაარი“.

3. ქალი და მამაკაცი. (2018). სტატისტიკური პუბლიკაცია. საქსტატი. თბილისი.
4. Van De Kaa D. J. (1987). Europe's second demographic transition. Population Bull, Mar, 42 (1): 1-59
5. Tsuladze G. (2016). Demographic yearbook of Georgia 2015.
6. საქსტატი. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
7. <https://iussp.org/en/call-papers-conference-postponement-parenthood>
8. [http://www.unn.ru/pages/e-library/vestnik\\_soc/18115942\\_2016\\_4\(44\)\\_unicode/15.pdf](http://www.unn.ru/pages/e-library/vestnik_soc/18115942_2016_4(44)_unicode/15.pdf)

## ლელა მენაბდიშვილი

### ცვლილებები ოჯახის მართვაში

**ანოტაცია.** წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს. ამ გამოკვლევების საფუძველზე ნაჩვენებია ის ცვლილებები რომლებიც განიცადა ქართულმა ოჯახმა მართვის საკითხში. ნაჩვენებია როგორ მოხდა მამაკაცის, როგორც ოჯახის უპირობო უფროსის და ერთადერთი მარჩენლის, როლის თანდათან შესუსტება. ქალისთვის ოჯახში მეტი ძალაუფლების მინიჭება. „ოჯახის უფროსის“ ტრადიციული გაგების შეცვლა და მისი გადაქცევა ფუნქციურ როლად, რომელიც შეიძლება უკვე შეასრულოს ორივე მეუღლემ. ოჯახში განხორციელდა ძალაუფლებათა ბალანსი. ოჯახები ავტონომიური ძალაუფლებით ჩაანაცვლა ოჯახებმა ცოლ-ქმრის მიერ ერთად მიღებული გადაწყვეტილებებით. რესპონდენტთა განწყობების შესწავლამ აჩვენა, რომ ეს პროცესი შეუქცევადი ხასიათისაა. საქართველოში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს პარტნიორობის სინკრეტული ტიპი.

**შესავალი.** თვალს თუ გადავაკვლევთ ოჯახის განვითარების გზას, დავინახავთ, რომ ოჯახმა საზოგადოების განვითარებასთან ერთად განვლო განვითარების არა ერთი ეტაპი, რომელშიც ძირითადი წყვილადი ოჯახია. ოჯახის წარმოშობიდანვე სათავეს იღებს მეუღლეთა შორის როლების, მოვალეობების განაწილება, რაც მართვის აუცილებელი მხარეა. ანუ ოჯახის მართვას იმ ხნის ისტორია აქვს, რაც თავად ოჯახს. სანამ იარსებებს ოჯახი, ყოველთვის იდგება ოჯახის მართვის საკითხი.

ოჯახის მართვა იურიდიული კანონების, ზნეობრივი ნორმების, რელიგიური მცნებების, ტრადიციების, ადათ-წესების და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინებით ხდება. ოჯახის მართვის ძირითადი ამოცანა მისი მრავალმხრივი ფუნქციების წარმატებით შესრულებაშია; ოჯახის წევრთა შორის შრომის იმგვარად გადანაწილებაშია, რომ არ მოხდეს მათი უფლებების დარღვევა საოჯახო როლების ეფექტური შესრულებისას და ერთობლივი ოჯახური ქმედებების განხორციელებისას; ოჯახის როგორც მთლიანობის განხილვაშია, რომელიც მისი წევრების ურთიერთკონტაქტებისა და ურთიერთგავლენის არენას წარმოადგენს, სადაც ხდება მისი წევრების ქცევის ნორმების და ფორმალური წესების არსებობის დაცვა.

ოჯახის წარმატებით მართვისათვის აუცილებელია ნათელი წარმოდგენის ქონა ოჯახის ამოცანებსა და ფუნქციებზე. მართვის მიზანია ოჯახის ცხოვრებაში ეფექტურობისა და პასუხისმგებლობის მიღწევა; ყოველდღიური ოჯახური ცხოვრების გააზრებულად და ჰარმონიულად წარმართვა. მართვა უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული. შედეგი კი არის ცოლ-ქმრის ისეთი ემოციური და ჰარმონიული თანაცხოვრება, რომ შესაძლებელი იყოს ოჯახის ყველა ამოცანისა და მნიშვნელოვანი ფუნქციის წარმატებით – საზოგადოებისათვის საჭიროდ და სასარგებლოდ შესრულება.

ოჯახის ამოცანების და ფუნქციების შესასრულებლადაც ერთიანდებიან ოჯახის წევრები, რომლებიც ზრუნავენ როგორც საკუთარ თავზე, ისე ერთმანეთზე. ოჯახში იქმნება ისეთი სასიცოცხლო იმპულსი, რომელიც სცილდება ერთ თაობას და გადადის მომდევნო თაობებზე. ოჯახის მართვის არსებითი თავისებურება სწორედ ოჯახის შემდგომ თაობებზე პასუხისმგებლობის

აღებაში მდგომარეობს. ამიტომაც მნიშვნელოვანი იმ ცვლილებების შეცნობა და გაანალიზება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის ბოლოს საქართველოს ოჯახებში.

### **კვლევის შედეგების ანალიზი**

**„ოჯახის უფროსი“.** ოჯახის მართვა, როგორც ძალაუფლებრივ ურთიერთობათა რეალიზაცია და გადაწყვეტილების მიღების საკუთარი უნიკალური მექანიზმების ქონა, მჭიდროდ არის დაკავშირებული „ოჯახის უფროსის“ ინსტიტუტთან. ისეთი ცნებები როგორიცაა: „ოჯახის უფროსი“, „ოჯახის თავი“, „ოჯახის ლიდერი“, „ოჯახის მეთაური“ გამოიყენებოდა ოჯახში ძალაუფლების მატარებელი სუბიექტის აღსანიშნავად. ეს სტატუსი მიუთითებდა მის განსაკუთრებულ უფლებებზე განეკარგა ოჯახში ქონება, ფული და ბავშვების ბედიც კი. ხშირად ეს სტატუსი მინიჭებული ჰქონდა ოჯახის უფროს წევრ მამაკაცს (ქმარს ან მამამთილს) და ხაზს უსვამდა მის განსაკუთრებულ უფლებებსა და პასუხისმგებლობას. ზოგჯერ, ოჯახის უფროსად განიხილებოდა პირი, რომელიც უზრუნველყოფდა ოჯახის სხვა წევრებს ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი პირობებით.

„ოჯახის უფროსის“ არსებობა და შინაარსი დამოკიდებულია ოჯახის ფუნქციებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დონეზე. იმ პირობებში, როდესაც ოჯახი იყო მწარმოებლური უჯრედი, ოჯახის უფროსის მახასიათებლებით განსაზღვრავდნენ ოჯახის სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის სოციალურ კუთვნილებას. ოჯახის სოციალური ფუნქციების ცვლილებებთან ერთად ოჯახის უფროსის ეკონომიკური მდგომარეობა უკვე აღარ არის მისი სოციალური სტატუსის ერთადერთი კრიტერიუმი და ოჯახის კუთვნილებას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან განსაზღვრავს მისი სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის

მახასიათებლები. ოჯახის უფროსის როლი გულისხმობს პასუხისმგებლობას მთელ ოჯახზე, ანუ მისი წევრების ქცევასა და განწყობებზე, ოჯახის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, პასუხისმგებლობას საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშე, უახლოესი სოციალური გარემოცვისა და საზოგადოების წინაშე. ამიტომ, ოჯახისთვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ საერთო საქმისთვის რამდენად ადექვატურია პირადი პასუხისმგებლობის შეფასება.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ტრადიციულად ოჯახის უფროსად მოიაზრებოდა მამაკაცი. ეს იყო ორივე ცოლ-ქმარის თანხმობა, რომ ქმარს ჰქონოდა მეტი ძალაუფლება და ავტორიტეტი. მას ეკისრებოდა როგორც ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა, ისე პასუხისმგებლობა ოჯახის თითოეულ წევრზე. სახარება გვამცნობს: „ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ თავი არს ქმარი ცოლისა“ [ეფეს. 5. 22-23]. „ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაი და თავი მისცა მისთვის“ [ეფეს. 5.25]. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II განმარტებით ის, რომ მამაკაცი თავია ოჯახის, არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშეწირულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას ცოლისა და შვილებისადმი. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი არსობის პურისა და ამასთან, ღვთისმსახური თავისი სახლისა. ქალი პასუხისმგებელია სახლზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზდაზე. იგი ღვთის მცნებების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც, რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით აღასრულებს უფლის ნებას, თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებებში მორჩილებას [საშობაო ეპისტოლე. 2014].

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოჯახის საკითხების მკვლევარებმა არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყეს იმ ცვლილებების შეცნობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ოჯახში. ამ პერიოდიდან დაიწყო ოჯახში ძალთა გადანაწილების, დომინირების, ლიდერობის, პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა განაწილების, როლებრივი ურთიერთობების შესწავლა. მარჩენალის როლის შესრულებისთვის შესაძლებლობების შემცირებამ გამოიწვია მამაკაცის განსაკუთრებული ავტორიტეტის და ოჯახში ლიდერობის შესუსტება ან დაკარგვა და იმავდროულად წარმოების სფეროსა და საოჯახო შრომაში ქალის როლის გაძლიერება. ასეთმა სიტუაციამ ქალს ოჯახში მეტი ძალაუფლება მიანიჭა. მოხდა ძალაუფლებათა ბალანსი. ტერმინმა „ოჯახის უფროსი“ გარკვეული მეტამორფოზა განიცადა. დღეს ოჯახის, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის მთავარი მახასიათებელი არის თანასწორობა და პირთა თანაბარი მონაწილეობა შინამეურნეობის საქმეში. იმის გამო, რომ ტერმინი „ოჯახის უფროსი“ ტრადიციული გაგებით ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ერთი რომელიმე პირის დომინირებას, სახალხო დამცველის მხრიდან გაკეთდა შემოთავაზება (2018 წლის აგვისტო) – საკანონმდებლო აქტებში გამოყენებული ტერმინის „ოჯახის უფროსი“-ს შინაარსობრივ მხარეზე გაკეთდეს აქცენტი, რომელშიც თანამედროვე გაგებით, როგორც წესი, ოჯახის შემადგენლობაში მყოფი ის საკონტაქტო პირი იგულისხმება, რომელიც ოჯახის წევრების შესახებ ყველაზე მეტად არის ინფორმირებული, და სხვა უფრო ნეიტრალური ფორმით მოდიფიცირებული ტერმინი იქნეს გამოყენებული.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ახლა უკვე ტერმინი „ოჯახის უფროსი“ წარსულის ტრადიციას, თუმცა ის



აუცილებელი რგოლია საოჯახო ურათიერთობათა სტრუქტურაში და, ასევე, ფუნქციური როლია, რომელიც შეიძლება შეასრულოს მამაკაცმაც და ქალმაც. ამ ტენდენციას ადასტურებს სოციოლოგიური გამოკვლევები,<sup>24</sup> რომლებიც ჩატარდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თვით მართლმადიდებელ მორწმუნეებშიც კი, სადაც აღმსარებლობის მიხედვით მამაკაცს ოჯახში განსაკუთრებული როლი და ავტორიტეტი აკისრია, სულ უფრო და უფრო იკლებს მოთხოვნილება ტრადიციული გაგებით “ოჯახის უფროსისადმი”. მათი რიცხვი ვინც იზიარებს „ოჯახის უფროსის“ არსებობის აუცილებლობას ბოლო ათი წლის განმავლობაში განახევრდა. სქესობრივ ჭრილში საკითხის განხილვამ აჩვენა, რომ მამაკაცი რესპონდენტები უფრო მეტად იჩენენ ერთგულებას „ოჯახის უფროსის“ ინსტიტუტისადმი, ვიდრე ქალები. თუმცა, საკითხისადმი დამოკიდებულების შეცვლა ორივე სქესის წარმომადგენლებში მოხდა. „ოჯახის უფროსის“ მომხრე მამაკაცების რიცხვი შემცირდა 1,8-ჯერ, ხოლო ქალების 2,5-ჯერ.

ცხრილი 1. ოჯახის უფროსის აუცილებლობისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულება (%)

აუცილებელია თუ არა ოჯახში უფროსის არსებობა	2004 წელი	2013 წელი	2015 წელი
ვიზიარებ	76,2	53,4	35,2
არ ვიზიარებ	21,7	35,6	40,4
მიჭირს პასუხი	9,1	11,0	24,4

<sup>24</sup> დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური გამოკვლევები 2004, 2013, 2015 წლებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან. ამ გამოკვლევების მიზანი იყო ოჯახში მიმდინარე ტრანსფორმაციის კვლევა.

ოჯახის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება საოჯახო გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველი ოჯახი ახდენს გადაწყვეტილების მიღების შეფარდებით სტაბილური მოდელის დემონსტრირებას, რომელიც თავს იჩენს ერთობლივი არჩევანის მიღების მომენტიდან. გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის არსებობის ფაქტი, წარმოადგენს ოჯახის შექმნისა და არსებობის პირობას. მის დეზორგანიზაციას კი მოჰყვება ოჯახის დანგრევა.

**საოჯახო გადაწყვეტილებები.** ურთიერთობები ოჯახში დინამიურია და მათი ცვლილებების კვალდაკვალ ხდება ძალაუფლების ბალანსის შეცვლაც, რომელიც რეალიზდება გადაწყვეტილების მიღებისას. ამის ნათელი მაგალითია სხვადასხვა დროს ჩატარებული ორი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები.<sup>25</sup> სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებენ, რომ საქართველოს ოჯახებში ძალაუფლების გადანაწილების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გასული საუკუნის მიწურულს ჩატარებული კვლევისას „მნიშვნელოვანი საოჯახო გადაწყვეტილებების (ბინის ან მანქანის ყიდვა-გაყიდვა, მნიშვნელოვანი თანხის სესხება ან გასესხება და სხვა) მიღებისას მამაკაცის პრიორიტეტი მკვეთრადაა გამოხატული – რესპონდენტთა 55,3% პასუხობს, რომ მის ოჯახში ოჯახისათვის მნიშვნელოვან

---

<sup>25</sup> ერთი მათგანი ჩატარდა გასული საუკუნის მიწურულს გაეროს განვითარების პროგრამა – საქართველო-ს მიერ. მასში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ადამიანმა. საექსპერტო გამოკითხვა ჩაატარა ზ. ფირალიშვილმა. სოციოლოგიური გამოკითხვა 300 რესპონდენტზე ჩატარდა ლ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების ანალიზში მონაწილეობა მიიღეს ე. ჯგერენაიამ და ლ. მეზვრიშვილმა. გამოკვლევის შედეგები გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის მიერ სადისკუსიო წერილების სერიით 3. ხოლო მეორე, 2015 წლის სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ. გამოკითხვა 1200 რესპონდენტი.

გადაწყვეტილებებს მამაკაცი იღებს. იმ ოჯახების წილი კი, სადაც ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ქალი, მხოლოდ 15,4%“ [დურგლიშვილი ნ. 1997:18-19].

რაც შეეხება ჩვენს მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებს, აქ მკვეთრადაა გამოხატული მეუღლეთა ძალაუფლებათა ბალანსი ოჯახში. მნიშვნელოვნადაა შემცირებული ცალკეული მეუღლის როლი ცოლ-ქმრის ერთობლივი გადაწყვეტილებების სასარგებლოდ.

ცხრილი 2. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები პირები რესპოდენტთა ოჯახებში

გადაწყვეტილების მიმღები პირი ოჯახში	%
ქმარი	13,1
ცოლი	8,2
ცოლ-ქმარი ერთად შეთანხმებით	43,6
უფროსი თაობა	26,7
ოჯახის ეკონომიურად უზრუნველმყოფი პირი	2,8
ოჯახის ყველა წევრის შეთანხმებით	5,6

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უფროსი თაობის მაღალი ავტორიტეტი და როლი საოჯახო საკითხების მართვაში განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდების მიერ შექმნილ ოჯახებში, რადგან ისინი ფინანსურად და საცხოვრებლის მხრივ დამოკიდებულები არიან ერთ-ერთი მეუღლის მშობლებზე.

ახალგაზრდებში მაღალია მოთხოვნა საკუთარი ოჯახის დამოუკიდებლობისა, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ მატერიალური მდგომარეობის გამო. იმ ახალგაზრდა დაოჯახებულმა რესპოდენტებმა, რომლებიც ოჯახის შექმნის შემდეგ მშობლებთან ერთად ცხოვრობენ, დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი გამოთქვეს, მაგრამ იმის გამო, რომ მათ უმრავლესობას არ აქვთ შესაძლებლობა ოჯახი ფინანსურად თვითონ უზრუნველყონ, ვერ ახერხებენ განზრახვის სისრულეში მოყვანას. ახალგაზრდა დაოჯახებული რესპოდენტების მხოლოდ 27,1% აპირებს უახლოეს

პერიოდში მშობლებისაგან ცალკე ცხოვრებას. თუმცა, მათ კარგად აქვთ გააზრებული, რომ საცხოვრებლად მშობლებისაგან დამოუკიდებლად გასვლა გააუარესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას (17%).

ოჯახის წევრთა ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახის წევრები არა მხოლოდ მატერიალურად არიან დამოკიდებულნი ერთმანეთზე, არამედ უფლებრივადაც. გამოდის, რომ თუ ახალგაზრდები ოჯახის შექმნის შემდეგ მატერიალურად მშობლებზე არიან დამოკიდებულნი, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ოჯახი.

გამოკვლევებით გამოიკვეთა, რომ ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების მხრივ საქართველოში ოჯახთა განსხვავებული ტიპები არსებობენ. რომელთა შორის უმეტესობას ისეთი ოჯახები წარმოადგენენ, სადაც ორივე მეუღლე ერთმანეთთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს. ანუ საქართველოს ოჯახებში ძალაუფლების და გავლენის განაწილების თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყოფა პარტნიორული ოჯახები, სადაც ერთობლივად მიიღება გადაწყვეტილებები. ასეთ შემთხვევას კი, როცა მეუღლეებს თანაბარი გავლენა აქვთ ოჯახში სოციოლოგები განსაზღვრავენ როგორც პარტნიორობის სინკრეტულ ტიპს. თუ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ოჯახის წევრთა ერთობლივი განხილვით მაშინ საქმე გვაქვს კოლეგიალურ ოჯახთან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოჯახები გამოკითხულთა შორის მცირე აღმოჩნდა, ის მაინც მიუთითებს ბოლო დროს ოჯახში ძალაუფლების ბალანსთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებზე. გადაწყვეტილებებს თუ იღებს ერთ-ერთი მეუღლე მაშინ საქმე გვაქვს ავტონომიურ ოჯახთან. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ასეთი ტიპი სოჯახები ოცდამეერთე საუკუნის

პირველ წლებთან შედარებით 2,2-ჯერაა შემცირებული.<sup>26</sup> შემცირება შეეხო როგორც ქმრის მიერ ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებებს (შემცირებულია 2-ჯერ), ისე ცოლის მიერ მიღებულს (შემცირებულია 1,4-ჯერ). ე.ი. გამოკვლევათა შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში, ბოლო პერიოდში, გადაწყვეტილებების მიღების მიხედვით გამოიყოფა ოჯახთა რამოდენიმე ტიპი: პარტნიორობის სინკრეტული ტიპი, კოლეგიალური ოჯახები და ავტონომიური ოჯახები.

ოჯახის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, გამოკითხულთა შორის, გამოიკვეთა იმ პირების გადამწყვეტი როლი, რომლებიც ახდენენ ოჯახის წევრთა ეკონომიურ უზრუნველყოფას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი მცირეა და, ამასთან, მოყვანილი ორი კვლევის შუალედში კიდევ უფრო შემცირებულია. გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს კვლევის მიხედვით ეს მაჩვენებელი 6,5%-ა, ხოლო ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით მხოლოდ 2,8%. ანუ თვრამეტწლიან შუალედში შემცირება მოხდა 2,3-ჯერ.

ოჯახის საკითხებისადმი მნიშვნელოვან ყურადღებას იჩენენ სხვადასხვა თეორიის წარმომადგენლები. კონფლიქტის თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში. ამასთან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გადაწყვეტილების მიღებას. მათი აზრით ოჯახში ძალაუფლებას, როგორც წესი, ის იმენს ვინც დიდი ზომით ფლობს მატერიალურ სიკეთეს. ასევე აღნიშნავენ, რომ მეუღლეებს შორის ძალაუფლების გადანაწილებაზე

---

<sup>26</sup> მონაცემები 2002 წელს ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევასთან არის შედარებული, რომლის შედეგები მოცემულია ქეთევან გოჭიაშვილის სადისერტაციო ნაშრომში „განქორწინების სოციალურ დემოგრაფიული ასპექტები“. 2003.

გავლენას ახდენს სიყვარული. კონსტანტინა საფილიოს როტმილდის აზრით, ცოლ-ქმარს, რომლებსაც ერთნაირად უყვართ ერთმანეთი ერთნაირი ძალაუფლება აქვთ. რომელ მეუღლესაც უფრო ძლიერ უყვარს, მას ძალაუფლება შედარებით მცირე აქვს, რადგან დიდ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაში იმყოფება. ქორწინება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური გაცვლა, ცოლი გასცემს სიყვარულს, ვინაიდან ის, ჩვეულებრივ, დიდი ზომით ავლენს სიყვარულს ქმრისადმი, რომ მისთვის მისაწვდომი გახდეს ის სოციალურ-ეკონომიკური სიკეთე, რომელიც ქმარს მეტი აქვს [Смелзер. 1994:406].

1989 წ. გამოქვეყნდა დიდი ემპირიული გამოკვლევების მონაცემები, რომლის ავტორებიც ამერიკელი სოციოლოგები რ. ბლამბერგი და მ. კოლემანი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური რესურსები ცოლ-ქმრული ძალაუფლების საფუძველია, ხოლო ეკონომიკური ძალაუფლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მეუღლეთა ადგილს განსაზღვრავს ოჯახში. მათი აზრით, ოჯახში ძალაუფლება წარმოადგენს ძალთა ბალანსს ხოლო თავად ეკონომიკურ ძალაუფლებას განსაზღვრავს სამი ფაქტორი: ქმრის აბსოლიტური შემოსავლები; ქმრის და ცოლის შემოსავლების თანაფარდობა; შემოსავალთა დამოუკიდებელი აღრიცხვა.

ეს არის დომინირებული ფაქტორები, მაგრამ მათი მოქმედება გაშუალებულია მაკრო და მიკრო სოციალურ დონეთა მთელი რიგი ვითარებებით. მაკრო დონეზე უნდა აღინიშნოს მამაკაცთა უპირატესობა სოციალური სტრუქტურის ზედა საფეხურებზე, სიცოცხლისუნარიანობა იდეოლოგიისა: „ქალის ადგილი სახლშია“, რომელსაც იზიარებს არა მხოლოდ ბევრი მამაკაცი, არამედ ქალიც. მიკროდონეზე – ეს ქალის შემოსავლების აუცილებლობის აღიარებაა. პარტნიორს რომელიც ნაკლებად „ვალეზულია“,

მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე უფრო “ვალდებულ” მეუღლეს. შესაძლოა ქალს უფრო მაღალი შემოსავალი ჰქონდეს, ვიდრე მამაკაცს, მაგრამ ის უფრო ვალდებული პარტნიორი იყოს, ქორწინებაში მისი რეალური ეკონომიკური ძალაუფლება შემცირებული იქნება. მამაკაცმა, რომელიც თვლის რომ ვერ გააკეთებს უკეთეს არჩევანს, საოჯახო ურთიერთობების შესანარჩუნებლად შეიძლება დათმოს ეკონომიკური ძალაუფლების სარგებლიანობა. დათმობაზე წავა ქალიც, რომელიც თვლის რომ სრულიად ნორმალური და სწორია მამაკაცი იყოს „ოჯახის თავი“. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქმრის მიერ იმის აღიარება, რომ ცოლს საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს. თუ ქმარს მიაჩნია, რომ ცოლის შემოსავალი აუცილებელი არ არის ოჯახის ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის, მაშინ იმ ეკონომიკური რესურსების გავლენა, რომლითაც ქალი ოჯახს უზრუნველყოფს დიდი არ იქნება [Erova...//http/lib.sale/].

საოჯახო ძალაუფლების წყარო შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე წმინდა ფსიქოლოგიური. სოციოლოგი კონსტანტინა საფილიოს როტშილდი გამოყოფს ოჯახში გავრცელებულ ძალაუფლებათა რვა ტიპს: ლეგიტიმური, ბატონობის, რესურსების, ექსპრესიული, გავლენის, ემოციური, მორალური და კონფლიქტების მართვა. რეალურად ოჯახში გვხვდება საოჯახო ძალაუფლების ამ ტიპების შეხამება.

თითველი ქორწინების და ოჯახის უნიკალურობის გამო, ოჯახის წევრთა ურთიერთობები წარმოადგენენ ურთიერთქმედებების, მოლაპარაკებების და ჩვეულებრივი საუბრების რთულ ნაკრებს. ასე მაგალითად: მეუღლეებმა უნდა მიიღონ ორივესთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება შვილებთან მიმართებაში – როდის, რამდენი და რა ინტერვალით იყოლიონ შვილები; უნდა

მოხდეს შვილთა აღზრდის სტილის შერჩევა და მეულლეთაშორის ვალდებულებათა განაწილება; მნიშვნელოვანია საოჯახო ვალდებულებათა განაწილება და გადაწყვეტილებების მიღება ოჯახის ბიუჯეტის, ფულის და ქონების განკარგვასთან, დამატებით შემოსავლებთან და პირადი ფულის არსებობასთან დაკავშირებით; ბოლო წლებში განუხრელად გაიზარდა დასვენების სფეროს მნიშვნელობა, რაც განპირობებულია თავისუფალი დროის და მისი ორგანიზების შესაძლებლობათა ზრდით. ანუ საოჯახო გადაწყვეტილებათა რიგი დაკავშირებულია დასვენების სფეროსთანაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია გამოიყოს საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროები, როგორცაა: შობადობის სფერო, ეკონომიკური სფერო, საოჯახო მეურნეობის ორგანიზაცია, შვილთა აღზრდა, დასვენება და ა. შ. ამასთან, ოჯახში მიღებული გადაწყვეტილებები დაიყოფა ყოველდღიურ და ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებად. კონკრეტულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებულია ცოლ-ქმრის როლი. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან შვილების აღზრდის პროცესში, ეს საკითხი კვლავ რჩება ცოლისათვის უფრო სავალდებულო საქმედ.

ფრიად საყურადღებოა რესპონდენტთა მოსაზრებები ოჯახში ბავშვთა რაოდენობასთან დაკავშირებით. ესაა სფერო რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის აღწარმოებას, ერის ფიზიკურ უწყვეტობას და რომელსაც უდიდესი ყურადღება ეთმობა დემოგრაფთა მხრიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რეპროდუქციულ ქცევასთან მიმართებაში დიდი მნიშვნელობა აქვს რესპონდენტებზე აღმსარებლობის გავლენას. როდესაც რეპროდუქციულ ქცევას ვსწავლობდით



ეკლესიურად მცხოვრებ მართლმადიდებელ მორწმუნეებში, აღმოჩნდა, რომ 50,7%-მა არა თუ ზუსტად, არამედ მიახლოებითაც არ იცის რამდენი შვილი ეყოლება, რადგან თვლის, რომ ეს საკითხი „ღმერთის ნებით წყდება“. გამონაკლისს არც სხვა სოციალური ჯგუფები წარმოადგენენ. მათთანაც აღინიშნა, რომ შვილთა რაოდენობას ოჯახში მეუღლეები კი არა ღმერთი წყვეტს. ოღონდ განსხვავება დასახელების სიხშირეშია.

ოჯახში ფინანსური ურთიერთობების და ბიუჯეტის დაგეგმვის კულტურის მიხედვით „ოჯახის კლიმატი“ ყალიბდება. ოჯახის სიმყარე, კეთილდღეობა, ცოლ-ქმრული ცხოვრებით კმაყოფილება, სწორედ რომ, მასზეა დამოკიდებული. მეუღლეებს შორის კონფლიქტის მიზეზი ხშირად ხდება ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ერთპიროვნული ხაზინადრობა, ან განსხვავებული შეხედულებები ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. მომგებიანია, როცა საოჯახო ბიუჯეტი დგინდება და განიკარგება ორივე მეუღლის მხრიდან, რადგან ეს აუმჯობესებს ოჯახის ფსიქოლოგიურ კლიმატს. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ოჯახის ბიუჯეტის მართვა ორივე მეუღლის ერთობლივი გადაწყვეტილებებით უნდა ხდებოდეს, რეალურად ასე არ ხდება.

ცხრილი 3. კონკრეტულ სფეროებში გადაწყვეტილების მიმღები პირი რესპონდენტთა ოჯახში (%)

	ქმარი	ცოლი	მეუღლეები შეთანხმებით	სხვა
ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე	6,2	6,8	72,0	15,0
ბავშვთა აღზრდაზე	4,4	49,8	39,5	6,3
შემოსავლების განაწილებაზე	10,8	20,5	66,4	2,3

საშუალება გვაქვს მხოლოდ ერთი პუნქტში - შემოსავლების განაწილებაში შევადართოთ ორი კვლევის შედეგები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მკვეთრად განსხვავდება გაეროს განვითარების პროგრამა - საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებისგან. ოცი წლის წინ „რესპონდენტთა 45,2% პასუხობს, რომ მის ოჯახში ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილების გადაწყვეტილებას მამაკაცი იღებს. ხოლო ის ოჯახები, რომლებშიც ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილებისას გადაწყვეტილებას იღებს ქალი, 32,6%-ს შეადგენს“ [დურგლიშვილი ნ. 1997:18-19]. კვლევებს შორის შუალედში ოთხჯერ არის შემცირებული ოჯახები, სადაც შემოსავლების განაწილება ხდება მამაკაცის მიერ და 1,5-ჯერ სადაც ქალის მიერ. მათ ხარჯზე კი გაიზარდა ორივე მეუღლის მიერ ერთად მიღებული გადაწყვეტილებები შემოსავლების განაწილებასთან დაკავშირებით.

ოჯახის მართვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ რეალური მდგომარეობის გათვალისწინება, არამედ მოსახლეობის განწყობის შესწავლა.

როგორც კვლევითი მოპოვებულმა მონაცემებმა აჩვენა, რესპონდენტებს მკვეთრად გამოხატული დადებითი განწყობა აქვთ იმისადმი, რომ ოჯახში მეუღლეები ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ. თუმცა რესპონდენტთა განწყობა არ ემთხვევა რეალურ მდგომარეობას. რესპონდენტთა 94,3% თვლის, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ, რეალურად კი მათ შორის ასეთი ოჯახები მხოლოდ 43,6%-ს აქვს. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მკვეთრად

ცხრილი 4. დამოკიდებულება ოჯახური პასუხისმგებლობისადმი რესპონდენტთა სქესის მიხედვით (%)

	ვიზიარებ			არ ვიზიარებ			მიჭირს პასუხი		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
მეუღლეები ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ	90,0	97,4	94,3	3,2	1,0	2,0	6,8	1,6	3,7
მეუღლეებს თანაბარი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში	71,3	78,9	75,5	8,4	7,5	7,9	20,3	13,6	16,6
ცოლქმრის შემოსავალი მეუღლეთა შეთანხმებით უნდა დაიხარჯოს	63,1	68,4	64,4	18,5	13,7	17,6	18,4	17,9	18,0

შეცვლილი განწყობა ოჯახში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ორჯერაა გაზრდილი მათი რიცხვი, ვისი აზრითაც ოჯახური პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად, სასურველია რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ მეუღლეებმა შეთანხმებით. თუ გავითვალისწინებთ რესპონდენტთა განწყობებში მომხდარ მკვეთრ ცვლილებებს, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეალურადაც გაიზრდება ასეთი ოჯახები.

**დასკვნა.** გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ოჯახის მართვის სტილში მნიშვნელოვანი

ცვლილებები ხდება. ეს ცვლილებები უკავშირდება „ოჯახის უფროსის“ ინსტიტუტს. ეს ტერმინი კარგავს ძველებურ დატვირთვას და ფუნქციურ როლად იქცევა, რომელიც შეიძლება შეასრულოს როგორც ერთ-ერთმა მეუღლემ, ასევე ორივემ ერთად. შესაბამისად ხდება მეუღლეთა შორის ძალაუფლების ბალანსი. ქალის ძალაუფლების გაზრდამ გამოიწვია ოჯახების – პარტნიორობის სინკრეტული ტიპით ზრდა. თუმცა კვლავ რჩება პარტნიორობის ავტონომიური ტიპის ოჯახები, მაგრამ მათი რაოდენობა მკვეთრად და შემცირებული. თანაც, ასეთი ოჯახები აღარაა მხოლოდ მამაკაცის ავტორიტეტსა და ძალაუფლებაზე დამყარებული, იგივე ფუნქცია ეკისრება ქალსაც. გამოიკვეთა კოლეგიალური ოჯახების უმნიშვნელო ზრდაც.

მნიშვნელოვნადაა მოსახლეობის განწყობა შეცვლილი ოჯახში ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა განწყობების შესწავლამ გამოკვეთა პარტნიორობის სინკრეტული ტიპისადმი დადებითი განწყობები. ორჯერაა გაზრდილი მათი რიცხვი, ვისი აზრითაც ოჯახური პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად, სასურველია რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ მეუღლეებმა შეთანხმებით.

რესპონდენტთა განწყობებში მომხდარი მკვეთრი ცვლილებების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ოჯახები ორივე მეუღლის თანაბარი ძალაუფლებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დურგლიშვილი ნ. (1997). ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი. სადისკუსიო წერილები სსერია 3, თბილისი.
2. მენაბდიშვილი ლ. (2018). ოჯახის მენეჯმენტი. პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, თბილისი.

3. საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი. (2016). მონოგრაფია. თბილისის სასულიერო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 2014. საშობაო ეპისტოლე.
5. Егорова Н.Ю. С.,Д., Бобров В.А. Менеджмент в домашнем хозяйстве. <https://lib.sale/otrasli-menedjment/menedjment-domashnem-hozyaystve.html>
6. Смелзер Н. (1994). Социология. Москва.

## ნანა მენაბდიშვილი

### ქორწინების თავისებურება ახალი საუკუნის საქართველოში

*ანოტაცია. ნაშრომში საქსტატის მონაცემების მიხედვით განხილულია ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე რეგისტრირებული ქორწინებების დინამიკა. შესწავლილია ქორწინების საშუალო ასაკი, საქალაქო და სასოფლო დასახლებების ქორწინებათა თავისებურებები, არასრულწლოვანთა ქორწინებები.*


ქორწინება არის კულტურული ფენომენი, რომლის საფუძველზეც ხდება პარტნიორთა შორის მეტ-ნაკლებად მუდმივი კავშირის სანქცირება. ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც ადამიანის ცხოვრების წესისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლას განაპირობებს. ქორწინების მნიშვნელობიდან გამომდინარე დიდია მისდამი ინტერესი როგორც სოციალური მეცნიერების, ისე ქრისტიანული სარწმუნოების მხრიდან.

ქორწინება სამართლებრივი აქტია და ის თავისთავად გულისხმობს დარეგისტრირებას. მაგრამ არსებობს გამონაკლისები – ქორწინებები, რომლების დარეგისტრირებაც არ ხდება. დღევანდელ ყოფაში, ჩვენს ქვეყანაში, ქორწინების სამ ფორმას განიხილავენ: რეგისტრირებული ქორწინება, საეკლესიო ქორწინება და თანაცხოვრება. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს საეკლესიო ქორწინებას – ჯვრისწერას, თუმცა არ ახდენს მის აღრიცხვას. თანაცხოვრება ანუ იგივე არარეგისტრირებული ქორწინება აღიარებულია საზოგადოების მხრიდან და, ასევე, არ არის

აღრიცხული სახელმწიფოს მხრიდან. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ქვეყანაში არსებული ქორწინების სამი ფორმიდან ორის შემთხვევაში სახელმწიფოს რეესტრის ოფიციალური სტატისტიკა აღრიცხვას არ ახდენს. წარმოდგენილ ნაშრომში საუბარი გვექნება მხოლოდ რეესტრირებულ ქორწინებაზე. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით დავახასიათებთ ქორწინების თავისებურებებს XXI საუკუნის პირველ მეხუთედში.

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (ქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე) 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე არაერთგვაროვანია და მუდმივი ზრდით არ ხასიათდება. ამ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს – 9,3, ხოლო ყველაზე დაბალი 2002 და 2003 წლებში – 3,2. ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 2013 წლიდან მოყოლებული კლებით ხასიათდება. მხოლოდ გასულ წელს დაფიქსირდა მინიმალური ზრდა წინა წელთან შედარებით.

დიაგრამა 1. ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი



წყარო: საქსტატი [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის დახასიათებისას დემოგრაფები ყურადღებას ამახვილებენ: მოსახლეობის კლებაზე და მოსახლეობის დაბერებაზე. ამ პროცესების ხელის შემწყობ ფაქტორთა შორის ერთ-ერთია მიგრაცია. ქვეყანაში გარე მიგრაციასთან ერთად მაღალია შიდა მიგრაციაც. მძიმე მდგომარეობა რეგიონებში, განსაკუთრებით მაღლმთიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობა აღარ ჩერდება. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით გაუკაცრიელებულია 223 სოფელი. ქალაქებისკენ ძირითადად ფერტილური ასაკის ადამიანები მოდიან.

ქორწინების რაოდენობა რეგიონების მიხედვით განსხვავებულია, რასაც მოსახლეობის განსხვავებული მაჩვენებელი განსაზღვრავს. საქართველოს მოსახლეობის 30-31% თბილისში ცხოვრობს, ამიტომ ქორწინების ყველაზე მაღლი მაჩვენებელი თბილისშია. ის წლების მიხედვით 2-3-ჯერ ჩამორჩება საქართველოს სხვა ყველა დასახლებული პუნქტის ქორწინების მაჩვენებელს.

დემოგრაფიული ანალიზისთვის აუცილებელია მოსახლეობის იმ კატეგორიის შესწავლა, რომლებიც ქორწინებაში არასოდეს ყოფილან. 2001 წელს 13044 მამაკაცი და 13125 ქალი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, 2019 წელს კი 19220 მამაკაცი და 19734 ქალი. ქორწინებაში არასოდეს მყოფი მამაკაცების (33163) და ქალების (33491) ყველაზე მაღლი რაოდენობა დაფიქსირდა 2010 წელს.

40-44 წლის ქალებისა და მამაკაცების წილი, რომლებიც ქორწინებაში არასოდეს ყოფილან 2002 წელს, შესაბამისად, შეადგენდა 8,9 და 9,1 პროცენტს, 2014 წლის მონაცემების მიხედვით კი იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც ქორწინებაში არასდროს ყოფილა, თითქმის ხუთი პროცენტით გაიზარდა და, 13,8 პროცენტი გახდა, ხოლო მამაკაცების პროცენტული წილი მხოლოდ მეთედით შემცირდა და შეადგინა 9,0



ცხრილი 1. ქორწინების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

წელი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო, ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
2001	3827	1291	408	2300	1157	266	113	1382	667	1081	844
2002	4187	1239	328	1967	878	248	108	1209	649	1030	692
2003	4252	1275	376	1681	947	278	101	1213	727	1069	777
2004	4347	1674	351	2683	949	290	134	1362	932	1374	770
2005	5880	1813	423	2995	1094	332	116	1641	1039	1611	1068
2006	6726	2384	499	3355	1530	390	141	2152	983	2201	1484
2007	8016	2985	574	3911	1614	422	156	2308	1111	2271	1523
2008	8148	3411	1033	5243	2253	731	228	2916	1610	3118	2723
2009	8076	3257	1104	5234	2268	772	265	3228	1485	3005	3058
2010	8333	3478	1097	5362	2453	704	306	3507	1468	5342	2625
2011	7895	3120	973	5058	2355	665	272	3263	1274	3798	2190
2012	7669	3476	950	5032	2251	581	266	2973	1367	3702	2145
2013	8571	3564	1096	5155	3904	769	277	3254	1468	3987	2648
2014	8541	3389	879	4813	2597	674	268	2910	1392	3955	2108
2015	8249	3002	773	4444	2420	555	232	2598	1232	3787	1865
2016	7304	2631	752	3832	1936	567	203	2241	1071	2867	1697
2017	6984	2548	647	3850	1744	475	211	2101	993	2617	1514
2018	6718	2598	665	3661	1794	500	177	2055	921	2666	1447
2019	7020	2382	614	3888	1810	482	211	1943	921	2556	1458

წყარო: საქსტატი [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

პროცენტი. 2014 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ ჩვენი მეზობელი ქვეყნის – აზერბაიჯანის მონაცემებს, დავინახავთ რომ საქართველოში ქორწინებაში არასოდეს მყოფი ქალები 5,6%-ით, ხოლო ქართველი მამაკაცები 3,9%-ით აღემატებიან იმავე კატეგორიის აზერბაიჯანელ ქალებსა (8,2%) და მამაკაცებს (5,1%). მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან

ბულგარეთის იმავე მაჩვენებლებს, სადაც ქორწინებაში არასოდეს მყოფი ქალები 18,5%, მამაკაცები კი 33,5%-ია [რალფ ჰაკერტი. 2017:15].

იმ ქალების პროცენტული წილი რომლებიც არასდროს ყოფილან ქორწინებაში უფრო მაღალია საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის, ვიდრე სასოფლო დასახლებებში. საქალაქო დასახლებაში მცხოვრები 45 წლის ქალების 10% არასდროს ყოფილა ქორწინებაში, მაშინ როცა, სასოფლო დასახლების მცხოვრები იმავე ასაკის ქალების შედარებით მცირე ნაწილია ქორწინების გარეშე დარჩენილი. მამაკაცები ქალებთან შედარებით უფრო გვიან ასაკში ქორწინდებიან, მაგრამ მათგან განსხვავებით უფრო ცოტანი რჩებიან ქორწინების გარეშე.

ქორწინების ყველაზე მაღლი მაჩვენებელი დაუქორწინებლებშია, ყველაზე დაბალი კი ქვრივებში. 2002 წლის მონაცემების მიხედვით დაქორწინებულ წყვილებში ქალების 0,35 და მამაკაცების 0,75 პროცენტი ქვრივი იყო. მოგვიანებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 1%-ს მიაღწია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელახალი ქორწინებების რაოდენობის ზრდა ძირითადად განქორწინებულებზე მოდის. ამასთან, განქორწინებული მამაკაცები უფრო ხშირად ქმნიან სხვა ოჯახს, ვიდრე განქორწინებული ქალები. 2015 წელს დაქორწინებული მამაკაცების 10,9% და ქალების 8,9% წინა ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით განქორწინებული იყო. 2018 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა.

ცხრილი 2. 2018 წელს დაქორწინებულები წინა ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით (%).

ქორწინებამდე იყო	მამაკაცი	ქალი
დაუქორწინებელი	85	87
ქვრივი	1	1
განქორწინებული	14	12

წყარო: საქსტატი [www.Geostat.ge](http://www.Geostat.ge)

დემოგრაფები საქართველოს დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების დახასიათებისას გამოყოფენ მალალ ასაკში ქორწინებას. თუ პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 2000 წელს მამაკაცებში შეადგენდა 28,4 წელს, ხოლო ქალებში 24,7 წელს, 2019 წლისათვის ეს მაჩვენებლები გაიზარდა და მამაკაცებში 30,7, ხოლო ქალებში 28,1 წელი შეადგინა. ანუ, ცხრამეტ წელიწადში მამაკაცების ქორწინების ასაკი გაიზარდა 2,3 წლით, ხოლო ქალის – 3,4-ით, ხოლო ოცდაოთხ წელიწადში (1995 წელთან შედარებით) მამაკაცების 3,7-ით, ხოლო ქალების 4,7 წლით. ქორწინების ასაკის ზრდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის არ არის დამახასიათებელი, ეს ტენდენცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. ასე მაგალითად: ქალთა ქორწინების საშუალო ასაკი გერმანიაში 30-40, ხოლო აშშ-ში 35-40 წელია. მკვლევართა აზრით ეს განპირობებულია პრიორიტეტების ცვლილებით. ახალგაზრდები პირველ რიგში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ კარიერისა და მატერიალური კეთილდღეობის მოწყობას და მას შემდეგ ფიქრობენ ოჯახის შექმნაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ქორწინების ასაკის ზრდის ტენდენცია მხოლოდ ახალი საუკუნისთვის არ არის დამახასიათებელი, ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოდან შეინიშნებოდა, თუ 1994 წელს ქორწინების საშუალო ასაკი მამაკაცებში 26,8 წელი, ხოლო ქალებში 23,3 წელი იყო. 1999 წელს მამაკაცებში 1,6 და ქალებში 1,4 წლით გაიზარდა და შესაბამისად შეადგინა 28,4 და 24,7 წელი.

საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინება ზოგადად არ არის დამახასიათებელი, თუმცა ყველაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება: ქვემო ქართლში, კახეთში, გურიასა და აჭარაში. აღნიშნულ რეგიონებში ადრეულ ასაკში ქორწინების ერთ-

ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობაში მუსლიმთა მაღალი პროცენტული წილი.

ცხრილი 3. რეგისტრირებული ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი სქესისა და რეგიონის, საქალაქო – სასოფლო დასახლებების, მიხედვით. (საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა)

რეგიონი	საქალაქო დასახლება		სასოფლო დასახლება		სულ	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
თბილისი	29,7	27,5	29,8	27,5	29,7	27,5
აჭარა	27,9	24,3	28,2	23,5	28,1	24,0
გურია	27,9	22,3	29,1	23,7	28,7	23,3
იმერეთი	28,3	24,3	30,7	24,8	29,5	24,5
კახეთი	30,1	26,6	30,3	26,0	30,2	26,2
მცხეთა-მთიანეთი	30,9	27,3	31,6	28,7	31,5	28,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30,6	24,5	32,7	24,9	32,1	24,8
სამეგრელო და ზემო სვანეთი	29,0	24,0	30,7	24,2	30,0	24,1
სამცხე-ჯავახეთი	28,4	24,6	28,1	23,7	28,2	24,0
ქვემო ქართლი	29,5	26,8	29,3	25,2	29,4	25,9
შიდა ქართლი	28,8	25,2	30,2	26,2	29,6	25,7
საქართველო	29,2	26,4	29,8	25,0	29,5	25,9

წყარო: რაღფ ჰაკერტი. 2017. მოსახლეობის დინამიკა საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. გვ 37.

მათი სარწმუნოება ახალისებს ადრეულ ასაკში ქორწინებას. ამასთანავე, ადრეულ ასაკში ქორწინება უფრო ხშირია სასოფლო დასახლებაში, ვიდრე საქალაქოში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა ქორწინებები – ქორწინებები, რომლებშიც ერთ-ერთი

პარტნიორი არასრულწლოვანია (18 წლამდე ასაკისა) თანდათან მცირდება. თუ 2002 წელს ქორწინება, რომელშიც ქალი არასრულწლოვანი იყო 4,81%-ს შეადგენდა 2015 წლისთვის მაჩვენებელი 2,03%-მდე შემცირდა, ასევე შემცირდა არასრულწლოვანი მამაკაცების ქორწინების წილიც (2002 წელი – 0,62%, 2015 წელი – 0,11%).

არასრულწლოვანთა ქორწინების უარყოფითი შედეგების გამო დიდია მისდამი ინტერესი. მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით<sup>27</sup> გამოვლინდა, რომ 20-24 წლის ასაკის ქალების 14% 18 წლამდე იყო დაქორწინებული. დასახლებების ტიპის მიხედვით კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრები 20-24 წლის ქალების 8% იყო არასრულწლოვანობის პერიოდში დაქორწინებული, მაშინ როცა სასოფლო ტიპის დასახლებაში მცხოვრებ იმავე ასაკის ქალთა 25% იყო რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში სრულწლოვან ასაკის მიღწევანდე. 20-49 წლის ასაკის ქალების წილი, რომლებიც დაქორწინებულნი იყვნენ 18 წლამდე, ყველაზე მაღლია ქვემო ქართლში (25%) და ყველაზე დაბალი თბილისში (12%). კვლევით გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს ასაკობრივ ჯგუფებს შორის ადრეული ქორწინების თვალსაზრისით. ყველაზე მაღლი მაჩვენებელი, როგორც 15 წლამდე ქორწინების, ასევე 18 წლამდე ქორწინების შემთხვევაში, 40-44 წლის ასაკის ქალებში დაფიქსირდა და შესაბამისად 3% და 27% შეადგინა. გამოიკვეთა, რომ არსებობს კავშირი ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და

---

<sup>27</sup>მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

განათლების დონეს შორის. 20-24 წლის ასაკის ქალებიდან, რომლებიც 18 წლამდე დაქორწინდნენ, მხოლოდ 3% იყო უმაღლესი განათლებით, ხოლო უმეტესობას – 47%-ს მიღებული ჰქონდა დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება [[www.mics.unicef.org/surveys](http://www.mics.unicef.org/surveys)].

ქალების უმეტესობა ოჯახს ქმნის 20-24 წლის ასაკში, მაშინ როცა მამაკაცებში ასეთი ასაკი 25-29 წელია. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი საუკუნის პირველივე წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქალთა ქორწინებათა რაოდენობაში ასაკის მიხედვით, თუ გასულ საუკუნეში ქალებისთვის ქორწინების რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე იყო 16-19 წლის ასაკში ქორწინება, 2001 წლიდან ეს ტენდენცია შეიცვალა და რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი დაიკავა ქალთა ქორწინებებმა 25-29 წლის ასაკში. ამასთან, თუ 2001 წელს 20-24 წლის ქალთა ქორწინებები 2,3-ჯერ აღემატებოდა 16-19 წლის ქალთა ქორწინებებს, 2019 წელს 3,3-ჯერ აღემატება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქალთა ქორწინების ასაკის ზრდა მოხდა.

ახალ საუკუნეში საქორწინო პარტნიორის არჩევისას ასაკობრივი სხვაობა იგივე რჩება. საქორწინო პარტნიორის არჩევისას მამაკაცები კვლავ უპირატესობას ანიჭებენ თავისივე ასაკის ან ასაკით უფრო პატარა პარტნიორს, ხოლო ქალები თავის ტოლს ან უფრო დიდს.

ამრიგად, სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- ახალი საუკუნის პირველივე წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში ქორწინების რიცხვითი თითქმის ორჯერ გაიზარდა, თუმცა ზრდა მუდმივად თანაბარი არ ყოფილა. გარკვეულ წლებში (2010 და 2013 წლებში) ზრდა უფრო მაღლი (სამჯერ) იყო. ქვეყნის მასშტაბით ქორწინების ყველაზე მაღლი მაჩვენებელი თბილისშია.

- ორივე სქესის წარმომადგენლებში გაზრდილია მათი წილი, ვინც არასდროს ყოფილა ქორწინებაში. იმ ქალების პროცენტული წილი რომლებიც არასდროს ყოფილან ქორწინებაში უფრო მაღალია საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის, ვიდრე სასოფლო დასახლებებში.
- ხელახალი ქორწინებების წილის ზრდა ძირითადად განქორწინებულებზე მოდის.
- გაზრდილია ქორწინების ასაკი, თუმცა ზრდა გასული საუკუნის ბოლოდან დაიწყო.
- არასრულწლოვანთა ქორწინებები საქართველოსთვის ზოგადად დამახასიათებელი არ არის, მაგრამ გამონაკლისს წარმოადგენს ის რაიონები სადაც მუსლიმები სახლობენ.
- ცვლილებები მოხდა ქალთა ქორწინებათა რაოდენობაში ასაკის მიხედვით, ქალების უმეტესობა ოჯახს ქმნიდა ახლაც ქმნის 20-24 წლის ასაკში. მაგრამ შეიცვალა რიგითობა. ადრე რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილს იკავებდა 16-19 წლის ასაკში ქორწინება, ახალ საუკუნეში კი მისი ადგილი ჩანაცვლა 25-29 წლის ასაკში ქორწინებებმა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჰაკერტი რ. (2017). მოსახლეობის დინამიკა საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა.
2. ჰაკერტი რ., სუმბაძე ნ. (2017). 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში.
3. [www.mics.unicef.org/surveys](http://www.mics.unicef.org/surveys)
4. [www.Geostat.ge](http://www.Geostat.ge)





### III თავი

#### *ვაჟა ლორთქიფანიძე*

#### **მიგრაციული პროცესები საქართველოში და ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა**

მრავალრიცხოვანი უძველესი ქართული და უცხოური ისტორიული, თუ ლიტერატურული წყაროებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების, ქართველური ტომების განსახლების არეალი ერთ-ერთი რეგიონია, სადაც ხდებოდა თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება. საქართველო ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც ხდებოდა მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბება და განსახლება, ასევე, დადასტურებულად არის მიჩნეული, რომ უძველესი ეპოქიდან დაწყებული, აქ მკვიდრობდა ადგილობრივი, ავტოქტონური მოსახლეობა და ადგილი ჰქონდა მათ უწყვეტ, ფიზიკურ და კულტურულ, აღმავალი ხაზით განვითარებას. აღნიშნულს, სათანადო წყაროებთან ერთად, ადასტურებს უამრავი არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის და ფოლკლორის მონაცემები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული და შემდგომშიც, ხალხთა დიდ გადაადგილებასა და ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზეც. ამასთან, უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ისიც, რომ მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოგრაფიული, ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების მთელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ აქტიურ მიგრაციულ პროცესებს,

საქართველოს ეთნიკურ შემადგენლობაზე, რამე გლობალური გავლენა არ მოუხდენია.

ნათქვამი, რა თქმა უნდა, არ ამცირებს ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის დიდ მნიშვნელობას. შეუძლებელია სათანადოდ არ შეფასდეს ეთნიკური შემადგენლობის დემოლოგიური ასპექტები: სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, ერისათვის დამახასიათებელი განსხვავებული დემოლოგიური ქცევა, განსხვავება შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების მაჩვენებლებში. ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვთ ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე რელიგიურ, პოლიტიკურ, ყოფითი ურთიერთობების ასპექტებსაც. ეთნიკურ შემადგენლობას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვისაც, რომელსაც მრავალეთნიკურობის რამდენიმე ათასწლოვანი ტრადიციები გააჩნია. განსხვავებულია საქართველოში მათი განვითარების დემოლოგიური პერიოდიზაციაც. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ეთნოსის მიმართ საქართველოში სხვადასხვა დამოკიდებულება ყალიბდებოდა. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში, უძველესი დროიდან მოყოლებული დაგროვდა სხვადასხვა ეთნოსთა, კონფესიათა მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობის უნიკალური გამოცდილება. რა თქმა უნდა, ისტორიულად, სხვადასხვა ეთნოსთა მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება ყალიბდებოდა, ზოგიერთებთან უფრო ტოლერანტული, ზოგიერთებთან კი უფრო რთული. სამწუხაროდ, საჭირო ხდებოდა ურთიერთობების ძალისმიერი მეთოდებით რეგულირებაც. უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ძირითადად რომელი ეთნოსები სახლობდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, საიდან გაჩდნენ ისინი აქ, რა მიზეზებით იცვლებოდა მათი რიცხოვნობა და

როგორ აისახებოდა ეს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაზე. აუცილებელია აღვნიშნოთ ისიც, რომ დღეს ეთნოსთა დიდი უმრავლესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მიგრაციული პროცესების შედეგად, უფრო ზუსტად კი, იმიგრაციული პროცესების შედეგად გაჩნდა. საუკუნეების განმავლობაში, როგორც ორგანიზებულად, ასევე არაორგანიზებულად ხდებოდა საქართველოში სხვადასხვა ეთნოსის ჩამოსახლება. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია შვეისწავლოთ და ვიცოდეთ ქვეყანაში მცხოვრები ეთნოსების დემოგრაფიული განვითარების გზა, მათი რიცხოვნობის დინამიკა. ამიტომ, შევეცდებით ზოგადად და მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნოსების გაჩენის, მათი დემოგრაფიული განვითარების ზოგიერთი სურათი. დავიწყოთ ებრაელებით.

### **ებრაელები საქართველოში**

ეთნიკურად არა ქართული მოსახლეობიდან, ყველაზე ადრე საქართველოში ებრაელები შემოსულან. ამ საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა პერიოდში ებრაელ მიგრანტთა რამდენიმე ტალღა შემოსულა. „ქართლის ცხოვრება“ და ლეონტი მროველი ებრაელთა პირველი ნაკადის შემოსვლას ძვ.წ.ა. VI საუკუნეში ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოთხოვდეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსაც ჰქვან ზანავი“. ლეონტი მროველი იმასაც აღნიშნავს, რომ ებრაელი იმიგრანტები ქართლში, მცხეთის მახლობლად ხერკში (საგურამოში) დასახლებულან. ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღება და იქედან

ებრაელთა გადასახლება კარგად არის გადმოცემული ძველ ალთქმაშიც.

ვახუშტი ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ ებრაელები საქართველოში უფრო ადრეც, ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. VIII საუკუნეშიც ჩამოსახლებულან. ებრაელ მიგრანტთა შემოსვლა საქართველოში შემდეგაც გაგრძელებულა. ქართლის მოქცევის ქრონიკების მიხედვით, ებრაელები მცხეთაში ძვ. წ.ა. 169 წელს მოსულან. „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ებრაელ მიგრანტთა შემდეგი ნაკადი ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში შემოსულა. „და მეფობდეს შემდგომად მისსა ძენი მისნი (ადერკის შვილები: ბარტამი და ქართამი) ხოლო ამათსა მეფობასა უესპანიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა“.

ებრაელთა დიდი კოლონიის არსებობას ადასტურებს ასევე, მცხეთაში აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფიები [აფაქიძე ა. 1963:240-244]. აღნიშნულია, რომ ქართლის დედაქალაქში „უბანი ჰურიათა“ არსებობდა. აქ მათ სინაგოგა („ბაგინი ჰურიათა“) ჰქონდათ.

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებში ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ და მათი განსახლების ადგილებსაც ჩამოგვითვლის. მე-19 საუკუნეში საქართველოში ქალდეველი ებრაელებიც სახლდებიან. წინამორბედების მსგავსად მათაც შეითვისეს ქართული ენა და ქართული ყოფა-ცხოვრება [აბულაძე ე. 1993:69]. იმავე საუკუნეში ებრაელები ასევე ჩამოდიან ირანიდან, თურქეთიდან და ერაყიდან. ამავე პერიოდში სახლდებიან ებრაელები ევროპიდან და რუსეთიდან. ევროპელი ებრაელები სპარსეთიდან და ერაყიდან შემოსულ ებრაელებთან შედარებით, ბევრად უფრო სწრაფად

მრავლდებოდნენ. ისინი ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ და ფლობდნენ ქართულ ენას.

1886 წლის საოჯახო სიებით, საქართველოში (თბილისის და ქუთაისის გუბერნიები) 14714 ებრაელი ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებით, მათი დედა ენა ქართული იყო.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოში 12,2 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, თბილისის გუბერნიაში – 5188, ქუთაისის გუბერნიაში – 7006. 1926 წ. საყოველთაო აღწერით საქართველოში 30,2 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ებრაელთა ყველაზე დიდი რაოდენობა 1970 წელს ჩატარებული აღწერით დადასტურდა – 55,4 ათასი. 1989 წ. აღწერის მონაცემებით საქართველოში – 24 ათასი, ხოლო 2014 წლის აღწერის მონაცემებით, მხოლოდ 3 ათასი ებრაელი დაფიქსირდა.

### **ბერძნები საქართველოში**

ბერძნები საქართველოში უკვე ძველი წელთაღრიცხვის VII-VIII საუკუნეებში ჩნდებიან. პირველად ისინი დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე ჩნდებიან და იწყებენ აღნიშნული ტერიტორიის ინტენსიურ კოლონიზაციას. ბერძნულ კოლონიზაციას, ბუნებრივია, თან სდევდა ბერძნული მოსახლეობის დამკვიდრებაც. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ბერძნები ქართლშიც ჩნდებიან. არქეოლოგიური გათხრები ბერძენთა მცირე ჯგუფების არსებობას მცხეთაშიც ვარაუდობენ [აფაქიძე ა. 1963:241]. ისინი ძირითადად ხელოსნობას მისდევენ. ბერძნული მოსახლეობის ეს ძველი ნაწილი უკვალოდ გაქრა. როგორც ჩანს, მათი ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა, ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი, უთუოდ ადგილობრივ მოსახლეობაში ასიმილირდა.

საქართველოში მოსახლე ბერძნების დიდი ნაწილი საქართველოში XVIII საუკუნის შუა ხანებშია

ჩამოსახლებული. ზოგიერთი ცნობით, სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების მიზნით, ერეკლე მეორეს ანატოლიელი ბერძნების 800 ოჯახი თურქეთის პროვინციიდან ჩამოუსახლება და ახტალისა და ალავერდის მიდამოებში დაუსახლება, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. იგივე პერიოდში ბერძნები ირანის აზერბაიჯანიდანაც ჩამოსულან. ამ უკანასკნელთა ბედი ტრაგიკულად წარმართულა და 1795 წელს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მათი დიდი ნაწილი დახოცილა, ხოლო დანარჩენი ნაწილი ტყვედ წაუსხიათ.

საქართველოში ბერძნების ჩამოსახლება და კომპაქტურად ჩასახლება XIX საუკუნის 20-30-იან წლებშიც განხორციელებულა, უკვე მეფის რუსეთის მიერ, კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელების მიზნით. 1828-1829 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერძნები თურქეთის ტერიტორიიდან წალკაში ჩამოსახლეს. ეს ჩამოსახლება რამდენიმე ეტაპად, ოთხ ჯგუფად განუხორციელებიათ. ქვემო ქართლში, ბერძნები ოდნავ უფრო ადრეც, 1806-1807 წლებში ჩამოსულან. ცნობილია, რომ 1813 წელს, თურქეთიდან 120 ოჯახი გადმოუსახლებიათ და სოფ. წინწყაროში (ახლანდელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) ჩაუსახლებიათ. 1830-იან წლებში ბერძენთა 100-მდე ოჯახი სამცხის შავწყლის ხეობის ნასოფლარებში დასახლებულა. მათ შემდეგ თავი სოფელ ციხისჯვარში მოუყრიათ. XIX საუკუნის 60-იან წლებში ბერძნები მასობრივად ჩამოსახლდნენ აფხაზეთსა და აჭარაში [ლომსაძე შ. 1975:337]. მონაცემები ბერძენი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ XIX საუკუნეში შეიძლება იხახოს ე.წ. კამერალური აღწერებისა და საოჯახო სიების მონაცემებში. მაგალითად, 1889 წელს საქართველოში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 28.774 ბერძენი ცხოვრობდა. 1897 წელს რუსეთის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, რუსეთის იმპერიაში

167 ათასი ბერძენი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში 41.600.

საბჭოთა კავშირში 1926 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვრობდა, ხოლო ბოლო, 1989 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებით – 100324 (რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 9% იყო). 2002 წელს დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული პირველი საყოველთაო აღწერით ბერძნების რაოდენობა 15166 იყო ( $\approx 0,3\%$ ). 2014 წელს საქართველოში ჩატარებული მეორე საყოველთაო აღწერით მხოლოდ 5500 ბერძენი ცხოვრობდა (დაახლოებით 0.15%).

### **სომხები საქართველოში**

სომხების მიმართ დამოკიდებულება საქართველოში ისტორიულად ყოველთვის უფრო მეგობრული, ლოიალური და ტოლერანტული იყო. როგორც ჩანს, ეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებითაც აიხსნებოდა: 1. სომხეთი ქართლის უშუალო მეზობელი იყო და ამდენად, საერთო მტერთან ერთობლივი ბრძოლის ტრადიციაც არსებობდა;

2. იყო ხანგრძლივი სამეურნეო-კულტურული ურთიერთობები და 3. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მმართველი ზედა ფენების მოყვრული კავშირები. კითხვაზე, თუ როდის ჩნდება პირველად სომხური მოსახლეობა საქართველოში, დაზუსტებულ და დამაჯერებელ პასუხს, არც ქართული და არც სომხური წყაროები არ იძლევიან. უკეთეს შემთხვევაში ისინი ფრაგმენტულია. ხშირად ისინი მოქცეულია გარკვეულ კონიუნქტურულ პოლიტიკურ და ემოციურ ჩარჩოებში.

ლეონტი მროველი ამტკიცებს, რომ სომხური მოსახლეობა საქართველოში ძვ.წ.ა. IV-III საუკუნეებამდე, ე.ი. ალექსანდრე მაკედონელის სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობამდე ყოფილა. თავიდან სომხური მოსახლეობა

ძირითადად საზღვრისპირა, სამხრეთის რაიონებში გამოჩენილა. რადგან არ ჩანს სომხეთიდან მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები, ივარაუდება, რომ აქ სომხური მოსახლეობის გაჩენის მიზეზი საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული პოლიტიკური საზღვრის გადაადგილება უნდა ყოფილიყო. ე.ი. საქართველოში სომხური მოსახლეობის პირველი ნაკადები ახლოვლად აღმოსავლეთში შექმნილი გარემოებები უნდა ყოფილიყო. არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ძვ.წ.ა. III-II საუკუნეების მიჯნაზე სელევკიდური სირიის მეფის, ანტიოქ III-ის სარდლებმა არტაქსემ და ზარადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და ისინი მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს და საქართველოში სომეხთა პირველი შემოსევაც ამას უნდა უკავშირდებოდეს. სომეხების საქართველოში გადმოსახლება იმითაც იყო გამოწვეული, რომ მტერთაგან ლტოლვილები, ისინი უშუალოდ მეზობელ ქვეყანას, საქართველოს შეაფარებდნენ ხოლმე თავს და ორ მოსაზღვრე ქვეყანას, საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების ხშირ ცვლას, ესეც ემატებოდა. ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ სომეხი ეროვნების მოსახლეობა ადრინდელი პერიოდანვე, ძირითადად, მხოლოდ სამხრეთ საზღვრისპირა მიდამოებში სახლდებოდნენ. მათი კომპაქტური დასახლებები საქართველოს სხვა რეგიონებში, მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებიდან ჩნდება. საქართველოში სომხური მოსახლეობის იმიგრაციული პროცესების არეალის გაფართოება უფრო საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების განვითარებას უკავშირდება. ქართლი და კერძოდ მცხეთა, წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად, მაშინვე იქცა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად. მიუხედავად ამისა, დაახლოებით ჩვ. წ.ა. VII საუკუნემდე მაინც, ქართლის ცენტრალურ რაიონებში სომხური



მოსახლეობის დასახლებები არ ჩანს. როგორც აღვნიშნეთ, ისინი მხოლოდ ქართლის სამხრეთ თემებში არიან. ამას ადასტურებს როგორც ისტორიული, ასევე ლიტერატურული წყაროებიც. მაგალითად, შუშანიკის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცნობები. შემდგომ საუკუნეებში საქართველოში სომხების შემოსვლას არაბთა შემოსევებმა შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უცნობია ცნობები იმის შესახებ, რომ XI-XII საუკუნემდე საქართველოში სომხების რამდენადმე მნიშვნელოვანი იმიგრაციული პროცესები ყოფილიყო. სურათი იცვლება მას შემდეგ, რაც დაახლოებით XI საუკუნის შუა ხანებიდან, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა სომხური სახელმწიფოებრიობის ნგრევა გამოიწვია. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში, სომხეთიდან მიგრირებული მოსახლეობა, მაინც უფრო ბიზანტიის მცირეაზიურ პროვინციებში სახლდება. პირველი რეალური და საყურადღებო ცნობა საქართველოს ტერიტორიაზე სომეხთა ჩამოსახლების შესახებ დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ღონისძიებებს უკავშირდება, რომლებიც მიმართული იყო საქართველოში და კერძოდ ქართლში, ეკონომიკური და საქალაქო ცხოვრების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისაკენ. ამ მიზნებით დავით აღმაშენებლმა სომეხთა ნაწილი გორში დაასახლა. 1222 წელს, თბილისის აღების შემდეგ, მას სომეხთა საგრძნობი ნაწილი ანისდანაც თბილისში გადმოუსახლება. ასევე ვარაუდობენ, რომ სომეხ მიგრანტთა ერთი ნაწილი თბილისში განმიდანაც ჩამოუსახლება.

დაახლოებით იმავე პერიოდში სომხეთის ჩრდილოეთის ნაწილი საქართველოს სამეფოში შევიდა. ამ დროიდან ვიდრე XIX საუკუნემდე სომხეთის უდიდესი ნაწილი ზოგჯერ მთლიანად, ზოგჯერ კი ნაწილობრივ, საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. რა

თქმა უნდა, ეს ფაქტი საქართველოში სომეხთა მიგრაციული პროცესების გაძლიერებას უწყობდა ხელს, რადგან მათ გადაადგილებას ჩვენს ქვეყანაში შიდა მიგრაციის სახე ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიგრაციული პროცესები ვითარდებოდა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც. სომეხი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შესამჩნევად გაიზარდა XV საუკუნეშიც, მას შემდეგ, რაც თურქმანებმა სომხეთი საბოლოოდ მოგლიჯეს საქართველოს. მაგალითად, თომა მეწოფეცის ცნობით, XV საუკუნის 30-იან წლებში სივნიეთიდან 6000 ოჯახი გადმოსახლებულა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1779 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე მეორემ რვა სოფლის მოსახლეობა აყარა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ჩაასახლა. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში საქართველოში სომეხი მოსახლეობის ზუსტ რაოდენობაზე საუბარი შეუძლებელია, მაგრამ ცალკეული ცნობების მიხედვით, ვფიქრობთ, ზოგადი, მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა მაინც შესაძლებელია. მაგალითად, ერეკლე II-ის მიერ რუსეთის რეზიდენტისათვის გაცემულ დემოგრაფიული ხასიათის ცნობაში აღნიშნულია, რომ ქართლში სახლობდა სულ 500 კომლი სომეხი, კახეთში კი – 450. ამ დროისათვის ქართველი კომლი ქართლში 4000, კახეთში – 7000 იყო. ე.ი. ამ დროისათვის ქართლში სომხები ქართველების დაახლოებით 1/8 ნაწილს, ე.ი. 12,5%-ს შეადგენდნენ, ხოლო კახეთში – დაახლოებით 1/16 ნაწილს ე.ი. 6,5%-ს.

საქართველოში სომეხთა ჩამოსახლების ახალი ტალღა XIX საუკუნიდან იწყება. ეს უკვე რუსეთის იმპერიის კარგად ორგანიზებული და შორს გამიზნული კოლონიზატორული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. უკვე

1804 წელს, თბილისში 2 ათასზე მეტი სომეხი გადმოსახლეს.

განსაკუთრებით დიდი როდენობით სომხებს საქართველოში 1829-1831 წლებში რუსეთ-თურქეთის ომისა და ადრიანოპოლის ხელშეკრულების დადების შემდეგ ასახლებენ. მათი განსახლება ძირითადად სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში მოხდა. იქედან კი, ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობა აჰყარეს და სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს. ქართველთაგან ახლად იძულებით დატოვებულ სოფლებს სახელწოდებებიც კი არ შეუცვალეს და ქართული ტოპონიმის იქ დღესაც შემორჩენილია. ეს რა თქმა უნდა, განგებ, შორს მიმავალი მიზნებიდან გამომდინარე გაკეთდა: სამომავლოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო აზრი, რომ თითქოს, ქართული სახელწოდებების, ადრე ქართული მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში ოდითგანვე, ისტორიულად, სომეხი მოსახლეობა ცხოვრობდა.

სომხების გადმოსახლება მთელი XIX-XX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით, თუ 1800 წელს საქართველოში 47 ათასი სომეხი ცხოვრობდა, უკვე 1832 წლისათვის მათმა რაოდენობამ 84 ათასს მიაღწია. ამ წლებში ქართველებისა და სომხების რაოდენობის ზრდამ, შესაბამისად, 9% და 79% შეადგინა. მხოლოდ 1897-1902 წლებში საქართველოში სომეხი ეროვნების 55 ათასი ლტოლვილი ადამიანი ჩამოსახლეს. ასევე დიდი როდენობით ჩამოსახლდნენ სომხები 1914-1918 წლებსა და XX საუკუნის 30-იან წლებშიც. მხოლოდ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სომხების რაოდენობა 108 ათასით გაიზარდა.

1989 წელს სულ საქართველოში 437 ათასი (≈8%) სომეხი ცხოვრობდა, 2002 წელს – 248 429 ათასი (≈ 5,7%), ხოლო 2014 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში

168,1 ათასი სომეხი ცხოვრობდა. ე.ი. დაახლოებით მთელი მოსახლეობის 4.5%.

### აზერბაიჯანელები საქართველოში

აზერბაიჯანელების უმველესი სახელწოდება, რომელიც მეცნიერებაშია ცნობილი არის ატროპანტენა. ეს ბერძნული წყაროებით არის ცნობილი. ცნობილია ისიც, რომ მან სპარსელებთან მან მიიღო ფორმა „ადერ-ბაიდაგან“, სომხებთან – „ატერ-პატაკან“ და „ატრ-პატაკან“, არაბებთან – ადერბაიჯან“ და „აზერბაიჯან“. ეს ორი უკანასკნელი ნიშნავს „ცეცხლის ქვეყანას“. სავარაუდოდ, ეს სახელწოდება ცეცხლთაყვანისმცემლობის ფართოდ გავრცელებას უნდა უკავშირდებოდეს. ქართულ წყაროებში ეს ქვეყანა „ადარ-ბადაგანად“ მოიხსენიება.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანელების წინაპარი მომთაბარე ტომების შემოსვლა საქართველოში XV საუკუნიდან დაიწყო. ის ირანელი და თურქი დამპყრობლების მიერ სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით ხორციელდებოდა. მათი ჩამოსახლება ძირითადად დაკავშირებულია მაჰმადიანური სახელმწიფოების აგრესიასთან და მომთაბარე ტომების მუდმივ შემოსევებთან. ამ შემოსევების შედეგად, აოხრებული, დაწიოკებული მიწები ადგილობრივი ქართული მოსახლეობისაგან იცლებოდა და მათ მაგივრად მომთაბარე მეჯოგე ტომები – ელები სახლდებოდნენ. ყველაზე მეტად ქვემო ქართლი დაზიანდა. სწორედ ამ ტერიტორიაზე ასახლებდნენ უმთავრესად თურქმენული წარმოშობის ტომებს ირანელი და თურქი დამპყრობლები. მაგალითად, 1478 წელს, ირანის შაჰმა ქართლში თათრის ელები დატოვა. ჩამოსახლების ეს პროცესი სხვადასხვა შაჰების მიერ, საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. შაჰ-აბას I-მა ქვემო ქართლის დებედის ხეობის ქართველი მაცხოვრებლები პირდაპირ აყარა, სპარსეთში გადაასახლა, ტერიტორია საქართველოს

ჩამოაჭრა და იქ მთლიანად ბორჩალურ-თურქმენული ტომები ჩაასახლა. ვახუშტი ბატონიშვილი განმარტავს, რომ „ბორჩალუ“ სწორედ ამის შედეგად ეწოდა. არის ერთი ასეთი საინტერესო ცნობაც. XII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბას I-მა ქართლის მეფეს გიორგის „საჩუქარი“ მოსთხოვა. ეს საჩუქარი, „ნაჩუქარ“ მიწაზე ლორეს სახანოს შექმნა აღმოჩნდა და იქ სწორედ ბორჩალუს მუსლიმი ტომები ჩაასახლეს. XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში ჰასანდლუს ტომის ერთი ნაწილიც ჩამოსახლდა. ისინი ძირითადად კახეთსა და ქვემო ქართლში, კერძოდ, დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განასახლეს. ერთერთმა, ნასიბუს ტომმა დმანისის ხეობაშიც შეაღწია. მოგვიანებით ეს ტომები ქართლის შიგნით გადაადგილდნენ. დმანისის გარდა, მიაღწიეს ალგეთის ხეობას, შულავერის ხეობას, ფოლადაურის ხეობას და იქ სოფლები შექმნეს. აღნიშნული გარემოებები აქტიურად გამოიყენა რუსეთის იმპერიამ თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის განსახორციელებლად. რუსეთმა ჯერ ბორჩალოს დისტანცია შექმნა და ის თბილისის მაზრაში შეიყვანა, ხოლო მოგვიანებით, 1880 წელს თბილისის გუბერნიაში უკვე ბორჩალოს მაზრა შექმნა. მაზრის ცენტრად დიდი შულავერი გამოაცხადეს და ის მოიცავდა წალკას, თეთრიწყაროს, დმანისს, ბოლნისს, მარნეულსა და აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებსაც.

თვით ცნება „აზერბაიჯანი“ თანამედროვე საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ დამკვიდრდა.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატება ძალიან მაღალია. მათი რაოდენობა ბოლო

50-60 წელიწადში პრაქტიკულად გაორმაგდა. 2002 წლის საყოველთაო აღწერით საქართველოში აზერბაიჯანელების რაოდენობა 224,6 ათასი, ე.ი. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 6,5% იყო.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 233 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, ე.ი. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 6,3%. ამ აღწერების მონაცემებით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების დაახლოებით 75%-80% ქვემო ქართლში ცხოვრობდა.

### **რუსები საქართველოში**

რუსების პირველი მეტ-ნაკლებად საგრძნობი ნაკადები საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოდან და XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდებიან. ეს უთუოდ, რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში საქართველოს შესვლასა და აქ აქტიური კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელების დაწყებას უკავშირდება. აღნიშნული პერიოდიდან იქმნება სპეციალური სამხედრო დასახლებები. დიდი რაოდენობით ჩამოდიან რუსი მოხელეებიც. მაგალითად, მარტო 1825 წელს 300 რუსი (სკოპეცი) დაასახლეს სოფ. მარანსა და სოფ. კოდორში. თავიდან მათ რიონზე ნაოსნობის განსავითარებლად ასაქმებდნენ. იგივე პერიოდში იქმნება პრაქტიკულად რუსული სამოქალაქო დაწესებულებები, სამოქალაქო მმართველობები, სადაც საქმიანობას ძირითადად რუსი მოხელეები რუსულ ენაზე წარმართავდნენ. ტრადიციული ქართული ჩვეულებითი მმართველობა ახალი რუსული წესებითა და კანონებით წარმართული რუსული მმართველობით შეიცვალა. ბუნებრივია, რომ ამ მიზნით რუსეთიდან მრავლად ჩამოვიდნენ რუსი ეროვნების მოხელეები. რუსულ ჯარში სამსახურის შემდეგ, საქართველოში სულ უფრო დიდი რაოდენობით იწყეს დარჩენა რუსმა სამხედროებმაც, როგორც ოფიცრებმა, ასევე ჯარისკაცებმაც. 1830 წლის

კანონით რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში და ყველაზე მეტი რაოდენობით საქართველოში გადმოსახლეს ე.წ. „ერეტიკოს-რასკოლნიკები“. მათი ჩასახლება მოხდა რედუტ-კალესა (ყულევი) და სოხუმ-კალეში. 1836 წელს ჯერ ჩამოსახლეს ე.წ. „მალაკნები“, ხოლო შემდეგ, 1841-1843 წლებში ყირიმიდან გადმოსახლეს ე.წ. „დუხოზორები“. ისინი დღევანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიასა და თბილისის გარშემო სხვა ადგილებშიც დაასახლეს. მათი გამოყენება, ისევე, როგორც სამხრეთ საქართველოში ჩასახლებული რუსებისა, მესაქონლეობის განვითარებისა და კერძოდ, ყველის წარმოების განვითარებისათვის დაიწყო. უკვე 1855 წელს, საქართველოში რუს იმიგრანტთაგან 21 რუსული სოფელი შეიქმნა, სადაც 119 რუსი ოჯახი ცხოვრობდა. მათი რაოდენობა 1863 წელს უკვე 12659 ხდება.

რუსების ჩამოსახლება მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის განმავლობაშიც პრაქტიკულად უწყვეტად ხორციელდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ძირითადად ქვეყნის კოლონიზაციის მიზნით ხდებოდა (თუმცა, გადმოსახლების მიზნები, როგორც წესი, სხვადასხვა მოტივებით ინიღბებოდა). ყველაზე დიდი რაოდენობით რუსების ჩამოსახლება 1930-იან წლებში განხორციელდა. ამ წლებში საქართველოში თითქმის 200 ათასი ადამიანი ჩამოსახლეს. 1980-იან წლებში კი, მხოლოდ ტყვარჩელში 1616 ადამიანი ჩამოსახლეს.

1897 წლის საყოველთაო აღწერით, საქართველოში უკვე 98365 რუსი ცხოვრობდა. 1939 წლის აღწერის მონაცემებით, უკვე 308 ათასი, 1979 წლის აღწერის მონაცემებით – 372 ათასი, 1989 წლის აღწერის მონაცემებით, მათი რაოდენობა 31 ათასით შემცირდა და 341 ათასი გახდა. 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, რუსების რაოდენობა საქართველოში 67671 (დაახლოებით 1,5%)

გახდა, ხოლო 2014 წლის აღწერის მონაცემებით, 26500 რუსი ცხოვრობდა (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 0,7%).

### **ქისტები საქართველოში**

ქისტებსა და ვაინახებს საქართველოში ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებად ხმარობდნენ. უძველეს ქართულ წყაროებში ისინი ძურძუკებად ან დურძუკებად იწოდებოდნენ. ვაინახები საქართველოში პირველად ძვ.წ.ა. III საუკუნეში შემოსულან. მეფე საურმაგმა, ფარნავაზის ძემ, დურძუკები აღმოსავლეთ მთიანეთში გადმოსახლა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, საურმაგმა დურძუკთა დიდი რაოდენობა „დახსნა მთიელეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელი არს სუანეთი“. საქართველოში ვაინახების გადმოსახლება XIII საუკუნეშიც განახლებულა, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის შუა ხანებში ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურ ხასიათს იღებს. ისინი ჯერ თიანეთის მაზრის სოფ. ხორბალოში, ხოლო უფრო მოგვიანებით, 1826 წელს, პანკისის ხეობაში, სოფ. დუისში დაუსახლებიათ. რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით, თბილისის გუბერნიაში 2497 ქისტი ცხოვრობდა. 1897 წლის საყოველთაო აღწერით, კავკასიაში 413 ათასი ქისტი ცხოვრობდა და აქედან 371 ათასი (89,8%) – საქართველოში. სხვა მონაცემებით, მათი რეალური რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. 2002 წ. აღწერის მიხედვით, მხოლოდ სამ დიდ სოფელში – დუისში, ომალოსა და ჯოყოლოში 6552 ქისტი ცხოვრობდა.

### **ოსები საქართველოში**

ისტორიულად ყოფილი ე.წ. „სამხრეთი ოსეთის“ ტერიტორია ყოველთვის ქართული ტერიტორია იყო და არის. ის ჩრდილოეთ ქართლის მთიანეთს წარმოადგენს და



ისტორიულად იქ ყოველთვის მხოლოდ ქართველები სახლობდნენ. მეცნიერთათვის სადავო არ არის, რომ კავკასიის ქედის სამხრეთი ტერიტორია უხსოვარი დროიდან ეკუთვნოდა და ეკუთვნის საქართველოს. ქართველებსა და ოსებს – ისტორიულად ორ განსხვავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს – სრულიად ბუნებრივი წყალგამყოფი, კავკასიონის ქედი ჰყოფს, ისევე, როგორც კავკასიონის ქედი ყოფს მისგან სამხრეთით და ჩრდილოეთით მაცხოვრებელ ყველა სხვა დანარჩენ სახელმწიფოსა და ხალხს. სხვადასხვა დროს შედგენილი, როგორც ქართული, ასევე უცხოური რუქების მიხედვით, ოსეთი მხოლოდ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით არის აღნიშნული. ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ ყოველთვის გამოყენებული იყო და არის, როგორც კოლონიზაციისა და ოკუპაციის ინსტრუმენტი.

ისტორიისათვის კარგად არის ცნობილი, თუ როდიდან იწყება ოსების პირველი შემოსვლა საქართველოში. ის მონღოლთა და თემურ-ლენგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ველებზე ოსების დარბევასა და განადგურებას უკავშირდება. ამ შემოსევების შედეგად, ოსები იძულებულნი იყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები მიეტოვებინათ და თავი ცენტრალური კავკასიონის ხეობებისათვის შეეფარებინათ.

ეს მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობით, დროებითი და არა კომპაქტური შემოსვლები იყო. ამას ნათლად ადასტურებს ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები, ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, ხუროთმოძღვრული ძეგლები, ტოპონიმები, ეპიგრაფიკა. ოსების ჩამოსახლება ხეობათა სათავეებიდან უფრო ქვევით, ქართლის შიდა დაბლობებში და ისიც მცირე რაოდენობით, XVII საუკუნიდან იწყება. უფრო დიდი რაოდენობით საქართველოში ოსების ჩამოსახლება მათი ისტორიული სამშობლოდან, ე.ი. კავკასიის ჩრდილოეთი ქედიდან მათი

გადმოსვლა, მაინც 1860-იანი წლებიდან იწყება. 1833 წლის მონაცემებით, მთელ რუსეთში 35750 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში – 14 ათასი. ცნობილი ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით, ე.წ. „ჩრდილოეთ ოსეთში“ მცხოვრები ოსების რაოდენობა 46802 იყო, ხოლო საქართველოში, კერძოდ ქართლის მთიანეთში 19324 ოსი ცხოვრობდა. კავკასიის სტატისტიკური კომისიის მონაცემებით კი, ჩრდილოეთ ოსეთში 58926 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში კი – უკვე 51 988. ასე რომ, 20 წლის განმავლობაში ოსების რაოდენობა ე.წ. „ჩრდილოეთ ოსეთში“ 12 ათასით, ანუ 1,2-ჯერ, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ გაიზარდა. რა თქმა უნდა, საქართველოში ოსთა ასეთი მატება, მხოლოდ მექანიკური ზრდის, ანუ მიგრაციული პროცესის შედეგი შეიძლება ყოფილიყო.

ამ პერიოდიდან ოსები უკვე ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან. ეს პროცესი გრძელდებოდა მთელი XX საუკუნის განმავლობაშიც. თუ 1926 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 113 ათასი ოსი ცხოვრობდა, 1989 წელს მათი რაოდენობა უკვე 164 ათასი გახდა.

2002 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 82 ათასი ოსი ცხოვრობდა, 2014 წლის აღწერის მონაცემებით კი, საქართველოში მთლიანად 15 ათასამდე ოსი ცხოვრობდა (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.4%).

იმიგრაციული პროცესები განსაკუთრებით ქალაქ ცხინვალს შეეხო, რომელშიც ოსებს XX საუკუნის 20-იან წლებამდე არასოდეს უცხოვრიათ. ამას ადასტურებს XIX საუკუნის განმავლობაში რუსი მოხელეების (ხაზს ვუსვამთ, რომ რუსი მოხელეების და არა ქართველების) მიერ ჩატარებული აღწერების მონაცემები. ოსები ცხინვალში ცხოვრობას მხოლოდ 1922 წლიდან იწყებენ. უკვე 1926 წელს,

ე.ი. მხოლოდ 4 წელიწადში მათი რაოდენობა უკვე 1152-მდე ადის. 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით კი, ცხინვალში უკვე 31537 ოსია დაფიქსირებული. რა თქმა უნდა, ასეთი მატება ბუნებრივი გზით სრულიად შეუძლებელია და ის მხოლოდ იმიგრაციული პროცესებით იყო გამოწვეული.

### **ქურთები საქართველოში**

ქურთების მომთაბარე ტომები პირველად საქართველოში, კონკრეტულად – მესხეთში მე-17 საუკუნეში გამოჩნდნენ. საოჯახო სიების მიხედვით, 1866 წელს საქართველოში 2762 ქურთი ცხოვრობდა. თანამედროვე ქურთების ძირითადი მასა 1918-1920 წლებში გადმოსახლდა ყარსიდან. მათი რაოდენობა საქართველოში 1926 წელს 12479 (ეზიდებთან ერთად), 1989 წელს 33331 (დაახლოებით 0,6%) იყო, ხოლო 2014 წლის აღწერით საქართველოში 12200 ქურთი და ეზიდი ცხოვრობდა (0,3%).

### **გერმანელთა იმიგრაცია საქართველოში**

პირველად გერმანელები საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ. 1817 წლის სექტემბერში, სართიჭალაში ვიურტემბერგელთა პირველი ჯგუფი, 181 ადამიანი (31 ოჯახი) დასახლდა. 1817-1818 წლებში საქართველოში სულ გერმანელების 494 ოჯახი – 2023 ადამიანი ჩამოვიდა. ისინი განსახლდნენ თბილისში (სოფ. კუკია, დიდუბე), სართიჭალაში და ქვემო ქართლში – ასურეთსა და ბოლნისში). 1865 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა უკვე 6114 იყო. 1897 წელს მათი რაოდენობა 9405 იყო. 1939 წლის აღწერის მონაცემებით გერმანელთა რაოდენობა საქართველოში – 20500 გახდა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით გერმანელთა რაოდენობა საქართველოში 650-მდე შემცირდა.

## უკრაინელები საქართველოში

პირველად უკრაინელები საქართველოში მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩნდებიან. 1897 წელს მათი რაოდენობა 10451 იყო. 1926-1939 წლებში საქართველოში 30 ათასი უკრაინელი ჩამოვიდა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოში მხოლოდ 7 ათასი (0.2%) უკრაინელი ცხოვრობდა.

საქართველოში უძველესი დროიდან მიმდინარე იმიგრაციული პროცესებისა და მათი შედეგების განხილვის შემდეგ, კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ მათი დემოგრაფიული შედეგებით, განსაკუთრებით რუსეთის მიერ გამიზნული, შორს მიმავალი კოლონიზატორული პოლიტიკით განსაზღვრული, ხელოვნურად იძულებით განხორციელებული იმიგრაციული პროცესები გამოირჩეოდა. კავკასიაში მთლიანად და განსაკუთრებით საქართველოში მათთვის სასურველი იმპერიული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას რუსეთი პირველ რიგში ეთნიკური აღრევისა და სიჭრელის შექმნით შეეცადა და სამწუხაროდ, ასევე ცდილობს დღესაც. თუ ისტორიულად, საქართველოში შემოსევები, დარბევები და იმიგრაციული პროცესები აგრესორების მიერ, მაინც შედარებით სპონტანურად, წინასწარი ანალიზისა და კვლევის გარეშე ტარდებოდა, რუსეთის შემთხვევაში, კოლონიზატორულ პოლიტიკას, მიგრანტულ პროცესებს, როგორც წესი, გეოგრაფიული, გეოლოგიური, ბიოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური და დემოგრაფიული კვლევები ედებოდა საფუძვლად. მეფის რუსეთის იმპერია არც მალავდა ყოველივე ამას და ამიტომაც, სრულიად ღიად და ოფიციალურად იხმარებოდა ტერმინი – „კოლონიზატორული პოლიტიკა“. აღნიშნული პოლიტიკის გასატარებლად, რუსეთის იმპერია აქტიურად იყენებდა როგორც სამხედრო-სადაამსჯელო ზომებს, ასევე რელიგიურ

(საეკლესიო-სამონასტრო კოლონიზაცია), ეკონომიკურ და სოციო-კულტურულ ფაქტორებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გუგუშვილი პ. (1949). საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება. ტ. I. თბილისი.
2. ზაქარაია პ. (1996) შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის. თბილისი.
3. თეთვაძე შ., თეთვაძე ო. (1998). სომხები საქართველოში. თბილისი.
4. თოთაძე ა. (2006). ოსები საქართველოში. თბილისი.
5. თოფჩიშვილი რ. (2007). კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბილისი.
6. კოპალიანი ე. (1962). ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან. თბილისი.
7. კოპალიანი ე. (2014). ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია. თბილისი.
8. ლორთქიფანიძე ვ. (1998). ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბილისი.
9. ლორთქიფანიძე ვ. (2014). საქართველოს დემოგრაფიული განვითარება. ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა, პერსპექტივები. თბილისი.
10. Lordkipanidze V., Totadze A. (2009). The population of the Caucasus. New York.
11. ლორთქიფანიძე ვ. (2018). დემოლოგია. თბილისი.
12. ლორთქიფანიძე ვ. (2019). საქართველოში აფხაზეთისა და ოსების დემოგრაფიული განვითარების საკითხები. თბილისი.
13. ლორთქიფანიძე ვ. (2018). იმიგრაციები საქართველოში. საქართველო, ენციკლოპედია, ტ. IV.
14. ლორთქიფანიძე ო. (1976). ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
15. ქართლის ცხოვრება. (1955). თბილისი.



## გოგითა თოდრაძე, შორენა წიკლაური

### ახალი გამოწვევები და სიახლეები მიგრაციის სტატისტიკაში

**აბსტრაქტი.** მოსახლეობის მიგრაციის შესახებ მონაცემები ძირითადად გროვდება ადმინისტრაციული წყაროებით და მოსახლეობის აღწერებიდან, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი შეზღუდვები და უპირატესობები. თანამედროვე მსოფლიოში, ძირითად გამოწვევას წარმოადგენს მიგრაციის სხვადასხვა ფორმების შესწავლა რეალურ დროში. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა ახალ შესაძლებლობას მოსახლეობის მობილობის შესასწავლად. საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დგას საჭიროების წინაშე აწარმოოს უფრო დეტალური და დროული ინფორმაცია მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. ნაშრომის მიზანია, შეაფასოს მიგრაციის ტრადიციული და არატრადიციული წყაროები. ამასთან, გაანალიზოს მობილური ტელეფონის მონაცემები, როგორც ახალი გამოწვევა საქართველოში მიგრაციის სტატისტიკის საწარმოებლად.

**შესავალი.** მოსახლეობის მობილობა მსოფლიოსათვის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რადგან ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, მის განსახლებასა და განთავსებაზე. მოსახლეობის მიგრაცია მრავალი ფაქტორით არის გამოწვეული, თუმცა ძირითად ფაქტორად მკვლევარები მაინც ეკონომიკურ მიზეზებს მიიჩნევენ. Adam Smith-ის თეორიის თანახმად, მიგრანტთა სამშობლოში ეკონომიკური პროგრესის მოსახდენად, აუცილებელია ადგილი ჰქონდეს შრომის თავისუფალ ცირკულაციას.

მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია მობილობის ძირითად მიზეზად განიხილავს პიროვნების გადაწყვეტილებას შემოსავლების გაზრდის მიზნით გადაადგილების შესახებ. გარკვეულმა შეზღუდვებმა, რომელიც ახლავს ნეოკლასიკურ თეორიას, წარმოშვა ე.წ. „მიგრაციის ახალი ეკონომიკური“ თეორია, რომელიც მიგრაციის მიზეზად მიიჩნევს განსხვავებულ შრომით „ბაზარს“ ქვეყნებს შორის. შინამეურნეობებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გაზარდონ ოჯახის შემოსავალი და შრომითი ბაზრის გადანაწილებით შეამცირონ ოჯახის შემოსავლის რისკები. ორმაგი შრომითი ბაზრის თეორიის თანახმად, გარე მიგრაცია გამოწვეულია უცხოური მუშა ხელის მოთხოვნით განვითარებულ ქვეყნებში [Piore, 1979]; [Massey, et al., 1993]. ეკონომიკური მიზეზების გარდა მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორებიც, სადაც მიგრაცია განიხილება მაკრო დონეზე, როდესაც მიგრაციაში ჩართულია მთლიანი ოჯახი, ანუ ოჯახის ერთი წევრი მიდის, ფუძნდება და შემდეგ სხვა წევრებიც მიჰყავს. „ადამიანური რესურსების მოდელი“ არ არის დამოკიდებული გენდერზე, გადაწყვეტილება მობილობის შესახებ თუ რომელი მეუღლე „მოიგებს“ და რომელი მეუღლე „წააგებს“ დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე თუ რომელ მათგანს შეუძლია ოჯახის მთლიანი ბიუჯეტის ფორმირება. ამ მოდელის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მეუღლეს რომელსაც აქვს უფრო მაღალი შემოსავალი გავლენას ახდენს მიგრაციის გადაწყვეტილების მიღებაზე [Duncan & Perrucci, 1976]; [Thomas, 2008]. სხვა ფაქტორებს შორის აღსანიშნავია, პოლიტიკური სიტუაციები ან გარემოსდაცვითი საფრთხეები, რომლებიც ასევე შეიძლება გახდეს მოსახლეობის გადაადგილების მნიშვნელოვანი მიზეზი.

დემოგრაფიული თვალსაზრისით მიგრაცია რთულად საპროგნოზოა. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტის



განმარტება არ არის ჰარმონიზებული და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თვითონ მიგრაცია ანუ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა შედარებით მარტივი განსასაზღვრია. თანამედროვე მსოფლიოში გამოწვევას წარმოადგენს მონაცემების შეგროვება, რადგან მოსახლეობის მობილობა არ არის დისკრეტული პროცესი და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სწრაფი ტემპებით ვითარდება.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა, მიგრაციაში ყოფნის დროს, მჭიდრო კავშირი იყოს შენარჩუნებული ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) დაფუძნებული კომუნიკაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებაში. ამის გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა ახალ შესაძლებლობას მოსახლეობის მობილობის შესასწავლად. ამდენად, ICT-ის დანერგვა საშუალებას მისცემს მკვლევარებს და სტატისტიკური მონაცემების მწარმოებლებს შეისწავლონ მოსახლეობის მობილობის ფორმები რეალურ დროსა და სივრცეში.

მოსახლეობის მიგრაციის შესახებ მონაცემები ძირითადად გროვდება ადმინისტრაციული წყაროებით და მოსახლეობის აღწერებიდან, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი შეზღუდვები. საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დგას გამოწვევის და საჭიროების წინაშე აწარმოოს უფრო დეტალური და დროული ინფორმაცია მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციის შესახებ. აქედან გამომდინარე, მობილური ტელეფონის მონაცემები, როგორც ერთ-ერთი დიდი მონაცემთა წყარო, შესაძლებელია გამოყენებული იყოს მიგრაციის სტატისტიკის საწარმოებლად.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს მობილური ტელეფონის მონაცემები, როგორც ახალი გამოწვევა საქართველოში მიგრაციის სტატისტიკის საწარმოებლად. განხილული იქნება მიგრაციის ტრადიციული და არატრადიციული წყაროები.

### **ძირითადი მიგნებები**

#### ***ტრადიციული მონაცემთა წყაროები და ახალი მიდგომები***

თანამედროვე საზოგადოებაში მოსახლეობის მობილობა მნიშვნელოვნად გაზრდილია. დამკვიდრებულია „მომთაბარე ცხოვრების წესი“, ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც პიროვნება მუდმივად იცვლის ან აქვს ერთზე მეტი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი [Van Der Klis & Karsten, 2009]. სატრანსპორტო სისტემების განვითარებამ, მოსახლეობას მისცა შესაძლებლობა რეგულარულად იმოგზაუროს გარკვეული მანძილი სახლსა და სამუშაო ადგილს შორის [Sandow & Westin, 2010], მაშინაც კი როდესაც სამუშაო ადგილი მდებარეობს სხვა დასახლებაში ან სხვა ქვეყანაში. მობილობის ამ ფორმის და ეფექტის უკეთ შესასწავლად, საჭიროა სტატისტიკური მონაცემები. მოსახლეობის აღწერები და ადმინისტრაციული მონაცემები განიხილება მოსახლეობის მიგრაციის შესახებ გრძელვადიანი პროცესების შესასწავლად. მოკლევადიანი და ყოველდღიური მობილობის შესასწავლად საჭიროა უფრო მოქნილი მეთოდები, რომლებიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებზე, როგორც არის მობილური ოპერატორის მონაცემები.

მიგრაციის სტატისტიკაში, მობილური პოზიციონირების მონაცემების გამოყენებით შესაძლებელია ახალი ინდიკატორების წარმოება და მონაცემების გავრცელება რეალურ დროში. ასევე მიჩნეულია, რომ ისინი გამოირჩევიან მაღალი სიზუსტით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მობილური ოპერატორების მონაცემთა

ბაზები არ მოიცავს მთლიან მოსახლეობას, შესაბამისად შეუძლებელია მოსახლეობის მობილობის ყველა ფორმის შესწავლა. შემდეგ პრობლემას ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით წარმოადგენს მობილური ოპერატორის სრულ მონაცემებზე წვდომა მისი კონფიდენციალობიდან გამომდინარე.

შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიები ვერ შეძლებენ მონაცემების შეგროვების ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლებას, არამედ ისინი წარმოადგენენ დამატებით წყაროს მონაცემების ხარისხის გაზრდის კუთხით და ახალი ინდიკატორების საწარმოებლად.

### **მეთოდოლოგიური ასპექტები**

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსახლეობის მობილობის დაკვირვებას სჭირდება ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები, რადგან მოსახლეობის მიგრაციის „კლასიკური“ განმარტებები [UN, 1998] რელევანტურია მხოლოდ ტრადიციული მონაცემთა წყაროებისთვის და მობილური პოზიციონირების მონაცემების გამოყენებისას ბევრ შეუსაბამობას იწვევს. ამდენად, მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ მეთოდოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის მიგრაციის შესწავლა მობილური ოპერატორის მონაცემების გამოყენებით.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანები გადაადგილდებიან ინტენსიურად სხვადასხვა დასახლებაში სამსახურსა და სახლს შორის, ამასთან მათ შეიძლება ჰქონდეთ რამოდენიმე საცხოვრებელი ადგილი. მობილური ოპერატორის მონაცემების გამოყენებით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსასაზღვრად, საკმარისი აღარ არის მხოლოდ დროითი კრიტერიუმი, აქ მნიშვნელოვანია განისაზღვროს „დღის/ღამის მოსახლეობა“, რათა შესაძლებელი გახდეს „სახლის“ ანუ მუდმივი

საცხოვრებელი ადგილის იდენტიფიცირება. მეორე ფაქტორი არის მოგზაურობის დაწყების და დამთავრების დრო, რადგან ხშირ შემთხვევაში სამუშაო კვირის დღეებში დღის განმავლობაში ადამიანების გადაადგილება უკავშირდება სამუშაოს, ხოლო უქმეებში, ძირითადად სტუმრობენ მეორე სახლს ან გადაადგილდებიან ტურისტული მიზნებისთვის.

მუდმივად მცხოვრების ცნება ხშირად ასოცირდება 50%+1 პრინციპთან. თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა არ ხდება მხოლოდ კომუნიკაციების სიხშირეზე დაყრდნობით, არამედ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრება ის ადგილი, საიდანაც მობილურ აქტივობებს (შემომავალი/გამავალი ზარები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ინტრენტან დაკავშირება) ახორციელებს ღამის საათებში (19:00-დან 06:59-მდე) და შაბათ-კვირას.

შიდა მიგრანტად ჩაითვლება პირი, რომელიც იცვლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს (მუნიციპალიტეტი, რეგიონი). მობილური ოპერატორის მონაცემებზე დაყრდნობით, შიდა მიგრანტად ჩაითვლება პირი, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: კალენდარული წლის განმავლობაში დაიწყო მუდმივად ცხოვრება მუნიციპალიტეტში (ანუ ამ მუნიციპალიტეტში პირველად შემოსვლიდან ერთი წლის განმავლობაში აკმაყოფილებს 50%+1 კრიტერიუმს და წარმოადგენს „ღამის მოსახლეობას“) და ამავე დროს, პირველი კვეთიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდა სხვა მუნიციპალიტეტში.

მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, შიდა ქსელის აბონენტებისთვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა შესაძლებელია რეგიონის,


მუნიციპალიტეტების და სხვა ადმინისტრაციული ერთეულის სიზუსტით.

ანალოგიურად, გარე მიგრანტი არის პირი, რომელიც იცვლის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანას. მობილური ოპერატორის მონაცემებით გარე მიგრაციის დასაკვირვებლად, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყნის საზღვრის კვეთის შემდეგ პირი შესაძლებელია არ იყენებდეს როუმინგს. ასეთ დროს მოგზაურის დაკვირვება ხდება მხოლოდ, როდესაც მოგზაურობა იწყება და მთავრდება მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში და საზღვრის კვეთის თარიღების და ზემოთ განხილული კრიტერიუმების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ემიგრანტის, იმიგრანტის და დაბრუნებული მიგრანტის იდენტიფიცირება.

### **მიგრაციის სტატისტიკა საქართველოში**

1990-იანი წლებიდან საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის და სტრუქტურის ფორმირებაში გარე მიგრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 1990-2002 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ძირითადად დაკავშირებულია ემიგრაციასთან.

დიაგრამა 1. მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტები



მოსახლეობის რიცხოვნობის კლება მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა და 2002-2014 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3 991.3 ათასიდან 3 713.8 ათას კაცამდე შემცირდა.

საქართველოში გარე მიგრაციის სტატისტიკის წარმოება მეტწილად ეყრდნობა ადმინისტრაციულ წყაროებს, რომლის საფუძველზე გროვდება ინფორმაცია იმიგრანტების და ემიგრანტების შესახებ სქესის, ასაკის და მოქალაქეობის მიხედვით.

2004-2011 წლებში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გარე მიგრაციის შეფასებითვის იყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებს მგზავრების მიერ საქართველოს საზღვრების გადაკვეთის შესახებ. გარე მიგრაციის სტატისტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ შემოსულ და გასულ მგზავრთა რაოდენობით, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობითა და მოქალაქეობით და ვერ ხერხდებოდა მათი იდენტიფიცირება ქვეყნიდან გასვლის და ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით. შესაბამისად, მიგრაციის სალდო განისაზღვრებოდა, როგორც

კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში შემოსულ და გასულ მგზავრთა ნაკადების სხვაობით.

2012 წლიდან შესაძლებელი გახდა ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც სრულად შეესაბამება გაეროს რეკომენდაციებს [UNECE, 2006], რომლის მიხედვითაც, მიგრანტის იდენტიფიცირების ძირითადი კრიტერიუმია მიგრაციის (პირის ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ ყოფნის) ხანგრძლივობა.

ამასთან, მოსახლეობის საყოველთაო აღწერების დროს გროვდება გარკვეული ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესახებ, როგორც არის დაბადების ადგილი, წინა საცხოვრებელი ადგილი და ის თარიღი, როდესაც პირმა დაიწყო მუდმივად ცხოვრება იმ დასახლებაში, სადაც ცხოვრობდა აღწერის კრიტიკული მომენტისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მობილური ოპერატორების მონაცემთა ბაზების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად გავაანალიზოთ მოსახლეობის განაწილება მუნიციპალიტეტების დონეზე სხვადასხვა დემოგრაფიული (მაგ. სქესი, ასაკი) მახასიათებლებით. ამასთან, შევისწავლოთ შიდა მიგრაცია და დავაკვირდეთ მოსახლეობის მობილობის სხვადასხვა ფორმებს, როგორც არის სეზონური, ქანქარისებური და სხვა. გარე მიგრაციის თვალსაზრისით, შესაძლებელი იქნება დავაკვირდეთ ემიგრანტებს და იმიგრანტებს მიგრაციის ხანგრძლივობის და დანიშნულების/წარმოშობის ქვეყნის მიხედვით.

## **დასკვნა**

თანამედროვე საზოგადოებაში მოსახლეობა უფრო მეტად მობილურია და აქვს შესაძლებლობა გადაადგილდეს სახლსა და სამსახურს შორის, მაშინაც კი როდესაც სამუშაო

ადგილი მდებარეობს სხვა დასახლებაში ან სხვა ქვეყანაში. დამკვიდრებულია „მომთაბარე ცხოვრების წესი“, ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც პიროვნება მუდმივად იცვლის ან აქვს ერთზე მეტი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მოსახლეობის მიგრაციის შესახებ მონაცემები ძირითადად გროვდება ადმინისტრაციული წყაროებით და მოსახლეობის აღწერებიდან. ტრადიციული მონაცემთა წყაროები, ვერ პასუხობენ ახალ გამოწვევებს და საჭირო ხდება ალტერნატიული მონაცემთა წყაროების დანერგვა, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ინდიკატორთა უფრო ფართო სპექტრის წარმოება რეალურ დროსა და სივრცეში. ერთ-ერთ ასეთ წყაროდ განიხილება–მობილური პოზიციონირების მონაცემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ვერ შეძლებენ მონაცემების შეგროვების ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლებას, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც დამატებით წყარო მონაცემების ხარისხის გაზრდის კუთხით და ახალი ინდიკატორების საწარმოებლად.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსახლეობის მობილობის დაკვირვებას სჭირდება ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები, რადგან მოსახლეობის მიგრაციის არსებული განმარტებები რელევანტურია მხოლოდ ტრადიციული მონაცემთა წყაროებისთვის და მობილური პოზიციონირების მონაცემების გამოყენებისას ბევრ შეუსაბამობას იწვევს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Duncan, P. R., & Perrucci, G. G. (1976). Dual Occupation Families and Migration. *American Sociological Review* 41, 252-261.
2. Massey, D. S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., & Taylor, J. E. (1993). Theories of International Migration: A



- Review and Appraisal. *Population and Development Review*, Vol. 19 (3), 431-466.
3. Piore, M. J. (1979). *Birds of Passage: Migrant Labor in Industrial Societies*. Cambridge: Cambridge University Press.
  4. Sandow, E., & Westin, K. (2010). The persevering commuter – Duration of long-distance commuting. *Transportation Research Part A*, 44 (6), 433–445.
  5. Thomas, J. C. (2008). Migration in a Family Way. *Population, Space and Place*. Published online in Wiley InterScience, 255-265.
  6. UN. (1998). *Recommendations on Statistics of International Migration, Revision 1*. NY: Department of Economic and Social Affairs Statistics Division, UN.
  7. UNECE. (2006). *Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing*. NEW YORK AND GENEVA: UNITED NATIONS.
  8. Van Der Klis, M., & Karsten, L. (2009). Commuting partners, dual residences and the meaning of home. *Journal of Environmental Psychology*, 29 (2), 83. 235–245. doi:10.1016/j.jenvp.2008.11.002.

## შორენა წიკლაური, პაატა შავიშვილი

### ტრანსნაციონალური ქორწინებები საქართველოში

*აბსტრაქტი.* ტრანსნაციონალური ქორწინებები ღრმად არის გაანალიზებული დემოგრაფიულ ლიტერატურაში. ტრანსნაციონალური ქორწინებები განიხილება იმიგრანტების ინტეგრაციის მნიშვნელოვან კომპონენტად. კვლევებში, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმიგრანტებზე, რომლებიც ქორწინდებიან ადგილობრივებზე. ამ ფონზე, საინტერესოა განვიხილოთ საქართველოში დაბადებული მოსახლეობა, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან უცხო ქვეყანაში დაბადებულებზე.

**შესავალი.** მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული ქორწინებები, როდესაც პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნების ან სხვა სოციალური თუ კულტურული ჯგუფების წარმომადგენლები არიან. ქორწინების ეს სახე უძველესი დროიდან გვხვდება. შერეული ქორწინებები ხშირი იყო სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს შორის. იმ პერიოდში, შერეული ქორწინებების ძირითადი მიზეზები პოლიტიკური, სამშვიდობო და ეკონომიკური იყო. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, გლობალიზაციის ეპოქაში, ხშირია ისეთი ქორწინებები, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი ადგილობრივია, ხოლო მეორე — იმიგრანტი. საზღვრების გახსნამ გამოიწვია ინტენსიური სოციალური კონტაქტები, ადამიანები ტოვებენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს და მიდიან უცხო ქვეყნებში სასწავლებლად, სამუშაოდ, სამოგზაუროდ. – ამ პირობებში, ქორწინება განიხილება, როგორც ინტეგრაციის ძირითადი

ინდიკატორი, სადაც ურთიერთდამოკიდებულების მაღალი მაჩვენებლები გულისხმობს ასიმილაციას ან სოციალურ ღიაობას.

კვლევები ძირითადად ყურადღებას უთმობენ სოციალურ, სტრუქტურულ და ინდივიდუალურ ფაქტორებს, რომლის გამოც სხვა ქვეყნის მოქალაქე, ან უცხო ქვეყანაში დაბადებული იმიგრანტი ქორწინდება ადგილობრივზე [Pagnini & Morgan, 1990]; [Qian & Lichter, 2001], იგულისხმება, რომ ადგილობრივები პროცესში არ თამაშობენ გარკვეულ როლს და ძირითადად განიხილებიან, როგორც „პასიური მიმღებები“ [Glowsky, 2007]. კვლევები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფაქტორების განხილვას, როდესაც ადგილობრივი იღებს იმიგრანტზე დაქორწინების გადაწყვეტილებას და არ იმყოფება „პასიური მიმღების“ როლში.

ტრანსნაციონალური ქორწინება მიგრაციის ერთ-ერთი შედეგია. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემდეგ ადამიანები იწყებენ ცხოვრებას მიმღებ ქვეყანაში და გარკვეულ დემოგრაფიულ პროცესებში ერთვებიან, მათ შორის არის ქორწინება ადგილობრივსა და იმიგრანტს შორის – ე.წ. ტრანსნაციონალური ქორწინება.

არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ადამიანები ქორწინდებიან თავისივე სოციალური ჯგუფის შიგნით, ან სტატუსით მათთან ახლოს მყოფებთან. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ფაქტორი თამაშობს როლს პარტნიორის შერჩევისას, სოციოლოგები მაინც გამოყოფენ ენდოგამიას და ჰომოგამიას რასის/ეთნიკურობის, რელიგიისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, საგულისხმოა „საქორწინო ბაზარი“ და მისი ფუნქციონირების სპეციფიკა. ზოგადად, „საქორწინო ბაზარი“ სამი ჯგუფისგან შედგება: 1) ვისაც დაქორწინება

სურს, 2) არ სურთ დაქორწინება და 3) სურთ დაქორწინება შესაფერისი პარტნიორის არსებობის შემთხვევაში [Cretser, 1999]. პარტნიორის შერჩევა დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: I) პიროვნული უპირატესობები, II) პარტნიორის შეხვედრის შესაძლებლობა და ბოლოს, III) ოჯახური და სოციალური გარემო [Kalmijn, 1998]. საქორწინო ბაზარი უპირატესობის საფუძველზე მუშაობს და მიმზიდველი პირები არიან ისინი, ვისაც საზოგადოებაში აქვთ მაღალი პიროვნული და სოციალური სტატუსი. ბურდიუს კაპიტალის თეორიაც ადასტურებს ამ აზრს: არსებობს კულტურული, ეკონომიკური და სოციალური კაპიტალი, რომელიც ადამიანს მეტ-ნაკლებად მიმზიდველს ხდის. ოჯახის ეკონომიკური თეორიის თანახმად, ქორწინებაში არმყოფები არიან რაციონალისტები, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალური სარგებლის მიღებას პარტნიორის შერჩევისას [Becker, 1991]. სიტუაცია განსხვავებულია ტრანსნაციონალური ქორწინებების შემთხვევაში, რადგან ასეთ დროს არსებობს განსხვავებული წინაპირობა – სურვილი დაქორწინდნენ ჯგუფის მიღმა და გადალახონ ბარიერები. შესაბამისად ფაქტორებიც განსხვავებულია, რადგან ტრანსნაციონალური ქორწინებას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები. მეორე ფაქტორი, პირდაპირ პროპორციულია მიგრაციასთან, ხოლო მესამე – არის საკმაოდ რთული ფაქტორი კულტურული განსხვავებულობის გამო [Kalmijn, 1998].

ტრანსნაციონალური ქორწინება დაკავშირებულია არა მხოლოდ ინტეგრაციასთან, არამედ ასიმილაციის პროცესთან, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ადაპტაციის პერიოდის ხანგრძლივობაზე, განათლებაზე (რომელსაც შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს ქორწინებაზე) და ადგილობრივი „საქორწინო ბაზრის სრუქტურაზე“. როგორც წესი, ადამიანების უმრავლესობა ქორწინდება თავისივე

სოციალური ჯგუფის (რასის, ეთნიკურობის, განათლების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ენისა და რელიგიის) წარმომადგენელზე [Kalmijn, 1998]. ამიტომ დიდი კულტურული განსხვავებულობა ამცირებს ტრანსნაციონალური ქორწინებების ალბათობას. შესაბამისად, ტრანსნაციონალური ქორწინების სიხშირე კულტურული განსხვავებულობის კარგი მაჩვენებელია, ასევე წარმოადგენს ქვეყნის სოციალური მიმდებლობის ინდიკატორს [Kalmijn, 1998].

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მიგრაცია ამ კავშირში შემავალი ქვეყნებისათვის და მათ შორის, საქართველოსთვის, განიხილებოდა როგორც ერთ კავშირში შემავალი ქვეყნების რესპუბლიკათაშორისი მიგრაცია და არა საერთაშორისო (გარე) მიგრაცია მიღებული განმარტებით. შესაბამისად, თუ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ჩაკეტილი საზღვრების გამო, შერეული ქორწინებები საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის ხდებოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს სტატისტიკა შეიცვალა.

ნაშრომში გაანალიზებული იქნება საქართველოს შინამეურნეობების შემადგენლობა და ქორწინებაში მყოფი მოსახლეობა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა ეთნიკურობა, მოქალაქეობა და დაბადების ადგილი. ამასთან, შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას, აქვთ თუ არა ტრანსნაციონალური და ერთი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ქორწინებებში მყოფთ მსგავსი მახასიათებლები. ასევე, მონაცემები განხილული იქნება გენდერულ ჭრილში. ანალიზი ძირითად დაეფუძნება საქართველოში 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს.

## ძირითადი მიგნებები

### საქართველოს მოსახლეობის და შინამეურნეობების ეთნიკური შემადგენლობა

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 86.8% ეთნიკური ქართველია. მიუხედავად საქართველოს მოსახლეობის მონო-ეთნიკური შემადგენლობისა, არის რეგიონები, სადაც მცხოვრებთა დიდი ნაწილი ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას შეადგენს – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკურად ქართველები შედარებით დაბალი წილით არიან წარმოდგენილები (51.3% და 48.3% შესაბამისად).

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის განაწილება (%) რეგიონების და 5 ძირითადი ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით

	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	სხვა	უარი პასუხზე	არ არის მითითებული	სულ
საქართველო	86.8	6.3	4.5	0.7	0.4	1.2	0.0	0.0	100.0
ქ. თბილისი	89.9	1.4	4.8	1.2	0.4	2.3	0.0	0.0	100.0
აჭარის ა.რ.	96.0	0.1	1.6	1.1	0.0	1.1	0.0	0.0	100.0
გურია	98.1	0.0	1.1	0.5	0.0	0.3	0.0	0.0	100.0
იმერეთი	99.3	0.0	0.1	0.3	0.0	0.2	0.0	0.0	100.0
კახეთი	85.2	10.2	0.7	0.6	0.8	2.6	0.0	0.0	100.0
მცხეთა-მთიანეთი	94.5	2.4	0.3	0.3	1.4	1.1	0.0	0.0	100.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	99.7	0.0	0.0	0.1	0.1	0.1	0.0	0.0	100.0
სამეგრელო-	99.4	0.0	0.0	0.4	0.0	0.2	0.0	0.0	100.0

ზემო სვანეთი									
სამცხე-ჯავახეთი	48.3	0.1	50.5	0.4	0.2	0.4	0.0	0.0	100.0
ქვემო ქართლი	51.3	41.8	5.1	0.6	0.2	1.0	0.1	0.0	100.0
შიდა ქართლი	94.7	2.1	0.8	0.3	1.8	0.3	0.0	0.0	100.0

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები

საქართველოს მოსახლეობის 6.3% ეთნიკურად აზერბაიჯანელია, ამათგან 41.8% ცხოვრობს ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო 10.2% – კახეთში. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, საქართველოს მოსახლეობის 4.5%-ს შეადგენს, მათგან თითქმის ნახევარი (50.2%) სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მცხოვრებია.

სახელმწიფო ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის, რომელიც ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეთნიკური უმცირესობების, ასევე უცხო ქვეყნის იმიგრანტების ინტეგრაციისათვის, სახელმწიფო ენის ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ქართული მშობლიურ ენად საქართველოს მოსახლეობის 87.6%-ს აქვს მითითებული. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 7.1% არ ფლობს თავისუფლად ქართულ ენას. რეგიონების მიხედვით სურათი განსხვავებულია. ქვემო ქართლის მოსახლეობის 38.3%-ს, სამცხე-ჯავახეთის – 35.9%-ს და კახეთის – 7.6%-ს არ შეუძლია სახელმწიფო ენაზე წერა-კითხვა და თავისუფლად ლაპარაკი. დანარჩენ რეგიონებში, მათი წილი უმნიშვნელოა.



საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული შინამეურნეობები (96.3%), რომლის ყველა წევრი რომელიმე ერთი ეთნიკური წარმომავლობისაა, მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა (85.9%) წარმოადგენს ისეთ შინამეურნეობებს, რომლის ყველა წევრი ეთნიკურად ქართველია. შინამეურნეობების 3.7% შინამეურნეობებში მათი წევრები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

ცხრილი 2. კერძო შინამეურნეობების რაოდენობა წევრთა რიცხვისა და ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით

	სულ კერძო შინამეურნეობები	ერთ წევრიანი შინამეურნეობები	2 და მეტი წევრიან შემადგარი შინამეურნეობები
საქართველო	1109130	193874	915256
ერთი ეთნიკური შემადგენლობის შინამეურნეობები	1068009	193570	874439
<i>მათ შორის ყველა წევრი ეთნიკურად:</i>			



ქართველია	953104	170408	782696
აზერბაიჯანელია	53700	5092	48608
სომეხია	41315	8077	33238
სხვა	19890	9993	9897
შერეული შინამეურნეობები	<b>40559</b>	<b>0</b>	<b>40559</b>
<i>მათ შორის:</i>			
ერთი წევრი მაინც ეთნიკურად ქართველია	36238	0	36238
არც ერთი წევრი არ არის ეთნიკურად ქართველი	4321	0	4321
არ არის მითითებული/არ უკასრუხა	<b>562</b>	<b>304</b>	<b>258</b>

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები

საქართველოს შინამეურნეობების 89.2%-ში ყველა ან ერთი წევრი მაინც ეთნიკურად ქართველია. ერთ წევრიანი შინამეურნეობები საქართველოს შინამეურნეობების 17.5%-ს შეადგენს, მათ შორის 10.5% ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან.


მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების 5.4%-ში არცერთი წევრი არ ფლობს სახელმწიფო ენას.

საქართველოს შინამეურნეობებში საშუალოდ ცხოვრობს 3.34 კაცი. თუმცა ეს მაჩვენებელი განსხვავდება შინამეურნეობის ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით. შერეული შინამეურნეობების საშუალო სიდიდე 3.7-ია.

შინამეურნეობის საშუალო სიდიდე, როდესაც ყველა წევრი ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია შედგენს 3.3-ს. ანალოგიური მაჩვენებელია, თუ ორივე წევრი ეთნიკურად ქართველია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აზერბაიჯანელების შემთხვევაში – ასეთი ტიპის შინამეურნეობებში საშუალოდ ცხოვრობს 4 წევრი. სომხების შემთხვევაში მაჩვენებელი – 3.4-ია, ხოლო სხვა

ეთნიკური ჯგუფის წევრების შინამეურნეობების საშუალო სიდიდე არ აღემატება 2-ს.

დიაგრამა 2. ერთი ეთნიკური შემადგენლობის შინამეურნეობების საშუალო სიდიდე შინამეურნეობის წევრების ეთნიკურობის მიხედვით




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები

### ტრანსნაციონალური ქორწინებები

1990-იანი წლებიდან რეგისტრირებული ქორწინებების ზოგადი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც შეიძლება აიხსნას რელიგიური ქორწინებების გავრცელებით, რომელსაც არ აქვს იურიდიული ფორმა.

ამასთან, საბჭოთა პერიოდის დროს, კავშირში შემავალი სახელმწიფოებისთვის და მათ შორის, საქართველოსთვის რეგისტრირებული ქორწინებების ზრდა განპირობებული იყო ე.წ. „ბეიბი ბუმის“ თაობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საბჭოთა პერიოდის დროს ქორწინებების რეგისტრაციას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილები ვერ იღებდნენ დახმარებას სახელმწიფოსგან [Zakharov, 2015].

დიაგრამა 3. რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1 000 კაცზე




წყარო: საქსტატი, რეგისტრირებული ქორწინებები

აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებული ქორწინებები არ იძლევა მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ სრულ სურათს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიისა დალიბერალიზმის ფონზე, ინდივიდუალიზმის ფართოდ განვითარებამ, ოჯახის მოდერნიზაცია განაპირობა, რაც გამოიხატება იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელებით [გომელაური, 2014]. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, წყვილები, რომლებიც იმყოფებოდნენ ქორწინებაში, მათ შორის 85.9%-მა მიუთითა, რომ მათი ქორწინება იყო რეგისტრირებული.

რეგისტრირებული ქორწინებების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში შერეული ქორწინებების წილი საკმაოდ დაბალია და წლების განმავლობაში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2007 წელს, 1994 წელთან შედარებით მაჩვენებელი 6.1%-დან 2.6%-მდე შემცირდა.

დიაგრამა 4: რეგისტრირებულ ქორწინებათა განაწილება (%)  
მამაკაცის და ქალის ეთნიკურობის მიხედვით<sup>28</sup>



წყარო: საქსტატი, რეგისტრირებული ქორწინებები

ქართველი მამაკაცები უფრო ხშირად ქორწინდებიან სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებზე, ვიდრე ქალები. აღნიშნული ტენდენცია, შესაძლებელია აიხსნას მამაკაცების მიგრაციაში ქორწინებით. ქართველი მამაკაცები ემიგრაციის ქვეყნად ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ირჩევენ [წიკლაური, 2019]. როგორც კვლევები აჩვენებს, ემიგრაციაში ძირითადად მიდიან დაუქორწინებელი საშუალო ასაკის მამაკაცები. ამასთან, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ეთნიკურად ქართველი მამაკაცები, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან სხვა ქვეყანაში დაბადებულ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე, მათ შორის თითქმის მესამედს (30.1%) აქვს მიგრაციის გამოცდილება. რაც მიუთითებს

<sup>28</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ 1994-2007 წლებზე.

იმაზე, რომ ქართველი მამაკაცები ემიგრაციის შემდეგ ბრუნდებიან სამშობლოში უცხოელ მეუღლესთან ერთად.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებმა საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა ქორწინებაში მყოფი წყვილები დაბადების ქვეყნის და სქესის მიხედვით. საქართველოში, ტრანსნაციონალურ ქორწინებაში მყოფი მამაკაცების წილი 1.1 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალია, ვიდრე ტრანსნაციონალურ ქორწინებაში მყოფი ქალების.

დაბადების ქვეყანა იძლევა ზოგად წარმოდგენას სხვა ქვეყანაში დაბადებულ პარტნიორზე. აღწერამ აჩვენა, რომ შერეული ქორწინებების დროს პარტნიორები უპირატესობას მაინც მეზობელ ქვეყნებში დაბადებულ პარტნიორებს ანიჭებენ. რუსეთის ფედერაციაში მამაკაცების 44.2% და ქალების 46.1%-ია დაბადებული, შემდეგ დიდ ჯგუფს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დაბადებულები (მამაკაცი – 25.1%, ქალი – 29.4%). უცხო ქვეყანაში დაბადებული მეუღლეებიდან მამაკაცების 8.8% და ქალების – 13.1% უკრაინაშია დაბადებული. დანარჩენი ქვეყნები შედარებით დაბალი ინტენსივობით არის წარმოდგენილი. ცხრილი 3. ქორწინებაში მყოფი წყვილების განაწილება დაბადების ადგილის მიხედვით

	სულ ქორწინებაში მყოფი წყვილები	%
სულ	<b>843658</b>	<b>100.0</b>
ორივე საქართველოშია დაბადებული	812 264	96.3
ორივე სხვა ქვეყანაშია დაბადებული	2 094	0.2
მამაკაცი საქართველოშია დაბადებული ქალი - სხვა ქვეყანაში	15 620	1.9
<i>მათ შორის:</i>		
რუსეთი	7197	46.1
სომხეთი	2802	17.9
აზერბაიჯანი	1787	11.4
უკრაინა	2044	13.1


ყაზახეთი	561	3.6
სხვა	1229	7.9
<b>ქალი საქართველოშია დაბადებული მამაკაცი - სხვა ქვეყანაში</b>	<b>6 578</b>	<b>0.8</b>
<i>მათ შორის:</i>		
რუსეთი	2 908	44.2
სომხეთი	969	14.7
აზერბაიჯანი	681	10.4
უკრაინა	579	8.8
თურქეთი	309	4.7
სხვა	1 132	17.2
არ არის მითითებული	<b>7 102</b>	<b>0.8</b>

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.

საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკი განსხვავდება ჰომოგამური და ჰეტეროგამური ქორწინებებისას. ადგილობრივები, რომლებსაც ჰყავთ უცხოეთში დაბადებული მეუღლეები ქორწინდებიან უფრო გვიან. ეს შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ ქართველები რომლებიც ქორწინდებიან სხვა ქვეყანაში დაბადებულ პარტნიორზე არიან უფრო ასაკოვნები, ან ეს არის მათი განმეორებითი ქორწინება. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის.



ნათლად ჩანს რომ რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკი (ჰომოგამური და ჰეტეროგამური ქორწინებებისას) ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ქორწინების გადავადებით, როგორც მრავალ განვითარებულ ქვეყანაშია მიღებული.

დიაგრამა 5. დაქორწინებულთა საშუალო ასაკი სქესისა და დაბადების ადგილის მიხედვით



წყარო: საქსტატი, რეგისტრირებული ქორწინებები

განათლების მიღწეული დონის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება სქესის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ განათლების მიღწეული დონე შედარებით მაღალია საქართველოში დაბადებულ იმ მამაკაცებს და ქალებს შორის რომლებიც იმყოფებიან ტრანსნაციონალურ ქორწინებებში, ვიდრე რომლებიც დაქორწინებულები არიან საქართველოში დაბადებულებზე. დიაგრამა 6. დაქორწინებულთა განაწილება (%) სქესის, განათლების მიღწეული დონის და დაბადების ადგილის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები


წყვილები რომლებიც ორივე საქართველოშია დაბადებული 53.3% საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს, ხოლო 46.7% – სასოფლო დასახლებაში.

განსხვავებული სიტუაციაა, როდესაც მეუღლეთაგან ორივე სხვა ქვეყანაშია დაბადებული ან იმყოფებიან ტრანსნაციონალურ ქორწინებებში. უცხო ქვეყანაში დაბადებული ქალების 67.6% და მამაკაცების – 81.3%



უპირატესობას საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრებას ანიჭებს.

დიაგრამა 7. დაქორწინებულთა განაწილება (%) დაბადების ადგილის და დასახლების ტიპის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.

იმ წყვილებს შორის რომლებიც ორივე უცხო ქვეყანაში დაბადებული, ნახევარზე მეტი (53.3%) თბილისში ცხოვრობს, ხოლო 18.9% – ქვემო ქართლის და 6.7% – კახეთის რეგიონში, იმ ადგილებში სადაც ეთნიკური უმცირესობები მაღალი წილით არიან წარმოდგენილები. ანალოგიური, სურათია იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლეა სხვა ქვეყანაში დაბადებული.

ცხრილი 4. დაქორწინებულთა განაწილება (%) დაბადების ადგილის და რეგიონების მიხედვით

	ორივე საქართველოში დაბადებული	ორივე სხვა ქვეყანაში დაბადებული	მამაკაცი საქართველოში დაბადებული, ქალი - სხვა ქვეყანაში	ქალი საქართველოში დაბადებული, მამაკაცი - სხვა ქვეყანაში
თბილისი	26.1	53.3	41.2	51.4
აჭარის ა. რ.	9.7	9.2	7.9	9.5
გურია	3.3	1.8	2.2	1.6
იმერეთი	14.8	3.2	7.5	5.9
კახეთი	9.4	6.7	7.9	5.5
მცხეთა-მთიანეთი	2.5	1.1	2.2	1.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.9	0.1	0.3	0.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.1	1.6	4.8	3.7
სამცხე-ჯავახეთი	4.9	2.5	5.1	3.4
ქვემო ქართლი	11.8	18.9	16.9	13.8
შიდა ქართლი	7.6	1.6	4.0	3.5
სულ	100.0	100.0	100.0	100.0

### დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ ტრანსნაციონალური ქორწინებები საქართველოს მაგალითზე სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. მონაცემების ანალიზისთვის ძირითად წყაროდ გამოყენებულია რეგისტრირებული ქორწინებების მონაცემები და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.

1990-იანი წლებიდან რეგისტრირებული ქორწინებების ზოგადი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც შეიძლება აიხსნას რელიგიური ქორწინებების გავრცელებით, რომელსაც არ აქვს იურიდიული ფორმა. რეგისტრირებული ქორწინებების მონაცემების მიხედვით, საქართველოში ტრანსნაციონალური ქორწინებების წილი საკმაოდ დაბალია და წლების განმავლობაში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

გენდერულ ჭრილში ანალიზმა აჩვენა, რომ ქართველი მამაკაცები უფრო ხშირად ქორწინდებიან სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებზე, ვიდრე ქალები. მამაკაცები, ისევე როგორც ქალები ძირითადად მეზობელ ქვეყნებში დაბადებულ პარტნიორებზე ქორწინდებიან.

საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკი განსხვავდება ჰომოგამური და ჰეტეროგამური ქორწინებებისას. ტრანსნაციონალურ ქორწინებაში მყოფები, რომლებსაც ჰყავთ უცხოეთში დაბადებული მეუღლეები ქორწინდებიან უფრო გვიან.

განათლების მიღწეული დონე, საინტერესო ინდიკატორი აღმოჩნდა მონაცემების ანალიზისას. განათლების უფრო მაღალი დონე აქვთ ისეთ პარტნიორებს, რომლებიც დაქორწინებული არიან უცხო ქვეყანაში დაბადებულ პარტნიორზე.

ტრანსნაციონალურ ქორწინებებში მყოფი პირები უპირატესობას საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრებას ანიჭებენ.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გომელაური, ნ. (2014). *დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
2. წიკლაური, შ. (2019). ემიგრაცია საქართველოდან 2002-2014 წლებში. *სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში საიუბილეო სამეცნიერო გამოცემა*, 293-301.
3. Becker, G. S. (1991). *A Treatise on the Family*. Cambridge, Mass. Harvard University Press.
4. Cretser, G. A. (1999). Cross-National Marriage in Sweden: Immigration and Assimilation 1971-1993. *Journal of Comparative Family Studies*, 30(3): 363-380.

5. Duncan, P. R., & Perrucci, G. G. (1976). Dual Occupation Families and Migration. *American Sociological Review* 41, 252-261.
6. Glowsky, D. (2007). Why do German men marry women from less developed countries? An analysis of transnational partner search based on the German Socio-Economic Panel. *SOEPpapers on Multidisciplinary Panel Data Research*, (83. 61).
7. Jacobs, J. A., & Labov, T. G. (2002). Gender differentials in intermarriage among sixteen race and ethnic groups. *Sociological Forum*, 83. 17(4): 621-646.
8. Kalmijn, M. (1998). Intermarriage and Homogamy. Causes, Patterns, Trends. *Annual Review of Sociology*, 24: 395-421.
9. Massey, D. S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., & Taylor, J. E. (1993). Theories of International Migration: A Review and Appraisal. *Population and Development Review*, Vol. 19 (3), 431-466.
10. Pagnini, D. L., & Morgan, S. P. (1990). Intermarriage and social distance among U.S. immigrants at the turn of the century". *American Sociological Review*, 96: 405-432.
11. Piore, M. J. (1979). *Birds of Passage: Migrant Labor in Industrial Societies*. Cambridge: Cambridge University Press.
12. Qian, Z. (1999). Who Intermarries? Education, Nativity, Region, and Interracial Marriage, 1980 and 1990. *Journal of Comparative Family Studies*, 30: 579-97.
13. Qian, Z., & Lichter, D. T. (2001). Measuring Marital Assimilation: Intermarriage among Natives and Immigrants. *Social Science Research*, 30: 289-312.
14. Sandow, E., & Westin, K. (2010). The persevering commuter – Duration of long-distance commuting. *Transportation Research Part A*, 44 (6), 433–445.
15. Thomas, J. C. (2008). Migration in a Family Way. *Population, Space and Place*. Published online in Wiley InterScience, 255-265.
16. Tishkov, V., Zayinchkovskaya, Z., & Vitkovskaya, G. (2005). *Migration in the Countries of the Former Soviet Union. Policy Analysis and Research Programme of the Global Commission on International Migration*.

17. UN. (1998). *Recommendations on Statistics of International Migration, Revision 1*. NY: Department of Economic and Social Affairs Statistics Division, UN.
18. UNECE. (2006). *Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing*. NEW YORK AND GENEVA: UNITED NATIONS .
19. Van Der Klis, M., & Karsten, L. (2009). Commuting partners, dual residences and the meaning of home. *Journal of Environmental Psychology*, 29 (2), გვ. 235–245. doi:10.1016/j.jenvp.2008.11.002.
20. Zakharov, S. (2015 წლის 1-25 January). Marriages and Divorces in Modern Russia. *Demoscope Weekly № 625 - 626*.
21. გომელაური, ნ. (2014). *დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
22. წიკლაური, შ. (2019). ემიგრაცია საქართველოდან 2002-2014 წლებში. *სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში საიუბილეო სამეცნიერო გამოცემა*, 293-301.

*ქეთევან ჭანიძე,  
ნათელა წიკლაშვილი,  
ზეინაბ სურმანიძე*

**„მთის კანონი“ და მიგრაცია<sup>29</sup> (ხულოს მუნიციპალიტეტის  
მაგალითზე)**

**შესავალი**

აჭარის მთიანეთის მოსახლეობის, როგორც ორგანიზებულმა, ისე სტიქიურმა მიგრაციამ არსებითი ცვლილებები შეიტანა ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. დემოგრაფიული ქცევის მოდერნიზაციას, რომ თავი დავანებოთ, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა მოსახლეობის სოციალურმა სტრუქტურამ. რეგიონის და საერთოდ ქვეყნის მდგრადი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობა მეტნაკლებად გადანაწილებული იყოს პროპორციულად როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რადგან ადამიანისეული და ფინანსური რესურსის ერთ არეალში თავმოყრა იწვევს დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ დისბალანსს. აღნიშნული კი მოსახლეობის მიგრაციის სერიოზული ფაქტორი ხდება. რეგიონში. სოფლიდან წამოსული მიგრანტები ჯერ ერთვებიან ქანქარისებურ მიგრაციაში, ხოლო თუ ადგილობრივმა შრომის ბაზარმა არ შესთავაზა დასაქმებისა და შრომის

---

<sup>29</sup>კვლევა განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის „შიგა მიგრაციის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ ეკონომიკურ პარამეტრზე (ხულოს მუნიციპალიტეტის მაგალითზე)“ ფარგლებში.

ღირსეული ანაზღაურება, ემიგრაციის შედეგად მოსახლეობა დამოკიდებული ხდება სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე.

1990-იანი წლებიდან განვითარებულმა ეკოლოგიურმა პროცესებმა, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად განაპირობა აჭარაში მიგრაციული პროცესების გააქტიურება. მაღალმთიანი აჭარა მეწყერული პროცესებით ხასიათდება. ამის გამო ხელისუფლებამ დაიწყო მაღალმთიანი რაიონებიდან ორგანიზებული ჩასახლებები, სხვა რეგიონებში. „გასული საუკუნის **90-იანი წლების დამლევს ჩასახლებები** მირითადად განხორციელდა აჭარის ზღვისპირეთში, ჯავახეთში, კახეთსა და გურიაში. როგორც გამოკვლევებიდან ირკვევა, აჭარის ზღვისპირეთში ჩასახლეს **9,8 ათასი კაცი, ორგანიზებული ჩასახლებები დღემდე გრძელდება** [წიკლაშვილი ნ... 2019:85] ორგანიზებულთან ერთად არსებულმა სტიქიურმა მიგრაციამ, დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად დააზარალა აჭარის მთიანეთის სოფლები. აჭარის მუნიციპალიტეტების სოფლებში, რომელიც ისტორიულად მაღალი შობადობის შედეგად ხალხმრავლობით ხასიათდებოდნენ, თანდათან შემცირდა მოსახლეობა. 2014 წლის მოსახლეობის აღწერით აჭარაში 74,1 ათასმა კაცმა შეიცვალა წინა საცხოვრებელი ადგილი, რასაც მოჰყვა სოფლების დაცლა. ამავე აღწერის მონაცემებით 2014 წლისთვის აჭარაში გაუკაცრიელდა 3 სოფელი [წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2016:34] ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფელი კაკუჩა სადაც 2002 წლისათვის ცხოვრობდა 53 კაცი; ქედის მუნიციპალიტეტში სოფელი სასადილოელი და შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელი ფიშოთთარო, რომელიც 2002 წლის აღწერისთვის უკვე გაუკაცრიებული იყო [www.geostat.ge].

დღეისათვის, პანდემიის შედეგად ჩაკეტილი საზღვრების და ეკონომიკის დაცემის პირობებში

განსაკუთრებით გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემა, რაც უფრო აქტუალურს ხდის მის შეწავლას.

აჭარის დემოგრაფიული პრობლემები ყოველთვის იცეცდა ქართველ დემოგრაფთა ყურადღებას (ლორთქიფანიძე ვ., წულაძე გ., სულაბერიძე ა., თოთაძე ა., ტუხაშვილი მ., გომელაური ნ., წიკლაშვილი ნ., ჭანიძე ქ., სურმანიძე ზ. და სხვ.) რომელთა შრომების გამოყენება დიდად წაგვადგა საკითხის შესწავლაში.

რამდენადაც ჩვენი გამკვლევა უშუალოდ მთიანი აჭარის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ხულოს დემოგრაფიული განვითარების საკითხებს და კერძოდ მოსახლეობის მიგრაციას ეხება. აღსანიშნავია, ჯერ კიდევ 1986 წელს პროფესორ ავთანდილ სულაბერიძის გამოცემული მონოგრაფია „საქართველოს სსრ მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, სადაც ერთ-ერთი პირველმა ყურადღება მიაქცია აჭარის მთიანეთის დემოგრაფიულ განვითარებას და აჭარის მთიანეთის მიგრაციის პრობლემებს 1959-1979 წლებში, ცალკეული რაიონების (ხულო, ქედა, შუახევი) მიხედვით. 1990-იან წლებში აჭარის მიგრაციის პრობლემები შეისწავლა თ. ფუტყარაძემ; 2018 წელს პროფესორ ავთანდილ სულაბერიძის ხელმძღვანელობით, ნ. გომელაურის და ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა აჭარიდან თურქეთში ქანქარისებული (ცირკულარული) მიგრაცია, რაც არა თუ აჭარის, არამედ საერთოდ საქართველოს ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია.

ზემოთ მოტანილი გამოკვლევები ადასტურებს პრობლემის კვლევის აქტუალობას და მნიშვნელობას, რომელიც სამ ეტაპად შევისწავლეთ. კვლევა მიმდინარეობდა 10 თვის მანძილზე. **სულ გამოიკითხა 600 მდე რესპოდენტი**, მათგან შეირჩა 3 სამიზნე ჯგუფი: პირველი-ხულოდან ქალაქ ბათუმში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით მიგრირებულნი (გამოიკითხა 250



**რეპოდენტი**); მეორე – ხულოს მუნიციპალიტეტში ამჟამად მცხოვრები ფაქტობრივი **მოსახლეობა (გამოიკითხა 200 რესპოდენტი)** და მესამე – ხულოში დარეგისტრირებული მეწარმეები (**გამოიკითხა 70 მეწარმე**), რათა გაგვერკვია მათი ეკონომიკური აქტივობის ფონზე „მთის კანონის“ „მოქმედების“ შედეგები და მიგრაციის სამომავლო პერსპექტივები. კვლევისას გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. პირველისთვის შემუშავებულ იქნა სტრუქტურირებული ანკეტა, რომელიც შეივსო პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. ანკეტა მოიცავდა ღია და დახურული კითხვებს. რიგ შეკითხვებზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. ინტერვიუერის ამოცანას წარმოადგენდა მაქსიმალურად მოეცვა აღნიშნულ შიგა მიგრაციაში მყოფი პირები, რომელთა შორის იყვნენ თექვსმეტი და მეტი ასაკის რესპოდენტები. თვისებრივი კვლევის მეთოდები მოიცავდა ზეპირ ისტორიას და დაკვირვებას. ანკეტის შევსების პროცესში რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ გამოეთქვათ მათ წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის თავიანთი ხედვა.

### **კვლევის შედეგები**

ხულოს მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობაა, მოსახლეობა ძირითადად მეცხოველეობით და მიწათმოქმედებით არის დასაქმებული. მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციის სიმწიფეების (ფინანსური და სხვ.) გამო წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას ძირითადად თვითონ მოიხმარენ. დაბალეფექტიანი სოფლის მეურნეობიდან მიღებულ მცირე შემოსავლები კი ვერ აკმაყოფილებს ოჯახის სოც-კულტურულ მოთხოვნილებებს, რაც იწვევს ოჯახის წევრთა მიგრაციას ქალაქად.

ხულოდან და საერთოდ აჭარის მაღალმთიანეთიდან მოსახლეობის მაღალი მიგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება ტრადიციულად არსებული მაღალი შობადობა (სამი და მეტი ბავშვი) და მცირემიწიანობა, რის შედეგადაც არსებული საკარმიდამო ნაკვეთი ხშირად არ იყო და არ არის საკმარისი დიდი (მშობლებისეული) ოჯახიდან ახლად შექმნილი, ცალკე გამოყოფილი ოჯახის არ თუ საცხოვრებლის ასაშენებლად, არამედ ეკონომიკური საქმიანობისთვის [სულაბერიძე ა. 1986:50]. შესაბამისად, ოჯახის ნუკლეარიზაციის პრობლემა იყო და რჩება რეგიონში სოფლიდან ქალაქად მასობრივი ემიგრაციის მნიშვნელოვანი მიზეზი.

სოფლად მოსახლეობის დამაგრება ყოველთვის იყო სახელმწიფოს ინტერესის ობიექტი. საბჭოთა კავშირის დროს სოფლიდან ქალაქში წამოსული მოსახლეობის რაოდენობა კანონით რეგულირდებოდა, არსებობდა გარკვეული შეზღუდვები მაგალითად, ქალაქში ჩაწერასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ 1999 წლის 8 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი, „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, რომლის მიზანიც იყო მაღალმთიანი რეგიონების განვითარება. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ ამ კანონის მოქმედებას დიდი შედეგი არ მოყოლია. აღნიშნული კანონი 2016 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა და ძალაში შევიდა ახალი კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“

გამოკითხულთა უმრავლესობა წამოსულია 2012 წელს, შემდეგ მოდის 2014-2016 ან უფრო ადრეული წლები, ჩვენ ძირითადად ვვარაუდობდით ბოლო 5-10 წლის წინ წამოსული მოსახლეობის გამოკითხვას, თუმცა საშუალება მოგვეცა გამოგვეკითხა უფრო ადრე, კერძოდ, 1970-იანი

წლებიდან 2000 წლის ჩათვლით მიგრანტები (მაგალითად ქობულეთი) რისი საშუალებითან მოვახდინეთ მიგრაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების ანალიზი.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა მიგრაციის მოტივები, მიგრანტთა ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კმაყოფილების მაჩვენებელი და ხომ არ იყო შიგა მიგრანტების ქვეყნის გარეთ მიგრაციის შემთხვევები, ვინაიდან სოფლიდან ქალაქში წამოსული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა კონკურენციაში ხვდება შრომის ბაზარზე ქალაქის მოსახლეობასთან. მიღებული მასალების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:გამოკითხულ მიგრანტთა შორის ჭარბობს 2, 4 და 5 წევრისგან შემდგარი ოჯახები (შესაბამისად 20, 25 და 24%), 3 წევრიანი ოჯახები, ხოლო 5 წევრზე მეტი წევრისგან შემდგარი ოჯახების წილი, მათთან შედარებით ცოტაა (16%). რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი დაოჯახებულია (53%). განათლების მიხედვით მიგრანტების ძირითადი ნაწილი მიგრაციის მომენტში იყო ზოგადი საშუალო განათლების მქონე (35%) უმაღლესი განათლების მქონე (29%) და სტუდენტები (15%). უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მქონეთა წილი ძალიან მცირეა, მხოლოდ (7%). განათლების მაჩვენებლების შესაბამისადაც მიგრანტების უმეტესი ნაწილი პროფესიის არ მქონეა (51%), მე-2 ადგილზეა მასწავლებელი (11%), ხოლო შემდეგ ექთანი, იურისტი, ეკონომისტი (5-6 %).

მიგრაციის გამომწვევ მიზეზებად, როგორც მოსალოდნელი იყო, დასახელდა ოჯახის გაყოფა (39%), არასაკმარისი შემოსავალი (29%), განათლების მიღების სურვილი (20%) ეკომიგრანტები (11%). რაც შეეხება დასაქმებას, მიგრაციამდე გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში (37%), შემდეგ მოდის ის კატეგორია ვინც სწავლობდა (28%) და თუ

კვლევისათვის შერჩეულ მიგრაციის პერიოდს შევადარებთ (ბოლო 5-10 წელი) შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს 28% იყო სკოლის მოსწავლე და უმაღლესი განათლების მისაღებად წამოვიდა ქალაქში, სადაც იმედოვნებს კარიერის აწყობას და დამკვიდრებას. გამოკითხულთა 16% მუშაობდა დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე, ხოლო 14% დასაქმებული იყო პროფესიის შესაბამისად.

მიგრანტთა ამჟამინდელი საქმიანობა შემდეგნაირად გამოიყურება: მათი უმეტესი ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში – 32%, პროფესიის შესაბამისად მუშაობს – 12%, საჯარო სექტორში დასაქმებულია – 5 %, სწავლობს – 11 %, საკუთარ ბიზნესს ეწევა მხოლოდ 3%-ს, ხოლო უმუშევარია (27%).

კითხვაზე, იმყოფება თუ არა ოჯახის რომელიმე წევრი საზღვარგარეთ გამოკითხულთა უმრავლესობამ უარყოფითი პასუხი გასცა (59%), ხოლო დადებითი (41%) უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის სხვაობა ძალიან დიდი არაა.

რესპონდენტთა უმრავლესობას აჭარის გარდა არ უმუშავია საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (50%), ხოლო ნაწილი მუშაობს სეზონურად ქვეყნის ფარგლებს გარეთ (28%), ნაწილი საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ასევე სეზონურად (22%). უმეტესი მათგანი ყოველთვიური შემოსავალი 100-დან 500 ლარამდეა (48%) შემდეგ მოდიან ის ადამიანები ვისი შემოსავალიც 501-დან 1000 ლარამდეა (30%), შემდეგ – 1001-დან 1500 ლარამდე (11%), ხოლო ისინი ვისი შემოსავალიც აჭარბებს 1500 და 2000 ლარს ძალიან ცოტაა (2-4%). გამოკითხულთა 5% ცხოვრობს სხვის კმაყოფაზე (ძირითადად სტუდენტები)

საინტერესოდ განაწილდა მიგრანტების კმაყოფილების მაჩვენებელი. მათი უმრავლესობა კმაყოფილია (41%), ნაწილი თვლის, რომ უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო (19%), ნაწილს სხვა გზა არ ჰქონდა და იძულებითია (16%),

მხოლოდ 12%-ია უკმაყოფილო, ხოლო 11%-ს მიაჩნია რომ სიტუაცია გამოსწორდება.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ აპირებს უკან დაბრუნებას (64%), მათგან უკან დაბრუნებაზე ფიქრობს და ჯერ არ გადაუწყვეტია და იმოქმედებს გარემოების შესაბამისად (22%). ემიგრანტთა 6%-მა არ იცის. თუ შევადარებთ ვინც აპირებს (64%) და ვინც არ აპირებს (8%) განსხვავება საკმაოდ დიდია. საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა არ გეგმავს ქვეყნის გარეთ წასვლას (71%), ხოლო ადგილზე თუ შესაფერისი სამუშაო ვერ იშოვა ფიქრობს ემიგრაციაზე (18%), მათთან შედარებით ემიგრაციაში წასვლას გეგმავს (11 %), რაც არც თუ მცირე რაოდენობაა.

პირველი სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, კერძოდ:

- ის პირები, რომლებიც შიგა მიგრაციის განხორციელებამდე სწავლობდნენ მათთვის მიგრაციის ძირითადი მიზეზი იყო და არის სწავლის გაგრძელების სურვილი, უკეთესი მომავალი. ისინი ამჟამად საქმიანობენ პროფესიის შესაბამისად ან მომსახურების სექტორში, მათი შრომის ანაზღაურება 500-დან 1000 ლარამდეა და ისინი მიგრაციით კმაყოფილნი არიან;
- ის პირები, რომლებიც შიგა მიგრაციის განხორციელებამდე მუშაობდნენ დაბალკვალიფიკაციურ სამუშაოზე (იგულისხმება არა პროფესიის შესაბამისად) მიგრაციის მიზეზად ასახელებენ არასაკმარის შემოსავალს, ამჟამად ისინი საქმიანობენ მომსახურების ან კერძო სექტორში, მათი ანაზღაურება ასევე 500-დან 1000 ლარამდეა და უმრავლესობა კმაყოფილია შიგა მიგრაციით.

- ის პირები, რომლებიც შიგა მიგრაციის განხორციელებამდე მუშაობდნენ პროფესიის შესაბამისად მიგრაციის ძირითად მიზეზად ასახელებენ არასაკმარის შემოსავალს, თვლიან რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მეტ ხელფასს იმსახურებს, ამჟამად საქმიანობენ მომსახურების ან კერძო სექტორში, მათი თვიური ანაზღაურება 1500-დან 2000 ლარამდეა და ისინი კმაყოფილნი არ არიან მიგრაციით, თუმცა არ გამორიცხავენ არც უკან დაბრუნებას და არც ემიგრაციაში წასვლას. უმრავლესობა აპირებს სამსახურის საზღვარგარეთ პოვნას. ამდენად, იკვეთება კვალიფიცირებული პერსონალის ქვეყნიდან გადინების პერსპექტივა, რაც დამაფიქრებელია და სათანადო ყურადღებას იმსახურებს ადგილზე დასამაგრებლად.
- ის პირები, რომლებიც შიგა მიგრაციის განხორციელებამდე იყვნენ უმუშევრები, მიგრაციის ძირითად მიზეზად ასახელებენ არასაკმარის შემოსავალს და ოჯახის გაყოფას, ამჟამად უმუშევრები არიან და მუშაობენ სეზონურად როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ (უმეტესად თურქეთში), თუმცა უკმაყოფილონი არიან შიგა მიგრაციით, მაგრამ გამორიცხავენ უკან დაბრუნებას. მათი თვიური ხელფასი 100-დან 500 ლარამდეა.
- საინტერესო ფაქტია ის, რომ ისინი, ვინც მიგრაციაში იმყოფებიან ბოლო 5-10 წელია, არ აპირებენ ემიგრაციაში წასვლას, ვინაიდან იმედოვნებენ, რომ სიტუაცია შეიცვლება ადგილზე, ხოლო ვინც შიგა მიგრაციაში იმყოფება უკვე 20 წელია და მათი ოჯახიდან თითო წევრი წასულია ემიგრაციაში, პესპექტივაში შესაძლებელია, მათ ოჯახის სხვა

წევრებიც დაემატნონ და შიგა მიგრაცია გარე მიგრაციამ შეცვალოს.

- უშუალოდ ინტერვიუს პროცესში დასმულ შეკითხვაზე: რა წარმოადგენს შიგა მიგრაციის მთავარ მიზეზს? გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიზეზები: **პირველი** – უმაღლესი განათლების მიღების სურვილი. რაც იწვევს ახალგაზრდების მიგრირებას სოფლიდან ქალაქ ბათუმში. აქ სწავლის პროცესში სამუშაოს დაწყება აიძულებთ უკან დაბრუნების პერსპექტივებზე უარის თქმას. **მეორედ** - გვევლინება არახელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობა. „ზემო აჭარიდან ეკომიგრანტებზე არანაირი ყურადღება არ ვრცელდება“ – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპოდენტი, რომელიც 1989 წლიდან ეკომიგრანტია. **მესამე მიზეზად** სახელდება ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთი რესპოდენტი დასძენს, რომ „სხალთის ხეობაში არის მხოლოდ ერთი სამედიცინო პუნქტი, მაშინ როცა სხალთის ტერიტორია დაახლოებით მთელი ხულოს მუნიციპალიტეტის ნახევარია. **მეოთხე მიზეზს წარმოადგენს** – სამუშაო ადგილების არა თუ ნაკლებობას, არამედ „არარსებობა“. განათლებასთან დაკავშირებით თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ხელს უწყობს შიგა მიგრაციის ზრდას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში მიღებული განათლებით მოსწავლე ვერ აბარებს უმაღლეს სასწავლებელში, ესაჭიროება დამატებითი მომზადება. ამგვარი დამატებითი მოსამზადებელი კურსების არარსებობა ადგილზე იწვევს მათ ჩამოსვლას ქალაქში, რის შედეგადაც ხდება სოფლების დაცარიელება. აღნიშნული კი თავის მხრივ უარყოფითად აისახება სოფლის სკოლის

მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებაზე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ „...არის სოფლები სადაც პირველ კლასში მოსწავლეები აღარ ჰყავთ!!! წელს დაახლოებით ასეთი ხუთი სოფელი იქნება...“. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს მიზეზი უარყოფითად აისახება სოფლის, კერძოდ ხულოს დემოგრაფიულ ფონზე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს, რომ „...ჩემს ბავშვობაში სოფელ ზემო ვაშლოვანში ვერ იპოვიდით დაცარიელებულ სახლ-კარს, დღეს კი სიტუაცია კარდინალურად შეცვლილია. ახლა, პირიქით, შემჩნევა იმ სახლებისა, რომელშიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ადამიანები საკმაოდ რთულია“. ასევე განსაკუთრებით ყურადსაღებია უკვე შიგა მიგრაციაში მყოფთა დამოკიდებულება უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. რესპოდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში არ აპირებს უკან დაბრუნებას, ვინაიდან იქ მდგომარეობა არ შეცვლილა და სავარაუდოდ არც შეიცვლება. ხოლო ისინი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ჯერ არ იციან რას მოიმოქმედებენ, შედარებით ხანგრძლივი და სიღრმისეული ინტერვიუს დროს იგივეს გვიპასუხობენ და იმავე მიზეზებს ასახელებენ რომლებიც წინა შემთხვევაში გვქონდა. მიზეზების ნაირსახეობის მიუხედავად ყველა რესპოდენტს აერთიანებდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მდგომარეობს, იმაში, რომ ეს არის კომპლექსური პრობლემა და შესაბამისად, გადაჭრის გზების ძიება-შერჩევაც აქედან უნდა გამომდინარეობდეს.

მიუხედავად ემიგრაციასთან მიმართებით მოსახლეობაში არსებული დადებითი განწყობებისა, 2020



წლის დასაწყისში ქვეყანაში გამოცხადებულმა პანდემიამ გავლენა იქონია მიგრანტების ქცევაზე. სხვადასხვა სატელევიზიო, რადიო, საგაზეთო წყაროების ინფორმაციიდან გამომდინარე 2020 წლის დასაწყისიდან გამოიკვეთა ქალაქებიდან სოფლებში მოსახლეობის მასიურად გადაადგილების პროცესი. ყველამ, ვისაც კი სოფლად ჰქონდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სოფელს მიაშურა და მიწის დამუშავება დაიწყო. მოსახლეობა გადავიდა ცხოვრების სრულიად ახალ რეჟიმზე. გამოკითხული რესპოდენტები ქალაქიდან სოფლებში დაბრუნების მიზეზად ასახელებენ თავისუფალ დროს, ონლაინ მუშაობის შესაძლებლობას, დამატებითი შემოსავლის მიღებას [<https://batumelebi.netgazeti.ge/news/271502>], ვინაიდან ეკონომიკის შემცირების მოლოდინი აშკარად სახეზეა. მოსახლეობას გაუჩნდა ხვალინდელი დღის შიში. ქალაქი აღარ აღმოჩნდა სტაბილური შემოსავლის წყარო. სოფელში დაბრუნებული ზოგიერთი მათგანი სამომავლოდაც საკვებ პროდუქტებზე თანხის დაზოგვის მიზნით აპირებს დარჩენას და მიწის დამუშავებას. პანდემიის პირობებში უფრო აქტუალური გახდა „მთის კანონის“ არსებობა. ადამიანებმა, ვინც ადრე არ იცნობდა ამ კანონს, სოფელში დაბრუნების შემდეგ სამომავლო ბიზნეს-გეგმებზე დაიწყეს ფიქრი. შეიძლება ითქვას, რომ სტაბილურობის გარანტი აღმოჩნა მიწა და სოფლის მეურნეობა. პანდემიის პირობებში სოფლის მეურნეობის სტიმულირების მიზნით ამოქმედდა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროცესი და რა შედეგი ექნება მომავალში წინასწარ რთულია თქმა. თუმცა შესაძლებელია მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მომავალში კვლევის ჩატარება მიგრაციაზე პანდემიის გავლენის შედეგების დასაზუსტებლად.

**მეორე ეტაპზე** გამოიკითხა ხულოში მცხოვრები ადგილობრივი ფაქტობრივი მოსახლეობა. გამოკითხულთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას და შემდეგნაირად წარმოსდგება: 30-დან 65 წლამდე ასაკისაა 65%, ხოლო 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა – 15%-ს შეადგენს. თუ 65-ზე მეტი ასაკის მოსახლეობის წილით (11%) ვიმსჯელებთ მუნიციპალიტეტი დემოგრაფიულად დაბერებულია. გამოიკითხულთა შორის უმრავლესობას მამაკაცები (75%) შეადგენენ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაოჯახებულია (80%).

საინტერესოა, რომ ოჯახში წევრთა რაოდენობის უმეტესობას 5-ზე მეტწევრიანი (40%), და 5 წევრიანი ოჯახები (23%) , ხოლო შედარებით ნაკლებს ოთხ (15%), სამ (12%) და 2 წევრიანი ოჯახები (8 %) შეადგენენ. რაც შეეხება განათლებას გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი ზოგადი საშუალო განათლების მქონეა (63%), თუმცა ასევე არიან პროფესიული (11%) და უმაღლესი განათლების მქონენი (23%). პროფესიის მიხედვით გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს არა აქვს პროფესია (52%), მაგრამ პროფესიულ სტრუქტურაში წარმოდგენილი არიან იურისტები (18%), ინჟინერები (17%), მასწავლებლები (9%) დაექიმები (2%).

**ჩვენი გამოკვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო შეგვესწავლა ე.წ. „მთის კანონის“ მოქმედების ეფექტიანობა. რამდენად იცნობს მოსახლეობა ამ კანონს, სარგებლობენ თუ არა კანონით განსაზღვრული შეღავათებით, როგორ აფასებენ კანონის მოქმედებას, არის თუ არა ეს კანონი მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობა და მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისათვის ხელისშემწყობი. შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა**

კარგად იცნობს „მთის კანონს“ (98%), ამ კანონით მოსახლეობისთვის დადგენილია სხვა და სხვა სახის სოციალური შეღავათი. (კომუნალური, დანამატები პენსიაზე, ხელფასზე, ბავშვის ყოლაზე) გამოკითხულთა დიდი ნაწილი სარგებლობს რამოდენიმე სახის შეღავათით ერთდროულად (61%), ხოლო კომუნალური შეღავათებით სარგებლობს ყველა გამოკითხული (100%). გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი კანონს დადებითად აფასებს და თვლის, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა ამ კანონის ამოქმედების შედეგად გაუმჯობესდა (88 %), მხოლოდ მცირე მათგანი თვლის რომ ეს კანონი არაფერს ცვლის (12%).

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პარალელურად მუშაობს სხვადასხვა სამუშაოზე, შრომის ბაზარზე არსებული სამუშაო ადგილების, პროფესიის, გამოცდილების შესაბამისად. ვისაც უმაღლესი განათლება აქვს მუშაობს პროფესიით, ხოლო საშუალო და პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია მომსახურე სექტორში. სოფლის პირობების შესაბამისი სამუშაოს პარალელურად, მათ აქვთ შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკითხულთა დიდი ნაწილი არის სხვა და სხვა სახის ერთწლიანი კულტურის მწარმოებელი, როგორცაა კარტოფილი, სიმინდი, ხახვი, სტაფილო, ნიორი, პომიდორი კიტრი, ჭარხალი, კომბოსტო (62%), ხოლო მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს გამოკითხულთა 96%-ს. წვრილფეხა 1%-ს. ასევე – შინაური ფრინველები. მათ მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის, აგრეთვე გასაყიდად.

გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი, ახლო მომავალში არ აპირებს საცხოვრებლად საქართველოს სხვა ტერიტორიაზე გადასვლას (88%), თუ მდგომარეობა არ

გამოსწორდა მხოლოდ ამ შემთხვევაში აპირებს (7%), ხოლო გადაწყვეტილი აქვს (5%).

**მეორე სამიზნე** ჯგუფის გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ:

- ის, ვინც საკუთარ თავს უმუშევარს უწოდებს, მათი ყოველთვიური შემოსავალი ვარირებს 100-500 ლარის ფარგლებში, ისინი სარგებლობენ „მთის კანონით“ განსაზღვრული შეღავათებით, მოჰყავთ მინიმუმ 4 დასახელების ერთწლიანი კულტურა, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ჩენი აზრით, მათ დასაქმებიდან გამომდინარე, ისინი უფრო თვითდასაქმებულთა კატეგორიას უნდა მივაკვეთოთ და არა საქსტატის მიერ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებებს, მით უფრო, რომ სოფლად უმუშევრობის დონე უფრო ნაკლებია ვიდრე ქალაქში.
- თუ შევადარებთ პირველ და მეორე სამიზნე ჯგუფს ასაკის მიხედვით, ქალაქში ჩამოსულთა ძირითადი ნაწილი ახალგაზრდობაა და 21-30 წლის ასაკის ფარგლებში ვარირებს. მათთან შედარებით ხულოს მაცხოვრებლებში ჭარბობს 31-65 წლის ასაკის კატეგორია. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფლიდან ქალაქში ძირითადად ახალგაზრდობა მოდის, რომელთა მიზანი უმაღლესი განათლების მიღებაა, ისინი ასევე წარმოადგენენ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას. გამოკითხულთა ორი ჯგუფში უმრავლესობა ქორწინებაშია თუმცა ქალაქში წამოსულ ოჯახებში წევრთა რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სოფლად დარჩენილი მოსახლეობის. მიგრანტებში ჭარბობს 4 და 5 წევრისგან შემდგარი ოჯახები, ხოლო სოფლად

მაცხოვრებლებში 5 და 5-ზე მეტ სულიანი ოჯახები. აღნიშნული ადასტურებს, რომ მიგრაციაშობადობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძველად მაღალმთიან აჭარაში მრავლად იყო მრავალსულიანი ოჯახები და დემოგრაფიულ დისბალანსს შედარებით აწონასწორებდა, თანამედროვე ეტაპზე ეს გამაწონასწორებელი რეზერვი თანდათან იწურება.

- **განათლების დონე** ორივე ჯგუფში ძირითადად არის საშუალო ზოგადი, თუმცა ქალაქში გამოკითხული მოსახლეობის უმაღლესი განათლების მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე სოფლად გამოკითხული მოსახლეობის. ეს ადასტურებს იმას, რომ უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა უკეთესი პირობების საძიებლად ქალაქში მოდის, ან თუ სასწავლებლად წამოვიდა, ქალაქშივე რჩება და უერთდება ადგილობრივ შრომის ბაზარს.
- საინტერესო აღმოჩნდა ორივე მიზნობრივი ჯგუფის **ყოველთვიური შემოსავლის** შედარებითი ანალიზი. ორივე ჯგუფში ლიდერობს ადამიანთა ის კატეგორია, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც ვარირებს 100-დან 500 ლარის ფარგლებში, მაგრამ სოფლად იმ ადამიანების წილი ვისი ყოველთვიური შემოსავალი 501-დან 1000 ლარია (37%), უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში წამოსულ მოსახლეობაში (30%). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქსტატის მონაცემებით აჭარაში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენს 866 ლარს (2018 წ.) გამოდის, რომ სოფლად უფრო მეტია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც საშუალება აქვს ნომინალური, ან მასზე მეტი ხელფასი მიიღოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოფლად გამოკითხულთა უმრავლესობა

სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა სახის კულტურის მწარმოებელია, რომელსაც ისინი გარდა გაყიდვისა, გამოიყენებენ საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათგან მიღებული პროდუქტიც ასევე გამოიყენებადია საკუთარი მოხმარებისთვის, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თუკი ქალაქის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაძენად თანხას ხარჯავს, სოფლად მაცხოვრებლებს იგივე პროდუქცია თავად მოჰყავთ და ის თანხა, რომელსაც ისინი არ ხარჯავენ საკვების შეძენისთვის, შესაძლებელია ჩავუთვალოდ, როგორც ნატურალური ფორმით მიღებული შემოსავალი. აქედან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობისთვის ყოველთვიური შემოსავალი გაცილებით მეტი გამოდის ვიდრე ქალაქის მოსახლეობისთვის.

- ზემოთ გაკეთებული დასკვნების შემდეგ, შესაძლებელია შევადაროთ ხარჯებიც. საქართველოში მოსახლეობის ხარჯების ძირითადი ნაწილი მოდის კვებაზე, კომუნალურ გადასახადებზე და განათლებაზე. სოფლის მოსახლეობის 100 % სარგებლობს „მთის კანონით“ განსაზღვრული კომუნალური შეღავათებით. ასევე, მათ მიერ საკვები პროდუქტების შესაძენად გაწეული ხარჯებიც ნაკლებია ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, ვინაიდან ისინი პროდუქტს თავად აწარმოებენ. რაც შეეხება განათლებას, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს სწავლის ქირას უფინანსებს სახელმწიფო. ამას თუ დავამატებთ კანონით გათვალისწინებულ სხვა შეღავათებს, გამოდის, რომ ყოველთვიური ხარჯები სოფლად უფრო ნაკლებია ვიდრე ქალაქად, რადგან ქალაქში მსგავსი ტიპის

შეღვათები არ არსებობს. სოფლად გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (88%) თავადაც თვლის, რომ „მთის კანონის“ ამოქმედების შემდეგ მატერიალური მდგომარეობა გაუუმჯობესდათ.

ჩვენი კვლევის მესამე ეტაპზე გამოვკითხეთ მესამე სამიზნე ჯგუფი - ხულოში დარეგისტრირებული მეწარმეები და შევეცადეთ გაგვეჩვენათ მათი ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მოტივები, მათი ეკონომიკური მდგომარეობა, „მთის კანონის“ მოქმედების შედეგები და განვითარების სამომავლო პერსპექტივები.

მესამე სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოვითხოვეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან. მოწოდებული მასალების თანახმად, აღმოჩნდა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან, მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დარეგისტრირდა 218 საწარმო სასოფლო და არასასოფლო წარმოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ „მთის კანონის“ ამოქმედების შემდეგ მათ ოფიციალურად დაევალებათ თავიანთი საწარმოების რეგისტრაცია და მაღალმთიანი სტატუსის მქონე საწარმოებისთვის განკუთვნილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. 218 საწარმოდან რეგისტრაცია გააუქმა მხოლოდ 7-მა მათგანმა, დანარჩენები კი დღემდე აგრძელებს მუშაობას, უფრო მეტიც ზოგმა შეიცვალა იურიდიული სტატუსი და მცირე მეწარმიდან გადაკეთდა შპს-დ. საწარმოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მეფუტკრეობა, ხილის, ბოსტნეულის, მოყვანა, სარგავი მასალის გამოყვანა, აგროქიმიკატების, ხორცისა და რძის პროდუქტების, მინერალური სასმელის წარმოება.

გამოკითხული მეწარმეების უდიდეს ნაწილს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს

სტატუსი (68 %), მხოლოდ მცირე ნაწილს არა აქვს ეს სტატუსი (32 %) მიზეზი, რის გამოც საწარმოებს, რომლებიც საქმიანობენ ხულოში, მაგრამ არა აქვთ მინიჭებული აღნიშნული სტატუსი, შეიძლება იყოს, ის რომ ნაწილი ელოდება სტატუსის მინიჭებას, ნაწილი კი ვერ აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ იმ კრიტერიუმებს, რაც საჭიროა აღნიშნული სტატუსის მისაღებად. ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია საწარმოს მფლობელის მაღალმთიან რეგიონში მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის ქონა. თუ სწარმოს მფლობელს არა აქვს ეს სტატუსი, მაშინ ვერც მის მიერ დაფუძნებული საწარმო მიიღებს ამ სტატუსს. მიუხედავად ამ შეზღუდვებისა ხულოს მუნიციპალიტეტში საკმაოდ მრავლადაა იურიდიული სტატუსის მქონე კომპანიები, რომლებიცადგილზე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. გამოკითხული საწარმოების უმეტესობა საქმიანობს წლის განმავლობაში (77%), ნაწილი სეზონურად (23%). თითქმის ყველა მეწარმე იცნობს „მთის კანონს“ (92%). კანონით გათვალისწინებული შეღავათებით: მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, სარგებლობს უმეტესი მათგანი (40%). კომპანიების უმრავლესობა თავიანთ ყოველთვიურ შემოსავალს ასახელებენ 1501-2000 ლარის ფარგლებში (61%), 2000 ლარზე მეტს (29%), რვა პროცენტი 1001-1500 ლარის და ორი პროცენტი 501-1000 ლარის ფარგლებში, 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი კი არც ერთ მათგანს არა აქვს. გამოკითხული მეწარმეების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ მათი საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობა „მთის კანონის“ ამოქმედების შედეგად გაუმჯობესდა (69%), ზოგიერთმა მათგანმა თავი შეიკავა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან (29%). მნიშვნელოვანია ამ საწარმოების დაარსების წელი, უმრავლესობა დარეგისტრირებულია ბოლო 4 წელია, ანუ იმ დროიდან, როდესაც მოხდა მეწარმეობის ხელშემწყობი



სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ამოქმედება. კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 1-დან 25 კაცის ფარგლებში, ხოლო დასაქმებულების 77%-ის, ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 101-დან 500 ლარამდე, 21%-ის 501-დან 1000 ლარამდე, 2%-ის 1001-2000 ლარამდე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მათ დამქირავებლებს აქვთ შეღავათი საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, დასაქმებულები დაქვითვის გარეშე ღებულობენ აღნიშნულ ხელფასს.

„მთის კანონის“ ამოქმედებიდან მე-4 წელს მისი შედეგები სახეზეა. მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვითქვანეთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- გაიზარდა სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მოტივაცია;
- სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნით შემცირდა უკანონო, დაურეგისტრირებელი კომპანიების რიცხვი. შეღავათების მისაღებად მათ მხოლოდ რეგისტრაცია და მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის მიღება ესაჭიროებათ. მეწარმეები გადასახადებისგან გათავისუფლებული არიან საქმიანობის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში, ეს კი საკმაოდ დიდი დროა კაპიტალის დასაგროვებლად და ახალი საქმიანობის მოტივაციისთვის.
- შეიქმნა სამუშაო ადგილები. მოქმედ საწარმოებში (210 მოქმედი საწარმო) საშუალოდ დასაქმებულია 600-მდე ადამიანი. მომავალში ზრდის ტენდენციაა მოსალოდნელი.
- ვინაიდან „მთის კანონი“ ხელს უწყობს შემოსავლების მობილიზებას ადგილზე, ამას შედეგად მოყვება სოციალურად დაუცველი ოჯახების შემცირება და იმ

- თანხების დაზოგვა, რასაც სახელმწიფო ხარჯავს სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირებაზე.
- ჩატარებული გამოკითხვის, ასევე ადგილზე აღებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, მიგვაჩნია, რომ საგადასახადო დანაკარგები უმნიშვნელოა კანონის სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტთან შედარებით, უფრო მეტიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში სოციალური და ეკონომიკური ეფექტი ბევრად გადააჭარბებს საგადასახადო დანაკარგს, ვინაიდან ეს კანონი ადგილზე ქმნის შემოსავალს, მატერიალურ მდგომარეობას უუმჯობესებს მოსახლეობას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას და სახელმწიფოს ამ შემთხვევაში პირიქით შეუმცირდება საბიუჯეტო ხარჯი, რომელიც მას აქვს სხვა და სხვა სოციალური დაზღვევისა თუ დახმარების სახით.
  - თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „მთის კანონს“ შესაძლებელია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში სრულიად განსხვავებული შედეგი ჰქონდეს. ამ კანონს აქვს ორი მიზანი: შემოსავლების მობილიზება ადგილზე და მოსახლეობის დამაგრება მთაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კანონის პირველი მიზანი შესრულების პროცესშია, ჯერ მხოლოდ მოკლე დროა გასული, მაგრამ შემოსავლების მობილიზების ეფექტი სახეზეა, რასაც ადასტურებს მოსახლეობის გამოკითხვა. რაც შეეხება მეორე მიზანს, აქ ჯერ-ჯერობით რთულია კონკრეტულად რამის თქმა, თუმცა მოსახლეობის განწყობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და გავითვალისწინებთ ეკონომიკის ერთ-ერთ პრინციპს, რომ ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ, და ისინი

ზოგავენ თავიანთი შემოსავლების ნაწილს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემოსავლების გაუმჯობესების შედეგად კეთილდღეობის სურვილი გადააჭარბებს შემოსავლის ეფექტს და ისინი უკვე საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად მაინც გადაწყვეტენ ქალაქში წამოსვლას და მხოლოდ სეზონურად დარჩენას სოფელში. ამის დასტურად შეიძლება ისიც ითქვას, რომ მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს უკვე დღეს შვილები გამოშვებული ჰყავს ქალაქში უკეთესი პირობების, უკეთესი განათლების, კარიერის გამო.

- ასევე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ საცხოვრებელი პირობების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ შეიძლება მოსახლეობა დაამაგროს მთაში. მოსახლეობას ბევრ სოფელში დღემდე აწუხებს გზის, წყლის, გათბობის და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემა. ამიტომ ისინი ცდილობენ შვილები უკეთეს პირობებში აცხოვრონ და ხელს უწყობენ მათ ქალაქში დამკვიდრებას. ყველას აქვს უფლება კეთილმოწყობილ პირობებში იცხოვროს და ამ მხრივ არც მაღალმთიანი მოსახლეობაა გამონაკლისი.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ცვლილებები, რაც დაიგეგმა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიმდინარე წლის დასაწყისში. დაგეგმილი ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2020 წლის ივნისის თვეში. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, „მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა ჩვენი ქვეყნის კიდევ 58 დასახლებას, რის საფუძველზეც, დაახლოებით, 26 ათას ადამიანს მიეცა შესაძლებლობა ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით [<https://ipress.ge/new/>].

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშე მიენიჭა ზოგიერთ სოფელს და დასახლებას. ასე მაგალითად, თუ კანონის თავდაპირველ ვარიანტში მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მისაღებად სოფელი უნდა ყოფილიყო ზღვის დონიდან 1500 მეტრზე, განხორციელებული ცვლილებების შედეგად სოფელს აღნიშნული სტატუსი მიენიჭა იმ შემთხვევაშიც, თუ ის მდებარეობს 1000 მეტრზე ან მის ზემოთ სიმაღლეზე. ასევე შეიცვალა 2000 მეტრზე ან მეტ სიმაღლეზე მდებარე მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრების პირის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმიც. ამ სტატუსის მისაღებად, ასეთ დასახლებებში ფაქტობრივად ცხოვრების 9 თვიანი პირობის ნაცვლად, განისაზღვრა 6 თვიანი პერიოდი [<https://ipress.ge/new/>].

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით: „2016 წლიდან დღემდე, კანონით დაწესებული სხვადასხვა სოციალური შეღავათის ფარგლებში, ახალშობილისათვის დახმარების სახით გაიცა თითქმის 27 მილიონი ლარი; 97 მილიონ ლარამდე ოდენობის დანამატი სახელმწიფო პენსიაზე მიიღეს პენსიონერებმა; გაიცა სოციალური პაკეტის დანამატი 12.1 მილიონი ლარის ოდენობით; 14 მილიონ ლარზე მეტი გაიცა სამედიცინო პერსონალზე; 90 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა 24.1 მილიონი ლარის შეღავათით ელ. ენერჯიაზე; 48.3 მილიონი ლარი გაიცა მასწავლებლებისათვის და 687000 ლარი მწვრთნელებისათვის. საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს უკვე 401 საწარმო“ [<https://mrdi.gov.ge/ka/press-center/>].

კვლევის დასრულების შემდეგ, მიღებული დასკვნებიდან, მოსახლეობის განწყობებიდან და

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, ჩამოვყალიბეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- განათლების ხელშეწყობა, როგორც სკოლამდელი, ისე საშუალო და პროფესიული განათლების ხელშემწყობი პროგრამების ამუშავება.
